

ციური ახვლედიანი, მაია ჯავახიძე
Tsiuri Akhvlediani, Maia Javakhidze

იტალიური ენის ისტორია
STORIA DELLA LINGUA ITALIANA
(სალექციო კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2011
Tbilisi 2011

ნაშრომი შესრულებულია სახელგანთქმული ლინგვისტების: ტუ-ლიო დე მაუროს, ლუკა სერიანის, ფრანჩესკო ბრუნის, ალფრედო სტუსის, მაურიციო ვიტალეს, უმბერტო პანოცოს, კლაუდიო მარაცინის, ბრუნო მილიორინის, ჯან ლუიჯი ბეკარიას, გაეტანო ბერუტოს მიერ ჩატარებული იტალიური ენის ისტორიის წყაროების სამეცნიერო კვლევათა მონაცემების მიხედვით.

ც. ახვლედიანი
მ. ჯავახიძე

რედაქტორი: ფილოლოგიის დოქტორი
ნინო ცერცვაძე

რეცენზენტი: ფილოლოგიის დოქტორი
ნატალია ფეიქრიშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011

© ციური ახვლედიანი, მაია ჯავახიძე

ISBN 978-9941-10-314-8 ????

შესავალი

1. ცენტრი და პერიფერია

იტალიის სახელმწიფო ენის - იტალიური ენის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ცენტრისა და პერიფერიის ცნებებთან. ცენტრად ამ შემთხვევაში მოიაზრება ტოსკანა, საიდანაც დასაბამი აიღო იტალიურმა ენამ, რომელიც შემდეგ დანარჩენ რეგიონებში გავრცელდა. ამ პროცესში ტოსკანური ადგილობრივ სალაპარაკო დიალექტებს აწყდებოდა, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, ისტორიულად მნიშვნელოვან კულტურულ როლს თამაშობდნენ. ეს დაპირისპირება თითქმის არასდროს გადაწყვეტილა ენის იძულებით თავსმობხვევით, ძირითადად ადგილი ჰქონდა თავისუფალ არჩევანს რეგიონების მხრიდან. მაგალითად ისეთი რეგიონიც კი, როგორც პიემონტია, იტალიური ენის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის - ა. სტუსის (Alfredo Stussi - 1939) აზრით, ერთი საუკუნის წინათ კიდევ უფრო ფრანგული, პროვანსული და ფრანკოპროვანსული იყო ვიდრე დღეს არის ციზალპურ საზღვართან; სწორედ პიემონტიდან გავრცელდა დანარჩენ იტალიაში იურიდიული და ადმინისტრაციული მოდელები, მაგრამ რაც შეეხება ენას, პიემონტს არ მიუღია თავისი ადგილობრივი დიალექტი. ეს მდგომარეობა ძალიან განსხვავდება სხვა ევროპული ქვეყნების - საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის მდგომარეობისაგან. იტალია სხვა თვალსაზრისითაც განსაკუთრებული იყო, როგორც დიდი იტალიელი მწერალი - ალესანდრო მანძონი (Alessandro Manzoni - 1785-1873) აღნიშნავდა, იტალია ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც პოლიტიკური დედაქალაქი (რომი) და ენობრივი დედაქალაქი (ფლორენცია) სხვადასხვა ქალაქები იყვნენ. მაშასადამე, დიალექტები ყოველთვის იტალიურ ენასთან ურთიერთობაში უნდა განვიხილოთ, ხოლო იტალიური ენა კი - დიალექტებთან. მაგრამ დიალექტების შესახებ საუბარი შეგვიძლია მხოლოდ XV საუკუნიდან, “დიალექტზე” ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ენასთან დაპირისპირებაში, “დიალექტის” ცნება აზრს იძენს მხოლოდ ენასთან მიმართებაში, ამიტომაც, საუბრობენ რა XIII-XV საუკუნეებზე, მეცნიერები ხმარობენ გამოთქმას “იტალიური ხალხური ენები” (“volgari italiani”).

2. ენობრივი კონტაქტები ნასესხობები

ენა არ არსებობს იზოლირებულად, ის მუდმივ კონტაქტშია სხვა ენებთან და დიალექტებთან. თავისი ქვეყნის საზღვრებს ის სცილდება წიგნების მეშვეობით, ვრცელდება სამხედრო დაპყრობების შედეგად, მოგზაურობებისა თუ სავაჭრო კავშირების დროს. ამავე დროს ენებს შორის ურთიერთობა ყოველთვის არ მიმდინარეობს როგორც ორ თანასწორ ერთეულს შორის: უფრო “პრესტიჟული” ენები გავლენას ახდენენ სხვა ენებზე, რაც ე.წ. “ნასესხობების” არსებობაშიც ვლინდება. არსებობს სხვადასხვა ტიპის ნასესხობა, იმის მიხედვით ახალი სიტყვა თავისი საწყისი ფორმით არის მიღებული და “ადაპტირებული” სხვა ენაში, თუ ის სახეშეცვლილი და “ინტეგრირებულია”. სხვა ენებთან ურთიერთობის დროს იქმნება აგრეთვე ე.წ. “კალკი”, რომელიც ორი ტიპის არის: კალკი თარგმანი – როდესაც საქმე გვაქვს სიტყვა-სიტყვით თარგმანთან (იტალიური *grattacielo* “ცათამბჯენი” – არის ინგლისური სიტყვის *skyscraper* შემადგენელი ნაწილების თარგმანი) და სემანტიკური კალკი, როდესაც იტალიური სიტყვა იძენს ახალ მნიშვნელობას, იღებს რა მას უცხო სიტყვისაგან, როგორც, მაგალითად, სიტყვა *autorizzare* (“უფლების მიცემა”), რომელიც ერთ დროს ნიშნავდა “*rendere auterevole*” (“გახდეს ავტორიტეტული”), მაგრამ ფრანგული ენის გავლენით მიიღო მნიშვნელობა “*permettere*” (“უფლების მიცემა”). ამას გარდა უნდა განვასხვაოთ “აუცილებლობით გამოწვეული სესხება” და “სესხება-ფუფუნება”. აუცილებლობით არის გამოწვეული სესხება, როდესაც ენაში შემოდის ახალი სიტყვა თავის ალსანიშნ ობიექტთან ერთად, რომელსაც ამ ენაში არ გააჩნდა აღმნიშვნელი, მაგალითად, იტალიურში შემოვიდა შემდეგი სიტყვები: *caffè*, *patata*, *canoa* – იმ ობიექტებისათვის, რომლებიც ადრე იტალიაში უცნობი იყო. სესხება-ფუფუნებას კი, თეორიულად, ენას შეუძლია თავი აარიდოს, რადგანაც მას გააჩნია ამ უცხო სიტყვის შესატყვისი ვარიანტი.

დღესდღეობით ლინგვისტები უბრალოდ აფიქსირებენ ნასესხობების არსებობას ენაში, მაგრამ ისტორიულად იტალიაში (განსა-

კუთრებით XIX საუკუნეში) ამ ენობრივ პროცესებს თან ახლდა პურისტების (ენის “სიწმინდის” დამცველების) რეაქცია. მათი საქმიანობის შედეგად შეიქმნა სიტყვათა ჩამონათვალი, რომლებიც უნდა ამოეღოთ ენიდან. ფაშისტურ იტალიაში ეს დამოკიდებულება უკვე ოფიციალურ პოლიტიკად იქცა. “პურიზმი” (სიტყვიდან “puro” – “სუფთა”) ნიშნავს ენის უცხოური გავლენისაგან დაცვას; ასეთი დამოკიდებულება იმით არის განპირობებული, რომ ენა აღიქმება ეროვნული ერთიანობის ნიშნად, იმ ელემენტად, რომელიც ერთ ერს განასხვავებს მეორისაგან. არ არის შემთხვევითი, რომ ბრძოლა ერის თუ ეროვნული უმცირესობის დამკვიდრებისათვის სწორედ ენობრივი უფლებების დაცვაზე გადიოდა, თუმცა ისიც მართალია, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის არ არის აუცილებელი პირობა ენობრივი ერთიანობა (მაგ., შვეიცარია). და მაინც, როგორც წესი, პოლიტიკური და ენობრივი ერთიანობა თანაარსებობენ. ჩვეულებრივ, უცხო სიტყვების შემოსვლისაგან დაცვის მცდელობა წარუმატებელია, რადგანაც ძალიან ძნელია ენაში ეგზოტიზმების შემოსვლის აღკვეცა; მათი წარმატებით დამკვიდრება კი არის იმ მოვლენების მაჩვენებელი, რაც ხდება ზოგადად საზოგადოებაში და მის კულტურულ ცხოვრებაში. ამიტომაც ნასესხობები წარმოდგენას გვიქმნიან იმდროინდელი აზრების, შეხედულებების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შესახებ. თანამედროვე იტალიურ ენაში ინფორმატიკის ენა გაჯერებულია იგლისური სიტყვებით - ნასესხობებით თუ კალკებით: computer, mouse, bug, interfaccia, chat, hardware, software, driver, chip, display - ეს იმიტომ მოხდა, რომ ინფორმატიკა იტალიიდან შორს განვითარდა და ბუნებრივია, ამას შესაბამისი სექტორული ენის შემოსვლაც მოჰყვა.

იმ ენებს შორის, რომლებთანაც იტალიურს ყველაზე მეტად ჰქონდა კონტაქტი, პირველ ადგილზე ევროპული ენებია: ჯერ პროვანსული და მერე ფრანგული, შემდეგ ესპანური და ინგლისური. გარდა ცოცხალ ენებთან ურთიერთობებისა, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე კონტაქტები ლათინურთან და ბერძნულთან, მაგრამ არა იტალიურის ფორმირების ფაზაში, არამედ შემდეგ, როდესაც მოხდა მასში ლიტერატურული წარმოშობის სიტყვების შესვლა იურიდიული, ფილოსოფიური, ლიტერატურული წყაროებიდან. შუა საუ-

კუნებამდე ხალხური ენის ლექსიკაში ჭარბობდა ლათინური, ის ყველა განათლებულმა ადამიანმა იცოდა; ბერძნულთან ურთიერთობას კი ხელი შეუწყო ჰუმანისტური კულტურის განვითარებამ, თუმცა ბერძნული სიტყვების უმრავლესობა მეცნიერული ხასიათისაა, განსაკუთრებით კი სამედიცინო.

ცოცხალ ენებს შორის იტალიურზე უდიდესი გავლენა ფრანგულმა ენამ მოახდინა. სწორედ მან მისცა იტალიურს ყველაზე მეტი სიტყვა; ლიტერატურა ძველ ფრანგულ (*lingua d'oil*) და პროვანსულ (*lingua d'oc*) ენებზე იტალიურ ლიტერატურასთან შედარებით უფრო ადრე შეიქმნა და ის ნაცნობი იყო ძველი იტალიელი მწერლებისათვის. ყველაზე დიდი გავლენა ფრანგულს იტალიურზე XVIII და XIX საუკუნეებს შორის ჰქონდა. XIX საუკუნის დასაწყისში კი პურიზმმა გალიციზმების და საერთოდ იტალიურის “გაფრანგულების” (*infranciosamento*) საწინააღმდეგო რეაქცია მოიტანა.

გასულ საუკუნეებში იბერიულ ენებსაც ჰქონდათ გავლენა იტალიურზე. ესპანურის დიდი გავლენა ფიქსირდება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის ბოლომდე. იმ დროს ესპანური იბერიის ნახევარკუნძულზე არსებული ძალიან დიდი სამხედრო ძალის ენა იყო. ესპანეთი ძლიერი კოლონიალური სახელმწიფო იყო, რომელსაც უზარმაზარი სამფლობელოები ჰქონდა ოკეანის გაღმა და ესპანურიც ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოში.

პურისტების რეაქციის მიუხედავად, ანგლიციზმების რაოდენობა იტალიურში გამუდმებით იზრდებოდა. მათი ძლიერი გავრცელება იწყება XIX საუკუნეში და კულმინაციას ჩვენს ეპოქაში აღწევს. XX საუკუნის იტალიურში ძალიან ბევრი ანგლიციზმია. წარსულში კი ინგლისური სიტყვები იტალიურში მხოლოდ ფრანგულის საშუალებით შემოდიოდა.

გერმანულს ფრანგულთან, ესპანურთან და ინგლისურთან შედარებით ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იტალიურისათვის. შუა საუკუნეებში ასევე მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობა არაბულთან. არაბული სიტყვების უმრავლესობა იტალიურში შემოვიდა სწორედ მაშინ, როდესაც კონტაქტები ხშირი იყო ისლამურ სივრცესთან და არაბულ სამყაროს ბევრი რამ ჰქონდა გასაზიარებელი დასავლეთი-

სათვის. არაბული სიტყვები გვხვდება კომერციულ, მედიცინის, საზღვაოსნო, მათემატიკის ენებში: zero, ammiraglio, arsenale, dogana, tariffa, sciroppo.

ებრაულთან კავშირი არ იყო პირდაპირი, ეს ხდებოდა ლათინურის - ქრისტიანული ლიტურგიის საშუალებით: alleluia, amen, osanna. იშვიათი იყო კავშირი თურქულთან, საიდანაც შემოსულია: bricco, caffè, chiosco, sorbetto. თანამედროვე ეპოქის ნასესხობებს განეკუთვნება რამდენიმე იაპონური სიტყვა: bonsai, hara-kiri, judo, kamikaze.

3. მწმრღების როლი

ლიტერატურულმა ენამ გადამწყვეტი როლი ითამაშა საყოველთაო იტალიურის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. იტალიის შემთხვევაში სწორედ მწერლებმა მოახდინეს გავლენა ეროვნული ენის განვითარებაზე, სწორედ მათ შექმნეს ის ენობრივი ბაზა, რომლის საფუძველზეც შემდგომში გრამატიკოსებმა და თეორეტიკოსებმა “ნორმა” დაადგინეს. ამ თვალსაზრისით, მწერლების როლი მნიშვნელოვანია ენის ისტორიაში, თუმცაღა, რა თქმა უნდა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ენა იგვიდება ლიტერატურასთან და ამოიწურება ლიტერატურით. იმის გამო, რომ არ არსებობდა პოლიტიკურად გაერთიანებული ერი, ყოველდღიური ურთიერთობები ძირითადად დიალექტზე ზორციელდებოდა, ინტერესი ენისადმი კი პირველ რიგში ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და შექმნის პროცესში გაღვივდა. სწორედ ლიტერატურულ ნიადაგზე აღგენენ ენის ისტორიის სპეციალისტები მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენების უმრავლესობას.

ის, ვინც იტალიურად წერდა და ლაპარაკობდა, ხშირად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა ხოლმე: მას იზიდავდა ტოსკანური, რომელიც ლიტერატურული მოდელებით იყო ცნობილი, მას იზიდავდა ფლორენციული ხალხური ენა, ამავე დროს მასზე გავლენას ახდენდა მისი საკუთარი დიალექტიც, ხშირად ძალიან განსხვავებული ტოსკანურისაგან. ამას გარდა, არატოსკანელი მოსაუბრე ე.წ. “დიგლოსიის”

პირობებში ცხოვრობდა, რადგანაც ის იყენებდა ყოველდღიურ სალაპარაკო დიალექტს, რომელიც აუცილებელი და ძალიან გავრცელებული იყო, თუმცა პრესტიჟულობის თვალსაზრისით ბევრად ჩამოუვარდებოდა ლიტერატურულ ენას, რომელიც “ღირსეულად” ითვლებოდა. ნასწავლმა მოსახლეობამ, რა თქმა უნდა, იცოდა ასევე “ღირსეულად” მიჩნეული ლათინური. ეს პირობები მწერლისათვის ტიპურ გარემოს წარმოადგენდა და ძალიან ხელსაყრელი იყო ე.წ. “შერეული” ენის განვითარებისათვის, რომელშიც შევიდოდა ზემოდანსახელებული წყაროების ელემენტები. ის კონტამინაცია, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი აქვს, კლაუდიო მარაცინის აზრით, შეიძლება სპეციფიური ტერმინით - “მისტილინგვიზმით” (mistilinguismo) განვსაზღვროთ, რაც სამწერლო და სალაპარაკო ენაში, განზრახ თუ უნებლიედ, განხორციელებულ სხვადასხვა ელემენტების შერევას ნიშნავს.

4. შუა საუკუნეების ნოტარიუსები და ვაჭრები

იტალიური ენის ისტორიის დასაწყისში გამორჩეული ადგილი ნოტარიუსებს უკავიათ: ხალხურ ენაზე შესრულებული პირველი დოკუმენტების ავტორები სწორედ ნოტარიუსები იყვნენ, მათ გააკეთეს არჩევანი ლათინურსა და ხალხურ ენას შორის უკანასკნელის სასარგებლოდ. ასე მოხდა “კაპუანური განჩინების” (Placito Capuano) შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს იტალიური ენის ე.წ. “დაბადების აქტს”. ამას გარდა, ნოტარიუსები იყვნენ ანტიკური იტალიური პოეზიის პირველი მოყვარულები და დამფასებლები: ბოლონიის XIII-XIV საუკუნეების ნოტარიალური აქტების ჩანაწერებში, რომლებიც ცნობილია სახელწოდებით Memoriali Bolognesi, შემონახულია ჩინო და პისტოიას (Cino da Pistoia), გვიღო კავალკანტისა (Guido Cavalcanti) და დანტეს (Dante) ლექსები. ამგვარად, ნოტარიუსი გამოდის ხალხურ ენაზე არსებული ლიტერატურის მომხმარებელი. გარდა ამისა, სწორედ მისი საქმიანობა – პასუხისმგებლობა ჩაწერასა და ოქმების შედგენაზე - უქმნის მას საუკეთესო პირობებს იმისათვის, რომ მან ჩართოს ლათინურ დოკუმენტში გარკვეული ფრაზები ხალხურ ენაზე ან პირდაპირ მას მიმართოს.

რაც შეეხება შუა საუკუნეების ვაჭარს, ის ნაკლებად ნასწავლი იყო ნოტარიუსთან შედარებით, მაგრამ მას არ აკლდა მისთვის აუცილებელი ცოდნა, რაც მას პრაქტიკულ საქმიანობაში დაეხმარებოდა, მაგალითად, მან იცოდა უცხოური ენა. ჩვეულებრივ, ვაჭარმა არ იცოდა ლათინური, ის სწავლობდა კითხვას, წერას და ანგარიშს, რის საფუძველზეც მას შეეძლო შეედგინა ანგარიშის წიგნი, ფული და საქონელი გაეცა და მიეღო. ამავე დროს ვაჭრები არ იდგნენ შორს თავიანთი დროის კულტურისაგან, ასე იყო მაგალითად, ფლორენციაში, სადაც ვაჭართა ფენას ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ვაჭარი კითხულობდა გასართობად, მაგრამ მისი ურთიერთობა დამწერლობასთან უფრო არსებითიც იყო, რამეთუ მას უნდა ეწარმოებინა ანგარიში, აღენიშნა საქონლის ბრუნვა, დაემყარებინა წერილობითი კავშირები თავის კოლეგებთან, ხანდახან ძალიან შორსაც.

სწავლულთა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებდნენ ფლორენციელი, საერთოდ ტოსკანელი ვაჭრები და ბანკირები. საკმარისია იმის გახსენებაც, რომ 1211 წელს შედგენილი ანგარიშის წიგნი არის ფლორენციული ხალხური ენის პირველი დოკუმენტი. მაგრამ ვაჭრები არ იყვნენ მხოლოდ ტოსკანაში, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ვენეტოს ოლქი, რადგანაც ყველაზე ადრეული ვენეციური დოკუმენტის ნაწილი არის სწორედ კომერციული ხასიათის და ინფორმაციას იძლევა ადრიატიკის ზღვაზე განხორციელებული კომერციული საქმიანობის შესახებ.

ვაჭრები, წერილების გარდა, სხვა ტიპის ჩანაწერებსაც აკეთებდნენ. მათი რვეულები ცნობილია სახელწოდებით “სავაჭრო დოკუმენტაცია” (*Pratiche di mercatura*); ამ რვეულებში წარმოდგენილია მათემატიკური ამოცანები, კომერციული ტარიფები, ასტრონომიული ხასიათის მონაცემები, ანდაზები, სამედიცინო რეცეპტები, ქრონიკის ამბები და სხვ., რაც შეეხება “ოჯახურ წიგნებს” (*Libri di famiglia*), რომლებიც ინახებოდა სახლებში, ისინი წარმოადგენენ რვეულებს, რომელშიც ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი აკეთებდა ჩანაწერებს, მათ შორის პირადულსაც. ცნობილია ტოსკანის რეგიონის “ოჯახური წიგნები”, ისინი განსაკუთრებული ზრუნვის შედეგი აღმოჩნდა და გამოაქვეყნეს კიდევ, მაშინ როდესაც სხვა რეგიონების ამ ტიპის

ჩანაწერებისათვის ასეთი ყურადღება არ დაუთმიათ.

უკვე XVI საუკუნეში ვაჭართა კულტურამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგანაც კულტურისა და ენის განვითარებაში სხვა მექანიზმები ჩაერთო; ამ დროს კვლავ გრძელდებოდა მოგზაურობის აღწერის ტრადიცია, სწორედ ამ ტიპის ჩანაწერებში ფიქსირდება პირველად ის ეგზოტიკური სიტყვები, რომლებმაც შემდგომში ადგილი დაიმკვიდრეს იტალიურში. ვაჭრების მოგზაურობების ანგარიშს ძალიან დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია, ის მომდინარეობს მარკო პოლოს (Marco Polo – 1254-1324) “მილიონიდან” (Il Milione), რომელიც ფრანგულად იყო დაწერილი და მხოლოდ მოგვიანებით ითარგმნა იტალიურად.

5. მეცნიერების ენა

მეცნიერული ენა თავისი ფუნქციით განსხვავდება ლიტერატურული და პოეტური ენებისაგან. პოეზია თავისი ბუნებით “ბუნდოვანი” და მიმზიდველია. მეცნიერული ენა კი მკაცრად ერთმნიშვნელოვანი, ლოგიკური და გასაგები უნდა იყოს. მეცნიერების ენა დიდი ხნის განმავლობაში ლათინური იყო. ასე გრძელდებოდა აღორძინებამდე. ლათინური გამოიყენებოდა ისეთ დარგებში, როგორცაა თეოლოგია, ფილოსოფია, მათემატიკა, ასტრონომია, გეომეტრია. მედიცინის სფეროშიც ლათინური იხმარებოდა, სწორედ ლათინურზე ითარგმნა ევროპაში ამ დარგში ცნობილი არაბი ავტორები. საჭირო იყო გარკვეული დრო იმისათვის, რომ ხალხურ ენას ლათინურის ადგილი დაეკავებინა. დანტე ხედავდა ამ ტრანსფორმაციის შესაძლებლობას და დაწერა ხალხურ ენაზე “ნადიმი” (Convivio), ფილოსოფიური და პოეტური ხასიათის ნაწარმოები, რომელიც შეიცავს კომენტარებს პროზაში. დანტეს სხვა მეცნიერული ნაშრომები კი ისევ ლათინურ ენაზეა შესრულებული.

გალილეო გალილეიმ (Galileo Galilei - 1564-1642) ყველაზე მაღალ დონეზე აიყვანა ხალხური ენის გამოყენება მეცნიერებაში. მისი წვლილი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, თუმც იყვნენ მეცნიერები,

რომლებიც გალილეომდეც მიმართავდნენ ხალხურ ენას, მაგალითად, XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე მათემატიკოსი ბრემადან – ნიკოლო ფონტანა (Niccolò Fontana), ცნობილი ტარტალიას (Tartaglia) სახელით.

ორიგინალური ნაწარმოებების გვერდით უნდა აღინიშნოს აგრეთვე მეცნიერული ხასიათის კლასიკური ნაწარმოებების თარგმანის მნიშვნელობაც, რაც ამ ტიპის საქმიანობაში იტალიურის გამოყენებას ამკვიდრებდა.

6. გრამატიკოსები

ენა არსებობის ბევრ საუკუნეს გაივლის, სანამ გრამატიკოსები მისი წესების აღწერას დაიწყებენ. იტალიურს, მაგალითად, არაჩვეულებრივი ლიტერატურული ტრადიცია ჰქონდა, როდესაც XV-XVI საუკუნეებს შორის მისი ნორმის დაფიქსირების პირველი მცდელობანი დაიწყო. პირველი მოკლე იტალიური გრამატიკა არის ე.წ. “ვატიკანის პატარა გრამატიკა” (Grammatichetta vaticana), რომელიც მიეწერება ლეონ ბატისტა ალბერტის (Leon Battista Alberti - 1404-1472) და დაწერილია XV საუკუნეში. პირველი ნაბეჭდი გრამატიკა კი XVI საუკუნის დასაწყისით თარიღდება, მისი სახელწოდებაა “ხალხური ენის გრამატიკული წესები” (Regole grammaticali della vulgar lingua) - რომელიც ეკუთვნის ჯოვანი ფრანჩესკო ფორტუნის (Giovanni Francesco Fortunio – 1470-1517), წარმოშობით ის ფრიულიდან იყო, ხოლო განათლება ვენეციაში ჰქონდა მიღებული; ეს ნაშრომი 1516 წელს გამოქვეყნდა ქ. ანკონაში. რამოდენიმე წლის შემდეგ, 1525 წელს, გამოვიდა პიეტრო ბემბოს (Pietro Bembo – 1470-1547) “პროზაული მსჯელობა ხალხური ენის შესახებ” (Prose delle vulgar lingua) - უზარმაზარი მნიშვნელობის მქონე ნაშრომი, რომლის მესამე ნაწილი არის იტალიური ენის ნამდვილი გრამატიკა. XVI საუკუნის პირველ ნახევარში გრამატიკოსი უკვე განსაკუთრებული ფიგურა გახდა, რადგან ის ენობრივი საკითხების შესახებ კამათში იყო ჩართული. XVI საუკუნის გრამატიკოსებმა დააფიქსირეს ის ნორმები,

რომლებიც დაამკვიდრეს უდიდესმა მწერლებმა: დანტემ, პეტრარკამ და ბოკაჩომ. მასშასადაძე, გრამატიკა განვითარდა მას შემდეგ, რაც უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ტრადიცია. გრამატიკული ნორმების დაფიქსირებას კი მოჰყვა შემდგომი წერილობითი ძეგლების უკვე ერთგვაროვანი ხასიათი; ის, ვინც გრამატიკული ნორმების არარსებობის პირობებში წერდა, გარკვეულწილად თავად უნდა ყოფილიყო გრამატიკოსი და თვითონ უნდა შეექმნა ნორმები. ბემპომ და ფორტუნიომ კი ენის ყველაზე დიდ მასწავლებლებად დანტე, პეტრარკა და ბოკაჩო წარმოადგინეს. ნორმების არარსებობა იწვევდა იმას, რომ ავტორების არჩევანი საკმაოდ მერყევი და, ხანდახან, ურთიერთგამომრიცხავიც კი იყო. XVI საუკუნის გრამატიკები კი განდა ის სახელმძღვანელოები, რომლებსაც მწერლები მიმართავდნენ. ამ დროისათვის სკოლებში ყველაფერს ისევ ლათინურად ასწავლიდნენ, მხოლოდ XVIII საუკუნიდან - სახალხო სკოლებში იტალიური ენის შეტანის შემდეგ იქცა იქ გრამატიკა ფუნდამენტურ სახელმძღვანელოდ.

7. ლექსიკონები და აკადემიები

გრამატიკების გარდა ენობრივი ნორმის დამკვიდრების კიდევ ერთი საშუალება იყო ლექსიკონი. დღევანდელი გაგებით განმარტებითი ლექსიკონი ცოცხალი ენის მოწმეა, ის მუდამ საჭიროებს განახლებას, რათა დროის მოთხოვნებს უპასუხოს. რაც შეეხება პირველ იტალიურ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებს, მათი მიზანი იყო ლექსემების დახურული კორპუსის აღწერა. პირველი ნაბეჭდი ლექსიკონები XVI საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა ტოსკანისაგან შორს, ვენეციაში. შესაძლოა, ეს იმიტომ მოხდა, რომ არატოსკანელები უფრო გრძნობდნენ ამგვარი საშუალებების არსებობის აუცილებლობას, რადგანაც მათთვის ენა არ იყო, ტოსკანელების მსგავსად, ბუნებრივი და სპონტანური მოვლენა.

კრუსკას აკადემიის დაარსება - ფლორენციულ კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ეს აკადემია დაარსდა XVI

საუკუნის ბოლოს (ის ახლაც არსებობს) და იმდენად არის დაკავშირებული იტალიურ ენასთან, რომ მისი ისტორიის აღწერა ნიშნავს მიყვებით ყველა იმ მოვლენას ენის საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამი საუკუნის განმავლობაში. 1612 წელს კრუსკამ გამოაქვეყნა ყველაზე დიდი ლექსიკონი იმ ლექსიკონებთან შედარებით, რომლებიც მანამდე არსებობდა. ამის შემდეგ ენის შესახებ ნებისმიერი დისკუსიის დროს ამ ლექსიკონს მიმართავდნენ ხოლმე.

კრუსკას მოდელი ისეთი ძლიერი იყო, რომ საუკუნეების განმავლობაში აკადემია და ლექსიკონი (რომელსაც ახალი რედაქციებიც ჰქონდა) ერთ მთლიანობად აღიქმებოდა და ისინი გაცხოველებული პოლემიკის ცენტრში იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ არ ყოფილა ბევრი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, რომელიც გამორჩეული იქნებოდა კრუსკას მიერ შექმნილ საერთო ფონზე. თუმცა იყო ზოგიერთი მნიშვნელოვანი ლექსიკონი, მაგალითად, XVIII საუკუნეში გამოცემული ფრანჩესკო დ'ალბერტი დი ვილანოვას (Francesco D'Alberti di Villanova, 1737-1801) ლექსიკონი ან XIX საუკუნეში გამოცემული ნიკოლო ტომაზეოსა (Niccolò Tommaseo – 1802-1874) და ბერნარდო ბელინის (Bernardo Bellini, 1792-1876) იტალიური ენის ლექსიკონი, რომელიც 1861 წელს – იტალიის გაერთიანების წელს – დაიბეჭდა.

8. ენობრივი პოლიტიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოსკანური ენის გავრცელება არ იყო ცენტრისტული პოლიტიკური ძალაუფლების თავსმოხვევა. ლიტერატურა და საერთოდ კულტურა ყველაზე მნიშვნელოვანი არხები იყო იტალიური ენის გასავრცელებლად. იტალიის გაერთიანება განხორციელდა მას შემდეგ, რაც იტალიურმა ენამ დამოუკიდებლად უკვე მიაღწია თავის ჩამოყალიბებულ მდგომარეობას. თუ ისტორიული მიზეზების გამო ენობრივ პოლიტიკას მეორადი მნიშვნელობა აქვს იტალიური ენის განვითარებისთვის, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იტალიის გაერთიანებამდე არსებული სახელმწიფოები ენასთან მიმართებაში არ

იდგენენ მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოსკანა დანარჩენი ნახევარკუნძულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა: ტოსკანაში სალაპარაკო ენა ახლოს იყო იმ ენასთან, რომელზეც წერდნენ - ლიტერატურულ ენასთან და, მაშასადამე, ისეთი ერთგვაროვნებით ხასიათდებოდა, როგორც სხვაგან შეუძლებელი იყო. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ტოსკანაში პოლიტიკური ხელისუფლება მზად იყო ხალხური ენის გასავრცელებლად. ამ შემთხვევაში ტოსკანას ხელსაყრელი პოზიცია ექნებოდა. ტოსკანურს მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონდა XV საუკუნეში ლორენცო ბრწყინვალეს დროს, მედიჩების კარზე, შემდეგ კი XVI საუკუნეში კოზიმო I დროს. მაშასადამე, ტოსკანის მდგომარეობა განსაკუთრებული იყო, რადგანაც ის ხასიათდებოდა სალაპარაკო და სამწერლო ენების სიახლოვეთა და ერთგვაროვნებით.

სრულიად სხვაგვარი იყო სიტუაცია დანარჩენ იტალიაში, სადაც მაინც ძალიან სწრაფად ხდებოდა ტოსკანური ხალხური ენის ათვისება ლათინურის ადგილას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლათინურს იურიდიულ-ადმინისტრაციულ სფეროში თითქმის აბსოლუტური პირველობა ჰქონდა როგორც კანონისა და იურისპრუდენციის ენას, რის საფუძველსაც რომის კანონმდებლობა წარმოადგენდა. და მაინც, XV საუკუნეში ხალხური ენა უკვე გამოჩნდა ზოგიერთი დიდებულის კანცელარიაში. “კანცელარია” იყო სამდივნო, სადაც მუშავდებოდა სახელმწიფოს საქმეები, ინახებოდა საკანონმდებლო და იურიდიული აქტები, ხოლო გადაამწერები, მდივნები და ნოტარიუსები მოხელეების სამუშაოს ასრულებდნენ. ამას გარდა, კანცელარიაში ინახებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ-დიპლომატიური და ადმინისტრაციული ხასიათის კორესპონდენცია. XV საუკუნეში სწორედ კანცელარიაში შეიქმნა ენა, რომელსაც განვსაზღვრავთ როგორც საერთოს (commune), ბერძნული ტერმინოლოგიით კი - koine. მას შემდეგ, რაც კანცელარიაში მიიღო იტალიური ენა, ენობრივი თვალსაზრისით გაჩნდა რეგიონებს შორის გათანაბრების აუცილებლობა, რადგანაც მათ საზღვრებს მიღმა კონტაქტები ჰქონდათ. კანცლერები, ჩვეულებრივ, ნოტარიუსები იყვნენ. XV საუკუნეში ხალხური ენა უკვე გამოიყენებოდა იტალიის ზოგიერთ კანცელარიაში, კონკრეტუ-

ლად კი მანტოვაში, მილანსა და ურბინოში.

სახელმწიფოსათვის ოფიციალური ენის არჩევა ისტორიული ხასიათის მოვლენაა. პიემონტში, ნაპოლეონის დროს, იტალიურის ნაცვლად ფრანგული შეიტანეს; ეს პროცესი შეწყდა მხოლოდ იმპერიის დაცემის შემდეგ. ფრანგულენოვანი პიემონტი შეიძლება შეუქცევად რეალობად ქცეულიყო. როდესაც ენა შეიგრძნობა როგორც ეროვნული ფასეულობა, თავდაცვის საშუალება უცხოეთთან მიმართებაში, ეროვნული ერთიანობის მნიშვნელოვანი ნიშანი, მაშინ შეიძლება უარყოფითი პროცესებიც გამოვლინდეს, მათ შორის არის ენობრივი თვალსაზრისით ყოველგვარი არაჰომოგენურისა და განსხვავებულის უარყოფა. სწორედ მაშინ დგება უმცირესობათა პრობლემა, ისინი ხშირად კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდებიან ცენტრალისტურ ენობრივ პოლიტიკასთან მიმართებაში. ეს მოხდა იტალიაში გაერთიანების შემდეგ, განსაკუთრებით კი ფაშიზმის დროს.

შემთხვევითი არ არის, რომ იტალიის გაერთიანების დროს შეიქმნა დიალექტების საწინააღმდეგო მოძრაობები. თავად მანძონიც არ იყო მათ მიმართ დადებითად განწყობილი. მართალია, უმცირესობათა ენების მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება მიუღებელია (დიდი ლინგვისტი გრაციადიო ისაია ასკოლი აღნიშნავდა, რომ ენა და დიალექტი შეიძლება მშვიდობიანადაც თანაცხოვრობდნენ), ის შეიძლება კარგი სურვილითაც იყოს გამოწვეული, მაგალითად, კულტურული ჰომოგენურობის მიღწევის სურვილით. შეცდომა დაშვებულია იმაში, თუ როგორ არის ეს სურვილი გამოხატული. ასკოლი აღნიშნავდა, რომ ენობრივი ერთიანობა არის ყოველთვის შედეგი და არა საშუალება. ეს ნიშნავს იმას, რომ ენობრივი ერთიანობა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერმა მოახერხა და მიაღწია ჰომოგენურობას ცოდნის, განსწავლულობის, აზრის დონეზე.

ენობრივი პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ინსტრუმენტი არის სკოლა. XVIII საუკუნემდე სკოლაში სწავლა ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ხალხურ ენას ოფიციალურად არ ასწავლიდნენ. XVI საუკუნეში მხოლოდ ტოსკანაში დააარსეს ტოსკანური ენის კათედრები. სხვაგან იტალიის ტერიტორიაზე ამგვარი რამ არ არსებობდა, თუმცა არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მასწავ-

ლებელი ხმარობდა ხალხურ ენას, რაც მეტ-ნაკლებად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. XVIII საუკუნის რეფორმის შედეგად ტოსკანაში ტოსკანური შევიდა სკოლებსა და უნივერსიტეტში, რომელსაც თავიდან ლათინურთან შედარებით ძალიან სუსტი პოზიცია ჰქონდა.

9. გამოცემები და ტიპოგრაფია

ბეჭდვა გერმანული გამოგონებაა და პირველი ნაბეჭდი წიგნი – გუტენბერგის ბიბლია – 1456 წელს დაიბეჭდა (დაბეჭდა იოჰან გუტენბერგმა მაინცში). მოკლე ხანში ტიპოგრაფიები სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, მათ შორის დიდი წარმატებით იტალიშიაც, სადაც პირველი ტიპოგრაფიები გერმანელები იყვნენ. ტიპოგრაფიული ხელოვნება მალე აითვისეს და განსაკუთრებული წარმატებით ის ქალაქებში დამკვიდრდა. ამ ქალაქებს შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ვენეცია. XV საუკუნეში ვენეცია გახდა ბეჭდვის ცენტრი და დიდი ხნის განმავლობაში ასეთად რჩებოდა. მხოლოდ ვენეციაში დაიბეჭდა იტალიური ინკუნაბულათა (XV საუკუნის წიგნები) ნახევარი. ამ უდიდეს ტექნოლოგიურ გამოგონებას ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. ერთ-ერთი მისი შედეგი იყო წიგნის ტირაჟის გაზრდა და მისი ჯერ არნახული გავრცელება. სტამბის გამოგონებამ პირდაპირი გავლენა მოახდინა ენის განვითარებაზე, გამოიწვია სამწერლო ენის უნიფიცირება. იტალიურმა ტიპოგრაფიამ XVI საუკუნეში ხელი შეუწყო ერთგვაროვანი ნორმის ჩამოყალიბებას, აღკვეთა XV საუკუნისათვის დამახასიათებელი კონინეს მერყეობა.

ტერმინი “ინკუნაბულა” აღნიშნავს XV საუკუნის წიგნს, ის მომდინარეობს ლათინურიდან “*incunabula*” - “არტახები” (მდრ. ლათ. *cuna* და იტალ. *culla* – “აკვანი”), რომელიც გულისხმობს “ახლადაბადებული” ტიპოგრაფიების მოღვაწეობის პირველ შედეგს – პირველ წიგნებს. ამ პირველ პერიოდში (პირველ საუკუნეში) ყველაზე ბევრი ლათინურ ენაზე შექმნილი ნაწარმოები იყო. გერმანიაში გამოცემული გუტენბერგის ბიბლიაც ლათინურ ენაზე იყო დასტამბული. ლათინურ ენაზე დაიბეჭდა 1465 წელს იტალიაში პირველი წიგნები. ეს გა-

ნახორციელა ორმა გერმანელმა ხელოსანმა – კონრად სვეინჰეიმმა (Conrad Sweynheim) და არნოლდ პანარტცმა (Arnold Pannartz), რომლებიც მოღვაწეობდნენ სუბიაკოში, რომთან ახლოს, ბენედიქტელების მონასტერში.

იტალიურ ხალხურ ენაზე შესრულებულ პირველ წიგნად ითვლებოდა “წმიდა ფრანჩესკოს ყვავილები” (Fioretti di San Francesco), რომელიც დაიბეჭდა რომში 1469 წელს, მაგრამ ამჟამად გასათვალისწინებელია ლოცვების წიგნის ფრაგმენტი, ე.წ. Parsons fragment, რომელიც ლონდონის აუქციონზე გაიყიდა 1998 წელს და რომელიც, შესაძლოა, 1462 წლით თარიღდებოდეს. თარიღი მაინც საკამათო და დასაზუსტებელი რჩება. ეს რომ დადასტურდეს, მაშინ, აღნიშნული პატარა წიგნი არ იქნება მხოლოდ პირველი იტალიური ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც შეიცავს ჩრდილოეთის დიალექტებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, არამედ ეს, ეჭვგარეშე, იქნება იტალიაში დაბეჭდილი პირველი წიგნიც. 1470 და 1472 წლებს შორის პირველად გამოიცა დანტეს “კომედია”, ბოკაჩოს “დეკამერონი”, პეტრარკას “კანცონიერა” – ხალხურ ენაზე შექმნილი ლიტერატურის უმაღლესი ნიმუშები. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ XV საუკუნეში ხალხურ ენაზე შესრულებული წიგნები ძალიან ცოტა იყო.

XVI საუკუნეში საგამომცემლო საქმემ მნიშვნელოვან ენობრივ ერთგვაროვნებას მიაღწია, რასაც ვერ ვიტყვით XV საუკუნეზე, როდესაც ნაწარმოების დაბეჭდვის გეოგრაფიულ ადგილს შეიძლებოდა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონოდა ენაზე, რადგანაც მასში (ენაში) “ადგილობრივი” ელემენტები ჩნდებოდა. XVI საუკუნეში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა ე.წ. “ტიპოგრაფიის კორექტორმა”, დასაბეჭდად განკუთვნილი ტექსტების გადახედვა უკვე ნამდვილ პროფესიად იქცა. ამიტომაც, ნელ-ნელა სწორდებოდა მართლწერა და პუნქტუაცია. მაგალითად, ისეთი გრაფიკული ნიშანი, როგორიცაა აპოსტროფი, პირველად ბემბომ (Pietro Bembo – 1470-1547) შემოიტანა 1501 წელს პეტრარკას “კანცონიერეს” დაბეჭდვის დროს.

XVI საუკუნეში წერა და პუნქტუაცია სულ უფრო და უფრო ერთგვაროვანი ხდებოდა.

10. თანამედროვე მასმედია

“მასმედია” მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან mass-media (ის შედგება ლათინური წარმოშობის სიტყვებისაგან, როგორცაა “massa” – “მასები” და მედია – ლათინური medium – მრავლობითის ფორმა, რაც ნიშნავს “საშუალებას”) წარმოადგენს მასებთან კომუნიკაციის საშუალებებს: გაზეთები, რადიო, კინო, ტელევიზია. ტერმინი XX საუკუნეში ჩამოყალიბდა.

XVIII საუკუნესა და, ძირითადად, XIX საუკუნეში წიგნის გვერდით განსაკუთრებული ფუნქცია გაზეთმა მოიპოვა. პერიოდული გამოცემებიც შეიძლება განკუთვნილი ყოფილიყო იმ განათლებული მკითხველისათვის, რომელიც წიგნს კითხულობდა: ცნობილი ჟურნალები – “კაფე” (Il Caffè - 1764-1766) და “იტალიური ბიბლიოთეკა” (Biblioteca Italiana - 1816-1840) სწორედ “გამოცდილი” მკითხველისათვის იყო ჩაფიქრებული. XIX საუკუნეში გავრცელდა უფრო ფართო მკითხველისათვის განკუთვნილი პერიოდიკა, რასაც ძალიან შეუწყო ხელი წერა-კითხვის გავრცელებამ და სკოლების ფუნქციის გაზრდამ. ენის სპეციალისტიკისათვის საინტერესოა ჟურნალ-გაზეთების ენობრივი ანალიზი, რომელიც განსხვავდება ლიტერატურული ენისაგან; მისი ამოცანაა ჟურნალისტური ლექსიკის შესწავლა, რომელიც ორი რამის გამო არის საინტერესო: ერთი მხრივ, ის წარმოადგენს “საშუალო” ენის მაგალითს, რომელიც ყველაზე ახლოს არის სასაუბრო ენასთან, რასაც ვერ ვიტყვით ლიტერატურულ ენაზე, მეორე მხრივ კი – ეს არის ძალიან ნოყიერი ნიადაგი ნეოლოგიზმებისათვის.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, გაზეთი არის თავისი დროის საუკეთესო მოწმე; პირველ ნეოლოგიზმებსა თუ ნასესხობებს სწორედ იქ ვხვდებით იმიტომ, რომ ჟურნალისტს აქტუალურ მოვლენებთან აქვს საქმე. მასმედიაში ხვდება ასევე რეგიონალური და ლოკალური ელემენტებიც, რომელთა გავრცელების ძალიან დიდი საშუალებაა ტელევიზია.

თანამედროვე იტალიელმა ენათმეცნიერმა – ტულიო დე მაურომ, ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა ჟურნალ-გაზეთების გარდა მასმედიის

სხვა საშუალებების – რადიოს, ტელევიზიის, კინოს უდიდესი ენობრივი გავლენა. რადიოს უკვე II მსოფლიო ომამდე დიდი ადგილი ეკავა მასების ინფორმირების საქმეში, რაც ძალიან კარგად გამოიყენა ფაშისტურმა იტალიამ. რაც შეეხება ტელევიზიას, ის გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდი იყო, რადგანაც მან ყველაზე ღარიბ ფენებამდე მიაღწია, იმ ფენებამდე, რომელთა წარმომადგენლებიც, ჩვეულებრივ, ვერ კითხულობდნენ ჟურნალ-გაზეთებს. ბევრისათვის ტელევიზია იტალიური ენის მოსმენის ერთადერთი საშუალება იყო, მას ყველაზე მიყრუებულ რეგიონებში მიჰქონდა ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე ამბების შესახებ.

11. სამწერლო და სალაპარაკო ენა

პირველი დიდი განსხვავება უნდა დადგინდეს სალაპარაკო და სამწერლო ენებს შორის. დღეს ტენდენციაა გამოიყოს ორი ურთიერთდაპირისპირებული პოლუსი - სპონტანური სასაუბრო ენა და უაღრესად ფორმალისტული სამწერლო ენა. ისე არ ვწერთ, როგორც ვსაუბრობთ, არც ისე ვლაპარაკობთ, როგორც ვწერთ, თუმცა არის სიტუაციები, როდესაც უფრო სწორი იქნებოდა ერთმანეთს დაუპირისპირდეს არა სამწერლო და სალაპარაკო ენები, არამედ “ფორმალური სასაუბრო” და “არაფორმალური სასაუბრო” ენები. ზეპირ მეტყველებაში ბევრი ისეთი ფაქტორი მონაწილეობს, რომელიც არ არის წარმოდგენილი წერის დროს: ჟესტები, გამომეტყველება, ხმის ტონი და სხვ., გარდა ამისა, საუბარში, რომელიც რეპლიკებით არის გაჯერებული, განუწყვეტლივ ხდება მოსაუბრეებს შორის აზრის გაცვლა-გამოცვლა, ხანდახან მათი ხმების ერთმანეთზე დადებაც. ერთის რეპლიკა გაუგებარი იქნება მეორის რეპლიკის გარეშე. სიტყვა და ქცევა ერთმანეთში ირევა. დაწერილი ტექსტი დროში ინახება, მეტყველებისაგან განსხვავებით ის ჩასწორების თუ გადასწორების საშუალებას იძლევა. მამასადამე, დაწერილი ტექსტი შინაარსობრივი კავშირების, ლექსიკისა და სინტაქსის მეტი კონტროლის საშუალებ-

ბას გვაძლევს. ენის ისტორიის სპეციალისტი, დიალექტოლოგისაგან განსხვავებით, წერილობით ტექსტებზე მუშაობს. ზეპირი ტექსტების ანალიზი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ხმის ჩამწერი აპარატურის გამოგონების შემდეგ, ე.ი. XX საუკუნეში. სალაპარაკო ენის ჩაწერა დღესდღეობითაც მეთოდის პრობლემას აყენებს, რაც მდგომარეობს არხისა და ინფორმატორების არჩევაში, ანუ არც ჩაწერილი ენის ანალიზი იძლევა დოკუმენტურად ადეკვატურ იდეალურ შედეგს, რამეთუ გასათვალისწინებელია საუბრის პრაგმატული მხარეც, რომელიც ხშირად თავად მოსაუბრეებს სრულიად სხვაგვარი აქვთ.

იტალიური ენის ისტორიის დადგენა მხოლოდ დოკუმენტების საშუალებით არის შესაძლებელი, რომელშიც ხანდახან გამოვლინდება მეტყველების რალაც ნიშნები. მართალია, სამწერლო ენასა და სამეტყველო ენას სხვადასხვა ფუნქცია აქვთ, მაგრამ ხანდახან ნაწერში გამოიხატება ზეპირი მეტყველება. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს თეატრალური ტექსტი, რომელიც, თუ რეალობით არის ნაკარნახევი, “მეტყველების სიმულაციად” შეიძლება ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, ის არ არის “ნამდვილი მეტყველება”, რადგანაც სინამდვილეში ის დაწერა მწერალმა მსახიობებისათვის, რომლებმაც ის უნდა შეასრულონ, შესაძლოა, ტექსტის დაწერიდან საუკუნეების შემდეგაც. თუმცა არიან თეატრალური პიესების ავტორები, რომლებიც თავიანთი ხელოვნებით სამეტყველო ენის ზოგიერთ მხარეს ძალიან კარგად გადმოსცემენ (მაგალითად, პირანდელო). სალაპარაკო ენა თხრობაშიც შეიძლება იყოს გადმოცემული, მაგალითად ნოველებში, როდესაც მთხრობელის ხმა ადგილს უთმობს დიალოგებს. დიალოგების მიზანი კი შეიძლება პერსონაჟების დახასიათება იყოს. რეპლიკებს შეიძლება მეტ-ნაკლებად დიალექტური, ხალხური ხასიათი ჰქონდეთ, თუმცაღა იტალიის შემთხვევაში ადგილი აქვს ბოკაჩოს მოდელის მიხედვით ნოველისტური ენის ტიპიზირებას, რომელიც ხალხური ტოსკანურისკენ უფრო იყო მიდრეკილი და არა ჩრდილოეთის ფორმებისაკენ. პიესების ენაც არ შეიძლება მივიღოთ როგორც მოცემული ეპოქის რეალური საუბრის საბუთი, თუმცა მასშიც ენის ისტორიის სპეციალისტმა შეიძლება საინტერესო მონაცემებს მიაკვლიოს.

12. იტალიური ენა

ენა ეკუთვნის ხალხს. ის არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაღალი კლასების კუთვნილებად, თუმცა მხოლოდ მათ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ლიტერატურულ დებატებში, ახლოს ყოფილ-იყვნენ ლიტერატურასთან და სცოდნოდათ გრამატიკოსების მიერ დადგენილი ნორმები. ენის ისტორია დამსახურებულ ადგილს უყოფს აგრეთვე დაბალ სოციალურ კლასებს. ისეთი დიდი ცვლილება, როგორცაა ლათინურიდან რომანულ ენებზე გადასვლა, სწორედ ხალხის დონეზე განხორციელდა და ხასიათდებოდა ხალხური ელემენტების წინ წამოწევით, რომელიც ნელ-ნელა ყველამ მიიღო.

იტალიური ენის ისტორიაში ხალხის როლი საკამათო აღმოჩნდა. ნორმატიული იტალიურის დამკვიდრება განხორციელდა XVI საუკუნის პირველ ნახევარში, ანუ ჰუმანიზმის იდეებით გაჯერებულ პერიოდში. პიეტრო ბემბო, რომლის იდეებმაც XVI საუკუნეში ხალხური ენის შესახებ გამართულ კამათში გამარჯვება მოიპოვა, იყო არისტოკრატიული ლიტერატურული იდეალის შემქმნელი და არ აღიარებდა სალაპარაკო ენის უფლებებს. მიაქციეთ ყურადღება, რომ როდესაც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე კამათში ლაპარაკი იყო “ხალხზე”, ყოველთვის მხედველობაში ჰყავდათ ტოსკანელი ხალხი, ვინც ბუნებრივად ფლობდა ლიტერატურულ ენასთან მიახლოებულ ენას. რაც შეეხება სხვა რეგიონების დიალექტებს, თითქმის არც ერთი არ გამხდარა გრამატიკოსების ინტერესის საგანი, ან მათდამი დამოკიდებულება სულაც უარყოფითი იყო. მას შემდეგ, რაც ერთხელ აღიარეს XIV საუკუნის დიდი მწერლების (დანტე, პეტრარკა, ბოკაჩო) ენისა და ხალხური ტოსკანურის მსგავსება, დადგა საკითხი – რომელი იქნებოდა პრიორიტეტული: არჩევანი უნდა გაკეთებულიყო სამწერლო ტრადიციასა და ცოცხალ ენას შორის. ამ თემაზე საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა კამათი.

ჩნდება კითხვა, როდის გაჩნდა ინტერესი ხალხისადმი თანამედროვე, “სოციალური” გაგებით? ლინგვისტებმა ხალხის არსებობა აღმოაჩინეს ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განვითარებისთანავე. იტალიურ ენასთან მიმართებაში ხალხისადმი ინტერესი გაჩნდა მას

შემდეგ, რაც დაიწყო იტალიის გაერთიანების შემდგომი პერიოდის შესწავლა. დააკვირდნენ, რომ გაერთიანების შემდგომი მოსახლეობა ხმარობდა “მოკრძალებულ იტალიურს”, რომელიც სავსე იყო დი-ალექტებითა და “შეცდომებით”. ამ ელემენტების დადგენა და დაბალი ფენების ენობრივ ქცევაზე დაკვირვება ომის შემდეგ ანტონიო გრამშის (Antonio Gramsci – 1891-1937) იდეებით დაიწყო. უკვე 1935 წელს ის ერთ-ერთ თავის რვეულში – “რვეულები ციხიდან” (Guaderni da carcere) - ერთ თავს ენობრივი ინოვაციების თემას უძღვნა.

მასსადამე, მეცნიერები დანტერესდნენ ხალხური იტალიურით, ისინი ტერმინს “ხალხური იტალიური” (italiano popolare) XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ხმარობდნენ, რათა აღენიშნათ განათლების უქონელი მასების ზედიალექტური და ერთგვაროვანი ენა, ან იტალიურის ის ნაირსახეობა, რომელიც არასწორად აითვისა რომელიმე დიალექტზე მოსაუბრე პირმა. თუმცა 70-80-იანი წლების კვლევები უპირატესად ეყრდნობოდა წერილობით დოკუმენტებს: წერილებს, ავტობიოგრაფიულ მოთხრობებსა და დღიურებს. ამიტომაც პალეოგრაფი ბარტოლი ლანჯელი (Bartoli Langeli - 1944) მივიდა დასკვნამდე, რომ “ხალხური იტალიური არის წერის და არა მეტყველების ფორმა”. თავიდან იკვლევდნენ XIX-XX საუკუნეების ხალხურ იტალიურ დოკუმენტებს, რომლებიც ქრონოლოგიურად უფრო ახლოს არის ჩვენთან. უკანასკნელ დროს კვლევის სფერო გაფართოვდა, გადალახა რა უფრო სქემატური შეხედულება, რომ იტალიის გაერთიანებამდე წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი დაბალი კლასის წარმომადგენლები მხოლოდ დიალექტს ხმარობდნენ და სერთოდ არ იცოდნენ იტალიური ენა. დოკუმენტების მთელი რიგი მოწმობს, რომ დიდ ქალაქებში დაბალი ფენების წარმომადგენლები წერა-კითხვის სრულიად უცოდინრები XIX საუკუნემდეც არ ყოფილან. არქივებში სულ უფრო ხშირად მოიძებნება XVI-XVII საუკუნეებს შორის დათარიღებული ტექსტები, რომლებიც შესრულებულია “ხალხურ იტალიურზე”; საქმე ეხება ხალხის მიერ შექმნილ დოკუმენტებს (წერილები, დღიურები და ა.შ.), რომლებიც მოწმობენ, რომ მათმა ავტორებმა იცოდნენ კალმის ხმარება ძალიან პრაქტიკული მიზნებისათვის და ხმარობდნენ დიალექტებისაგან განსხვავებულ,

თუმცა დიალექტიზმებით გაჯერებულ არასწორ იტალიურს.

დიალექტი ძალიან საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს; შესაძლებელია მისი შედარება ენასთან, რადგანაც იტალიური ენის დიალექტების ისტორია ძალიან მჭიდრო კავშირშია იტალიური ენის ისტორიასთან. იტალიური ენის ისტორიაში ფაქტიურად ადგილი ჰქონდა ორგვარ პროცესს: დიალექტები ნელ-ნელა მიუახლოვდნენ (დაემსგავსნენ) ენას და ენამ შეიძინა დიალექტებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

თავი პირველი

იტალიური ენის წარმოშობა და პირველი დოკუმენტები იტალიურ ენაზე

1. ლათინურიდან იტალიურამდე

იტალიური, სხვა რომანული ენების მსგავსად (პორტუგალიური, ესპანური, კატალანური, ფრანგული, რუმინული, ოქსიტანური ანუ პროვანსული) ლათინურიდან მომდინარეობს, მაგრამ არა სამწერლო კლასიკური ლათინურიდან, არამედ ე.წ. “ლათინური ხალხური ენა-დან” (*latino volgare*). იტალიური სიტყვების ძალიან დიდი რაოდენობა ლათინური წარმოშობისაა და, შესაბამისად, არსებობს მათი პარალელური ფორმები სხვა რომანულ ენებში.

ხალხური ენის კონცეფცია საკამათოც გამოდგა და ცოტა გაუგებარიც, თუმც ამ გაუგებრობაზე მნიშვნელოვან აქცენტს არ აკეთებენ, რადგანაც შეთანხმდნენ, თუ რას აღნიშნავენ ამ ტრადიციული სახელწოდებით. ის, ჩვეულებრივ, იხმარება იმისათვის, რომ ხაზი გაესვას ლათინურში არსებულ სხვადასხვა ენობრივ დონეს. უკვე კლასიკური წყაროები განასხვავებენ, ერთი მხრივ ლიტერატურულ ლათინურსა და მეორე მხრივ *sermo plebeius*, *sermo militaris*, *sermo rusticus*, *sermo provincialis* – პლებეების, სამხედროების, სოფლელების, პროვინციელების ენებს (მეტყველებას). ეს სოციოლინგვისტური ხასიათის დიფერენციაციაა. ამავე დროს, ლათინური ხალხური ენის კონცეფცია ითვალისწინებს დიაქრონიულ განვითარებასაც, რომელიც გულისხმობს გვიანდელ ლათინურში რომანული ენების საწყისი ენობრივი ფორმების არსებობას. ამგვარად გამოდის, რომ ტერმინში “ხალხური ენა” (*volgare*) არეულია ორი არაჰომოგენური ბუნების კომპონენტი: ერთი არის სინქრონული – სოციოლინგვისტური, ხოლო მეორე – დიაქრონიული. მართლაც, ლათინური, როგორც ყველა ცოცხალი ენა, შეიცვალა დროის დინებასთან ერთად. იმპერიის ტერიტორიებმა, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში აღმოჩნდნენ დაპყრობილნი, გარკვეულწილად, ერთმანეთისაგან განსხვავებული ლათინური მიიღეს ან მათთან ვერ მიაღწია იმ ენობრივმა სიახლეებმა, რომლებიც ქრონოლოგიურად მოგვიანებით დაფიქსირდა ლათინურში.

ამგვარად, ლათინური არ ხასიათდებოდა აბსოლუტური ენობრივი ერთგვაროვნებით. შეიძლება a priori მივიღოთ, რომ არ არსებობს ენა, რომელიც ასეთ დიდ ტერიტორიაზე იყოს გავრცელებული და მას, სოციოლინგვისტური განსხვავებების გარდა, არ ახასიათებდეს გარკვეული, გეოგრაფიულად განპირობებული განსხვავებანი.

ყველაფერი ზემოთქმული გვიქმნის წარმოდგენას სასაუბრო ლათინურზე, რომელიც განსხვავდებოდა ლიტერატურული ენისაგან, ამავე დროს ის განიცდიდა გავლენას სასაზღვრო რეგიონებში; ამას უნდა დამატოს აგრეთვე სოციალური განსხვავებანი, რომელიც უეჭველად იყო წარმოდგენილი ლათინურშიც; სოციოლინგვისტიკის თანახმად, განათლებული ფენები ყოველთვის განსხვავებულად მეტყველებენ მათგან, ვისაც განათლება არ მიუღია.

ლათინური ხალხური ენის ელემენტების აღდგენა შესაძლებელია ნეოლათინური ენების შედარებით. როდესაც ხდება მოცემული სიტყვის ლათინური ხალხური ენის ეტიმონზე დაყვანა, ხშირად ის ისეთ ლექსიკურ ფორმას წარმოადგენს, რომელიც არ არის დადასტურებული სამწერლო ლათინურში. ასეთი ფორმა პირობითად ვარსკვლავით აღინიშნება: მაგალითად, იტალიური PUZZO მომდინარეობს სალაპარაკო ლათინურიდან *PŪTIU(M) - ფორმიდან PUTĒRE. PUTĒRE დადასტურებულია სამწერლო ლათინურში, *PUTIU(M) კი შეიძლება მხოლოდ თანამედროვე ფორმის საფუძველზე ვივარაუდოთ (ლათინური თანხმოვნები -t, -s, -m ფინალურ პოზიციაში იტალიურში გადასვლის შემდეგ სუსტდებიან და ქრებიან, ამიტომაც ლათინურ სიტყვებში ვხმარობთ აკუსატიური ბრუნვის -M -ს ფრჩხილებში, რათა აღვნიშნოთ ამ თანხმოვნის დაკარგვა მისი ხალხურ ენაში გადასვლის შემდეგ).

ლათინურ ხალხურ ენაში ბევრი სიტყვა იყო ისეთი, რომელიც სამწერლო ლათინურშიც გამოიყენებოდა, სხვები კი სალაპარაკო ლათინურის სიახლეს წარმოადგენდა და არ დასტურდება სამწერლო ლათინურში (როგორც PUTIUM). სხვა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ლიტერატურული ლათინური სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას: ლათინურ ხალხურ ენაში მან განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა. მაგალითად TESTA(M), რომელიც თავიდან ტერაკოტას ვაზას აღნიშ-

ნავდა, თანდათან ჩაანაცვლა CAPUT: როგორც ჩანს, TESTA(M) –ს თავიდან ირონიული მნიშვნელობა ჰქონდა და ხუმრობით აღნიშნავდა CAPUT-ს, ისევე, როგორც ჩვენ ახლა შეგვიძლია ვთქვათ: zucca, coccia, crapa – “თავის” მნიშვნელობით. შემდგომში ეს ირონიული ელფერი გაქრა და ამ ტერმინმა ახალი მნიშვნელობა მიიღო, თუმცა capo-ც შემორჩა იტალიურში. ასეთი ცვლილება მნიშვნელობაში საკმაოდ ხშირია, მაგალითად, იტალიური fuoco, რომელიც მომდინარეობს ლათინურიდან FOCUS, და აღნიშნავდა არა ნებისმიერ ცეცხლს (ლათინური IGNIS), არამედ ოჯახის კერას. თავად სიტყვა casa მომდინარეობს სიტყვიდან, რომელიც ლათინურში მიუთითებდა “ქოხს”, “სოფლის სახლს”, მაშინ, როდესაც კლასიკური მნიშვნელობით არსებობდა სხვა სიტყვა: DOMUS, რომელიც დღესაც არსებობს, მაგრამ მნიშვნელობით “duomo” (“ტაძარი”) - ანუ დიდი საკულტო რელიგიური ნაგებობა.

ლათინური ხალხური ენის აღდგენის სხვა საშუალება არის ტექსტების მთელი რიგი, რომელთაც შეუძლიათ საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდონ, რათა ჩვენ შევძლოთ ხალხურ დონეზე სალაპარაკო ლათინურის ან გვიანდელი ლათინურის ზოგიერთი მახასიათებლის დადგენა. ამას გარდა, ზოგი კლასიკოსი მწერალი ხანდახან ნაკლებად ფორმალურ ენაზე წერდა, ასევე არ იცავდნენ კლასიკური ლათინურის წესებს ისეთ წიგნებში, რომლებიც პრაქტიკული ხასიათისა იყო, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ვეტერინარული, გასტრონომიური ხასიათის ტრაქტატები. სალაპარაკო ენის ელემენტებს შეიცავენ ასევე თეატრისათვის დაწერილი ლათინური ტექსტებიც. საინტერესოა პეტრონიუსის (I ს. ჩვ.წ.აღ.ით) “სატირიკონი”. ამ ავტორთან ერთდროულად ვხვდებით ისეთ ფორმებს, როგორიცაა: pulcher, formosus და bellus. პირველი ზედსართავი გაქრა თანამედროვე რომანულ ენებში, ხოლო დანარჩენი ორიდან მომდინარეობს ფორმები: ესპანურში - bermoso, იტალიურში – bello, ფრანგულში – beau. გარდა ამისა, ფორმას bellus ვხვდებით ჩვ.წ.აღ.მდე I საუკუნის პოეტ კატულთან, ეს კი იმას მიუთითებს, რომ ლიტერატურული pulcher -ის გვერდით არსებობდა სასაუბრო ვარიანტი.

ძალიან საინტერესო მასალას წარმოადგენს უბრალო ხალხის

მიერ შესრულებული წარწერები, მაგალითად ის წარწერები, რომლებიც აღმოჩნდა პომპეიში სახლების კედლებზე, გრაფიტები და სხვ.

ლათინურ ხალხურ ენაზე შესრულებულ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე.წ. “პრობუსის დანართს” (Appendix probi). ეს არის 227 სიტყვის ჩამონათვალი იმ ფორმით, რომელიც იმდროინდელი მასწავლებლის აზრით, არ პასუხობს “კარგი ნორმის” (buona norma) მოთხოვნებს. ამჟამად ხელნაწერი, რომლის შემაღვენლობაშიც ის აღმოაჩინეს, ინახება ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ამ ხელნაწერში ის მოთავსებულია პრობუსის სახელით ცნობილი გრამატიკოსის Instituta artium-ის შემდეგ, რამაც განაპირობა ამ დოკუმენტის სახელწოდება. სიტყვების სიას უფრო ძველ პერიოდს აკუთვნებენ, ვიდრე თავად ხელნაწერს. მისი დათარიღების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: იქ მითითებულია III-IV საუკუნეები, მაგრამ დღევანდელი მეცნიერები მას უკვე V-VI საუკუნეებით ათარიღებენ.

იმ ეპოქის მასწავლებელმა შეაგროვა არასწორი ფორმები, რომელსაც მისი მოწაფეები ხმარობდნენ და ისინი “გაასწორა” – გვერდით მიუწერა სწორი, მართებული ფორმები კომენტარით “A არა B”, როგორც ეს ქვემოთ მოტანილ მაგალითებში ჩანს:

speculum non speculum (შდრ. იტალ.: specchio, -CL- გადადის -kki-ში)

vetulus non veclus (შდრ. იტალ.: vecchio)

columna non colomna (შდრ. იტალ.: colonna, -MN- გადადის -nn-ში)

auris non oricla (შდრ. იტალ.: orecchia)

oculus non oclus (შდრ. იტალ.: occhio)

viridis non virdis (შდრ. იტალ.: verde)

Appendix probi-ში დადასტურებული (და შეცდომად ჩათვლილი) ფორმა ყოველთვის არ იყო ის ფორმა, რომელმაც სათავე დაუდო რომანულ ენებში მიღებულ სიტყვებს. (მაგალითად, არსებობდა ასეთი შესწორებებიც: “cultellum non cuntellum”, “masculus non mascel”, “draco non dracco”, “sirena non serena”). Appendix probi

დაგვაფიქრებს ლათინურ ხალხურ ენაში იმ ტენდენციების არსებობის შესახებ, რომლებიც კლასიკური ნორმისაგან განსხვავდებოდა და მასწავლებლის მიერ შეცდომად ითვლებოდა. “შეცდომა”, მამასა-დამე, წარმოადგენს გადახვევას ნორმისაგან, თავად ამ შეცდომაში კი უმნიშვნელოვანესი ინოვაციური ტენდენციები ვლინდება. როდესაც შეცდომა საყოველთაო ხასიათს იღებს, ის თავად იქცევა ნორმად ყველა მოლაპარაკისათვის; რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში გამოჩნდება, რომელ “შეცდომას” ჰქონდა წარმატების შესაძლებლობა და რომელი, უბრალოდ, მეორეხარისხოვან ტენდენციას გამოხატავდა, ადვილად მიეცემოდა დავიწყებას, არ იქცეოდა სისტემად.

ამგვარად, ვნახეთ, როგორ ჩნდებოდა ლათინურ ხალხურ ენაში ახალი, შინაგანი ტენდენციები, რომლებიც განასხვავებდნენ მას ლიტერატურული ენისაგან.

მეცნიერები ხშირად მიმართავენ ე.წ. “სუბსტრატის” ფენომენს: ლათინური თავს მოახვეის ადგილობრივ ენებს, რომელთაც, თავიანთი მხრივ, მასზე მოახდინეს გავლენა. მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ ეტრუსკული ენა (რომელიც ისე გაქრა, რომ კვალი არ დაუტოვებია), ოსკურ-უმბრული ენა და სხვ.. ზოგიერთი ენობრივი ფენომენი აიხსნებოდა სწორედ სუბსტრატის გავლენით, ანუ იმ ზემოქმედებით, რომელიც ჰქონდა დამარცხებულთა ენას გამარჯვებულების ენაზე. მაგალითად, ოსკურ-უმბრულის გავლენით აიხსნა ასიმილაცია -nd>-nn და -mb>-mm ცენტრალურ და სამხრეთ დიალექტებში (მაგალითად იქ ვხვდებით: quando – ს გადასვლას ფორმაში quan-no).

სუბსტრატის გარდა, იტალიური ენის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით დიდხანს კამათობდნენ “სუპერსტრატის” როლის შესახებ. ეს ტერმინი აღნიშნავს იმ ენების გავლენას, რომლებიც “დაედგნენ” ლათინურს, როგორც, მაგალითად, ეს მოხდა ბარბაროსების შემოსევის დროს. სუბსტრატისა და სუპერსტრატის განმარტებებს შეიძლება დავამატოთ ადსტრატის განმარტებაც, რაც გულისხმობს მოსაზღვრე ენის ზეგავლენას. დღეს, წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით, არსებობს ტენდენცია, რომ ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭონ დამპყრობელთა გერმანიკული ენების სუპერსტრატის ზემოქმედებას ლათინურ

ენაზე. მართლაც, იტალიურში ამ ენებიდან შემოსული ლექსიკის რაოდენობა არ არის დიდი, თუმცა გერმანიკული წარმოშობის მქონე სხვადასხვა სიტყვის დადგენა მაინც შესაძლებელია. მივმართოთ ისტორიულ ფაქტს: გოთები, უფრო კონკრეტულად ოსტგოთები, იტალიაში 489 წელს შემოვიდნენ, მათ თეოდორიხი ხელმძღვანელობდა, ეს შემოსევა ბიზანტიელების მხარდაჭერით განხორციელდა, რომელთაც ოდოაკრის განადგურება სურდათ, რადგანაც ამ უკანასკნელმა რომის იმპერიის ბოლო იმპერატორი რომულუს ავგუსტუსი ჩამოაგდო (476 წ. დაეცა დასავლეთ რომის იმპერია). გოთების მეფობა დამთავრდა 535-553 წწ.ში, როდესაც ოსტგოთები განადგურდნენ ავგუსტინიანეს ჯარებთან ბრძოლაში. ამის შესახებ ცნობილი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი მოგვითხრობს. როგორც ვხედავთ, გოთების ბატონობა იტალიაში შედარებით ცოტა ხანს გრძელდებოდა, ამიტომაც მათ ენას დიდი გავლენა არ მოუხდენია იტალიურზე. თავად გოთურ ენას კი ვიცნობთ ეპისკოპოს ულფილას (Ulfila) მიერ IV საუკუნეში ნათარგმნი ბიბლიიდან. გოთური ტერმინებიდან იტალიურში დაახლოებით 70 სიტყვა დამკვიდრდა, რომელთა შორის აღსანიშნავია: astio, bega, melma, nastro, scherano, stecca, strappare.

რაც შეეხება 568 წლის ლანგობარდების შემოსევას, იგი გაცილებით სასტიკი იყო და მიზნად ქვეყნის განადგურება ჰქონდა. მათი ბატონობა უფრო დიდხანს გაგრძელდა, კერძოდ, ფრანკების მოსვლამდე, ანუ VIII საუკუნემდე. მათ დიდი კვალი დატოვეს იტალიაში, საკმარისია გავიხსენოთ, რომ იტალიის ერთ-ერთ რეგიონს ლომბარდია ჰქვია. “ლომბარდია” – ბიზანტიური წარმოშობის სიტყვაა, იგი მომდინარეობს თვით ლანგობარდების (ლათ.: Langobardi) სახელიდან, რომელიც თავდაპირველად იმ ტერიტორიას ნიშნავდა, რომელსაც ლანგობარდები ფლობდნენ. იტალიურში დაახლოებით 200 ლანგობარდული სიტყვა დამკვიდრდა. ლანგობარდულს განეკუთვნება -ingo, - engo –ს, აგრეთვე Gualdo (“ტყე”) და Fara-ს (“დასახლება სამხედრო ან სამეურნეო მიზნით”) შემცველი ტოპონიმები. ლანგობარდული წარმოშობისაა: guancia, panca, grinfia, nocca, stamberga (*stain - “ქვა”, *berga – ”საცხოვრებელი”) palla, zappata, staffa, gruccia, truogolo, spalto და სხვ., აგრეთვე გვხვდება იურიდიული და ტექნი-

კური ხასიათი სიტყვები: *aldio* – “ნახევრად თავისუფალი”, *arimanno* – “თავისუფალი კაცი” და სხვ.. ლანგობარდულიდან დამკვიდრდა ზმნებიც: *araffare* (“ხელიდან გამოგლეჯა”), *ghermire* (“ჩაფრენა”, “ჩაბლაუჭება”), *schernire* (“დაცინვა”, “მასხრად აგდება”), *spaccare* (“გახლეჩა”), *russare* (“ხვრინვა”), *scherzare* (“ხუმრობა), *tuffare* (წყალში გადახტომა) და სხვ.

ფრანკების დამკვიდრებას იტალიაში გოთებისაგან და ლანგობარდებისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათი ჰქონდა (ისინი პირველად 755 წელს შეიჭრნენ იტალიაში, მაგრამ მხოლოდ 772 წლიდან - კარლოს დიდის დროს დამკვიდრდნენ). მათ მიერ განხორციელებული დამპყრობლური ომების შემდეგ იტალიაში ფრანკების ელიტა გადმოვიდა, რომელიც სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურის სათავეში აღმოჩნდა. ესენი, როგორც ვთქვით, ძირითადად ფრანკები იყვნენ, მაგრამ მათ შორის ბურგუნდიელები, ბავარიელები და ალემანებიც ერია. იტალიურში დამკვიდრებული ფრანკული წარმოშობის მქონე სიტყვები ცოტა რთული დასადგენია, რადგან, შესაძლებელია, საქმე გვქონდეს ნასესხობებთან ფრანგული ენიდან, რომელიც სხვა საუკუნეში განხორციელდა. ფრანკიზმებად მიიჩნევა: *bosco*, *guanto*, *dardo*, *gonfalone*, *usbergo*, *biondo*. XI-XII საუკუნეებში იტალიაში პროვანსული და ფრანგული ლიტერატურა იმდენად გავრცელდა, რომ XIII საუკუნეში ჩრდილოეთ იტალიაში იყვნენ ტრუბადურები, რომლებიც ლინგვა დ'ოკზე წერდნენ ლექსებს, ხოლო ბრუნეტო ლატინის (*Brunetto Latini* - 1220-1294) “განძი” (*Tresor*) და მარკო პოლოს “მილიონი” ფრანგულად დაიწერა.

კაროლინგების (ფრანკთა იმპერიის საიმპერატორო დინასტია) პერიოდს თუ დავუბრუნდებით, სწორედ მაშინ დამკვიდრდა პოლიტიკური თუ სოციალური ცხოვრების სფეროს აღმნიშვნელი შემდეგი სიტყვები: *conte*, *dama*, *marca*, *conestabile*, *cameriere*, *balia* – “*potesta*”, *barone*, *lignaggio*, *varvassore* (*barbassore*), *vassallo*.

2. როლის იზალება ენა

ენის წარმოქმნა ძალიან ხანგრძლივი და რთული პროცესია. ლათინურის გადასვლა რომანულ ენებში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. ლათინური დიდი ხნის განმავლობაში განაგრძობდა კულტურისა და მწერლობის სფეროში დომინანტური მდგომარეობის შენარჩუნებას. დროთა განმავლობაში შეიცვალა თავად ლათინურიც. საუბარია “შუა საუკუნეების ლათინურზე” (latino medievale), როგორც გარკვეულ თვითმყოფად მოცემულობაზე, რომელიც განსხვავდებოდა “კლასიკური ლათინურისაგან” (latino classico) და, ბუნებრივია, “ხალხური ლათინურისგანაც” (latino volgare). მასასადამე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხალხური ენა, შეიქმნა რა ხალხური ლათინური ენის ტრანსფორმაციის შედეგად, არსებობდა ხმარებაში, მოსაუბრეთა მეტყველებაში, მაგრამ ის არ გამოიყენებოდა წერით ენაში. ამ ფაზაში, რომელიც მთლიანად იყო “ზეპირი”, არ შექმნილა არავითარი დოკუმენტი. თუმცა შუა საუკუნეების ლათინურში უკვე იპარებოდა ხალხური ენის ნიშნები. იმისათვის, რომ ახალ რომანულ სამეტყველო ენებს “ღირსება შეეძინათ”, აუცილებელი იყო, დადასტურებულიყო მათი წერილობითი ფორმა და ამ მოვლენას სისტემატური ხასიათი შეეძინა. სალაპარაკო ენისათვის წერილობითი ფორმის მიცემა ძალიან რთული პროცესია და ეს ღრმა კულტურული მიზეზებით არის განპირობებული. ამგვარი საკითხით თუ ჩვენ იტალიურ ხალხური ენებთან მიმართებაში დავინტერესდებით, მაშინ XIII საუკუნეზე უნდა შევჩერდეთ, რადგან მხოლოდ მაშინ აირჩია მწერალთა ზოგიერთმა სკოლამ ახალი ენა სამწერლოდ და ამას უკვე სისტემატური ხასიათი მიეცა. ნაკლები მნიშვნელობის მქონეა მასალა, რომელიც ადასტურებს ხალხური ენის შემთხვევით ხმარებას უფრო ადრინდელ ეპოქაშიც. ეს არის პრაქტიკული ხასიათის თუ ნოტარიალური დოკუმენტები, კედლის გრაფიტები, ანგარიში, ნაკლებად მნიშვნელოვანი პოეზია. მაგრამ ხალხური ენის დამადასტურებელი უძველესი დოკუმენტების საერთო ნიშანი არის შემთხვევითობა, შემთხვევითობა როგორც მათ შექმნაში, ისე მათ აღმოჩენაშიც.

სირთულე, რომელიც თავს იჩენს ძველ იტალიურ დოკუმენტებთან დაკავშირებით, არის მათი დამწერის განზრახვა, მისი “ენობრივი თვითშეგნება”. რა სურდა დოკუმენტის ავტორს, მისი იტალიურად დაწერა თუ ლათინურად? რომელი ენა აირჩია ბოლოს? თუ ამ თვალსაზრისით ფრანგული ენის პირველ დოკუმენტს: “სტრასბურგის ფიცები” (Serments de Strasbourg) განვიხილავთ, რომელიც 842 წელს განეკუთვნება, ვნახავთ, რომ ამ შემთხვევაში ეჭვგარეშეა ავტორის განზრახვა, გამოიყენოს ხალხური ენა. ისტორიკოს ნიტარდის (Nithard – 790-844) ნაშრომში “ლუდვიკ ღვთისმოსავის შვილების ისტორია” (Storia dei figli di Ludovico il Pio), რომელიც დაწერილია ლათინურად, ვკითხულობთ, რომ 842 წლის 14 თებერვალს, ლუდვიგ გერმანელმა და შარლ მელოტმა (კარლოს დიდის შვილიშვილებმა) თავიანთი ჯარების წინაშე ფიცი დადეს, რომ შექმნიდნენ ალენსს თავიანთი ძმის - ლოტარის წინააღმდეგ. ლუდვიგ გერმანელი განაგებდა გერმანულენოვან ტერიტორიებს, შარლ მელოტი კი – გალურ-რომანულს. მათ ერთმანეთის ენაზე მიიღეს ფიცი, შარლმა – ძველ გერმანულზე და ლუდვიგმა – ფრანგულად, იმისათვის, რომ მეომრებს გაეგოთ მათი შინაარსი. ლუდვიგის ფიცი არის ყველაზე ძველი ფრანგულენოვანი დოკუმენტი. ისტორიკოსმა ნიტარდიმ შემოგვინახა მისი ტექსტი. ამ შემთხვევაშიც ხალხური ენის გამოყენების გადაწყვეტილება აბსოლუტურად ნათელია, რადგანაც ის ეხებოდა ისეთ სახალხო და ოფიციალურ მოვლენას, როგორცაა ორ მეფეს შორის პაქტი კავშირის შესახებ. თუ ამ დოკუმენტებს იტალიური ენის პირველ დოკუმენტებს შევადარებთ, აღმოვაჩინთ მსგავსებასა და განსხვავებას: მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ იტალიური ენის “დაბადების აქტი” – “კაპუანური განჩინება” – არის ფიცთან დაკავშირებული ფორმულა. მნიშვნელოვანი განსხვავება კი იმაშია, რომ იტალიური დოკუმენტი (ერთი საუკუნით გვიანდელი) არ არის დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტთან, არამედ ის არის ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე იურიდიული დავა. მაშასადამე, პირველი იტალიური დოკუმენტი “ნაკლები” წონის მქონეა პირველ ფრანგულ დოკუმენტთან შედარებით. ახლა კი დავუბრუნდეთ ავტორის “განზრახვის” პრობლემას. ამ საკითხის გადაწყვეტაში “ვე-

რონული გამოცანის” (IndovinelloVeronese) განხილვა დაგვეხმარება. ეს არის მინაწერი პერგამენტის ფურცელზე, რომელიც შესრულებულია ესპანეთში და ბევრი თავგადასავლების შემდეგ მოხვედრილია ვერონაში (ახლაც იქ ინახება). ფურცლის ზედა ნაწილში ხელით მიწერილია ორი შენიშვნა, რომელიც თარიღდება VIII საუკუნით ან IX საუკუნის დასაწყისით. ამ ორი მინაწერიდან მეორე გამართული ლათინურით არის შესრულებული:

+ gratias tibi agimus omnip(oten)s sempiternae d(eu)s

პირველი კი განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი:

+ se pareba boves alba pratalia araba & albo versorio teneba
& negro semen seminaba.

(თარგმანი იტალიურ ენაზე:

Teneva davanti a sé i buoi, arava i bianchi prati,
ed un bianco aratro teneva ed un nero seme seminava)

ეს ფაქტი 1924 წელს გახმაურდა და მაშინვე დაიწყო ფიქრი მისი მნიშვნელობის შესახებ. ზოგმა მასში მენახირის ძველი კანტილენას ნაწილი დაინახა, მოგვიანებით კი ფილოლოგმა და ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტმა – ვინჩენცო დე ბართოლომეისმა (Vincenzo De Bartholomaeis), თავისი I კურსის სტუდენტის დახმარებით, მოულოდნელად გადაჭრა ეს ამოცანა. სტუდენტს გაახსენდა ძალიან გავრცელებული ხალხური გამოცანა, რომელსაც მაშინ “Ritmo di Verona”-ს ეძახდნენ და მასწავლებელს ენიგმის ამოხსნაც უკარნახა: “Ritmo” სინამდვილეში აღმოჩნდა გამოცანა, რომელიც წერის აქტს გულისხმობდა. ამის შემდეგ კიდევ ბევრი კითხვა რჩებოდა პასუხგაუცემელი. იმის გამო, რომ ყოველი სიტყვის მნიშვნელობა არ იყო გასაგები, ძნელი იყო საერთო მნიშვნელობაზე შეთანხმებაც; მაგალითად, გაურკვეველი იყო რას ნიშნავდა se pareba, რომელიც სხვადასხვანაირად ახსნეს, პირველყოვლისა როგორც “spingeva innanzi” (“წინ უბიძგებდა”), მეორე როგორც “somiigliava” (“ჰგავდა”), “appariva” (“ჩანდა”) და ასევე გადაბმულად წაკითხვის შემთხვევა-

ში: *separeba* – როგორც “*appaiava*”. რაც შეეხება სუბიექტს, ზმნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, წამოაყენეს შემდეგი შესაძლო სუბიექტები: *lo scrittore* (“მწერალი”), *la mano* (“ხელი”), *le dita* (“თითები”) და *la penna* (“კალამი”). მათ შორის ყველაზე რეალური არის “მწერალი”, რომელიც შედარებული იქნება იმასთან, ვინც თოხნის, წინ მიუძღვება ხარებს, თოხნის თეთრ მინდვრებს (ფურცელს), უკავია თეთრი გუთანნი (ბატის ფრთა) და თესავს შავ თესლს (მელანს). აღსანიშნავია, რომ *versùr* – მნიშვნელობით “გუთანნი” დამახასიათებელია ჩრდილოეთის ბევრი დიალექტისათვის; მაგრამ, შესაძლებელია, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა სხვა იყოს: უნდა მივიჩნიოთ თუ არა ეს ტექსტი იტალიური ხალხური ენის ერთ-ერთ ყველაზე ძველ დოკუმენტად, ანუ ლაპარაკია იმის დადგენაზე, თუ რა სურდა ამ გამოცანის ავტორს, როგორია მისი “ენობრივი თვითშეგნება”. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს გამოცანა წარმოდგენილია კარგი ლათინურით დაწერილი მინაწერის გვერდით. არც ის არის დადასტურებული, რომ ეს ორივე მინაწერი ერთი ხელით არის შესრულებული; უფრო მეტიც, ზოგიერთი ავტორიტეტული მკვლევარი ამას გამორიცხავს კიდევ. მინაწერი სხვადასხვაგვარად შეფასდა: როგორც იტალიური ხალხური ენა, როგორც “ნახევრადხალხური ენა” და როგორც “ნამდვილი ლათინური”, თუმცა შეცდომებით. შესაძლოა, ეს საკითხები საერთოდ ვერ გადაწყდეს, ამიტომაც ძნელია ამ წინააღმდეგობებით აღსავსე დოკუმენტს “იტალიური ენის პირველი დოკუმენტის” სტატუსი მიენიჭოს.

3. ბრაზიტი და ზრმსკა

იტალიურ ხალხურ ენაზე შესრულებული დამწერლობის ყველაზე ძველი ნიმუშები ძირითადად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ნოტარიალური დოკუმენტები ან პროცესუალური პროტოკოლები, ანუ საარქივო დოკუმენტები. საინტერესო და განსხვავებულია კომოდილაში, რომაულ კატაკომბაში არსებული წარწერა: ეს არის კედელზე გაკეთებული ანონიმური გრაფიტები. ამგვარი გზავნილები შთაბოძ-

ვლობისათვის ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს, რაც დადასტურდა, მაგალითად, პომპეის ლათინური წარწერების აღმოჩენისას: ისინი შესრულებულია ვეზუვის ამოფრქვევამდე, ახ. წ. აღ. 79 წელს და გარდა იმისა, რომ იძლევიან ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას იმდროინდელი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, მკვლევრებს ლინგვისტური ანალიზის საშუალებასაც აძლევენ. კომოდილას კატაკომბის ამ წარწერისადმი დიდი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ საქმე ეხება უძველეს მოწმობას (იმ პერიოდისას, რომელსაც განეკუთვნება “სტრასბურგის ფიცები”), რომელიც, ერთი შეხედვით, ლათინური ჩანს, მაგრამ ერთ პუნქტში მაინც, როგორც ამაში დავრწმუნდებით, ამჟღავნებს თავის რეალურ რაობას: ის წარმოადგენს სალაპარაკო ენის ჩანაწერს. ამ ტიპის დოკუმენტის გამოკვლევა (რომელიც განახორციელა ფ.საბატინიმ) ძალიან რთული აღმოჩნდა. გრაფიტი არ არის დათარიღებული, მაგრამ შესაძლებელია ის ეკუთვნოდეს პერიოდს VI-VII საუკუნეებიდან IX საუკუნის პირველ ნახევრამდე. თავად ფრესკა VI-VII საუკუნეებისაა და გამოხატავს მადონას ყრმით, რომლის ორივე მხარეს ორი წმიდანია გამოსახული: წმ. ფელიჩე და წმ. ადაუტო; წმ. ადაუტოს წინ დგას შავებში გამოწყობილი ქვრივი ტურტურა. ფრესკის მარცხენა კუთხეში (სადაც წმ ადაუტოა გამოსახული), კიდევ, ხელით მიწერილია შემდეგი: “Non dicere ille secreta a bboce”, (“non dire (que)i segreti a voce alta”- “არ თქვა ის საიდუმლო ხმამაღლა”; “i segreti” – უნდა ნიშნავდეს მესის საიდუმლო ლოცვებს - “orazioni segrete”). ვის უნდა ეკუთვნოდეს ეს წარწერა? აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ დროის რეფორმის შესაბამისად, რიტუალის ყველაზე საიდუმლო ადგილები უნდა შეესრულებინათ ხმადაბლა ან მხოლოდ გონებაში. შესაძლებელია, საქმე ეხება მითითებას, რომელსაც ერთი მღვდელი აძლევდა მეორეს, რანგით დაბალ სასულიერო პირს, რომელმაც არ იცოდა ლათინური. ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა ის, თუ როგორ არის დაწერილი სიტყვა “a bboce” (“ხმამაღლა”), მეორე ასო b, რომელიც არის უფრო პატარა, დარჩენილ ადგილში ბოლოს არის ჩამატებული, ეს ადასტურებს ბეტაციზმს: რაც ნიშნავს b-ს წარმოთქმას v-ს ადგილას (ლათ.: VOCEM>bocce) და გაორმაგებას.

წმიდა კლიმენტის რომაული ბაზილიკის წარწერაც “რომაულია” და ისიც კედელზეა შესრულებული, ისევე როგორც კომოდილას კატაკომბაში, მაგრამ ის უფრო გვიანდელი პერიოდისაა. მაშინ, როდესაც კომოდილას კატაკომბის გრაფიტი არის გარკვეულწილად შემთხვევითი, რამეთუ ის სპონტანურად დააწერეს ბათქაშს, წმ. კლიმენტის ბაზილიკის წარწერა უფრო რთული ხასიათის მქონე წარწერის შემადგენელი ნაწილია: ეს არის ფრესკა, სადაც ლათინური და ხალხური ენის სიტყვები შესრულებული იყო თავიდანვე, მასზე გამოსახულ პერსონაჟებთან ერთად და ისინი მოგვითხრობენ ამ პერსონაჟებისა და მათი საქმიანობის შესახებ. ეს ფრესკა მდებარეობს რომის წმ. კლიმენტის მიწისქვეშა ბაზილიკაში (კოლიზეუმთან ახლოს), აქვს დიდაქტიკური ხასიათი და მოგვითხრობს სასწაულებრივ ისტორიას: მასზე გამოსახულია რომაელი პატრიცი სისინიუსი, რომელმაც თავის მონებს უბრძანა კლიმენტის შეპყრობა. მონები მზად არიან დაემორჩილონ მას. მათ ჰკონიათ, რომ წმიდანს მოათრევენ; მაგრამ წმიდანის სხეული, რომელიც მათ შეიპყრეს, სასწაულის ძალით სვეტად იქცა და მონები დიდი გაჭირვებით ძალიან მძიმე სვეტს მოათრევენ. ფრესკაზე გამოსახულია სისინიუსი (ის არის მაყურებლისთვის მარჯვნივ, ბრძანების გაცემის ნიშნად აწეული აქვს ხელი), სამი მსახური: ალბერტელო, კარბონჩელო და გოზმარი სვეტს მიათრევენ. მარცხენა მსახურს სვეტი ჭოკით აქვს აწეული, ხოლო დანარჩენი ორი მას წინ თოკით ქაჩავს. მხატვარს სიტყვებიც მიუწერია, რომლებიც ამ პერსონაჟების მიერ წარმოთქმულ ფრაზებს მიუთითებენ; ეს წინადადებები დაწერილია ცოცხალ ხალხურ ენაზე, შესაბამისად, თავისი ხასიათითა და სიძველით ისინი ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენენ. ფრესკა შესრულებულია XI საუკუნის ბოლოს. ლათინური გამოყენებულია ტექსტის უფრო “მაღალფარდოვან” მონაკვეთებში: ის გადმოგვცემს მისი შემკვეთის მიზანს და მომხდარი ამბის მორალურ შეფასებას: “*Duritiam cordis vestris saxa traere meruistis*”, რომელიც ასე შეიძლება ითარგმნოს: “თქვენი გულქვაობისთვის ქვების თრევა დაიმსახურეთ”. რაც შეეხება ხალხურ ენას, უფრო მეტი გამომსახველობის მიზნით, მასზე პერსონაჟები მეტყველებენ: “*Falite dereto co lo palo Carvoncelle*” (“უკნიდან შენ მოაწევი ჭოკით,

კარბონჩელო”); “Fili de le pute traite” (“მეძავის შვილებო, ათრიეთ”). მაშასადამე, ეჭვგრეშეა, რომ ტექსტი შესრულებულია ხალხურ ენაზე, სალაპარაკო ენა მკვეთრად განსხვავდება ლათინურისაგან.

4. იტალიურის დაბადება:

960 წლით დათარიღებული “Placito Capuano”

ჩვენ მიერ განხილულ, კედელზე შესრულებულ ორ წარწერას შორის, ქრონოლოგიურად უნდა განთავსდეს ნოტარიალური აქტი – “კაპუანური განჩინება” (Placito Capuano). ეს არის ოფიციალური ხასიათის დოკუმენტი და ამიტომაც საყოველთაოდ არის აღიარებული “იტალიურის დაბადების აქტად”. ადრე გაანალიზებული დოკუმენტებისაგან განსხვავებით, ის XVIII საუკუნეში აღმოაჩინეს, მაგრამ ამ აღმოჩენას დიდი სმაური არ მოჰყოლია; მხოლოდ XX საუკუნეში მიუჩინეს მას საპატიო ადგილი იტალიურ ენაზე შესრულებულ ნოტარიალური ხასიათის სხვა მნიშვნელოვან ტექსტებს შორის. ასეთი საპატიო ადგილი აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ დოკუმენტში, “ვერონული გამოცანისაგან” განსხვავებით, ძალიან ნათელი და განზრახ მიღწეული განსხვავებაა ლათინურსა და ხალხურ ენას შორის. მისი ავტორი ძალიან კარგად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ის ორ სხვადასხვა ენას იყენებდა: ნოტარიალურ ლათინურსა და სალაპარაკო ხალხურ ენას. მაშასადამე, ამ ერთ დოკუმენტში გვაქვს შეგნებული, მიზანმიმართული განსხვავება ორ ენობრივ კოდს შორის.

960 წლით დათარიღებული Placito Capuano არის ნოტარიალური აქტი, შესრულებული პერგამენტის ფურცელზე და გადმოგვცემს იმ საქმეს, რომელიც განიხილეს კაპუანელი მოსამართლის – არეკიზის წინაშე. მის წინაშე წარსდგნენ მონტეკასინოს მონასტრის აბატი და ვინმე როდელგრიმო აკუინოდან. როდელგრიმო ამტკიცებდა, რომ მიწის გარკვეული ნაწილი, რომელიც მის საკუთრებას წარმოადგენდა, მონასტერს არასამართლიანად ჰქონდა დაკავებული. მონტეკასინოს აბატი კი ამტკიცებდა, რომ მონასტერი იმ მიწებს ოცდაათი წლის განმავლობაში იყენებდა და მაშინ არსებული ლანგობარდული კანონის

თანახმად (ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა ბენევენტოს ლანგობარდულ საგრაფოში), ის უკვე მონასტრის საკუთრებად ითვლებოდა. დანიშნულ დღეს მოსამართლის წინაშე სამი მოწმე წარსდგა, ისინი აბატის სასარგებლოდ გამოვიდნენ და ბიბლიაზეც დაიფიცეს. ეს საქმე იმით დამთავრდა, რომ როდელგრიმოს დაადებინეს პირობა, რომლის თანახმადაც, არც ის და არც მისი შთამომავლები ამ საკითხს აღარასოდეს დაუბრუნდებოდნენ. ამ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლე არეკიზის განკარგულებით ნოტარიუსმა, ვინმე ატენოლოფომ, შეადგინა ოქმი. სწორედ ამ ოქმის წერის დროს გაკეთდა იმ დროისათვის განსაკუთრებული არჩევანი. სრულიად ნათელია ის ფაქტი, რომ ზეპირსიტყვიერი კამათი მოსამართლის წინაშე და მოწმეების გამოსვლა – ყველაფერი წარმართებოდა ხალხურ ენაზე და არა ლათინურად. მაგრამ იმ დროს ნოტარიალური და სასამართლო აქტების დასაწერად გამოიყენებოდა ლათინური, რადგანაც ის იყო ერთადერთი სამწერლო ენა. მოწმეთა გამოსვლები, რომელიც უშუალოდ პროცესის დროს ხალხურ ენაზე იყო, ითარგმნებოდა ლათინურად პროცესის ოქმის შედგენის დროს. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საქმე სხვაგვარად წარმართა: ოქმი შედგა ლათინურად, როგორც ყოველთვის, მაგრამ ის შეიცავს მოწმეთა გამოსვლებს ხალხურ ენაზე. მაგალითად, განვიხილოთ, როგორ წარმოთქვამს თავის სათქმელს III მოწმე – სასულიერო პირი და ნოტარიუსი გარიპერტო:

Ille autem (Garipertus), tenens in manum memoratam abbreviatu-
ram (საუბარია როდელგრიმოს მიერ წარდგენილ უწყებაზე), et tetigit
eam cum alia manu, et testificando dixit: “*Sao ko kelle terre, per kelle
fini que ki contene, trenta anni le possette parte s(an)c(t)i Benedicti*”.

როგორც ვხედავთ, განსხვავება იტალიურსა და ლათინურს შორის ძალიან ნათელია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლათინური იმ ეპოქის ნოტარიალური დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით ხასიათდება (მაგალითად, tenens in manum - აბლატივის ნაცვლად აკუზატივის ხმარება). გარიპერტო (ორი წინა მოწმის მსგავსად), როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასულიერო პირია, თანაც

ნოტარიუსი, შესაბამისად, მას შეეძლებოდა ხალხური ენის ნაცვლად ეხმარა იურიდიული ლათინური. ხალხურ ენაზე წარმოთქმული და ჩაწერილი ფორმულა ყოველთვის ერთი ფორმით მეორდება მას შემდეგ, რაც ის მოსამართლემ ერთხელ დააფიქსირა. მაშასადამე, ეს არ არის სრულიად “ბუნებრივი” საუბრის ფრაგმენტი. მისი ხალხურ ენაზე ჩაწერა არ არის განპირობებული უბრალოდ იმის სურვილით, რომ ერთგულნი ყოფილიყვნენ მოწმეთა ჩვენებებისა; ეს იყო ხალხისადმი მიმართვის საშუალება, რადგანაც მონტეკასინოს მონასტრის ინტერესებში შედიოდა, რომ ამ პროცესის შედეგი რაც შეიძლება ბევრი ადამიანისათვის გამხდარიყო ცნობილი, ამგვარად ისინი თავიდან აიცილებდნენ მსგავს შემთხვევებს.

Placito Capuano-ს 960 წლის ეს ფორმულა არ არის ერთადერთი, ის არის ერთ-ერთი იმ სერიაში, რომელსაც უწოდებენ “კამპანიის განჩინებებს” (Placiti campani). ეს არის კამპანიის რეგიონში აღმოჩენილი სამი ნოტარიალური დოკუმენტი, ჩვენ მიერ განხილულის მსგავსი ფორმულირებებით, რომლებიც 963 წლით თარიღდება.

5. იურიდიული და ნოტარიალური დოკუმენტები

უძველესი იტალიური დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ნოტარიუსების კალამს ეკუთვნის, როგორც ეს Placito Capuano-ს შემთხვევაში იყო. ნოტარიუსი საზოგადოების იმ ფენის წარმომადგენელი იყო, რომელსაც ხშირად უწევდა წერა; მისი ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველდღიური სალაპარაკო ენა იურიდიულ ლათინურზე ეთარგმნა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სწორედ ამ პროფესიის წარმომადგენლები იყვნენ პირველები, ვინც ნებით თუ უნებლიედ, ნელ-ნელა უთმობდნენ ადგილს ახალ ენას - ხალხურ ენას. გარდა იმისა, რომ ხალხურ ენას ვხვდებით ნოტარიალური ხასიათის ტექსტებში, ასევე დასტურდება ცალკეული მინაწერების არსებობაც (postilla). ეს იმ დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო: ძალიან ხშირად ნოტარიუსი თავის მიერ შედგენილ ოქმს ამატებდა პირადი ხასიათის შენიშვნებს. სწორედ ეს ფიქსირდება ე.წ. “ამიატას მინაწერში”

(Postilla amiatina). 1087 წლის იანვარში ერთმა ცოლ-ქმარმა თავისი ქონება უბოძა მონტამიატას წმ. სალვატორეს სააბატოს. ნოტარიუსმა პერგამენტის ფურცელზე ლათინურ ენაზე შეადგინა აქტი, რომელიც დღეს სიენის სახელმწიფო არქივში ინახება. ამ აქტს აქვს ნოტარიუსის მინაწერი:

“ista car(tula) est de caput coctu ille adiuvet de ill rebottu q(ui) mal co(n)siliu li mise in corpu” .

ენობრივი თვალსაზრისით სიტყვებში *coctu*, *rebottu*, *consiliu*, *corpu*: ფიქსირდება ფინალური “u” – “o”-ს ნაცვლად. ეს მოვლენა დღესაც ახასიათებს ამიატას მთის რეგიონს. ადვილი არ არის ამ ფრაზის შინაარსის გაგება და არც ის, თუ რა აკავშირებს მას სააბატოსათვის ბოძებულ ძღვენთან. ვარაუდობენ, რომ ის შემდეგს უნდა ნიშნავდეს: “Questa carta e’ di Capocotto: essa lo aiuti da quel ribaldo che tal consiglio gli mise in corpo” (“ეს საბუთი არის კაპოკოტოსი. ის მას დაიცავს იმ თაღლითისაგან, რომელმაც მას ასეთი რჩევა მისცა”), ნოტარიუსის ეს კომენტარი უნდა ეკუთვნოდეს ადრე მომხდარ, ჩუქე-ბასთან დაკავშირებულ ისეთ ფაქტებს, რომლებიც ჩვენთვის უცნობია: არ ვიცით, რა იქნებოდა ის “რჩევა”, რომელმაც კაპოკოტო დალუპა. მეცნიერები (მონტევერდი, რუჯერი) იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს მინაწერი გართმულია. შედარებით ახალია კიდევ ერთი ინტერპრეტაცია (ლ. კოჩიტო), რომლის მიხედვით *rebottu* უნდა მიანიშნებდეს „ეშმაკს“. მაშინ მინაწერის შინაარსი ასეთი იქნებოდა: “Egli (Iddio) lo aiuti dal Maligno che gli mise in corpo il cattivo consiglio” (“იგი (ღმერთი) მას დაიცავს ბოროტისაგან, რომელმაც მას ცუდი რჩევა მისცა”).

მეორე ნოტარიალური დოკუმენტის შემთხვევაში, ე.წ. “ოზიმოს დოკუმენტში” (*Carta osimana*), რომელიც 1151 წლით თარიღდება, ხალხური ენა დასტურდება არა მინაწერში, არამედ თავად ნოტარიალური აქტის ლათინურ ტექსტში, საიდანაც ვიგებთ, რომ ოზიმოს ეპისკოპოსი გრიმალდო, კიარავალეს აბატს ჩუქნის სანტა მარია ინ სელვას ეკლესიას, რომელიც მაჩერატას ახლოს მდებარეობს. ორ სხვა დოკუმენტსაც ისევ მარკეს რეგიონში მივყავართ: “ფაბრიანოს დოკუმენტი” (*Carta fabrianese*) და “პიჩენოს დოკუმენტი” (*Carta pi-*

cena). Carta fabrianese თარიღდება 1186 წლით, ის შესრულებულია პერგამენტზე და ინახება ფაბრიანოს კომუნალურ არქივში. ეს არის აქტის დედანი, რომლის მიხედვითაც, ვინმე კეთილშობილური წარმომავლობის პიროვნება უთანხმდება სან ვიტორე დელე კიუზეს მონასტერს ხილის განაწილების შესახებ, აქ მოტანილია მისი სამფლობელოს საზღვრები და დასახელებულია ზოგიერთი ტოპონიმი. დოკუმენტში ერთმანეთს ენაცვლება ლათინური და ხალხური ენა.

1193 წლით დათარიღებული Carta picena შეეხება მიწის გაყიდვას. იგი შეიცავს გარკვეულ ნაწილს ხალხურ ენაზე, რომლის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთი გაიცა გირაოდ – რაც არის იმის გარანტია, რომ მისი მეპატრონე აღებულ ვალს დააბრუნებს. ხალხური ენის გამოყენების ასახსნელად არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნოტარიუსმა აქტში შეიტანა არაოფიციალური ხასიათის შენიშვნა, რომელიც ეხება ორ მხარეს შორის დადებულ ხელშეკრულებას.

იურიდიული დოკუმენტების ჯგუფს უერთდება 1158 წლით დათარიღებული, პერგამენტზე შესრულებული ორი დოკუმენტი, რომელიც ვოლტერას საეპისკოპოსო არქივში ინახება. ერთ-ერთი ამ პერგამენტის მეორე ნაწილში ვინმე მოსამართლე ბალდუინი ეყრდნობა ექვს მოწმეს (“boni homines”) ტრავალედან (დღეს გროსეტოს პროვინციაში მდებარეობს), იგი ხალხური ენით გადმოსცემს ამ ექვსი მოწმის ნათქვამს. ტექსტი ლათინურადაა, მოწმეთა სიტყვები კი ხალხურ ენაზე: “io – dice fra l’altro il second testimone – de presi pane e vino p(er) li maccioni a T(r)avale”. (“მე ავიღე იქედან პური და ღვინო ტრავალეს ქვისმთელელთათვის”). მეექვსე მოწმე ყვება ვინმე მანფრედოს შესახებ, რომელიც იცავდა ტრავალეს გალავანს და შემდეგნაირად მოიქცა: “Sero ascendit murum et dixit: *Guaita, guaita male; non mangiai ma mezo pane. Et obid remisum fuit sibi servitium, et amplius no(n) torno’ mai a far guita. . .*” (“საღამოს აძვრა გალავანზე და თქვა: მცველი, ცუდს აკეთებს, მცველი, იმიტომ რომ სხვა არაფერი უჭამია, გარდა ნახევარი პურისა. ამის გამო ის ჩამოაშორეს სამსახურს და მერე იქ აღარასდროს დაბრუნებულა”).

როგორც ვხედავთ, აქაც ლათინური და ხალხური ენა ერთმანეთს ენაცვლება. ხალხურ ენას არჩევნ იქ, სადაც გადმოსცემენ სასაცილო,

სახუმარო ისტორიას.

არსებობს ხალხურ ენაზე შესრულებული სხვა ნოტარიალური ტექსტებიც: ე.წ. “პაქსიას განცხადება” (Dichiarazione di Paxia), რომელიც თარიღდება 1178-1182 წწ. და ინახება საკონას სახელმწიფო არქივში; ის შესრულებულია ლიგურიულ ხალხურ ენაზე: პაქსია – ქვრივია, რომელიც თავისი ქმრის – ჯოვანის გარდაცვალების შემდეგ აცხადებს თავისი ქონების შესახებ – რა მზითვეი მოჰყვა, რა დარჩა ქმრის სიკვდილის შემდეგ, რამდენი დაუჯდა მისი დასაფლავება და რამდენი ვალი აიღო.

დასტურდება ასევე სხვადასხვა სარდული დოკუმენტები, რომლებიც თარიღდება XI-XII საუკუნეებით. რაც შეეხება ამ უკანასკნელ ტექსტებს, მათ შორის ხალხურ ენაზე შესრულებული ყველაზე ძველი არის 1070-1080 წლებით დათარიღებული მოსამართლე ტორკიტორიოს საბუთები, რომლებიც ინახება კალიარის საეპისკოპოსო არქივში. ჩვენამდე მოაღწია ამ დოკუმენტის გვიანდელმა, XV საუკუნის ასლმა. 1080-1085 წლებით თარიღდება პიზას სახელმწიფო არქივში შენახული ტორესელი მოსამართლის, მარიანო დი ლაკონის მიერ, პიზას ეპისკოპოსის თხოვნის შესაბამისად, პიზელი ვაჭრებისათვის გაცემული პრივილეგია.

6. რელიგიური თემა პირველ იტალიურ დოკუმენტებში

რელიგიური ხასიათის დოკუმენტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ორი დოკუმენტი, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ: კომოდილას კატაკომბის გრაფიტი და წმ. კლიმენტის ბაზილიკის წარწერა. ორივე კულტთან დაკავშირებულ გარემოში გაჩნდა და ორივე რელიგიურ თემას უკავშირდება. ამჯერად განვიხილავთ რელიგიური ხასიათის სხვა დოკუმენტებს, როგორცაა, მაგალითად, “უმბრული აღსარების ფორმულა” (Formula di confessione umbra), რომელიც თარიღდება 1037 - 1080 წლებით და რომლის ტექსტი არის საკმაოდ დიდი მოცულობის აღსარება. ამ ტიპის მეორე საინტერესო ტექსტია “სუბალპური ქადაგებანი” (Sermoni subalpine) – XII-XIII საუკუნეების

მეგლი, რომელიც ჩრდილოეთის ზონას განეკუთვნება. ეს არის პიემონტურ ხალხურ ენაზე შესრულებული ქადაგებანი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, რამეთუ წარმოადგენენ ნეოლათინურ ენაზე შესრულებულ ერთ-ერთ პირველ ქადაგებებს; გარდა ამისა, საქმე არ გვაქვს მოკლე ტექსტთან, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ საკმაოდ დიდი მოცულობის 22 ტექსტთან. ტექსტებში ერთმანეთს ენაცვლება ლათინური და ადგილობრივი ხალხური ენა, რომელზეც არის წარმოდგენილი ტექსტის ძირითადი ნაწილი. მასში პიემონტის ენისათვის ამჟამად დამახასიათებელ ნიშნებსაც ვპოულობთ.

7. პიზის დოკუმენტები

XI საუკუნის მეორე ნახევრით ან XII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება ის დოკუმენტი, რომელიც აღმოაჩინა ინიაციო ბალდელიმ (Ignazio Baldelli - 1922-2008). ეს უძველესი დოკუმენტი უკვე XII საუკუნეში დაჭრეს, ნაწილობრივ წაშალეს და მას ზემოდან გადააწერეს, შედგომში კი ის ახალი ხელნაწერის ყდად გამოიყენეს. ეს არ იყო იშვიათი მოვლენა შუა საუკუნეებში, როდესაც პერგამენტის მასალას ამგვარად ხელახლა “გადაამუშავებდნენ” ხოლმე; ძველი დოკუმენტები, რომლებიც ინტერესს კარგავდნენ, ახალი ნაწერების ყდად გამოიყენებოდა. რაც შეეხება პიზის დოკუმენტს, აქ საქმე სხვაგვარად არის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ის აღმოაჩინეს არა ევროპაში, არამედ ამერიკაში, ამიტომაც ის დღეს ფილადელფიის “თავისუფალი ბიბლიოთეკის” კუთვნილებაა. სწორედ აქ აღმოაჩინა ბალდელიმ ეს ტექსტი. ის წარმოადგენს გემის ხარჯების აღრიცხვას, უფრო ზუსტად კი, ის არის საზღვაო ესკადრის შეიარაღების ხარჯების შეჯამება. ეს დოკუმენტი მომდინარეობს ტოსკანიდან, რომელიც XIII-XIV საუკუნეებში იტალიური ენის აკვანი იყო, მაგრამ ამ პერიოდში (XI-XII ს.) სხვა რეგიონებისაგან არაფრით გამოირჩეოდა.

ისევე პიზაში მივეყვართ დოკუმენტს, რომელიც განეკუთვნება XIII საუკუნის დასაწყისს. იგი დეტალურად აქვს აღწერილი ასტუსის; ეს არის კამპოსანტოში აღმოჩენილია ერთ-ერთი აკლდამის წარწერა.

მიცვალებული (ვინმე ჯირათო) გამვლელს შემდეგი სიტყვებით “მი-
მართავს”: “h(om)o ke vai p(er) via prega d(e)o dell’anima mia, si come
tu se’ ego fui, sicus ego su(m) tu dei essere” - “გზაზე მიმავალო გამვ-
ლელი, შეავედრე ღმერთს სული ჩემი, ისეთი, როგორიც შენ ხარ,
მე ვიყავი, ისეთი როგორიც მე ვარ ახლა - შენ იქნები”. როგორც
ვხედავთ, ტექსტი შესრულებულია ხალხურ ენაზე, რომელშიც ავ-
ტორს ჩართული აქვს ლათინური ფორმები იმ მიზნით, რომ მისცეს
გამონათქვამს სენტენციური ხასიათი, მიანიჭოს მას ამაღლებული
სტილი.

8. პირველი ლიტერატურული დოკუმენტები

იტალიური ლიტერატურის ნამდვილი განვითარება იწყება XIII
საუკუნეში, ფრიდრიხ II-ის კარზე შექმნილი სიცილიური პოეტური
სკოლიდან. თუმცა პოეტური ხასიათის დოკუმენტები მანამდეც მოი-
ძებნება; რითმას უძველეს დოკუმენტებშიც ვაწყდებით, მაგალითად
“ვერონულ გამოცანაში”, რომელიც შემთხვევით არ იყო თავიდან
გაგებული (თუმცა არასწორად) როგორც მწყემსის კანტილენა. შემ-
დეგ ფერარას დუომოს წარწერა, რომლის სიძველეს არ დადას-
ტურდა, მაგრამ XVIII საუკუნეში ის პოეზიის უძველეს ნიმუშად
ითვლებოდა, რაც საშუალებას იძლეოდა XII საუკუნით დათარი-
ლებულიყო თავად ლექსის ხალხურ ენაზე შექმნის ფაქტი, რითაც
იტალია მეტოქეობას უწევდა ორ, მასზე უფრო ადრე განვითარებულ
ფრანგულ და ოქსიტანურ ლიტერატურას. სინამდვილეში კი ფერარას
წარწერა ნამდვილიც რომ ყოფილიყო, იტალია მაინც ვერ გაუწევდა
მეტოქეობას საფრანგეთს, რადგანაც არსებობს IX საუკუნის ფრან-
გული “წმიდა ეულალიას სეკვენცია” (Sequenze di Sant’Eulalia) და
ისეთი დიდი მნიშვნელობის ტექსტი, როგორიცაა “სიმღერა როლან-
დზე” (Chanson di Roland) - XI საუკუნით დათარიღებული ნამდვილი
ფრანგული შედევრი.

თუ იტალიური პოეზიის ნიმუშების ძიებას დავიწყებთ, რითმას
XII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოვაჩინებთ. არსებობს ხალხურ
ენაზე შექმნილი ოთხი სტროფი, რომელიც განადიდებს ბელუნოსა

და ფელტრეს ჯარების გამარჯვებას ტრევიზოს ჯარებზე 1193-1196 წლებში და რომელმაც ჩვენამდე “ბელუნოს რიტმის” სახელწოდებით (Ritmo bellunese), XVI საუკუნის ასლით მოაღწია. რიტმი (ritmo) შუა საუკუნეებში გავრცელებული პოეტური კომპოზიციებია, რომელთა ტაქტებს არ ახასიათებს მყარი მეტრული სისტემა. იტალიურ ხალხურ ენაზე შესრულებული სხვა სტროფები, რომლებიც XII საუკუნით თარიღდება, განეკუთვნება არაიტალიელი ავტორების კალამს, რომლებიც იმყოფებოდნენ იტალიაში: პროვანსელმა ტრუბადურმა რამბალდო დი ვაკეირასმა (Rambaldo di Vaqueiras) დაწერა “პირველი გამართული სტროფები ჩვენს ენაზე, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია” (აურელიო რონკალია). ლაპარაკია ცნობილ კონტრასტოზე (Contrasto) - კანცონის ჟანრზე, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებიან პროვანსულად მოსაუბრე მოხეტიალე პოეტი-მუსიკოსი და საკუთარ დიალექტზე მოლაპარაკე გენუელი ქალი (შესრულებულია 1194 წლამდე). მის კალამს ეკუთვნის ასევე მრავალენოვანი კონტრასტო, რომელშიც გამოყენებული აქვს ხუთი სხვადასხვა ენა: პროვანსული, იტალიური, ფრანგული, გასკონური და გალეგურ-პორტუგალიური.

ჩრდილოეთში, სინიორთა ციხედარბაზებში, ამ დროს ისმენდნენ პროვანსულ პოეზიას და არა იტალიურს. იტალიური პოეზიის ნიმუშების ძიებაში, ალბათ, XIII საუკუნის დასაწყისი უნდა გამოვტოვოთ, თუმცა ახლა ზოგს ამ პერიოდში გადააქვს ფლორენციის ლორენცო დე მედიჩის ბიბლიოთეკაში დაცული რიტმი, ე.წ. Ritmo Laurenziano, რომელიც ასე იწყება: “Salva lo vescovo senato, lo mellior c’umque sia nato”; ავტორი ხოტბას ასხამს ადგილობრივ ეპისკოპოსს და იმედს გამოთქვამს, რომ ამისთვის საჩუქრად ცხენს მიიღებს.

XII საუკუნეს ან ცოტა გვიანდელ პერიოდს უკავშირებენ კიდევ ორ რიტმს: Ritmo cassinese-სა და მარკეს რეგიონის Ritmo su Sant’Alessio-ს. მოგვიანებით, XIII საუკუნეში გამოჩნდნენ ისეთი მნიშვნელობის პოეტები, როგორიც წმ. ფრანჩესკო და სიცილიის პოეტური სკოლის წარმომადგენლები იყვნენ.

უკანასკნელ პერიოდს განეკუთვნება ახალი აღმოჩენა – ორი პოეტური ქმნილება, რომელმაც, შესაძლოა, შეცვალოს იტალიური ლიტერატურის წარმოშობის სურათი (აღმოჩენა ეკუთვნის ა.სტუისის).

საქმე ეხება მართლაც ძალიან მნიშვნელოვან ტექსტებს, რომლებიც XII საუკუნის ბოლოს უნდა ეკუთვნოდნენ. პირველი ტექსტი არის ათმარცვლიანი კანცონე, რომელიც ასე იწყება: *Quando eu stave in le tu'catene* (“როცა მე შენს ბორკილებში ვიყავი”). მეორე ტექსტი კი თერთმეტმარცვლიანია და ასე იწყება *Fra tuti qui ke fece lu Creature* (“მათ შორის, ვინც შექმნა შექმნელმა”). ეს არის ყველაზე ძველი სასიყვარულო ლირიკული პოეზიის მაგალითი, რომელიც შესრულებულია პერგამენტზე, გაყიდვის კონტრაქტის დოკუმენტის წინა გვერდზე. ის ლათინურ ენაზეა და თარიღდება 1127 წლით. ისინი შესრულებულია და ინახება რავენაში. ეს ლექსები, შესაძლოა, ჩრდილოეთში შეიქმნა, მაგრამ არც სხვა - სამხრეთული წარმოშობა გამორიცხებული, იმ პირობით, რომ მათ შემდგომში მიიღეს ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი ნიშნები. შესაძლოა, ისინი ადასტურებდნენ იტალიური პოეტური სკოლის არსებობას უკვე ფრიდრიხ II –ის სიცილიურ სკოლამდე. ამჟამად ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ჩნდება, რომელზეც ძნელია პასუხის გაცემა.

თავი მეორე

XIII საუკუნე

1. პოეტური ენა

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი პროცესი: ხალხური ენის შემთხვევითი გამოყენება იურიდიული და ნოტარიალური ხასიათის დოკუმენტებში და მისი ლიტერატურულ ენად არჩევა. ხალხური ენის პოეზიის ენად არჩევა გულისხმობს მის კიდევ ერთხელ საყოველთაო დამკვიდრებას. პირველი იტალიური პოეტური სკოლა, რომლის შესახებაც უტყუარი მონაცემები გაგვაჩნია, არის ფრიდრიხ II-ის კარზე, სამხრეთ იტალიაში ჩამოყალიბებული “სიცილიური სკოლა” (ფრიდრიხის სამეფოს ცენტრი სიცილიის კარი იყო). ორი სხვა რომანული ლიტერატურა უკვე არსებობდა და ალპებს მიღმა უკვე წარმატებითაა სარგებლობდა: ფრანგული ლიტერატურა იმდროინდელ ფრანგულ ენაზე (*lingua d’oil*) და პროვანსული ლიტერატურა პროვანსულ ენაზე (*lingua d’oc*). ეს უკანასკნელი განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა: ის იყო პოეზიის ენა, რომლის ძირითად თემასაც ინტელექტუალური, დახვეწილი და სტილიზირებული ფორმებით გადმოცემული სიყვარული წარმოადგენდა. ლინგვა დ’ოკზე პოეზია განვითარდა ფეოდალების კარზე პროვანსში, აკვიტანიასა და დელფინატში, მაგრამ მისი გავლენა ალპებს მიღმა გავრცელდა: იყვნენ ისეთი პროვანსელი პოეტები, რომლებიც სტუმრობდნენ ჩრდილოეთ იტალიაში, სინიორების კარზე, მაგალითად, მონფერატოს, მალასპინას, ესტენზის და რომანოს მარკიზებთან. მეორე მხრივ, დასტურდება იტალიელი პოეტების არსებობა, რომლებიც წერდნენ ლექსებს პროვანსულად, ჰბამავდნენ რა ტრუბადურებს. მათ შორის იყვნენ სიცილიელი პოეტებიც, მაგრამ მათ უნდოდათ (და ეს იყო ახალი), ეს უცხო ენა ჩაენაცვლებინათ იტალიური ხალხური ენით, სიცილიური ხალხური ენით. ეს ჩანაცვლება გადამწყვეტი იყო იტალიური პოეტური ტრადიციისათვის. ძალიან დადებით შეხედულებას ამ სკოლის შესახებ გამოთქვამს დანტე. ამ სკოლამ იტალიურ ლიტერატურას მნიშვნელოვანი შემკვიდრეობა დაუტოვა.

ჩნდება კითხვა, რატომ აირჩიეს სწორედ სიცილიური – კუნძულის ენა და არა კონტინენტზე გავრცელებული სხვა რომელიმე ენა. იგივე ფრიდრიხი ამ ენაზე წერდა ლექსებს, თუმც არ იყო დაბადებით სიცილიელი. ამავე დროს ის, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ფლობდა ლათინურს, რაც დასტურდება მისი ტრაქტატით ფრინველებით ნადირობის შესახებ: “ფრინველებით ნადირობის ხელოვნების შესახებ” (De arte venandi cum avibus). მის კარზე ინტერნაციონალური გარემო იყო, ის არაბული კულტურისთვისაც კი ღია იყო, რომელსაც მეფე ძალიან დიდ პატივს სცემდა. “სიცილიელი” პოეტებიდან ზოგიერთი საერთოდ არ იყო სიცილიელი, მაგალითად, ლიგურიელი იყო პერჩივალე დორია (Percivalle Doria), რომელიც სიცილიურსა და პროვანსულს ერთად ხმარობდა; კონტინენტურ წარმოშობაზე მეტყველებს შემდეგი პოეტების სახელებიც: ჯაკომინო პულიეზე (Giacomino Pugliese), რინალდო დ’აკუინო (Rinaldo d’Aquino), აბატე დი ტივოლი (Abate di Tivoli). ეს ადასტურებს, რომ სიცილიურის არჩევა ფორმალური ღირებულებით იყო ნაკარნახევი და მართლაც, სიცილიური პოეზიის ხალხური ენა ძალიან ფორმალისებულის, დახვეწილია. მასში დიდი რაოდენობით შედიან პროვანსული ან მათი მიბაძვით მიღებული სიტყვები, როგორც, მაგალითად, ფორმები –agio ზე (coragio – “cuore”) და –anza-ზე: amanza, intendenza, allegranza, speranza, dimoranza, credenza, leanza. პროვანსული ფორმები თუმც ხშირია, მაგრამ არააუცილებელი, ხანდახან ისინი იტალიური ფორმებით არიან ჩანაცვლებულნი.

იტალიური პოეზიის პირველი ნიმუშები (სიცილიურის ჩათვლით) გადმოცემულია შუა საუკუნეებში ტოსკანელი გადამწერების მიერ შესრულებული ასლებით. შუა საუკუნეებში გადაწერა არ იყო ისეთი საქმიანობა, რომელიც ორიგინალის სრული დაცვით სრულდებოდა. ტოსკანელი გადამწერები გადაწერისას ნამდვილ თარგმანს ახორციელებდნენ და ცდილობდნენ, სიცილიური კვალი, რომელიც ყურში ხვდებოდათ, საერთოდ წაეშალათ. საუკუნეების განმავლობაში ეს ფაქტი დავიწყებას მიეცა და ტოსკანიზებული ფორმა “კარგ” ფორმად ითვლებოდა. შვაბების დაცემასა და ანჟუელების აღმასვლას მოჰყვა სიცილიური ან სხვა სამხრეთული წარმოშობის ხელნაწერე-

ბის ფიზიკური განადგურება. სწორედ ამ მიზეზის გამო თვლიდა დანტე, რომ სიცილიელები საერთოდ გათავისუფლდნენ თავიანთი სალაპარაკო ენის ნიშნებისაგან. სინამდვილეში “გაწმენდა” (თუ ამ მოვლენას ასე დავარქმევთ) სხვებმა გააკეთეს. მნიშვნელოვანია, რომ XVI საუკუნის მოღვაწეს, პროვანსული პოეზიის კარგ მცოდნეს, ჯოვანი მარია ბარბიერის (Giovanni Maria Barbieri), ხელთ ჰქონდა ძველი ხელნაწერი “სიცილიური წიგნი” (Libro Siciliano - რომელიც შემდგომში დაიკარგა). “წიგნში” სიცილიური პოეზიის ნიმუშები პირველადი ფორმით იყვნენ წარმოდგენილნი და შესამჩნევად განსხვავდებოდნენ საყოველთაოდ გავრცელებული მათი ვარიანტებისაგან. ასეთი დასკვნის გაკეთება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნეში გამოქვეყნდა ბარბიერის მიერ “სიცილიური წიგნიდან” გადაწერილი და ამ გზით შემონახული სიცილიური პოეზიის ზოგიერთი მაგალითი, მათ შორის ფრიდრიხ II-ის შვილის – მეფე რენცოს მიერ დაწერილი ეს პატარა ფრაგმენტი:

Alegri cori, plenu
 Di tutta beninanza,
 Survegnavi s’eu penu
 Per vostra inamuranza;
 Ch’il nu vi sia in placiri
 Di lassarmi muriri talimenti,
 Ch’iu v’amo di buon cori e lialmenti.

როგორც ვხედავთ, სიცილიური გავლენა ძალიან იგრძნობა: ფინალური ხმოვნები –u და –i ტოსკანურის –o და –e ხმოვნების ნაცვლად, –u ნაცვლად –o ხმოვანისა სიტყვაში inamuranza, –i ხმოვანი ტოსკანური e-ს ნაცვლად მახვილიან პოზიციაში: placiri, muriri (აქ უმახვილო ფინალურ პოზიციაშიც). ბარბიერის ტექსტი ძირითადად ორიგინალის ერთგულია, თუმცა შეიცავს ისეთ მოვლენებს, რომელთა ახსნაც საჭიროა, რათა აღვადგინოთ პირველადი ტექსტი; მაგალითად, amo (amu-ს ნაცვლად) – არ არის სიცილიური მოვლენა. იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას, რას ნიშნავს “ტოსკანიზაცია”, შევადაროთ ერთმანეთს ტოსკანური და სიცილიური ვარიანტები. განვიხილოთ

რამდენიმე სტრიქონი კვლავ მეფე ენცოს კანცონედან S'eo trovasse pietanza. ბარბიერისეული ვარიანტი ასე გამოიყურება:

(ვატიკანის ხელნაწერი 3793)

La virtuti ch'ill'avi
D'alcirm' e guariri
A lingua dir nu l'ausu,
Per gran timanza ch'azo nu ll'isdegni

ტოსკანიზებული ვარიანტი

(ვატიკანის ხელნაწერი 3793):

La vertute ch'il àve
D'ancider me e guerire
A linua dir non l'auso,
Per gran temenza c'agio no la sdingni.

შედარება ადასტურებს, რომ სიცილიური მახასიათებლები შეცვლილია ტოსკანურით. ამ ჩანაცვლების კვალი ჩანს რითმების გაუმართაობაში, რასაც ადგილი აქვს ტოსკანურ ვარიანტში:

conduce: croce, ora: pintura, uso: amoroso, avere: morire

ეს რითმები გაიმართება, თუკი მათ საწყის სახეს დაუბრუნებთ:
conduci: cruci, ura: pintura, usu: amurusu, aviri: muriri.

გადამწერები იმგვარად ცვლიდნენ, როგორც ეს ჯაკომო და ლენტინის (Giacomo da Lentini) შემდეგი სტროფებიდან ჩანს:

(ვატიკანის ხელნაწერი 3793)

Madonna, dire vi voglio
come l'Amore m'à preso;
inver lo grande orgoglio
che voi, bella, mostrate, e' non m'aita.
Oi lasso, lo me'core

ch'è n tanta pena *miso*,
che vede che si more
per non amare, e tenolosi
[=tenelosi “se lo tiene”] in vita.

კურსივით არის გამოყოფილი დარღვეული რითმის შემთხვევები (*preso:miso*), რომელიც ფიქსირდება ტოსკანიზებულ ტექსტში. გადამწერმა ძალიან ადვილად შეასწორა და შეცვალა: თავდაპირველი ფორმა *priso* – ტოსკანურით – *preso*, *amuri* – *amore*-თი, მაგრამ როდესაც შეხვდა ფორმა *miso*, არ მოისურვა მისი შეცვლა ფორმით *messo* (რომელიც მოდელისაგან ძალიან განსხვავებული იქნებოდა და ძალიან დაარღვევდა რითმას) და არც ფორმით *meso*, რომელიც არ არსებობდა ტოსკანურში. მან სიტყვა ისევ თავდაპირველი ფორმით დატოვა, მაგრამ მიიღო ცუდი რითმა: *preso:miso*. აი ასეთი ტიპის ცვლილებებია გაკეთებული ტოსკანელი გადამწერების მიერ.

სიცილიური პოეზიის გაკვეთილი გადამწვევტი იყო იტალიური ლირიკული ტრადიციისათვის. დამკვიდრდა “სიცილიური რითმა” (რომელიც XIX საუკუნეშიც იხმარებოდა მანძონის მიერ), ამავე დროს გავრცელდა –*ia* დაბოლოების მქონე სამხრეთული პირობითი კილოს ხმარება (*crederia* ნაცვლად ტოსკანური ფორმისა - *crede-rei*).

2. ცენტრალური და ჩრდილოეთ იტალიის პოეტური ლოკუმენტები

ფრიდრიხ II-ის გარდაცვალებამ (1250 წ.) და შვაბთა სახლის დიდების ჩასვენებამ კულტურის იმ კერების ჩაქრობა გამოიწვია, რომლებმაც პირველი იტალიური პოეტური სკოლა ასაზრდოვეს; სიცილიური პოეზიის მემკვიდრეობამ ტოსკანასა და ბოლონიაში, ე.წ. „სიცილიურ-ტოსკანური“ (*poesia siculo-toscana*) პოეტებისა და “სტილნოვისტების” (*dolce stil nuovo*) შემოქმედებაში გადაინაცვლა. ეს იყო იტალიური პოეზიის მთავარი ხაზი, რომელიც სამხრეთიდან ცენტრალური და ჩრდილოეთ იტალიისაკენ მიდიოდა.

სიცილიურ-ტოსკანური და “სტილნოვისტური” ლირიკის პოეტური ენის განხილვამდე აუცილებელია გამოვყოთ ზოგიერთი, სასიყვარულო ლირიკისაგან განსხვავებული, გამორჩეული ჟანრი, უპირველეს ყოვლისა კი - რელიგიური პოეზია; სიცილიურ სკოლას ქრონოლოგიურად ოდნავ წინ უსწრებს წმიდა ფრანჩესკო ასიზელის “ძმა მზის საგალობელი” (Cantico di frate sole). 1223-1224 წლით დათარიღებული „Cantico“, ცნობილი ასევე ლათინური სახელწოდებით “Laudes creaturarum“ („ქმნილებათა საგალობელი“), დაწერილია ხალხურ ენაზე, რომელშიც უმბრული ელემენტებიც ჩანს. ეს ტექსტი, რომელიც ამჟამად პოეზიის გამორჩეულ ძეგლად მოიაზრება, ფრანცისკანელთა წრეებში მრავალი საუკუნის მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას და სრულიადაც არ ითვლებოდა ლიტერატურულ დოკუმენტად. რელიგიური “Lauda”-ს ტრადიციამ (Lauda - ხოტბა) დიდი პროგრესი განიცადა როგორც მეცამეტე, ასევე მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებში; სპეციალურ კრებულებში (Laudari) გადაწერილი ხოტბათა ტექსტები (მიძღვნილი იესოსასდმი, მადონასადმი, წმიდანებისადმი და ა.შ.) არასალიტერატურო ენით შესრულებული ანონიმური ნაწარმოებები იყო და მორწმუნეთა სამშობის მიერ საგალობლებად გამოიყენებოდა. სახოტბო პოეზია წარმოშობით ცენტრალური იტალიიდანაა, უმბრიიდან (ასევე გავრცელებული იყო მარკესა და ტოსკანაში). მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებში ის ჩრდილოეთ იტალიაში გავრცელდა; მათ ავტორებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია იაკოპონე და ტოდი (Jacopone da Todi - 1230 -1306), მის მიერ შექმნილი “ხოტბათა კრებული” (Laudario) ტოსკანიზებული ფორმით საკმაოდ სწრაფად გავრცელდა. სახოტბო პოეზიამ მნიშვნელოვანი ენობრივი ფუნქცია შეასრულა - ცენტრალური იტალიური ენის ფორმები ჩრდილოეთში გაიტანა.

გარდა ამისა, მეცამეტე საუკუნეში, ჩრდილოეთ იტალიაში ხალხურ ენაზე შექმნილი ლიტერატურა აყვავდა, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა ფრიდრიხ II-ის სამეფო კარის დახვეწილ გარემოში შექმნილი ლიტერატურისაგან. ამ ლექსად შექმნილი, მორალურ-აღმზრდელითი ხასიათის ლიტერატურის ავტორებს შორის აღსანიშნავია ვირარდო პატეკიო (Girardo Patecchio), უეუჩონე და ლოდი

(Ugucione da Lodi), ჯაკომინო და ვერონა (Giacomino da Verona) და მილანელი ბონვეზინ დე ლა რივა (Bonvesin de la Riva). ეს ლიტერატურა, ძირითადად, ლომბარდიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ამ მწერლების ენა ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა, მასში ტოსკანური ლიტერატურული მოდელისადმი მიბაძვა არ იგრძნობა (ამ პერიოდში ტოსკანური ლიტერატურა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ დამკვიდრებული).

აღსანიშნავია იტალიის გეოგრაფიული თავისებურებები, რაც გულისხმობს სხვაობას არა მხოლოდ იტალიის ჩრდილოეთს, ცენტრსა და სამხრეთს შორის, არამედ უფრო კონკრეტულ განსხვავებებსაც: მაგალითად, ტოსკანის ის ტერიტორია, სადაც სამწერლო ხალხურ ენას პირველი გავრცელება მოხდა, დასავლეთით მდებარეობს, პიზას და ლუკას შორის. ამ ტერიტორიაზე განვითარდა “სიცილიურ-ტოსკანურად” წოდებული პოეზია, რომლის ცენტრები იყო პიზასა და ლუკაში. პიზაში მოღვაწეობდნენ: ტიბერიო გალიციანი (Tiberio Galiziani), პუჩანდონე მარტელი (Puccianone Martelli), ლუკაში კი ბონაჯუნტა (Bonagiunta), ინგილფრედი (Inghilfredi); იყო კიდევ ერთი ცენტრი – არეცო, სადაც მოღვაწეობდა – გვიტონე დ’არეცო (Guittone D’Arezzo). ფლორენციამ თავი მხოლოდ მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიმკვიდრა. 1260 - 1280 წწ. ფლორენციაში სხვადასხვა მელექსეები იყვნენ: კიარო დავანცატი (Chiario Davanzati), მონტე ანდრეა (Monte Andrea), ნერი დე ვიზდომინი (Neri de’Visdomini), რუსტიკო ფილიპი (Rustico Filippi). მათი სტილი სიცილიელი პოეტების სტილს წააგავდა (ოდნავ განსხვავებული იყო რუსტიკოს სტილი), ეს მსგავსება მეტრიკასაც ეხებოდა, მაგალითად სონეტს, რომელიც შემდგომ ფართოდ გავრცელდა და ჩვენამდეც კი მოაღწია. მეტრიკის ამ ფორმის შემქმნელად ჯაკომო და ლენტინია აღიარებული, სწორედ მას ეკუთვნის სონეტის პირველი ნიმუშები.

ამ პოეზიაში ლექსიკური თვალსაზრისით მრავალი გალიციზმი და სიცილიანიზმი წარმოდგენილი. ფლორენციელი პოეტების სიცილიანიზმებს შორის ვხვდებით ფინალურ -i ხმოვანს -e ხმოვანის ნაცვლად არსებით სახელებში, რომლებიც მხოლოდით რიცხვში ამგვარად არიან წარმოდგენილნი: *calori, valori, siri*, (“sire”) და ზმნებ-

ში, მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში (ardi - “arde”). ამ პოეზიის ზოგიერთმა სიცილიურმა მახასიათებელმა “სტილნოვისტებამდე”, დანტემდე, პეტრარკამდე მიაღწია და შემდგომ იტალიურ ლირიკულ ტრადიციადაც იქცა. (პირობითი კილო -i დაბოლოებით, მომავალი დრო -aio დაბოლოებით, ასევე წარსული დროის მიმღეობა -uto სუფიქსით, მახვილიანი -i და -u იქ, სადაც ფლორენციულს აქვს დახურული მახვილიანი -e და -o). შეიძლება ითქვას, რომ ტოსკანაში, ადგილობრივ ენას “ედებოდა” ალპებს გადაღმიდან და სიცილიიდან მომდინარე ლირიკული ტრადიცია. ამიტომ, სწორედ აღნიშნული ტრადიციების წყალობით, ახალი ლიტერატურული ენა, მიუხედავად თავისი სიახლისა, გარკვეულწილად, უკვე “მომწიფებული” იყო.

ცნობილია, რომ დანტე გვიდო გვინიცელის (Guido Guinizelli) მიაწერდა იმ სტილისტურ გარდატეხას, რომელმაც ახალ სასიყვარულო პოეზიამდე მიგვიყვანა და რომლის წარმომადგენელიც შემდგომში თავად დანტეც იყო. ენის ისტორიის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ის უწყვეტობა, რაც არსებობს “სტილნოვისტურ” და მანამდე არსებულ პოეტურ ტრადიციებს შორის; ისევე აღინიშნება გალიციზმების, პროვანსალიზმებისა და სიცილიანიზმების ხმარება. გვინიცელის პოეზიისათვის დამახასიათებელი გალიციზმებია: riviera “fiume”, rempaira “ritorna”, fer esmire “specchiarsi”, giano “giallo”; პროვანსალიზმები: sclarisce, enveggia “invidia”, ასევე anza-ზე დაბოლოებულ სიტყვები (allegranza, intendenza, amanza და ა.შ.); სიცილიანიზმებია: saccio - “so”, aggio - “ho”, have - “ha”, miso - “messo”, feruto - “ferito”, sorpriso - “sorpreso”. გვინიცელის ენაში, სადაც წარმოდგენილია “მაღალი” ენისათვის დამახასიათებელი ჩამოთვლილი ელემენტები, ვხვდებით ასევე ბოლონიურ ფორმებს, როგორცაა: saver - “sapere”, donqua - “dunque”, cò - “capo”; გერუნდივებს - volgiando, siando; მისთვის დამახასიათებელია c-ს სისინა თანხმონით ჩანაცვლება პალატალური ხმონის წინ (dise - “dice”). დანტეს მეგობრის - გვიდო კავალკანტის შემოქმედებაში, ისევე როგორც გვინიცელისთან, გვხვდება ფორმები სუფიქსით -anza, სიცილიური წარმოშობის სიტყვები (ave, feruta, saccio, priso), noi-ს ტიპის “სიცილიური” რითმები - noi:altrui და ჩვეულებრივი

პროვანსალიზმები. შეინიშნება ასევე ტოსკანური კვალი: პირობითი კილო –ebbe დაბოლოებით (ტრადიციული - ia-ს გვერდით), პირის ნაცვალსახელი io სიცილიურ-ტოსკანური eo-ს გვერდით, პროტექტიკული i (istar -“stare”), დიფთონგური ფორმები priego, fuoro, ფორმა fue - “fu”.

დანტეს პირველი პოეტური ნაწარმოებები როგორც თემებით, ასევე ენობრივი ფორმებით, კარგად ერწყმის ფლორენციის ხალხური ენის პოეზიას. მის პოეზიაშიც არის სიცილიანიზმებისა და გალიციზმების სხვადასხვა ტიპები; თუმცა, ამავე დროს, მისი პოეზიის ლექსიკა უფრო მდიდარი და ფრაზათა სტრუქტურა უფრო მრავალფეროვანია. დანტემ „ახალ ცხოვრებაში“ არჩევანი პოეზიის სასარგებლოდ გააკეთა, პროზით კი, კომენტარებში, ამის მიზეზიც აგვისხნა, დაადგინა რა მიმართება ორ ჟანრს შორის: პრიორიტეტი მიანიჭა ლირიკას, პროზას კი იერარქიულად უფრო დაბალი ადგილი მიუჩინა.

3. დანტე - ხალხური ენის პირველი თეორეტიკოსი

ხალხური ენის შესახებ დანტეს იდეები შეგვიძლია ამოვიკითხოთ მის ნაშრომებში – “ნადიმი” (Convivio) და “ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ” (De vulgari eloquentia). “ნადიმში” ხალხურ ენას იგი “ახალ მზეს” უწოდებს, რომელმაც ლათინურის ადგილას უნდა იბრწყინოს; იგი იმათთვის არის, ვისაც არ ძალუძს გაიგოს კლასიკოსთა ენა; ამრიგად, დანტეს მსჯელობა ბადებს ღრმა წრმენას ახალი ენის შესაძლებლობების შესახებ. არსებობს კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც დანტე ორივე ნაშრომში შეეხო (თუმც სხვადასხვაგვარად გადაწყვიტა); ეს არის თითოეული ენის (ლათინურისა და ხალხური ენის) ღირსებათა შედარება: „ნადიმში“ ლათინური მიჩნეულია უფრო მაღალი დონის ენად, რადგან გამოიყენება ხელოვნებაში, „ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ“ კი - პირიქით, ხალხურ ენას ანიჭებს უპირატესობას მისი ბუნებრიობის გამო, თუმც ლათინური

ენის ლიტერატურული ხასიათი ხალხური ენის განვითარებისათვის სტიმული ხდება.

“ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ” დაწერილია დანტეს დეკნოლობაში ყოფნისას, „კომედიის” შექმნამდე; იგი შეწყვეტილია II-ე წიგნზე და წარმოადგენს პირველ ტრაქტატს ხალხური ენისა და პოეზიის შესახებ. გარდა ამისა, შუა საუკუნეების ევროპული კულტურის საერთო სურათში ის წარმოადგენს ძალიან ღრმა ანალიზს, რომელიც წინ უსწრებს თავის დროს. ეს ნაშრომი XVI საუკუნის პირველ ნახევარში “ხელახლა აღმოაჩინეს”, მანამდე მას ძალიან ბუნდოვნად მოიხსენიებდნენ ხოლმე. ის ვიწინცელი ლიტერატორის – ტრისინოს (Gian Giorgio Trissino – 1478-1550) მიერ იტალიურ ენაზე შესრულებული თარგმანით გამოქვეყნდა, რომელიც, სხვათა შორის, “ენის საკითხებზე” დებატების ერთ-ერთი მონაწილეც იყო. ტრაქტატის ბედი არც გამოქვეყნების შემდეგ დასრულებულა “მშვიდობიანად”; ის აღორძინების პერიოდში ენობრივი საკითხების შესახებ კამათის ერთ-ერთ ძირეულ დოკუმენტად იქცა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთების აზრით, ტრაქტატის ავტორი არ იყო დანტე და საქმე გაყალბებასთან ჰქონდათ.

დანტე ორიგინალურად ავითარებს იდეებს, მას აბსოლუტურად გაცნობიერებული აქვს კვლევის საგნად არჩეული თემების სიახლე, ის აღნიშნავს, რომ ყველა ქმნილებას შორის ერთადერთი ადამიანია ენით დაჯილდოებული. თვით ენა ქმნის ადამიანურ არსებას ასეთად და ასხვავებს მას როგორც იერარქიულად მასზე დაბლა მდგომი ცხოველებისაგან, ისე იერარქიულად მასზე მაღლა მდგომი ანგელოზებისაგან. მეტყველებისა და ენების წარმოშობას დანტე ბაბილონის კოშკის შესახებ ბიბლიური მოთხრობის საშუალებით გვიხსნის. ბუნებრივი ენების წარმოშობის ისტორია სწორედ აქ იწყება. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამ განსხვავებას სივრცე და დრო განაპირობებს. ცხადია, რომ ენები მუდმივად განიცდიან ცვლილებას. ლიტერატურული ენების “გრამატიკა”, მაგალითად, ბერძნულისა და ლათინურის გრამატიკები, დანტეს მიხედვით, სწავლულთა ხელოვნური ქმნილებაა, მათი მიზანია ენების მუდმივი ცვლილების პროცესის შეჩერება, რაც სტაბილურობის გარანტიაა, რომლის გარეშე

ლიტერატურა ვერ იარსებებს. ასევე ხალხურმა ენამაც, იმისათვის, რომ "ლიტერატურული" გახდეს, მიაღწიოს აღიარებასა და ლათინურს გაუტოლდეს, სტაბილურობა უნდა შეიძინოს; იგი ხალხური მეტყველებისაგან უნდა განსხვავდებოდეს.

ლიტერატურული ხალხური ენის ხასიათის განსაზღვრის მიზნით, დანტე მიჰყვება ბუნებრივი ენების გეოგრაფიულ - სივრცობრივ განლაგებას, ყურადღებას ამახვილებს უფრო ვიწრო გეოგრაფიულ სივრცეებზე; იგი გამოყოფს ევროპას, რომლის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქვეყნებში (დღევანდელი გერმანიკული და სლავური ენების გავრცელების არეალი) არის ენები, რომლებშიც მტკიცებითი ნაწილაკი si ითქმის როგორც iò; ცენტრალურ და სამხრეთის ქვეყნებში ლაპარაკობენ ლინგვა დ'ოილზე (ფრანგულზე), ლინგვა დ'ოკზე (პროვანსულზე), si-ს ხალხურ ენაზე (იტალიურზე); საბერძნეთსა და აღმოსავლურ ზონებში გავრცელებულია ბერძნული. დანტეს მიხედვით, ეს არის ენობრივი ევროპა. მისი კვლევის ობიექტი იტალიური არეალის სიღრმისეული კვლევაა და მას ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება, იკვლევს რა ენობრივ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან ფრანგული, პროვანსული და იტალიური (ხალხურ სალაპარაკო ენებს, რომელთაც საერთო წარმოშობა აქვთ, რაც დასტურდება ისეთი სიტყვების ლექსიკური თანხვედრით, როგორიცაა Dio, amore, mare, terra, cielo და ა.შ.). საბოლოოდ კი დანტე ჩერდება იტალიურ არეალზე, კერძოდ იტალიურის შიდა განსხვავებებზე, რაც ასახულია ადგილობრივ სალაპარაკო ენებში; იგი აკვირდება სალაპარაკო ენებს საუკეთესო ხალხური ენის პოვნის მიზნით, რომელსაც განსაზღვრავს როგორც illustre - "ღირსშესანიშნავი" (ასევე aulico - "კეთილშობილური", curiale - "ამაღლებული", cardinale - "უმთავრესი"). დანტემ ეს კვლევა ჩაატარა ისეთი კრიტიერიუმების ბაზაზე, რომლებიც ხანდახან უმნიშვნელოდაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ მან ცოცხალი ენების ემპირიული რეალობისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა და ენათმეცნიერად და დიალექტოლოგად წარმოგვიდგა. დანტე აღნიშნავდა, რომ თავიანთი ბუნებრივი ფორმით სალაპარაკო ენები "ღირსნი" არ არიან იწოდებოდნენ „ამაღლებულად“; ასეთი მკაცრი განაჩენი დანტემ გამოუტანა არა მხოლოდ ისეთ "უსუფთაო", საზღვრ-

ისპირა ხალხურ ენას, როგორც პიემონტის ენაა, არამედ ფრიულურს, სარდულს, მარკეს დიალექტს და სხვ.; ყველაზე მკაცრი კი დანტე ტოსკანურისა და ფლორენციულის მიმართ იყო. სხვებზე უკეთესი შეფასება დაიმსახურეს სიცილიურმა და ბოლონიურმა, თუმცა არა თავიანთი ხალხური ფორმის, არამედ ფორმალურად მაღალი დონის ხმარების გამო, რაც ფრიდრიხ II-ის კარის პოეტებისა და გვინიცელის დამსახურება იყო. დანტეს კვლევა შემდგომ ენიდან ლიტერატურაზე ინაცვლებს; იგი ეძებს კუთხურ და ხალხურ ელემენტებს მოკლებულ იდეალურ, ”გამორჩეულ” ენას, რომელიც “მაღალი” დონის შესაბამისად იქნება შერჩეული და ჩამოყალიბებული. ეს ენა იმ სტილის მოდელებში ამოიცნობა, რომელსაც “სტილნოვისტები” და თვით დანტე განსაკუთრებული აღფრთოვანებით უყურებდნენ. მამსადაძმე, ხალხურ ენას გაკეთილშობილება უნდა მოხდეს ლიტერატურის საშუალებით – მიაჩნდა დანტეს და ამიტომაც გამოუტანა განაჩენი ტოსკანურს სხვა იტალიურ დიალექტებთან ერთად; დანტეს არა მხოლოდ ტოსკანური ხალხური ენა არ აინტერესებდა (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე), არამედ უარყოფდა ისეთ პოეტსაც, როგორც გვიტონე დ’არეცო იყო მისი უხეში და მდაბიო სტილის გამო, რომელიც საკმაოდ განსხვავდებოდა (დანტეს აზრით) სიცილიელებისა და “სტილნოვისტების” სტილისაგან. ამგვარად, ტრაქტატი “ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ” – ლიტერატურული თეორიის ტრაქტატად, უფრო მეტად კი ისტორიული და კრიტიკული ხასიათის ნარკვევად იქცა.

4. ხალხურ ენაზე შემხინილი პროზაული ნიმუშები

XIII საუკუნეში პოეზია ხარისხობრივად ძალიან შეიცვალა, განვითარდა, რასაც ვერ ვიტყვით პროზაზე. საუკუნის ყველაზე საინტერესო და ორიგინალური თხრობითი ტექსტი “ნოველინო” (Novellino) – უცნობი ავტორის ისტორიული, ნაწილობრივ ანეკდოტური ხასიათის მოთხრობების კრებულია. ეს სინტაქსურად უბრალო, თითქმის ღარიბი ტექსტია. მეცამეტე საუკუნეში პროზა ისევ ლათინურ ენაზე იქმნე-

ბოდა, ის იყო წერილობითი კომუნიკაციისა და საერთოდ კულტურის განვითარების საშუალება. ლათინურ ენაზე დაწერილი თითქმის ყველა იურიდიული, სასამართლო, ადმინისტრაციული, საბუღალტრო, ასევე ფილოსოფიური, რელიგიური, სამედიცინო და სხვა ხასიათის დოკუმენტები. ხანდახან, ამ დოკუმენტებში საქმე გვაქვს ლათინურთან, რომელიც “შინაურ” ფორმებს იღებს – მასში გამოსჭვივის ხალხური ენის სალაპარაკო ფორმები. ასეა, მაგალითად, სალიმბენე დე ადამის (Salimbene de Adam - 1221-1287) “ქრონიკაში” (Chronica). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხალხურ ენაზე ლათინური საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს. ეს კარგად ვლინდება “ვოლგარიზებულ” ტექსტებში – ტექსტებში, რომლებიც იქმნება კლასიკური ტექსტების თარგმნით, მათი გადაკეთებითა და მიბაძვით. ”ვოლგარიზება” არ შეესაბამება იმას, რაც დღეს გვესმის როგორც “თარგმანი”, რადგან შუა საუკუნეების ადამიანს თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდა წყაროებთან. “ვოლგარიზებით”, ანუ ლათინური ან ფრანგული ტექსტის ხალხურ ენაზე თარგმნით, ფაქტობრივად, იქმნებოდა მაღალი ექსპერიმენტული ფასეულობის ქმნილება და დგინდებოდა იტალიური პროზის სტრუქტურა; ამგვარად, თარგმანებში, რომლებზეც ვლაპარაკობთ, ლათინური და ფრანგული ორიგინალების მახასიათებლები გამოსჭვივის; ხშირად ეს ვლინდება ზმნის ადგილით წინადადებაში, ლათინურიდან აღებული მსახვერელ – საზღვრულის თანმიმდევრობით, მაგალითად, ლათინურის გავლენით გვაქვს “erano di lode desiderosi, e di pecunia larghi donatori” (და არა “erano desiderosi di lode, e larghi donatori di pecunia”). მეცამეტე საუკუნის პროზაზე ფრანგულის გავლენა ლათინურის გავლენასთან შედარებით გაცილებით ნაკლებია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი იტალიელი მწერალი ფრანგულად წერდა, მაგალითად, 1298 წელს მარკო პოლოს კარნახით, რუსტიკელო და პიზამ (Rustichello da Pisa) გენუის საჰაერო ბრძოლაში (სადაც ისინი ერთად იხსენიან) ფრანგულ ენაზე დაწერა “მილიონი”. ამ ნაწარმოებს დიდი წარმატება ხვდა წილად და შემდეგ ის ტოსკანურ ხალხურ ენაზეც გავრცელდა. ფრანგულ ენაზე წერდნენ მარტინო და კანალი (Martino da Canali), “ვენეციის ისტორიის” (Les estoires de Venise) ავტორი; ასევე ტოსკანელი ბრუნეტო ლატინი (Brunet-

to Latini), დანტეს მასწავლებელი და “განძის” (Tresor) ავტორი. თუ ზოგიერთი იტალიელი ფრანგულად წერდა თავის ნაწარმოებებს, რადგანაც აღიარებდა, რომ ის იყო ყველაზე “სასიამოვნო”, არაფერია უცნაური იმაში, რომ ფრანგულს “ვოლგარიზატორებზე” მოეხდინა გავლენა. იტალიურ ხალხურ ენაზე ფრანგულის გავლენა შეგვიძლია დავამოწმოთ ლექსიკური ნასესხობებით ბრუნეტო ლატინის “განძის” თარგმანიდან: giadi - “un tempo”; argento - “denaro”, vile - “città” (მღრ. ფრანგული: jadis, argent და ville).

მეცამეტე საუკუნის პროზაში ორი ენა იხმარება: ლათინური და ფრანგული, მათ ჯერ-ჯერობით არ უპირისპირდება ხალხური ენის ერთიანი ტიპი (ენა), ამ დროს სხვადასხვა ხალხური ენა გავრცელებული. მათ შორის აღსანიშნავია ძლიერი ჩრდილოეთის გავლენის მქონე ტექსტები, მაგალითად ვენეტური. ამავე დროს ბოლონის კულტურის ცენტრის პრესტიჟული პოზიცია უკავია; სწორედ იქ მოღვაწეობს გვიდო ფაბა (Guido Faba), ავტორი ტრაქტატებისა “მეწამულისფერი ძვირფასი ქვა” (Gemma purpurea - ეს არის სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია რჩევები ოფიციალური წერილების შედგენის შესახებ) და “მეტყველებანი და წერილები” (Parlamenta et epistole - რომლის თეორიული ნაწილი ლათინურად არის, პრაქტიკულში კი მოცემულია დოკუმენტების 27 მაგალითი, თითოეული მათგანი 4 შესაძლო ვარიანტით არის წარმოდგენილი, რომელთა შორის ერთი არის ხალხურ ენაზე). ეს უკანასკნელი შეიცავს ორატორულ და ეპისტოლარულ ნიმუშებს ბრწყინვალე ბოლონიურ ენაზე, რომელშიც ნათლად იგრძნობა ლათინურის ძლიერი გავლენა. საქმე ეხება ძალიან მნიშვნელოვან ექსპერიმენტს: ავტორს სურს ხალხურ ენას მიუსადაგოს რიტორიკული წესები და მკითხველს “ელეგანტური” პროზის ნიმუშებს სთავაზობს. ამ პროზაში დიალექტური ელემენტები მეტწილად ჩამოშორებული, თითქმის სრულიად გამქრალია.

უკვე აღვნიშნეთ, რომ არ არსებობდა პროზა-ნიმუში, ანუ საყოველთაო ხმარების ხალხური ენა, რომელიც მისაბადი იქნებოდა სხვა რეგიონებისთვისაც, თუმცა ფაქტია, რომ ტოსკანას როლი უკვე იკვეთებოდა, მაგრამ, ფლორენციას ჯერ არ ჰქონდა მიღებული ის ფუნქცია, რომელიც მან შემდგომ შეიძინა. ფლორენციის გარდა სხვა

ცენტრებიც გამოირჩეოდნენ, მაგალითად, არეცოდანაა ბერი რისტორო (Ristoro), ავტორი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ტრაქტატისა „სამყაროს წყობა“ (Composizione del mondo, 1282). ეს არის უნიკალური სამეცნიერო წიგნი ხალხურ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა ტექნიკური ტერმინები. ამ ტერმინებს შემდგომში დანტეს „კომედიაში“ ვაწყდებით, ესენია: epiciclo, equatore, zodiaco და ა.შ.

ჩვენ განვიხილეთ უპირატესად ლიტერატურული პროზა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებობს იმ ეპოქის ისეთი ტექსტებიც, რომლებიც დაკავშირებულია პრაქტიკული, ყოველდღიური, ეკონომიკური ინტერესების სფეროსთან; მაგალითად, სავაჭრო დოკუმენტები. ზოგჯერ ხალხურ ენაზე შექმნილი დოკუმენტები “საჯარო” ხასიათისაა; ვხვდებით ადმინისტრაციულ-სამოქალაქო ხარჯების ანგარიშებს, ასევე სხვა ტიპის დოკუმენტებსაც, მაგალითად, სამშვიდობო ტრაქტატი პიზელებსა და ტუნისის ემირს შორის (1264 წ.), რომელშიც სხვადასხვა ქვეთავების სახელწოდებები თავდაპირველად ლათინურადაა (Prologus pacis, Terminus pacis), შემდეგ კი ხალხურ ენაზე (ასეთია, მაგალითად, Di non fare male, De li fondachi, De li corsali pisani). თავად ტექსტი, დასკვნით სანოტარო ფორმულამდე, ხალხურ ენაზეა შესრულებული, მასში საერთაშორისო ტრაქტატისათვის აუცილებელი პროცედურის შესაბამისად მინიშნებაა, რომ ის წარმოადგენს “ოფიციალურ” თარგმანს არაბულიდან.

თავი მესამე

XIV საუკუნე

1. დანტე და ტოსკანურის უპირატესობა

ჩვენ უკვე გავეცანით დანტეს ტრაქტატს „ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ“, აღვნიშნეთ ის წვლილი, რაც მას პროზის განვითარებაში მიუძღვის („ახალი ცხოვრება“ და „ნადიმი“). რაც შეეხება დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, ის იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ აუცილებელია მისი გამოყოფა ავტორის სხვა ნაწარმოებებისაგან. მასში დანტემ სტილნოვისტურ ლირიკულ პოეზიასთან შედარებით უფრო ფართო რესურსებს მიმართა. „კომედიის“ თემატური და ლიტერატურული სიმდიდრე აბსოლუტურად განასხვავებს მას ამ ეპოქის ნაწარმოებთაგან, ხელს უწყობს ხალხური ენის წინსვლას და ადასტურებს, რომ ახალ ენას შეუზღუდავი პოტენციალი ჰქონდა. „კომედია“ ავტორის დევნილობაში შესრულებული ნაწარმოებია, რომელიც ენობრივად ტოსკანასა და ფლორენციას უკავშირდება, მაგრამ ჩრდილოეთ იტალიისაკენ არის მიმართული, სადაც დიდმა პოეტმა თავისი შედეგის დიდი ნაწილი შექმნა. ჩრდილოეთსა და ცენტრს შორის აშკარა კავშირი გამოიკვეთა, რისი საფუძველიც ხალხურ ენაზე შექმნილი ლიტერატურული ნიმუშების წარმატება იყო; უკვე იმავე, მეთოთხმეტე საუკუნეში გამოჩნდნენ მწერლები, რომლებიც დანტეს ჰაბაჯდნენ, ცდილობდნენ ლიტერატურული ენის „ტოსკანიზებას“, რითაც თავიანთ ენას სცილდებოდნენ. „კომედიის“ წარმატება განმსაზღვრელი იყო ტოსკანური ენის წარმატებისათვის. მან გავრცელება დაიწყო და ეს პროცესი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. იგი შეუქცევადი გახდა მთელი რიგი გარემოებების გამო; პირველ რიგში იმ ფაქტის გამო, რომ იმავე, მეთოთხმეტე საუკუნეში, კიდევ ორმა სხვა ტოსკანელმა მწერალმა შექმნა თავისი ნაწარმოებები ფლორენციულზე: პეტრარკამ „კანცონიერე“ (Canzoniere) და ბოკაჩომ „დეკამერონი“ (Decameron) პეტრარკამ, ბოკაჩომ და დანტემ ერთობლივად „სამი გვირგვინის“

სახელწოდება დაიმსახურეს, მათ გარეშე იტალიური ენის ისტორია, ალბათ, სხვაგვარი იქნებოდა.

ფლორენციული განსაკუთრებული პოტენციალით იყო დაჯილდოებული, ამის მიზეზი ფლორენციის სოციალურ-ეკონომიკური წარმატების გარდა ისიც იყო, რომ იგი გეოგრაფიულად იტალიის ცენტრში მდებარეობდა, რაც მისი ენის ჩრდილოეთსა და სამხრეთში შეღწევას ხელს უწყობდა. გარდა ამისა, ფლორენციული ლათინურს ჰგავდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი წარმატება შეუძლებელი იქნებოდა ლიტერატურის გარეშე. ლიტერატურის არსებობა გადამწყვეტი იყო ენისათვის ისეთ ქვეყანაში, როგორც იტალიაა, სადაც არ არსებობდა პოლიტიკური ერთიანობა, არ არსებობდა “სახელმწიფო” ან “ერი” ამ ტერმინების პირდაპირი მნიშვნელობით.

2. ”კომედიის” ენობრივი მრავალფეროვნება

ბრუნო მილიორინი (Bruno Migliorini- 1896-1975) თავის “იტალიური ენის ისტორიაში” დანტეს იტალიური ენის “მამად” მოიხსენიებს. ეს შეფასება სრულიად სამართლიანია და იგი უპირველეს ყოვლისა დანტეს “კომედიას” უკავშირდება. “კომედია” უნივერსალური ნაწარმოებია; იგი არა მარტო იტალიური ლიტერატურისა და იტალიელი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის კულტურის კუთვნილებაა. ნათელია, რომ ენა, რომელზეც ასეთი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოები შეიქმნა, თავისთავად მოწიფული, სრულყოფილი და მოქნილი უნდა ყოფილიყო. ტულიო დე მაურო აღნიშნავს, რომ როდესაც დანტე “კომედიის” წერას შეუდგა, იტალიური ენის ძირითადი ლექსიკონი (სიტყვათა მარაგი) 60 %-ით შედგენილი იყო; დანტემ იგი ისეთი გამდიდრებული სახით გადასცა მომავალ თაობას, რომ მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოს იტალიური ენის ძირითადი ლექსიკონი 90%-მდე შეივსო და მომდევნო საუკუნეებში ძალიან მცირე შევსებალა დასჭირდა.

ენახოთ, თუ როგორ, რა წყაროებზე დაყრდნობით შესძლო დანტემ იტალიური ენის გაფართოება, როგორ მოუტანა საკუთარ

მკითხველებს მოწიფული და დასრულებული ენის შეგრძნება, რომელიც თავისი ფორმებით ლათინურივით მდიდარი იყო. დანტეს ენაში ლათინიზმების დიდი რაოდენობით არსებობის გამო, პირველ რიგში, შედარება საკუთრივ კლასიკოსთა ენასთან უნდა მოხდეს. ლაპარაკია იმ ლათინიზმებზე, რომლებიც დანტესთან სხვადასხვა არხებით მოხვდნენ, ესენია: კლასიკური ლიტერატურა, წმიდა წერილები, თომისტური ფილოსოფია და შუა საუკუნეების მეცნიერებები. დანტეს ენაში ლათინიზმებზე საუბრისას აუცილებელია “სამოთხის” VI სიმღერის ციტირება: ჯუსტინიანის გრძელ სიტყვაში მრავალი ტერმინია შესული კლასიკური ენიდან: “Quinzio che dal cirro/negletto fu nomato” (cirro negletto - “capigliatura arruffata”), “L’alpestre rocce, Po, di che tu labi” (“le rocce delle Alpi dale quail tu, fiume Po, scorri veloce”: ზმნა labi არის მაღალი პოეტური სტილის ფორმა, რომელიც მომდინარეობს ჰორაციუსისგან, ოვიდიუსისგან და ვერგილისუსისგან), “la dov’Ettore si cuba” (“la dove Ettore dorme il sonno eterno, giace”), ამ ლათინიზმს დანტე მხოლოდ აქ იყენებს; lito rubro (“Mar Rosso”), რომელიც გვხვდება იგივე VI სიმღერაში, არის ენეიდას ციტირება (VIII, 686); ეს მაგალითები ადასტურებენ “კომედიაში” კლასიკური კომპონენტის არსებობას. ავტორი მიმართავს როგორც წარმართ ავტორებს, ისე ქრისტიანულ ტექსტებს. დანტესთან მეცნიერული ხასიათის ლათინიზმებსაც ვხვდებით, მაგალითად, ცნობილი “tetragono ai colpi di ventura” (“სამოთხე”, XVII, 24), რომელიც მომდინარეობს ლათინური tetragonus - “quadrato” (ბოეციო); მეცნიერული ხასიათის ლათინიზმების - emisperio, dilibra, inlibra გვერდით დანტე ხმარობს არაბულიდან ნასესხებ სიტყვას cenit - “zenit”, რომელიც კარგად იყო ნაცნობი შუა საუკუნეების ასტრონომებისა და მოგზაურებისათვის (ცნობილია, რომ “კომედიაში” დანტე ავლენს ასტრონომიის ბრწყინვალე ცოდნას).

დანტეს პოეტური ენის ერთ-ერთ მახასიათებლად მისი პლურილინგვიზმი (მულტილინგვიზმი) მიაჩნიათ. ის უპირისპირდება იტალიური ლიტერატურის იმ ლირიკულ მიმდინარეობას, რომლის უდიდესი წარმომადგენელიც არის პეტრარკა. პლურილინგვიზმი ლირიკული მონოლინგვიზმის საპირისპირო ცნებაა და ნიშნავს განსხვავებული

წარმოშობის ელემენტების გამოყენებას; აქ იგულისხმება არა მხოლოდ ჩვენ მიერ უკვე დამოწმებული ლათინიზმები, არამედ ნასესხობები უცხოური ენებიდან, მდაბიური ტერმინები, ტოსკანური და ასევე არატოსკანური სიტყვები. ამგვარი ლექსიკური მრავალფეროვნება გამოძინარეობს შინაარსობრივი მრავალფეროვნებიდან, რადგან “კომედია”, გარდა იმისა, რომ აღწერს ჯოჯოხეთის უფსკრულებს, ამავე დროს გვიხსნის გზას ღმერთისკენ, ემპირიულისკენ; ხდება გადასვლა დაბალიდან მაღალ რეგისტრზე, თეოლოგიურ სიმაღლეზე.

მიუხედავად იმისა, რომ “კომედიაში” ცალკეული ლათინიზმებისა და პროვანსალიზმების გარდა მთელი ნაწყვეტებია ლათინურად (“სამოთხე”, XV, 28-30) და პროვანსულად (“ხალხინებელი” XXII, 139), პოემა, მთლიანობაში, დანტეს ქმნილებებს შორის “ყველაზე ფლორენციულია”. ეს თითქოს ეწინააღმდეგება დანტეს იმ თეზისს, რომელიც მან ტრაქტატში “ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ” ჩამოაყალიბა. “ფლორენციულობა” არ ნიშნავს ფორმების გათანაბრებას მათი მკაცრი შერჩევის საფუძველზე. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ დანტე საკმაოდ თავისუფლად ხმარობს ფლორენციულის მორფოლოგიურ მახასიათებლებს, როდესაც ამას მისი პოეტური გემოვნება ჰკარნახობს. ბალდელის მოჰყავს სიტყვის serocchia მაგალითი (რომელიც ერთადერთხელაა გამოყენებული მეცამეტე და მეთოთხმეტე საუკუნეების ფლორენციულ დოკუმენტებში); დანტე serocchia-ს იყენებს სულ ორჯერ და ორივეჯერ რითმაში, მაშინ როდესაც suora და sorella ბევრჯერ გვხვდება. ეს უკანასკნელი დამკვიდრებულია სალიტერატურო იტალიურში, რასაც უთუოდ ხელი შეუწყო ამ სიტყვის როგორც დანტესეულმა გამოყენებამ, ისე მისმა ანალოგიამ სიტყვასთან - fratello .

მნიშვნელოვანია აღინიშნოს დანტეს ენის პოლიმორფიზმი “კომედიაში”, რაც დასტურდება ღიფთონგური და არაღიფთონგური ფორმების მონაცვლეობით (core / cuore, პირველი ბევრად უფრო ხშირია; foco / fuoco, თუმცა მეორე მხოლოდ ერთხელ არის ნახმარი; გვხვდება მხოლოდ buono და არა - bono); მახვილიანი მარცვლის წინ i-ს ან e-ს არსებობა (მაგალითად, virtù დომინირებს vertu-ზე, რომელიც ოთხჯერ არის ნახსენები); ანდა კიდევ a – მახვილიანი მარცვლის წინ

(danari, giovanetto წარმოდგენილია იმდენჯერ, რამდენჯერაც denari და giovinetto); ზმნათა ფორმები, როგორიცაა, მაგალითად, პირობითი კილოს ფორმები (სიცილიური ტიპი -ia-ზე და ტოსკანური -ei-ზე: vorria და vorrei ჩნდება თითოჯერ, avria უფრო ხშირია, ვიდრე avrei, თუმცა direi - diria-ზე ხშირია). ამ პოლიმორფიზმს უშედეგოდ არ ჩაუვლია; ამის შემდგომ გაჩნდა იტალიურ ენაში ტენდენცია პოლიმორფულობისადმი. დანტეს თავისუფალ დამოკიდებულებას იმ ენის მიმართ, რომლის ერთ-ერთი შემქმნელი თვითონაც იყო, ადასტურებს ისეთი ნეოლოგიზმების არსებობაც, როგორიცაა ზმნები – in პრეფიქსით, რომელთა შორის ორი “სამოთხის” ცნობილი ლექსიდანაა (IX, 81): ”s’io m’*intuassi*,come tu t’*inmii*”.

3. პეტრარკას ლირიკის ქნა

პეტრარკამ თავისი პოეტური ქმნილებებისათვის ლექსიკა გულდასმით შეარჩია. მის პოეზიაში გამორიცხულია დანტეს მიერ “კომედიაში” გამოყენებული და ლირიკული ჟანრისათვის შეუფერებელი მრავალი სიტყვა. აღსანიშნავია, რომ ხალხურ ენაზე დაწერილ პეტრარკასეულ ქმნილებათა რაოდენობა ძალიან მცირეა ლათინურთან შედარებით (ეს უკანასკნელი მოიცავს ეპისტოლარულ, ფილოსოფიურ, თხრობით და სხვა ჟანრებს); თავად “კანცონიერე” წარმოადგენდა მწერლის ერთგვარ “ელეგანტურ გართობას”, რომელსაც, მართალია, იგი დიდი გულმოდგინებით ქმნიდა, მაგრამ არ ფიქრობდა, რომ ის მას უკვდავყოფდა. ამ სიმღერებად დალაგებული ლექსების კრებულის სახელწოდება ლათინურადაა და არა ხალხური ენაზე: “*Rerum vulgarium fragmenta*” (“*Frammenti di cose volgari*” - “ნაწყვეტები ხალხური ენიდან”); ის შემოკლებულია აბრევიატურით RVF მისი ლათინური სახელწოდების მიხედვით და თარგმნილია იტალიურად როგორც “*Canzoniere*” (“სიმღერათა წიგნი”). საინტერესოა, რომ ასევე ლათინურადაა თვით პეტრარკას ხელით გაკეთებული ჩანაწერები ხელნაწერში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით “*degli Abbozzi*” (ვატიკანის 3196 ლათინური ხელნაწერი): “*hic videtur sonantior*”, “*hic placet pre omnibus*”, “*hoc plus placet*”, “*dic aliter hic*” და სხვ., თუ

გავითვალისწინებთ იმას, რომ პეტრარკა არაჩვეულებრივად ფლობდა ლათინურს, ეს ენა იყო მისთვის კულტურული კომუნიკაციისა და აზროვნების იარაღი, მაშინ ეს ფაქტი თავდაყირა აყენებს ჩვენს შეხედულებას: ხალხური ენა ამ შემთხვევაში არ არის “ბუნებრივი” ენა, ის არის დახვეწილი პოეტური ენა, რომელსაც პოეტი მიმართავს პატივისცემის ნიშნად იმ ტრადიციის მიმართ, რომელიც დანტეს საშუალებით სიცილიელებისაგან გადმოეცა; ენა, რომელსაც პეტრარკა ბუნებრივად იყენებს და რომელიც მას ნაკლები ძალისხმევა უჯდება – ლათინურია. სინტაქსის დონეზე ის ფართოდ იყენებს ლათინურისათვის დამახასიათებელ წყობას – მსაზღვრელს საზღვრულის წინ.

როგორც აღვნიშნეთ, ვატიკანის 3196 ლათინური ხელნაწერი ინახავს და თაობებს გადასცემს პეტრარკას დახვეწილ ლირიკას; ასევე არსებობს პეტრარკასეული “სიმღერათა წიგნის” საბოლოო რედაქციაც. ის საშუალებას გვაძლევს ზუსტად დადგინდეს ხალხური ენის გამოყენების დროს გაჩენილი გრაფიკული პრობლემები და პეტრარკას მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. სხვა შემთხვევაში (მაგალითად, დანტეს “კომედიის” შემთხვევაში, რომლის ხელნაწერი არ არსებობს), გაცილებით რთულია მსჯელობა ავტორის გრაფიკულ ჩვევებზე, რადგან ტექსტი შეიძლება ტექსტუალური ტრადიციის შესაბამისად იყოს შეცვლილი. პეტრარკა ერთად წერდა: *sualuce, al-mio, delbel, laprima, belliocchi*; როგორც ვხედავთ, არსებით სახელთან შეერთებულია კუთვნილებითი ზედსართავი, წინდებული, არტიკლი, ზოგიერთი ზედსართავიც კი – როგორც ეს იმ დროს ხდებოდა. ჯერ კიდევ არ არსებობს აპოსტროფი, რომელიც მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში შემოიღეს. სასვენ ნიშანთა სისტემა საერთოდ მინიმალური და განსხვავებულია მათი თანამედროვე მნიშვნელობისაგან, მაგალითად, წერტილი, დახრილი ხაზი და ძახილის ნიშანი. ასევე გვხვდება მრავალი გრაფიკული ლათინიზმი, ისეთები, როგორიცაა ეტიმოლოგიური *h* სიტყვებში: *huomo, humano, honore* (მაგრამ *ora, erba*), *x* (*extremi, excellentia, dextro*) და სხვ. გვხვდება აბრევიაციის ნიშნები: ზედა ხაზი ხმოვანზე ცხვირისმიერი თანხმოვნის აღსანიშნავად: *lāpa* - “*lampa*”, *nō* - “*non*”, ასევე გადაკვეთის ხაზი *p-* ს ფუნზე, რაც არის შემოკლებული *per*.

4. ბოკაჩოს პროზა

“დეკამერონის” მნიშვნელობა იტალიური პროზისათვის განსაკუთრებულია, რადგან პოეზიისაგან განსხვავებით, მეთოთხმეტე საუკუნის პროზას ჩამოყალიბებული ტრადიცია არ გააჩნდა. მართალია, უკვე არსებობდა დანტეს “ახალი ცხოვრება” და “ნადიმი”, მაგრამ ეს ორი ნაწარმოები უფრო პოეზიასთან მიმართებაში მოიაზრებოდა, რაც მათ პროზას საკმარის დამოუკიდებლობას ჯერ-ჯერობით ვერ აძლევდა. მართალია, თხრობითი პროზის ნიმუშები გვაქვს “ნოველინოში”, მაგრამ ეს პროზა ნებისმიერი კონტექსტისთვის არ იყო შესაფერისი. ამიტომაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარისხობრივ ნახტომს ბოკაჩოს “დეკამერონი”.

ბოკაჩოს ნოველებში მრავალფეროვანი სიტუაციები და სხვადასხვა სოციალური კონტექსტებია წარმოდგენილი; ვხვდებით ყველა სოციალური კლასის წარმომადგენელს, მმართველებიდან – მეძავებამდე; ასევე მრავალფეროვანია გეოგრაფიული ადგილებიც, რაც იწვევს ენობრივი განსხვავებების არსებობას: მონა ლისეტას (VI, 2) და კიკიბოს (VI, 4) ვენეციური, ტინგოროს (VII, 10) და ფორტარიგოს (IX, 4) სიენის დიალექტი, გლეხური ტოსკანური ნოველაში მღვდელი ვარლუნგოსა და მადონა ბელკოლორეს შესახებ (VIII, 2). ნოველებში ხშირია ხალხური მეტყველების ელემენტებით სავსე დიალოგები, ენამოსწრებული რეპლიკები, რაც აცოცხლებს თხრობას; ბოკაჩოს სტილი საკმაოდ რთულია, იგი ხმარობს რთულ წინადადებებს, დაქვემდებარებულ წინადადებათა ჯგუფებს. ლათინური სინტაქსური წყობის მსგავსად, ზმნა წინადადების ბოლოშია გადატანილი, ხშირად გვხვდება შემდეგი კავშირები: *adunque, allora, appresso, come che, avvenne che*; რთული წინადადების დასაწყისში გვხვდება მიმართებითი ნაცვალსახელი: *al quale, a cui..disse /rispose* და ა.შ. ბოკაჩოს პროზა განსაკუთრებულად მდიდარია მხატვრული ხერხებით, ის იყენებს რითმულ ელემენტებს, სინტაქსურ პარალელიზმს, ალიტერაციას, რიტორიკულ ფიგურებს.

ბოკაჩოს ხელწერა დადასტურებულია, მთლიანად მწერლის ხელითაა შესრულებული ბერლინში დაცული დოკუმენტი (ხელნაწერი ჰამილტონ 90). ბოკაჩოს, ისევე როგორც პეტრარკას ხელწერაში,

შეინიშნება ლათინიზმები: თანხმოვანი x (exempli), თანხმოვანთა ჯგუფი – ct - (decto “detto”), რომელიც ხანდახან გამოყენებულია გაორმაგებაზე მინიშნების მიზნით (stecte, სხვა შემთხვევებში ვხვდებით ფორმას stette), ისევე, როგორც ფორმა advenuto “avvenuto”-ს მნიშვნელობით; ეტიმოლოგიური h: herba, habito, honore, honesto, huomo (მაგრამ არა ზმნა avere-ს ფორმებში). წ-დან, ისევე როგორც პეტრარკასთან, და z-დან მიიღება დენტალური აფრიკატი: scioccheça -“sciocchezza”, magnificençe - “magnificenze”, mezano და ა.შ., ბოკაჩოსთანაც, ისევე როგორც პეტრარკასთან, გვხვდება ცხვირისმიერების და წინდებულის per შემოკლებები; სასვენი ნიშნების სისტემა კი უფრო მდიდარია, ვიდრე პეტრარკას “სიმღერათა წიგნში”; გამოყენებულია მძიმე, წერტილ-მძიმე, ორი წერტილი (გრძელი პაუზის მნიშვნელობით), წერტილი, დახრილი ხაზი, კითხვის ნიშანი ირიბი კითხვისათვის.

რამდენადმე პარადოქსულად ითვლება ის, რომ ჯოვანი ბოკაჩო არის ასევე ნეაპოლურ ხალხური ენაზე შესრულებული ერთი ტექსტის ავტორი, რომელსაც ეწოდება “ეპისტოლე” (“Epistola”) და დათარიღებულია 1339 წლით. ეს არის “გააზრებული დიალექტური ლიტერატურის” ერთ-ერთი პირველი ნიმუში, ანუ გაცნობიერებულია მისი განსხვავება ლიტერატურული ენისაგან; როგორც ჩანს, ბოკაჩო მას სრულყოფილად ფლობდა. საქმე ეხება სახუმარო ტონის ნაწარმოებს, რომელშიც ავტორი მიმართავს თავის ფლორენციელ მეგობარს - ფრანჩესკო დე ბარდის. ცნობილია, რომ ცხოვრების ნეაპოლური პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბოკაჩოს შემოქმედებისათვის, იქ ის უკეთ გაეცნო ვაჭართა გარემოს. “ეპისტოლე” სწორედ ამ გარემოში შეიქმნა, მასში წარმოდგენილია არანეაპოლელის მიერ გადაკეთებული და კომიკური ელფერით გაჟღერებული ნეაპოლური; ავტორს სურდა ცოცხალი ხალხური ენის “სმენით” იმიტირება. ბოკაჩოს ეს ექსპერიმენტი, თუმცა სახუმაროა, მაგრამ მნიშვნელოვანია ენობრივი თვალსაზრისით, რადგან წარმოგვიდგენს ნეაპოლური ენის ფონეტიკურ, ლექსიკურ და სინტაქსურ მახასიათებლებს.

მეთოთხმეტე საუკუნის (ანუ “ოქროს” საუკუნედ წოდებული ას-წლეულის) ისეთი გენიოსების გვერდით, როგორიც პეტრარკა და

ბოკაჩოა, იყვნენ ნაკლები მნიშვნელობის მქონე მწერლებიც; ზოგჯერ, განადიდებდნენ რა მათი ენის სიახლესა და სიმარტივეს, მათ იმ ღირსებებს მიაწერდნენ, რომელიც რეალურად არ ჰქონდათ. რელიგიურ ჟანრში პოპულარობით სარგებლობდა ორი მწერალი - დომენიკო კავალკა (Domenico Cavalca) და იაკოპო პასავანტი (Iacopo Passavanti). უკვე მეთექვსმეტე საუკუნეში იქნა აღიარებული ჯოვანი ვილანის (Giovanni Villani) ფლორენციული ქრონიკის დამსახურება, რომლის ღირსეული გამგრძელებლები იყვნენ მისი ძმა მატეო და ამ უკანასკნელის შვილი - ფილიპო. ენობრივი ღირებულებებით გამოირჩევა ასევე დინო კომპანის (Dino Compagni) “ქრონიკა” (Cronica delle cose occorrenti ne’ tempi suoi), რომელიც 1280-1312 წწ.ში ფლორენციაში მომხდარ ფაქტებს მოგვითხრობს.

5. “ვოლგარიზება”

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ იტალიური პროზის ფორმირებისათვის “ვოლგარიზების” – “გახალსურების” მნიშვნელობა. თავისუფალი თარგმანის ეს სახეობა მეთოთხმეტე საუკუნეშიც გაგრძელდა, ზოგ შემთხვევაში ის ორიგინალურ ტექსტის გადაკეთება იყო. ამგვარ ნაწარმოებებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ დომენიკო კავალკას “წმიდა მამათა ცხოვრება” (Le vite dei santi padri), ასევე ლათინურიდანაა თარგმნილი “წმიდა ფრანჩესკოს ყვავილები” (Fioretti di san Francesco), ანონიმი რომაელი ავტორის “ქრონიკა” (Cronica, რომელიც შეიცავს 1360 წლით დათარიღებულ La Vita di Cola di Rienzo-ს). ეს ტექსტი თავისი ბრწყინვალე თხრობით საუკუნის შედეგებს უტოლდება. ამ შემთხვევაში ენა ტოსკანური არ არის, ის ძველი რომაულია, რომელიც გვხვდებოდა რომაულის “სამხრეთული” ფორმებით ტოსკანიზაციამდე (ანუ XVI საუკუნემდე); ლათინური და ტოსკანური ნაწარმოებების “გახალსურება” სხვადასხვა ადგილობრივ ენებზე იყო შესრულებული: სიცილიურზე, ნეაპოლურზე, ლიგურიულზე და ა.შ.; ზოგ შემთხვევაში პროზა პოეზიაზე მეტად ინარჩუნებდა გეოგრაფიული ზონის ენობრივ გავლენას და ამით წინააღმდეგობას უწევდა ტოსკანურის დამკვიდრებას.

თავი მეოთხე

XV საუკუნე

1. ლათინური და ხალხური ენა

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პირველი ჰუმანისტი – პეტრარკა, მყარ და ჩამოყალიბებულ ენად ლათინურს მიიჩნევდა და თავისი ლიტერატურული გზავნილი სწორედ მას ანდო და არა ხალხურ ენას. ლათინურად წერისას მისი შთავგონების წყაროს ციცერონი, ლივიუსი, სენეკა, ვერგილიუსი, ჰორაციუსი წარმოადგენდნენ. ის ამჩნევდა განსხვავებას ამ მწერალთა პერიოდისა და მისი დროის შუასაუკუნოვან ლათინურს შორის. პეტრარკამ საფუძველი ჩაუყარა იმ პროცესს, რომელიც განმსაზღვრელი იყო ენის განვითარებისათვის: საკუთარი ენის “კანონიკური” მწერლების ლათინურთან შედარება მართლაც გადამწყვეტი იყო გრამატიკული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც მოგვიანებით იტალიური ენის ნორმირებას მოხმარდა. ახალი, კლასიციზტური გემოვნება დიდ ლიტერატურულ მოდელებს ჰბაძავდა. ჰუმანისტურ ტალღას, რომელიც პეტრარკამ წამოიწყო, შედეგად ხალხური ენის კრიზისი მოჰყვა, თუმცა ის მთლიანად ვერ შეაჩერა იქ, სადაც უკვე საყოველთაოდ გავრცელებული იყო; ხალხური ენის მხოლოდ “დისკრედიტაცია” მოხდა სწავლულთა თვალში, მისი პრაქტიკული გამოყენება კი კვლავ გრძელდებოდა.

არსებობდნენ ჰუმანიზმის პერიოდის პირველი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც ხალხურ ენას არ იყენებდნენ; მაგალითად, კოლუჩო სალუტატი (Coluccio Salutati - 1331-1406), რომელიც ავრცელებდა ციცერონის გავლენით შემუშავებული ლათინურის საკუთარ სტილს. სალუტატი ათწლეულების მანძილზე ფლორენციის კანცელარიას ხელმძღვანელობდა და დიდად გავლენიანი პიროვნება იყო.

ანტიკური და თანამედროვე ენების პოტენციური თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას დრო დასჭირდა. ეს მოხდა მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში და ყველაზე თვალსაჩინოდ

გამოვლინდა ფლორენციაში. თუმცა, არსებობდა განსხვავებული და უფრო გავრცელებული დამოკიდებულებაც: ხალხური ენის უგულვებელყოფა. მაგალითად, ჯორჯო ვალა (Giorgio Valla) მიუთითებდა *cantiunculas*-ზე, დანტეს და პეტრარკას მიერ გაუნათლებელი ხალხისათვის იტალიურად დაწერილ “კანცონჩინებზე”. ჯორჯო ვალასა და მისი მიმდევართა აზრით, ლათინური ყველაზე კეთილშობილური ენა და ლიტერატურული უკვდავების გარანტი იყო; ხალხური ენის ხმარება კი მისაღები იყო მხოლოდ პრაქტიკულ, საქმიან დოკუმენტებში. ჰუმანისტებს თვალწინ ჰქონდათ ლათინურის დიდი ტრადიცია, რომელიც ბევრად აღემატებოდა ხალხური ენისას, თვლიდნენ, რომ ეს მდგომარეობა არასოდეს შეიცვლებოდა. ამიტომაც, ხალხური ენის მიმართ რწმენით გამსჭვალვა გაურკვეველი მომავლისათვის მინდობას ნიშნავდა, მაშინ, როცა ლათინურის მნიშვნელობაზე არც კი კამათობდნენ. ჰუმანისტური პოზიცია შეიძლებოდა იქამდეც მისულიყო, რომ ხალხური ენა საერთოდ არ ელიარებინა, მისთვის იგნორირება გაეკეთებინა, რადგანაც ჰუმანისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ლათინურის გარდა სხვა ტრადიცია არც მანამდე და არც მაშინ არ არსებობდა.

2. მსოფრივი ვარიაციები ლათინურისა და ხალხური ენის ბაზაზე

ჰუმანისტურმა კულტურამ ლიტერატურული შემოქმედების გარკვეული სახეობები შექმნა, რომელშიც ლათინური და ხალხური ენა მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ; უმეტესად ეს კომიკური ეფექტის შესაქმნელად ხდებოდა, უფრო იშვიათად კი სერიოზული მიზნებისთვისაც. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ჰუმანიზმის საუკუნესა და მეთექვსმეტე საუკუნის პირველ წლებში, ლათინურისა და ხალხური ენის შერევის შემთხვევები ხშირი იყო. ეს არ იყო გამოწვეული ხალხური ენის არცოდნით; იმ ეპოქის მწერლები ასეთ აღრევას შეგნებულად მიმართავდნენ. “განსწავლული” ლათინურისა და ხალხური ენის აღრევის ორი ფორმა არსებობდა: *macaronico* და *poliflesco*.

ტერმინით “მაკარონული” აღინიშნება მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს პადოვაში გაჩენილი კომიკური ენა (და პოეტური ჟანრი). ეს ენა ხასიათდება ხალხური ენის სიტყვების პაროდული ლათინიზაციით, ან ლათინური სიტყვების დიალექტური დამახინჯებით. ამ კომპონენტებიდან ერთ-ერთი, დიალექტური – მდაბიური, პლებეურია, მეორე კი - ლათინური - ღირსებით აღსავსე, მაღალფარდოვანი; აქედან იბადება კონტრასტი, რომელიც განსაკუთრებულ ეფექტს ქმნის. “მაკარონული” ენა - შერეული სიტყვების ჩამოყალიბებას გულისხმობს: ხალხური ენის სიტყვას შეიძლება მიუერთდეს ლათინური დაბოლოება: cercabat “cercava” (“cercare” + - abat ლათინური უსრული დროის დაბოლოება), ficavit - “ficcò “ (“ficcare” + - avit ლათინური სრული დროის დაბოლოება), putannarum - “delle puttane” (“puttana” + - arum ლათინური გენიტის მრავლობითი); სხვა შემთხვევაში, როგორც ლათინურში, ისე ხალხური ენაში არსებული საერთო სიტყვები საკუთრივ ხალხური ენის მნიშვნელობით გამოიყენება, მაგალითად: casa “სახლი” (რომელიც ლათინურად ნიშნავს “ქოხს”); ლათინური სიტყვები ერთმანეთთან ხალხური ენის სინტაქსური წყობით არის დაკავშირებული: propter non perdere tempus - “per non perdere tempo”. გვხვდება დიალექტური სიტყვების ლათინიზებული შემთხვევები; ლათინურის ფლექსიური სისტემა განდევნილია წინდებულების გამოყენების გამო და გვხვდება: Regina de Franza, factam de ferro და ა.შ., ყოველივე ამის შედეგად მიღებულია ლათინური, რომელიც თითქოს სავსეა “შეცდომებით”; საყურადღებოა, რომ “შეცდომა” შეგნებულად არის დაშვებული: “მაკარონული” ტექსტის ავტორი შესანიშნავად ფლობს ლათინურს, იგი თითქოს “თამაშობს” კლასიკოსთა ენით. აქ ვლინდება მწერლის განზრახვა, “დასწიოს” ტონი კომიკური ეფექტის შექმნის მიზნით და ამისათვის მიმართოს უკვე აღნიშნულ თუ სხვა ენობრივ საშუალებებს. მაგალითად, უკვე აღნიშნულ კონტექსტში მიმართოს კლასიკოს ავტორთა ციტირებას (რაც შეუსაბამობის გამო ქმნის ეფექტს), ან შეადაროს ისეთი ელემენტები ერთმანეთს, რომელთა შედარებაც თავისთავად აბსურდულია, შემოიტანოს სასაცილო, უხამსი ელემენტები. მაკარონული პოეზია (რომლის სახელი მომდინარეობს საკვებიდან – “მაკარონი”, ანუ

ცომის პატარა ბურთულების სახეობიდან; როგორც ვხედავთ, საქმე ეხება თვალშისაცემ “ხორციელ” წარმომავლობას, რომელიც პაროდიულ ეფექტს ქმნის პოეზიის “არამიწიერ” ბუნებასთან მიმართებაში); ეს არის “თამაში” განათლებული ხალხის გასართობად.

“მაკარონულისავან” განსხვავდება “პოლიფილესკო”, რომელსაც “პედანტურსაც” უწოდებენ (pedantesco) (ასევე “ფიდენციურსაც”, მეთექვსმეტე საუკუნის ნიმუშების მიხედვით, ვიჩენცელი კამილო სკროფას Canticci di Fidenzio - ს სახელწოდებიდან).

პროზაული პედანტური ენის უაღრესად საინტერესო და განსაკუთრებულ ნიმუშად მიიჩნევა ანონიმური რომანი “Hypnerotomachia Poliphili”, რომელიც შემონახულია ვენეციაში გამოცემული 1499 წლის ბრწყინვალედ ილუსტრირებული გამოცემით.

მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ იტალიაში მოღვაწე ზოგიერთი მქადაგებლის, მაგალითად, ბერნარდინო და ფელტრეს (Bernardino da Feltre) ენაში ლათინური და ხალხური ენა ისე იყო შერწყმული, რომ “მაკარონულ” ენას ჰგავდა. ლათინურისა და ხალხური ენის შერევა, რა თქმა უნდა, მეთხუთმეტე საუკუნისეული ქადაგების სიანხლე კი არ არის, არამედ მემკვიდრეობით მიღებული შუასაუკუნეობრივი ტრადიციაა. შუასაუკუნეობრივ ქადაგებაში ლათინური არა მხოლოდ ამოსავალ წერტილად გამოიყენებოდა ბიბლიის გარკვეული სრტიქონების მისათითებლად, არამედ იხმარებოდა თვით ქადაგების, წმიდა წერილებისა და წმიდა მამათა ციტირებისას. მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის მქადაგებლებთან კი ლათინური გამოთქმები და ფრაზები მყარად თანაარსებობენ დიალექტებთან, თანაც ისეთ ხორციელთან და მიწიერთან, რომ აშკარად იქმნება კომიკური ელფერი. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ციტატა ბერნარდინო და ფელტრეს ქადაგებიდან:

Pauperes in mundo ad omnibus sono scazati e refutati etc. Item, in magnis curtibus, si gallina vadit in pallatium vel cameram domini: Dond' e' venuta questa gallina? caza, caza etc. O povera galinetta, quottidie facit ovum et e' scazata etc.

როგორც აღვნიშნეთ, მეთხუთმეტე საუკუნის ნაწარმოებებში ხშირია ლათინურისა და ხალხური ენის თანაარსებობა. იგივე ვითარებაა პრაქტიკული ხასიათის ტექსტებშიც, როგორცაა ეპისტოლეები, მოხსენებები, დღიურები, საოჯახო და რეცეპტების წიგნებიც კი. ლათინიზმი ხალხური ენის დოკუმენტის კონტექსტში ხშირად აიხსნება ჩვევით; მაგალითად, წერილებში ხშირია ინიციალური და ფინალური ფორმულები ლათინურად, რომლითაც მიმართავენ ან ემშვიდობებიან ადრესატს. მეთხუთმეტე საუკუნის წერილებში, გარდა უკვე ნახსენებები ინიციალური და ფინალური ფორმულებისა, ხშირია ლათინური ფრაზებისა და სიტყვების შემთხვევითი ჩართვები. მრავალი მათგანი საჭირო და გავრცელებული ფორმულებია, მათი გამოყენება ისე გადადის პრაქტიკულ ხმარებაში, რომ შეუმჩნეველი რჩება იმდროინდელი მკითხველისათვის: cum - “con”, maxime - “massimamente”, quondam - “un tempo”, non solum - “non solo”, insuper - “in aggiunta”, ultra - “oltre”, autem - “d'altra parte” და ა.შ. მეთხუთმეტე საუკუნისდროინდელ ყველა ტიპის ტექსტში, ბუნებრივია, გვხვდება მრავალი გრაფიკული და ლექსიკური ლათინიზმი, რადგანაც საერთო ხმარების ენა ჯერ კიდევ ლათინური იყო და ყველა განათლებული ადამიანი მას იყენებდა.

3. ლეონ ბატისტა ალბერტი და პირველი ბრამატიკა

ჩვენ უკვე აღვწერეთ, თუ როგორ მოხდა ხალხური ენის, როგორც ლიტერატურული ენის განვითარების შენელება, რაც გამოწვეული იყო ჰუმანისტთა მიერ კლასიკური ენის არჩევანით. არ ჩანდა დიდი ავტორიტეტის მქონე მწერალი, თეორიული ნიჭის მქონე ლიტერატორი, რომელიც სრული რწმენით იქნებოდა გამსჭვალული იტალიური ენის მიმართ. მართალია, ამგვარ დოქტრინას წარმოადგენდა დანტეს “ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ”, მაგრამ ეს ტრაქტატი ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი და ცნობილი მეთხუთმეტე საუკუნეში; ამგვარად, მას არ შეეძლო გავლენის მოხდენა ჰუმანისტებზე. ამ

ფონზე სრულიად ახალი იყო უდიდესი ინტელექტუალის - ლეონ ბატისტა ალბერტის პოზიცია (თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი არქიტექტორი). მან დაიწყო “ხალხური ენას ჰუმანიზმად” წოდებული მოძრაობა და შეიმუშავა ახალი ლიტერატურული იტალიური ენის ევოლუციის ჭეშმარიტი პროგრამა. ეს პროგრამა ვარაუდობდა პოეზიისა და, განსაკუთრებით, მაღალი პროზის შედეგების შექმნას, რომლებშიც განიხილებოდა სერიოზული და მნიშვნელოვანი თემები; ასეთებია: ტრაქტატი “ოჯახის შესახებ” (*Della famiglia*) და ვოლგარიზებული სამეცნიერო ნარკვევები – “მხატვრობის შესახებ” (*De pictura*) და “მათემატიკური თამაშები” (*Ludi rerum mathematicarum*). ალბერტი დარწმუნებული იყო, რომ ლათინ მწერლებს პირველ რიგში მისაბადი ის ჰქონდათ, რომ ისინი საყოველთაოდ გავრცელებულ და ყველასთვის გასაგებ ენაზე წერდნენ. როგორც კლასიკური ლათინური, ხალხური ენაც “ყველას ენა” იყო, მაგრამ საჭირო იყო მისი მაღალ დონეზე აყვანა, “სწავლულთა” ნდობის მოპოვება. ლათინური ხალხური ენისათვის გზის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. შემთხვევითი არ არის, რომ ალბერტის პროზა ხასიათდება ლათინიზმების სიუხვით, თანაც უფრო სინტაქსის დონეზე, ვიდრე ლექსიკისა და ფონეტიკის (მაგრამ იმ უკიდურესობების გარეშე, რომლებიც ახასიათებდა “*poliflesco*”-ს სტილს). მიუხედავად იმისა, რომ ალბერტი გენუაში დაიბადა და მხოლოდ ოცდახუთი წლის ასაკში გადავიდა ოჯახთან ერთად ქ. ფლორენციაში (1429 წელს), მის ენაში ლათინურის მიბაძვა ერწყმის ტოსკანური ენის “ხალხური შტრიხების თავისუფალ ხმარებას” (ლ.სერიანი).

ალბერტის სახელს უკავშირდება მისი თანამედროვე ხალხური ენის პირველი ჰუმანიზტური გრამატიკის შექმნა. ეს “ტოსკანური ენის გრამატიკა” (*Grammatica della lingua toscana*) დაცულია ვატიკანის ბიბლიოთეკაში (რის გამოც ის ასევე ცნობილია “*Grammatica vaticana*”-ს სახელით, სადაც კინობითი ფორმა მიანიშნებს ნაწარმოების მცირე მოცულობაზე). ტექსტის მოკლე წინასიტყვა წარმოადგენს პოლემიკას იმათთან, ვინც მიიჩნევდა, რომ ლათინური არის მხოლოდ სწავლულთა ენა. “*Grammatica vaticana*” დაიბეჭდა ერთგვარი გამოწვევის შედეგად: ეს იყო იმის დასაბუთება, რომ

ლათინურის მსგავსად ხალხურ ენასაც აქვს საკუთარი, მწყობრი გრამატიკული სტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად ხალხური ენა სხვა ევროპულ ენებზე ძველი იყო, მას მაინც არ ჰქონია დიდი გავლენა, რადგან მას არ იყენებდნენ და მასზე არ ბეჭდავდნენ. იტალიური ენის პირველი პოლიგრაფიული გრამატიკა საკმაოდ გვიან, 1516 წელს გამოვიდა.

ალბერტის “გრამატიკაში” გამახვილებულია ყურადღება იმ დროის ტოსკანურზე, მოყვანილია ზოგიერთი მორფოლოგიური საკითხი: არტიკლ il - ის შეცვლა არტიკლით el, უსრულ დროში – 0 დაბოლოებისათვის უპირატესობის მინიჭება. არტიკლი il დომინანტური ფორმა იყო ფლორენციაში მეთოთხმეტე საუკუნის შუახანებამდე (გვხვდება დანტესთან, პეტრარკასთან და ბოკაჩოსთან), მეთხუთმეტე საუკუნეში კი, “Grammaticetta” - ს შესაბამისად, დამკვიდრდა el ფორმა. ამის ანალოგიურად, XV საუკუნეში, ფლორენციაში, io amavo-ს ტიპის უსრულმა ნამყო დრომ (“სამი გვირგვინისათვის” უცნობმა) შეცვალა ფორმა io amava. მაშასადამე, ნორმა, რომლის მიხედვითაც “Grammaticetta” დაიწერა, ემყარება ცოცხალ ხმარებას და არა ანტიკურ მწერალთა შემოქმედების ნიმუშებს.

1441 წელს ალბერტის ინიციატივით ტოსკანური ენის პოპულარიზაციისათვის მოეწყო პოეტური პაექრობა (Certame coronario), რომელშიც მონაწილეები ერთმანეთს ხალხურ ენაზე შექმნილი ნაწარმოებებით ეჯიბრებოდნენ. ჰუმანისტებისაგან შემდგარ ჟიურის პრემია არავისთვის გადაუცია, მაგრამ ამ მოვლენას გარკვეული გამოხმაურება მაინც მოჰყვა; ჟიურის მისამართით გაიგზავნა ანონიმური “პროტესტი”, რომელიც, სავარაუდოდ, თვით ალბერტის ეკუთვნოდა. ეს “პროტესტი” “იტალიური სალიტერატურო ენის ისტორიის ამ კრიტიკული პერიოდის არაჩვეულებრივ დოკუმენტად” აღიარეს (მარკო ტავონი). მისი ავტორი საყვედურს გამოთქვამს ხალხური ენას მოწინააღმდეგეთა მისამართით, რომლებიც არასწორად მიიჩნევენ, “რომ ისეთ ენას, როგორიც იტალიურია, პრეტენზია აქვს ლათინურთან გაჯიბრებისა”. ასე გააკრიტიკეს ჰუმანისტური კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციული კონსერვატიული პოზიცია.

4. ხალხური ენის დამკვიდრება

ფლორენციაში, “ბრწყინვალედ” წოდებული ლორენცო დე’ მედიჩის (Lorenzo de’ Medici, il Magnifico) პერიოდში, საბოლოოდ აგორდა “ტოსკანურის ძლიერი ტალღა, რომლის მიმართ პოლიტიკური განწყობა არსებობდა და რომელსაც მხარს ყველაზე მაღალ დონეზე უჭერდნენ” (მარკო ტავონი). ამ ინიციატივის მთავარი მოქმედი გმირები ლეონ ბატისტა ალბერტი, ლორენცო დე’ მედიჩი, ჰუმანისტი ქრისტეფორე ლანდინო (Cristoforo Landino, 1424-1498) და ანჯელო პოლიციანო (Angelo Poliziano, 1454-1494) იყვნენ. ქრისტეფორე ლანდინო დანტესა და პეტრარკას იმგვარი თაყვანისმცემელი იყო, რომ ამ პოეტების ნაწარმოებების შესწავლა ცალკეულ საგნად უნივერსიტეტის კედლებშიც შეიტანა. მე-14 საუკუნის პოეტების ასეთი კულტი ვერც ერთ სხვა ქალაქში ვერ მოიკიდებდა ფეხს, მაგრამ აქ, ამგვარ გამოცდილებას, მიუხედავად ნაწილობრივ მისი სიახლისა, მაინც ღრმა ფესვები ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ ბოკაჩოს *Lecturae Dantis* უკავშირდებოდა. ლანდინომ წარმოადგინა თეზისი, რომელიც ნაწილობრივ ლეონ ბატისტა ალბერტის შეხედულებებს მოგვაგონებს: ავტორი უარყოფდა იმ აზრს, რომლის მიხედვითაც ხალხური ენა ლათინურთან შედარებით “დაბალი დონისაა” და ფლორენციის მოსახლეობას ენობრივი “პირველობის” მოსაპოვებლად მოქმედებისაკენ მოუწოდებდა. 1482-1484 წწ.-ში დაწერილი “სონეტების” კომენტარების შესავალში, ლორენცო ბრწყინვალე ფლორენციულს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა; ამგვარად, ენის განვითარება უკვე “პატრიოტულ” განწყობას უკავშირდება, ის გაიგება როგორც მედიჩების სახელმწიფო გაძლიერება, ამ რეგიონის კულტურისა და ხელოვნების წინსვლა და მრავალი დარგის აღორძინება. ეს შეხედულება განსაკუთრებით XVI საუკუნეში, კოზიმო პირველი დე’ მედიჩის პოლიტიკური მოღვაწეობის დროს გამოიკვეთა.

ლანდინო სხვა საქმიანობითაც იყო დაკავებული; მას ეკუთვნის დანტეს კომენტარები, მანვე თარგმნა ხალხურ ენაზე პლინიუსის “ბუნებრივი ისტორია” (*Naturalis Historia*, 1476 წ.), ეს უკანასკნელი ტექნიკური და სამეცნიერო-ენციკლოპედიური ტერმინებით დატ-

ვირთული განსაკუთრებულად რთული ტექსტია. ლანდინო ფლორენციული ენის ლათინურითა და ბერძნულით გამდიდრებას ცდილობდა (ამ მიზნით თარგმანებს მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა), თუმც უხვად იყენებდა ტოსკანურ ხალხურ სიტყვებსაც.

1477 წელს, ლორენცო ბრწყინვალემ ფედერიკოს, ნეაპოლის მეფის, ფერდინანდის შვილს, ლექსების კრებული გაუგზავნა, რომლის სახელწოდება იყო “ანთოლოგია” ანუ “არაგონული კრებული” (Silloge o Raccolta aragonese). ეს კრებული იწყება დანტესა და “სტილნოვისტების” შემოქმედებით და მთავრდება ლორენცო დე’ მედიჩის შემოქმედებითი ნიმუშებით. მას თან ახლავს მნიშვნელოვანი ეპისტოლე, რომელიც შექმნილია ლორენცო დე’ მედიჩის პირადი მდივნის, ანჯელო პოლიციანოს მიერ. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ, 1476 წელს, კრებულის შედგენამდე ერთი წლით ადრე, ფედერიკო, ნეაპოლის სამეფო გვირგვინის მემკვიდრე, პიზაში შეხვდა ლორენცო დე’ მედიჩის. მათ ისაუბრეს ხალხურ ენაზე შექმნილი ლიტერატურის შესახებ, იმ პოეტებზე, რომლებიც ტოსკანურ ენაზე თხზავდნენ. მომდევნო წელს კი, ლორენცომ ფედერიკოს ამ ავტორების კრებული გაუგზავნა (პოლიციანოს ხელით); ეს იყო ზოტბა იმ ენისა და ლიტერატურისა, რომელიც დანტესაგან და პეტრარკასაგან მოდიოდა.

ხალხური ენა მაღალი ლიტერატურული საქმიანობის “იარაღად” აღიქვეს, რომელიც მაღალ საზოგადოებასთან ასოცირდებოდა, ვინაიდან მწერლებმა, რომელთაც შეეძლოთ კლასიკური ლიტერატურის სათანადოდ დაფასება და მისგან დიდი სიამოვნების მიღებაც, აღნიშნული თეორიული მოსაზრებების გამო განსაკუთრებული განწყობა გამოავლინეს ხალხური ენის ფორმებისა და გამოთქმების მიმართ და ისინი თავიანთ პოეზიაში გამოიყენეს. საინტერესოა ამ თვალსაზრისით “გლეხური ლიტერატურის” (letteratura rusticale) ექსპერიმენტი, რომელსაც განეკუთვნება ლორენცო დე’ მედიჩის პოემა “ნენჩა ბარბერინოდან” (Nencia და Barberino). ბევრად უფრო რთულია ანჯელო პოლიციანოს პოეტური ქმნილებები, რომელსაც შეეძლო სამ ენაზე – ლათინურზე, ბერძნულსა და ტოსკანურზე წერა.

მედიჩების გარემოცვაში ხალხური კულტურა არნახული წარ-

მატებით სარგებლობდა; პირველად მაშინ გავრცელდა “რაინდული სიმღერა” (*cantare cavalleresco*), ეს რვა მარცვლიანი სიმღერა სახალხო ზეიმებზე და მოედნებზე სრულდებოდა. მას პროფესიონალი მომღერლები საშუალო და დაბალი ფენის საზოგადოების გასართობად ასრულებდნენ. სრულიად სხვა მკითხველისათვის იყო განკუთვნილი ლუიჯი პულჩის (1432-1484) “მორგანტე” (“*Morgante*”) – 23 სიმღერისაგან შემდგარი ეპიკური პოემა. ის დაიწერა 1461-81 წწ.-ში, ლორენცო ბრწყინვალეს დედის - ლუკრეცია ტორნაბუონის დაკვეთით. ეს ნაწარმოებიც მედიჩების აღორძინების ხანის იმ ლიტერატურას განეკუთვნება, რომელიც ხალხური კულტურის ფორმების “ამაღლებულ” გადახალისებას გულისხმობს. ლუიჯი პულჩი ენობრივი თვალსაზრისით ერთობ საინტერესო ავტორია, კონკრეტულად კი უნდა გამოიყოს მისი წერილი ახალგაზრდა ლორენცოსადმი, რომელიც “*furbesco*”-ზეა შესრულებული (აქ საქმე გვაქვს იტალიურ ლიტერატურაში ჟარგონის პირველ გამოყენებასთან), მან შეადგინა ასევე იტალიური ლექსიკონის “წინაპარი” – “*Vocabolista*”, რაც წარმოადგენს ლექსიკის კრებულს პირადი მოხმარებისათვის. ამ ლექსიკონში შესულია 700-ზე მეტი ლათინური სიტყვა, რომლებიც თარგმნილია საყოველთაოდ გავრცელებულ ენაზე (მაგ.: “*latebra*” – “*luogo nascosto e segreto*”); მათ შორის წარმოდგენილია ბოტანიკის, ზოოლოგიისა და სხვადასხვა ჟარგონული ტერმინებიც.

ასევე ფლორენციელი მწერალია დომენიკო დი ჯოვანი ბურკიელი (*Domenico di Giovanni Burchiello*, 1404-1449), რომელიც ცნობილი იყო როგორც კომიკური პოეზიის ავტორი; მისი პოეზია დაფუძნებულია სიტყვათა ორაზროვნებაზე, ახალი სიტყვების შედგენაზე. ეს პოეზია უკავშირდება მანამდე არსებულ რეალისტურ-სახუმარო ლიტერატურას, კომიკურ-ბურლესკურ ტრადიციას, რომელიც XII-XIV საუკუნის პოეტებიდან (ჩეკო ანჯოლიერი და რუსტიკო ფილიპი) მომდინარეობდა. ბურკიელის შემოქმედებაში სასაუბრო იტალიურის იმიტაციებიც უხვადაა; სამი სონეტისაგან შემდგარ მის პოეტურ ქმნილებაში ერთი სონეტი ვენეციურის პაროდიაა, მეორე – სიენურის, მესამე კი – რომაულის (დაიწერა რომში გატარებული პერიოდის შემდეგ 1445-1449 წწ.).

5. რელიგიური ლიტერატურის ლიტერატურის გავლენა

რელიგიური ლიტერატურა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა, რადგანაც მისი საშუალებით ხალხში ცენტრალური და ტოსკანური ენობრივი მოდელები ვრცელდებოდა. XV საუკუნეში ვხვდებით ხოტბათა კრებულს (Laudari), რომელიც გავრცელებული იყო ჩრდილოეთ იტალიაში, მათ შორის ისეთ რეგიონშიც, როგორცაა პიემონტი, რომლის დიალექტი შორს იყო ტოსკანურისაგან და უფრო ფრანგულთან იყო მიახლოებული. პიემონტის დიალექტში, მაგალითად, – are-ზე დამთავრებული ლათინური ზმნებისაგან მიღებული პიემონტური ზმნების ინფინიტივის დაბოლოებები არის – è და არა - are (cantare > cantè). ზოგ პიემონტურ ხელნაწერში იგრძნობა მისი ტოსკანურისთვის მიმსგავსების მცდელობა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ზერეგიონალური კოინეს დონისკენ სწრაფვა. ხალხისათვის იდგმებოდა რელიგიური წარმოდგენები, რომლებიც “ლაუდარების” მსგავსად, მათ უფრო “კეთილშობილური”, “ტოსკანიზებული” ენის გაცნობის საშუალებას აძლევდნენ. ასე რომ, მართლაც დიდია რელიგიური ლიტერატურის მნიშვნელობა, რომელიც ხალხში იტალიურ ფორმებს აგრცელებდა.

ქადაგებაც ხალხისადმი იყო მიმართული და, მაშასადამე, ხალხურ ენაზე უნდა ყოფილიყო. ამიტომაც, ქადაგების ხალხური ენა ძალიან ზშირად დიალექტს ან ადგილობრივ “აღმატებულ” ხალხურ ენას უახლოვდებოდა. მე-15 საუკუნეში უკვე გვაქვს შემთხვევები, როდესაც ამ სფეროშიც ტოსკანური ენა თავის ბუნებრივ გეოგრაფიულ საზღვრებს მიღმაც პრესტიჟული ხდება. მქადაგებლებს შორის გამორჩეული ფიგურაა წმ. ბერნარდინო სიენელი (Bernardino da Siena, 1380-1444). მისმა ტექსტებმა ჩვენამდე ავტორისეულ ორიგინალში ვერ მოაღწიეს, ამიტომ ისინი ნაკლებ სარწმუნოა ფონეტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით, თუმც, საინტერესოა სინტაქსური, სტილისტური და ლექსიკური მახასიათებლებით. ეს ტექსტები საკმაოდ კარგად ასახავენ ზეპირმეტყველებას. წმ. ბერნარდინო ცდილობდა გამოეყენებინა სალაპარაკო, მარტივი ენა, ამიტომაც ბევრია ყოველდღიური სალაპარაკო ენიდან აღებული ნიმუშები; შესაბამისად, მსმენლისათვის მისი სიტყვიერება ახლობელია. წმ. ბერნარდინო აცნობიერებდა, რომ

მისი ქადაგებები სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებში უნდა მოესმინათ. ის აღნიშნავდა ტოსკანურის ევოლუციას და ამბობდა, რომ მისი შემქმნელი თავად ის საზოგადოება იყო, რომელიც ამ ენას იყენებდა. აღსანიშნავია, რომ ბერნარდინოს ენა სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებში გავრცელებული სიტყვებისაგან შედგება. ის ამბობს: “როდესაც მე სხვადასხვა ადგილებში ვმოგზაურობდი, ყოველთვის ვცდილობდი ძელაპარაკა მათი ლექსიკით, ვინც იმ მიწაზე ცხოვრობდა. ამით ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, el mattone არის ბიჭუნა და la mattona – გოგონა” (“Quando io vo predicando di terra in terra, quando in giogno in un paese, io m’ingegno di parlare sempre sicondo i vocaboli loro; io avevo imparato e so parlare al lor modo molte cose. El mattone viene a dire el fanciullo, e la mattona la fanciulla”) (Prediche volgari). მართლაც, mattone და mattona ჩრდილოეთის დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური წყვილია.

განსხვავებული შემთხვევაა ჯიროლამო სავონაროლა (Girolamo Savonarola, 1452-1498), რომელიც ჩრდილოეთ იტალიიდან იყო, თუმცა ფლორენციაში ჩამოსვლის შემდეგ, იმის გამო, რომ ხალხისათვის უნდა მიემართა, მანაც გაითავისა ტოსკანურის მნიშვნელობა. ის იძულებული გახდა თავისი ენა “გაეტოსკანურებინა”. ტავონის მოჰყავს ნაწვევები სავონაროლას “ამოსის წინასწარმეტყველებიდან” (Prediche di Amos), შესაძლოა, ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი ნიშნები ტექსტის შემგროვებელმა – ფლორენციელმა ლორენცო ვილიმ ამოიღო, რომელმაც ის, სავონაროლას თანხმობით, 1497 წელს დააბეჭდინა. სავონაროლას მიერ დაწერილ წერილებთან შედარებით, რომელთაც აშკარად აქვთ ჩრდილოეთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ეს ქადაგებანი უფრო “ტოსკანიზებული” ჩანს.

თვით ის ფაქტი, რომ მქადაგებლები ერთი ადგილიდან მეორეზე მოგზაურობდნენ, უბიძგებდა მათ, რომ უკეთ დაუფლებოდნენ ხალხურ ენას და ხალხთან კომუნიკაცია ერთი რეგიონის საზღვრებგარეთაც შეძლებოდათ. საგულისხმოა, რომ მქადაგებლები პროფესიონალები იყვნენ; იმის შესაბამისად, თუ სად იმყოფებოდნენ და რომელ გეოგრაფიულ ადგილას უწევდათ მოღვაწეობა, ისინი ადგილობრივ ლექსიკას ითვისებდნენ და მას ქადაგებებში იყენებდნენ.

6. კონიგე და კანცელარიის ენა

პროზისაგან განსხვავებით, ხალხურ ენაზე შექმნილი პოეზია თავიდანვე ერთგვაროვნებით ხასიათდებოდა და ამიტომაც, მალე ჰომოგენურ სისტემად ჩამოყალიბდა. პროზა კი ხშირად განიცდიდა ცვლილებებს, მისი ენა არ იყო ერთგვაროვანი. ყველაზე მისაღები და ავტორიტეტული ბოკაჩოს მოდელი იყო, მაგრამ ის კონკრეტულ ლიტერატურულ ჟანრს – ნოველას განეკუთვნებოდა, ხოლო პროზის ნოველისტურ-ნარატიული ჟანრით შეზღუდვა შეუძლებელი იყო; სამწერლო ენით უნდა გადმოეცათ როგორც პირადული, ისე საკანცელარიო და სამეცნიერო ხასიათის ტექსტები. ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ სხვადასხვა scriptae-ებზე – იმ ეპოქის დოკუმენტების მიერ დადასტურებულ და გარკვეულ სოციალურ და გეოგრაფიულ სივრცეში მოთავსებულ სამწერლო ენებზე (“მაღალი”, ჩრდილოეთის, ვენეციური, ლომბარდიული scripta; საკანცელარიო, ვაჭრების, მეფის კარის scripta და სხვ.) scriptae-ების ტრადიცია XV საუკუნემდეც არსებობდა; მაგრამ XV საუკუნიდან აღინიშნება ამ ენების გარკვეული უნიფიცირება, ანუ მკვეთრად გამოხატული ადგილობრივი ფორმების გაუქმება. შედეგად, ძნელი ხდება მათი რომელიმე კონკრეტული ტერიტორიისათვის მიკუთვნება. ეს ფაქტი განსაკუთრებით ჩრდილოეთს ეხება. მაშასადამე, scriptae-ების გათანაბრება იწყება XV საუკუნიდან და ამ ტენდენციას კონინეს ჩამოყალიბებისაკენ მივყავართ. ტერმინით “კონინე” აღინიშნება ზედილეტური, საყოველთაო ენა. XV საუკუნის კონინე წარმოადგენს სამწერლო ენას, რომელშიც ნაწილობრივ მაინც დასტურდება ადგილობრივი მახასიათებლების გაუქმება, რაც ხდება მათ ნაცვლად ლათინიზმებისა და, შეძლებისდაგვარად, ტოსკანური ელემენტების დამკვიდრების საშუალებით.

ამ ენის გავრცელების ახსნა შეუძლებელი იქნება თუ არ გავითვალისწინებთ კანცელარიების საქმიანობას, რომელსაც დიდებულთა კარზე ეწეოდნენ. სინიორთა კულტურაში (ჰუმანისტური კულტურისაგან განსხვავებით) “ჰუმანიზმის მნიშვნელობის ზრდა ხალხური ენის დათრგუნვას კი არ ნიშნავდა, არამედ პირიქით, მის გავრცელებასა და განშტოებას” (გ. გინასი). სწორედ XV საუკუნიდან სხვადასხვა

სიტუაციებში გამოყენებული ხალხური ენას წერილობითი ფორმები (მაგ.: საზოგადოებრივი თუ კერძო წერილები, ნოტარიალური და სავაჭრო ხასიათის ტექსტები, ქრონიკა და სხვ.), მათში არსებული შესაძლო გეოგრაფიული განსხვავებების გარდა (მეტ-ნაკლებად გამოვლენილი, რადგანაც უკვე მოქმედებს კოინეს გავლენა), იმ განსხვავებებსაც გვიჩვენებენ, რომლებიც “სოციოლინგვისტურ” (ვ. გინასი) განზომილებას შეიძლება მივაკუთვნოთ. გათანაბრების დიდი თუ პატარა მცდელობა განსხვავებების გადალახვისაკენ იყო მიმართული; ეს იყო ლტოლვა იმისაკენ, რომ მიეღწიათ ზერეგიონალური დონისათვის – კოინესათვის. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გარკვეული ბიძგი ამ მიმართულებით სწორედ დიდებულთა კანცელარიები იყო, სადაც პირველი დოკუმენტები ხალხური ენაზე 1426 წლიდან იქმნებოდა (მანტოვასა და ურბინოში კიდევ უფრო ადრე). XV საუკუნეში იწყება ხალხური ენის ხმარება ვენეციისა და ფერარას კანცელარიებში. ამის შედეგად ერთდროულად თანაარსებობს ორი ენა: იტალიური და ლათინური. რადგანაც კანცელარიები და მათი მდივნები დიდგვაროვანთა კარს მიეკუთვნებოდნენ, კარის ლიტერატურული გემოვნება მათ ენაშიც აისახებოდა. თავად დიდგვაროვანნი არ იყვნენ აუცილებლად ერთი რომელიმე კარის წარმომადგენლები, ისინი ხშირად გადადიოდნენ ერთი კარიდან მეორეზე. ამიტომაც, არ არის შემთხვევითი, რომ რეგიონალური კოინეების “იტალიზაციის” დამადასტურებელი მნიშვნელოვანი პროცესები წარმოდგენილია სხვადასხვა სამთავროების დიპლომატიური წარმომადგენლების წერილებში, რომლებიც კარიდან კარზე, სახელმწიფოდან სახელმწიფოში გადადიოდნენ.

ტოსკანურმა ლიტერატურულმა მოდელმა, როგორც ვნახეთ, გავლენა მოახდინა კოინეს გათანაბრებაზე. ბევრი მათგანი ვინც წერდა და კოინეს იყენებდა, ტოსკანელი ავტორების ბევრით მკითხველები იყვნენ, ამიტომაც, მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულად შეეძლოთ გადმოეტანათ თავიანთ პრაქტიკულ წერაში ის ფორმები, რომლებსაც ლიტერატურულ ტექსტებში აწყდებოდნენ. თუმცა, განსხვავება პრაქტიკული ხასიათის სამწერლო ენასა და ლიტერატურულ სამწერლო ენას შორის ძალიან დიდი იყო. ცნობილია ბოიარდოს (Matteo Maria Boiardo, 1441-1494) მაგალითი, რომლის პირადი წერილების

“გატოსკანურების” დონე ბევრად დაბალია, ვიდრე მისი პოეტური ნაწარმოებებისა, განსაკუთრებით კი სასიყვარულო ლირიკის. ბოიარდოს წერილებში უფრო დასტურდება საერთოდ ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი ნიშნები და არა იმდენად მარკეს რეგიონისათვის ჩვეული მახასიათებლები (ლექსიკურად აღსანიშნავია *barba* - ‘zio’ “ბიძა”, *lune*- ‘lunedì’ “ორშაბათი”, *magnano*-‘*fabbro*’ “მჭედელი” და ა.შ.); წარმოდგენილია აგრეთვე ლიტერატურული წარმომავლობის მქონე ტოსკანიზმებიც: მაგ., *el* არტიკლის ნაცვლად არტიკლი *il*, მაშინ, როდესაც ტენდენცია არის ლათინიზმების ხმარება, რომლებიც მოიძებნება კონინეს ყველა დამწერლობაში. ლათინიზმის გამოყენება არის ძალიან ბუნებრივი ენობრივი გამოსავალი და არ წარმოადგენს სტილისტურ მახასიათებელს; “ის არ არის ყოველთვის ან მხოლოდ მაღალი სტილის ნიშანი, არამედ გამოიყენება იმისათვის, რომ შეავსოს ლექსიკური ლაკუნა, რომელიც დატოვა მწერლის ხელოვნურმა ტოსკანურმა ცნობიერებამ. მას არ სურს ამ ლაკუნის დიალექტიზმით შევსება, ამიტომაც ლათინიზმს ხშირად მიმართავს არა სტილისტური, არამედ სტრუქტურული თვალსაზრისით” (მენგალდო). ეს კი ნიშნავს, რომ საეჭვო შემთხვევებში, რომლებიც არ იყო ჯერ ლექსიკონებითა და გრამატიკებით ახსნილი (რადგანაც არ არსებობდნენ), ლათინიზმები სანდო და შეუცვლელ დახმარებას უწევდნენ მწერლებს.

7. ტოსკანური ლიტერატურის წარმატება

მე-14 საუკუნის მეორე ნახევრიდან ტოსკანური ხალხური ენა ტოსკანის გარეთაც დიდი პრესტიჟით სარგებლობდა. ეს დანტე ალიგიერისა და ფრანჩესკო პეტრარკას დამსახურება იყო, რომლებიც ჩრდილოეთ იტალიაში გადავიდნენ. დანტეს “კომედია” და პეტრარკას “კანცონიერე” ძალიან სწრაფად გავრცელდნენ; არც ბოკაჩოს “დეკამერონის” შოვნა იყო ადვილი, თუმცა ზოგიერთ განაპირა რეგიონში, როგორც, მაგალითად, პიემონტია, მისი მოძიება ფრანგულად შეიძლებოდა.

პიემონტში, ასეთ “თავისებურ, ფრანგულ” რეგიონში, დიდგვაროვანთა ბიბლიოთეკები მოწმობენ, რომ ფრანგული რომანტიკული ლიტერატურის გვერდით “სამი გვირგვინოსნის” ნაწარმოებები აქაც გავრცელდა. მათ ადგილი “გასართობი ლიტერატურის“ სექტორში ეკავათ. სრულიად სხვა მიზნით იქმნებოდა კონკრეტული, ჰუმანისტური მიმართულების მქონე სასწავლო ბიბლიოთეკები, სადაც განსაკუთრებით ლათინი ავტორები იყვნენ წარმოდგენილნი. იმ ეპოქის დიდგვაროვანნი ორ, უმეტესად კი სამ - იტალიურ, ფრანგულ და ლათინურ ენებზე კითხულობდნენ.

ტოსკანური ლიტერატურისკენ გადახრა ძალიან შესამჩნევი იყო მილანში, ის კონკრეტულ არჩევანს უკავშირდებოდა. მილანის ჰერცოგმა ფილიპო მარია ვისკონტიმ (Filippo Maria Visconti, 1392-1447), რომელიც გატაცებით კითხულობდა პეტრარკასა და ბოკაჩოს, 1440 წელს დააწერინა დანტეს “ჯოჯოხეთის” კომენტარები, ხოლო ფრანჩესკო ფილელფოს პეტრარკას კომენტარების დაწერა დაავალა. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში, ლუდოვიკო ილ მორომ (Ludovico il Moro, 1452-1508), სფორცების დინასტიის წარმომადგენელმა და მილანის ჰერცოგმა, თავის კარზე მიიწვია ბურლესკური პოეზიის ავტორი, ტოსკანელი პოეტი ბერნარდო ბელინჩონი (Bernardo Bellincioni, 1452-1492); სხვადასხვა ნიშნებით ვლინდება ლუდოვიკო ილ მოროს განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება ფლორენციული ენის მიმართ. მორო დიდად აფასებდა ტოსკანელ მწერლებს, რომლებიც დიდებულთა კარზე იყვნენ მიწვეულები (მაგალითად, პეტრარკას მიმდევარი გასპარო ვისკონტი). დანტესა და პეტრარკას ნაშრომები მხოლოდ პავიას სამეფო ბიბლიოთეკებში კი არ იყო, არამედ მათ სხვადასხვა ავტორიტეტული პირები და მილანელი არისტოკრატებიც ფლობდნენ. გარდა ამისა, მილანის ტიპოგრაფია (ასევე მანტოვას ტიპოგრაფიაც), XV საუკუნის 70-იანი წლებიდან XIV საუკუნის გამოჩენილ ტოსკანელ ავტორთა ნაწარმოებებს ბეჭდავდა.

ხალხური ენაზე შესრულებული წიგნები იბეჭდებოდა ფლორენციაში, მილანსა და ვენეციაში. 1470 წლის ბოლოს ვენეციურ გამოცემლობებში გამოჩნდა პეტრარკას “კანცონები”, ხოლო 1471 წელს - ბოკაჩოს “დეკამერონი”. ამას გარდა, ხალხურ ენასა და ლიტერატურ-

რას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მდინარე პოს ხეობაში არსებულ იტალიის შედარებით პატარა საგრაფოებში; მაგალითად, ემილიაში, რეჯოსა და ფერარას შორის, მოღვაწეობდა მატეო მარია ბოიარდო. ბოიარდო ცდილობდა მიეხატა პეტრარკასათვის თავის სიყვარულის თემაზე შექმნილ ნაწარმოებში “სიყვარულის წიგნი” (*Amorum libri*), სადაც ტოსკანური გავლენა უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე ეს მისივე “შეყვარებული ორლანდოს” (*Orlando innamorato*) “ამაღლებულ ემილიურში”. მანტუას მარკიზის - გონზაგას მეცენატობით სარგებლობდნენ ლეონ ბატისტა ალბერტი და ანჯელო პოლიციანო. 1480 წელს სწორედ აქ შექმნა პოლიციანომ თავისი “ორფეოსი” (*Orfeo*).

მატეო მარია ბოიარდო ლათინურ ენაზე წერის გამოცდილების მიღების შემდგომ, პოეზიის ხალხური ენაზე წერას შეეცადა; ჩრდილოიტალიელი ბოიარდოს შემოქმედება შეიძლება განისაზღვროს როგორც “აქრონული” – რაც ნიშნავს იმას, რომ მან ნებაყოფლობით უარი თქვა თავის “დიალექტურ ნიადაგზე”, ტოსკანური ისე შეითვისა, რომ ის რეალურად არც გაუცნობიერებია როგორც ნამდვილი და ცოცხალი ენა მთელი თავისი დიაქრონიული განვითარებით. ბოიარდო განიცდიდა XIV საუკუნის პოეტების და განსაკუთრებით პეტრარკასა და მისი წინამორბედების გავლენას. მეორე მნიშვნელოვანი მისაბაძი მაგალითი მისთვის, ისევე როგორც კარის პოეტებისათვის, ლათინური იყო, შესაბამისად, მასთან ვხვდებით ტონიკური ვოკალიზმისათვის დამახასიათებელ *i* და *u* ხმოვნებს – *e*-სა და *o*-ს ნაცვლად: *simplice*, *firma*, *summo*; ასევე *nui* და *vui*-ს ფორმებს, რაც არის ჩრდილოეთის მეტაფონიისა (მახვილიანი ხმოვნის დახურვა მომდევნო მარცვლის ხმოვნის გავლენის გამო) და სიცილიური პოეტური ტრადიციის დამთხვევის შედეგი. რაც შეეხება თანხმოვნებს, სახეს იცვლიან ორმაგი თანხმოვნები, განსაკუთრებით რითმის შექმნასთან დაკავშირებით: *tuto* ‘*tutto*’: *aiuto* : *arguto*.

საინტერესოა ბოიარდოს ლირიკული პოეზიის შედარება მის დაუმთავრებელ პოემასთან – “შეყვარებული ორლანდო” (*Orlando innamorato*), თუმცა ეს შედარება საკმაოდ რთულია, რადგან არ გაგვანჩნია პოემის ორიგინალი. ჩვენამდე მოღწეული ორი ყველაზე ძველი გამოცემიდან (1487 წ. და 1506 წ.), მხოლოდ თითო ეგზემ-

პლარი გაგვაჩნია; ეს აიხსნება ტექსტის “ხალხური” ხასიათით – ის ძალიან პოპულარული იყო და ამ პოპულარობამ წიგნების ცვეთა და მათი ფიზიკური გაქრობა გამოიწვია. არსებობს ასევე “შეყვარებული ორლანდოს” ხელნაწერი, რომელიც 1495 წლის შემდეგ არის შესრულებული. ორ ბეჭდურ გამოცემას უფრო დიალექტური ხასიათი აქვს, ხელნაწერი კი ტოსკანიზებულია. როგორც არ უნდა ყოფილიყო ორიგინალი, თანამედროვეებმა იგი დაბეჭდილი ვარიანტებით გაიცინეს, რომელიც ახლოს არის “პადანის კეთილშობილურ დიალექტთან” (მ.ტავონი).

XV საუკუნის სამხრეთ იტალიაში, ნეაპოლში, არაგონელების დინასტიის სამეფო კარზე პოეზია ყვაოდა, მისი წარმომადგენლები არიან ფრანჩესკო გალეოტა (Francesco Galeota), იოან ფრანჩესკო კარაჩიოლო (Joan Francesco Caracciolo), პიეტრო იაკოპო დე ჯენარო (Pietro Jacopo de Jennaro). ამ პოეტთა ენაშიც შეინიშნებოდა ტოსკანურისადმი განსაკუთრებული ლტოლვა. სამხრეთელი პოეტების შემდეგი თაობა, რომელსაც წარმოადგენენ კარიტეო (Cariteo) და სანაცარო (Sannazaro), სრულიად დაშორდა ადგილობრივ ენას.

XVI საუკუნე

1. იტალიური და ლათინური

XVI საუკუნეში ხალხურმა ენამ სრული სიმწიფის პერიოდს მიაღწია: მან თითქმის საყოველთაო აღიარება მოიპოვა, რაც ჰუმანიზმის პერიოდში არ ჰქონია. ამ საუკუნეში სახეზეა ხალხურ ენაზე შესრულებული ლიტერატურის ნამდვილი ტრიუმფი; სწორედ ამ დროს მოღვაწეობდნენ უდიდესი იტალიელი მწერლები და პოეტები: არიოსტო, ტასო, არეტინო, მაკიაველი, გვიჩარდინი. ხალხურ ენას მკითხველთა ძალიან დიდი რაოდენობა შეემატა და მან მეცნიერების სხვადასხვა სექტორში დაიმკვიდრა ადგილი, რითაც ლათინურმა უკან დაიხია. XVI-XVII საუკუნეებს შეიძლება შევხედოთ როგორც ლათინურსა და იტალიურს შორის ბრძოლის პერიოდს, რომელშიც ლათინური ნელ-ნელა თავის პოზიციებს ტოვებდა.

აღორძინების დროს ლათინურს მეორეხარისხოვანი პოზიცია სულაც არ ეკავა, პირიქით, ის იყო მაღალი კულტურის ენა, წიგნების უმრავლესობა სწორედ ლათინურზე იბეჭდებოდა. თუმცა, უკვე ახალი ტალღაც იგრძნობოდა. ჰუმანისტური პერიოდის კრიზისს უკვე გადაეწლო, ინტელექტუალებს სჯეროდათ ხალხური ენის, ამას იტალიური ენის ნაბეჭდი გრამატიკებისა და ლექსიკონების შექმნაც უწყობდა ხელს, რომელთა როლი ძალიან დიდი იყო: მწერლებს, ზედმეტი ლათინიზმებისა და დიალექტიზმებისაგან გათავისუფლების მიზნით, პრაქტიკული, კონკრეტული ფორმები აინტერესებდათ და არა თეორიული სწავლებანი. შედეგად, XVI საუკუნის ბოლოს სამწერლო კოინეს დადმასვლა დაიწყო, რომელიც XV საუკუნესა და XVI საუკუნის დასაწყისში იყო გავრცელებული. მას უკვე იშვიათად და ნაკლებ ნასწავლნი მიმართავდნენ, ისინი, ვინც თავის ადგილობრივ სალაპარაკო დიალექტებში, ლათინურისა და ტოსკანურის კონტამინაციებში ნაკლებად ერკვეოდნენ.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან კოინეს უკვე აღარავინ იყენებდა, არც ერთი მწერალი და სახელმწიფოს კანცლარიის არც ერთი წარმომადგენელი, რადგანაც ნორმის დამკვიდრებასთან ერთად, ის უხეშად და ხმარებიდან გადასულადაც კი ითვლებოდა. ასეთი

ნორმატიული გათანაბრების შემდეგ იტალიურმა ენამ მაღალი კულტურის ენის სტატუსი მოიპოვა, რომელიც გარკვეული პრესტიჟით საზღვრებს გარეთაც სარგებლობდა.

მიუხედავად იმისა, რომ წინა საუკუნესთან შედარებით XVI საუკუნეში იტალიურის მდგომარეობა ლათინურთან მიმართებაში მკვეთრად შეიცვალა, მაინც არსებობდა ისეთი სექტორები, რომელშიც ლათინურს კვლავ გაბატონებული პოზიცია ეკავა. ეს პირველ რიგში საზოგადოებრივი მოწყობისა და სასამართლოს სფეროებს ეხება. XVI საუკუნეში წესდებების უმრავლესობა სწორედ ლათინურზეა შესრულებული, თუმცაღა იყო მათი ხალხურ ენაზე დაბეჭდვის შემთხვევებიც.

მართალია, ლათინური გაბატონებული იყო იურისპრუდენციაში, მაგრამ ის მხოლოდ თეორიული საკითხებით და დისკუსიებით არ ამოიწურებოდა. ამის მიუხედავად, ყოველდღიურ პრაქტიკაში, სასამართლო საქმეებსა და პროცესებში ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ხალხური ენა, ზოგიერთ შემთხვევაში დოკუმენტები ამ ორი ენობრივი კოდის შერევას ადასტურებენ. იტალიური განსაკუთრებით მოწმეთა ჩვენებებში სჭარბობს.

იტალიურისა და ლათინურის ურთიერთმიმართებისათვის საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ლათინურ ენაზე იყო მათემატიკის, ფილოსოფიისა და მედიცინის წიგნები, ხალხურ ენაზე კი - უფრო პოპულარული ხასიათის ნაშრომები; მაგალითად, მეტალების გადადნობის ხელოვნება, სამედიცინო რეცეპტები, კულინარია, არქიტექტურა — რომელიც აკადემიურ დისციპლინად არ ითვლებოდა. რაც შეეხება კონკრეტულ ჰუმანიტარულ-ლიტერატურულ სფეროს, მაკიაველისა და გვიჩარდინის წყალობით, რომელთაც თავიანთი ნაშრომებით ისტორიოგრაფიას დაუდეს დასაბამი, იქ ხალხური ენა გაბატონდა.

პროცენტული თვალსაზრისით, ხალხურ ენაზე წიგნების ყველაზე დიდი რაოდენობა ვენეციის სტამბაში იბეჭდებოდა, მას ფლორენციის გამომცემლობა მოსდევდა.

2. პიეტრო ბემბო, ჯოვანე ჯორჯო ტრისინო და ბენედეტო პარკი

1501 წელს გამომცემელმა მანუციომ ორი კლასიკოსი – ვერგილიუსი და ჰორაციუსი გამოსცა და ამისათვის ფიზიკურად პატარა გამომცემა აირჩია, რომელიც უფრო ადვილი იყო ხმარებაში და რომელიც მას სახელს მოუტანდა, თუმც, თავისი გამომცემების ხელნაწერი შრიფტით (ამ შრიფტს “aldinos”- “კურსივს” ეძახდნენ) ის უკვე საკმაოდ ცნობილი იყო. იმავე წელს პატარა ფორმატით გამოვიდა პეტრარკა ხალხურ ენაზე და ამ პროცესს პიეტრო ბემბო ხელმძღვანელობდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი კულტურული და ისტორიული მოვლენა იყო. გამომცემელი მანუციო პეტრარკას ამ გამომცემის წინასიტყვაობაში ტექსტს მათი თავდასხმისაგან იცავდა, ვინც მასში ტრადიციული ლათინიზებული დამწერლობისაგან დაშორებას დაინახავდა, რაც XV-XVI საუკუნის კონიეს მემკვიდრეობა იყო. ეს უკვე სათაურიდანაც ჩანდა: “Le cose volgari di Messer Francesco Petrarca”, სადაც იყო ფორმა “volgari” – და არა ლათინური “vulgari”. ლათინიზაციის მომხრენი თვლიდნენ, რომ “ხალხური ენა ლათინურთან, შეძლებისდაგვარად, ახლოს უნდა ყოფილიყო”. ბემბოს მიერ შემოტანილი ინოვაციები ძალიან მნიშვნელოვანი იყო, პეტრარკას ტექსტის ენობრივ ფორმაზე შემდგომში მან თეორიები განავითარა, რომლებიც თავის ნაშრომში – “პროზაული მსჯელობა ხალხური ენის შესახებ” (Le prose della volgar lingua) ჩამოაყალიბა. ერთი წლის შემდეგ, 1502 წელს, ბემბოს რედაქტორობით გამომცემელმა ალდომ “კომედია” (Terze rime) გამოსცა. იმავე წელს, როდესაც გამოდიოდა ალდოს პეტრარკა და დანტე, ბემბო “აზოლანურ საუბრებს” (Asolani) წერდა, რაც წარმოადგენს ფილოსოფიურ საუბრებს პლატონურ სიყვარულზე. ამ ფილოსოფიურ ტრაქტატში, რომელიც 1505 წელს დაიბეჭდა მანუციოს მიერ, ბოკაჩოს ენის მიბაძვა ნათლად იგრძნობა.

შესაძლოა, არც ერთ საუკუნეში თეორიულ კამათს ენის შესახებ ისეთი მნიშვნელობა აღარ ჰქონია, როგორც XVI საუკუნეში ჰქონდა. ალბათ, იმიტომაც, რომ მას შედეგად იტალიური ენის ნორმების დადგენა მოჰყვა. “ენობრივი საკითხი”, ანუ გაუთავებელი მსჯელობა

ხალხური ენისა და მისთვის მისანიჭებელი სახელის შესახებ არ უნდა გავიგოთ როგორც ფუჭი მსჯელობანი ლიტერატორთა შორის; ეს იყო გადაწყვეტი ფაზა, რომელშიც ესთეტიკურ-ლიტერატურული თეორიები მწერლობის განვითარების კონკრეტულ გზებს უკავშირდებოდა. ამ კამათის შუაგულში შეგვიძლია მოვათავსოთ ბემბოს “პროზაული მსჯელობა ხალხური ენის შესახებ”, რომელიც 1525 წელს დაიბეჭდა ვენეციაში და შემდეგ მას სხვა გამოცემებიც მოჰყვა. ის შედგება სამი წიგნისაგან, რომლის III ნაწილიც იტალიური ენის გრამატიკაა. იგი ჩვენი დღევანდელი შეხედულებით ნაკლებ სისტემური ჩანს: ეს სქემატური და მეთოდური გრამატიკა კი არ არის, არამედ წარმოადგენს წესებისა და ნორმების წყებას, რომელიც წარმოდგენილია დიალოგურ ფორმაში. მასში ნათლად იკვეთება იტალიური ენის გრამატიკული წყობა იმ სახით, როგორც ეს ბემბოს ჰქონდა თეორიულად ჩამოყალიბებული.

“პროზაულ მსჯელობას” დიალოგის ფორმა აქვს: მასში მონაწილეობას იღებს ოთხი პირი და ყოველი მათგანი განსხვავებული შეხედულების მატარებელია: ლორენცო ბრწყინვალის ძესამე შვილი - ჯულიანო დე მედიჩი (Giuliano de' Medici, 1453-1478) წარმოადგენს ჰუმანისტური ხალხური ენის შეხედულებებს, კარდინალი ფედერიკო ფრეგოზო (Federigo Fregoso, 1480-1541) წარმოადგენს ტრაქტატში მოყვანილ ბევრ ისტორიულ თეზისს, ლათინი ჰუმანისტი და პოეტი ერკოლე სტროცი (Ercole Strozzi, 1473-1508) წარმოადგენს ხალხური ენის მოწინააღმდეგეთა შეხედულებებს და ბოლოს, კარლო ბემბო (Carlo Bembo . . . 1503), ავტორის ძმა, ახმოვანებს პიეტროს იდეებს. დიალოგს საუკუნის დასაწყისში გადავყავართ.

ნაწარმოებში უპირველეს ყოვლისა მოცემულია ფართო ისტორიულ-კულტურული ანალიზი, რომლის მიხედვით, ხალხური ენა, შესაძლოა, გაჩნდა ბარბაროს დამპყრობელთა ენებისა და ლათინურის კონტამინაციის შედეგად. კონტამინირებული ხალხური ენის განვითარება, მისი მოწყვეტა ბარბაროსული საწყისებიდან შესაძლებელი გახდა მწერლებისა და საერთოდ ლიტერატურის საშუალებით. მაშასადამე, ბემბოსათვის საფუძველს წარმოადგენს პრინციპი, რომლის თანახმადაც, ენა ხარისხობრივ ცვლილებას განიცდის; ამის შედეგად

“ბარბაროსული ელემენტების” ჩანაცვლებაც კი გახდა შესაძლებელი. ბემბო აღნიშნავს, რომ იტალიურის წინსვლა თანდათან ხდებოდა, მაშინ, როდესაც მისი მეორე თანამედროვე ენა – პროვანსული, რომლის ლიტერატურული წარმატებაც წინ უსწრებდა იტალიურისას, ნიდაგს თანდათან კარგავდა.

როდესაც ბემბო ხალხურ ენაზე საუბრობს, იგი გულისხმობს ტოსკანურს, მაგრამ არა ცოცხალ ტოსკანურს, რომელზეც XVI საუკუნის ფლორენციაში ლაპარაკობდნენ, არამედ XIV საუკუნის ლიტერატურულ ტოსკანურს – პეტრარკასა და ბოკაჩოს (ნაწილობრივ ასევე დანტეს) ენას. ბემბოს ეს თეზისი ძალიან მნიშვნელოვანია, ის არ უარყოფს, რომ ტოსკანელებს სხვა იტალიელებთან შედარებით უპირატესობა გააჩნიათ საუბარში, მაგრამ ეს სულაც არ არის ტრაქტატის საგანი, რომელიც არ ეხება საყოველთაო სასაუბრო ენას. მას ლიტერატურის “კეთილშობილური” ენა აინტერესებს. ეს ნაშრომი ჰუმანისტური შეხედულების მატარებელია და ეფუძნება აზრს ლიტერატურის პირველობის შესახებ. ამიტომაც, ავტორის მიერ ტოსკანელების უპირატესობა აღიქმება როგორც გარკვეული საფრთხე: სიახლოვე თანამედროვე ფლორენციულსა და ხალხურ ენას შორის საფრთხის მატარებელია, რადგანაც ფლორენციელმა ლიტერატორებმა, შეიძლება, ხალხური სიტყვები გამოიყენონ, რაც სამწერლო ენის ღირსებას შელახავს.

ბემბოს ძალიან კარგად ესმოდა, რომ სამი გვირგვინოსნის მიერ შედგენილი მოდელის არჩევანი დროში უკან დაბრუნებას ნიშნავდა, ნიშნავდა ისეთ ნახტომს წარსულში, რომელიც ეჭვს აჩენდა, რომ მას ლაპარაკი სურდა “*a’ morti piu’ che a vivi*” (უფრო მკვდრებთან, ვიდრე ცოცხლებთან); მაგრამ ბემბოს თეორია კლასიციზტურ იდეალს ემყარებოდა, მას უნდოდა აერჩია ხალხური ენა, მაგრამ ამავე დროს სრულიად ჩამოშორებოდა წარმავალს, ეფემერულს. მამასა-დამე, ხალხური ენის “გაკეთილშობილების” შესაძლებლობა მხოლოდ ერთი რამ იყო – მისი ხალხურობის უარყოფა. ამიტომაც, ბემბო არ იღებდა დანტეს “კომედიის” მოდელს, მას არ მოსწონდა დაბალი, რეალისტური სტილისკენ დაღმასვლა. ამ თვალსაზრისით პეტრარკას “კანცონიერე” უნაკლო იყო, მასში იგრძნობოდა ავტორის მიერ განხ-

ორციელებული ენობრივ-ლექსიკური გადარჩევა. რაც შეეხება “დეკამერონს”, იქ გარკვეულ სირთულეებს ჰქონდა ადგილი: იგრძნობოდა ცოცხალი სალაპარაკო ენა. ამიტომაც ბემბო აზუსტებდა, რომ მისაბაძი მაგალითი ავტორის ნამდვილი სტილი იყო და არა “დეკამერონის” ნოველების დიალოგები. “ნამდვილი” ბოკაჩო სტილის თავისი ლათინიზებული სინტაქსით, ინვერსიებითა და გერუნდივის შემცველი ფრაზებით გამოირჩეოდა. სწორედ ეს იყო ის მოდელი, რომელიც აიღო ბემბომ და რომელსაც ის ჰბაძავდა.

ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ბემბოს თეორია სრულყოფილ ენას მხოლოდ წარსულთან აკავშირებდა, მას წარსულში არსებულ საუკეთესოდ მიჩნეულ მოდელებთან აიგივებდა. ის თვლიდა, რომ ეს მოდელები აუცილებლად იმგვარი, გაყინული ფორმით უნდა ყოფილიყვნენ მისაბაძი. ბემბომ თავისი ლათინური ენის გაგება ხალხური ენის თეორიაში გადაიტანა: მისთვის ლათინურის მწვერვალი მისი კლასიკური პერიოდი იყო და ის ორ სახელს უკავშირდებოდა – ვერგილიუსსა და ციცერონს (ხალხურ ენასთან მიმართებაში ისინი პეტრარკამ და ბოკაჩომ ჩაანაცვლეს). მართალია, ბემბო დარწმუნებული იყო, რომ იტალიური ენის ისტორიამ ხარისხობრივად მწვერვალს XIV საუკუნეში სამი გვირგვინოსნის შემოქმედებაში მიაღწია, მაგრამ, ამავე დროს ის არ გამოირიცხავდა, რომ ხალხურ ენას, რომელიც ასეთი ახალგაზრდა იყო ლათინურთან შედარებით, კიდევ შეეძლო სწორედ მის “პროზაში” წარმოდგენილი ნორმების საშუალებით საუკეთესო შედეგებისათვის მიეღწია.

ბემბოს გადაწყვეტილებამ გაიმარჯვა, ის მკაცრად ახდენდა იმის ფორმალიზებასა და თეორიული საფუძვლის ჩამოყალიბებას, რაც პრაქტიკულად განხორციელდა: მთელს იტალიაში ხალხური ენა გავრცელებული იყო როგორც ლიტერატურის ენა, როგორც XIV საუკუნის უდიდესი წარმომადგენლების მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული მიბაძვა. ახლა ბემბოს გრამატიკა საშუალებას იძლეოდა დასრულებულიყო ეს სპონტანური პროცესი, თავად ხალხური ენა კი XVI საუკუნის I ნახევრისათვის დამახასიათებელი კონიეს ჰეტეროგენული ელემენტებისაგან გათავისუფლებულიყო. კლასიციზმის პირობებში განათლებამიღებულ საზოგადოების მაღალ კლასებს მისი

შეხედულებები მოსწონდათ, რადგანაც ისინი წარსულის კულტის განდიდებას იყვნენ ჩვეულნი.

ამავე დროს ხალხური ენის შესახებ სხვა თეორიებიც არსებობდა. უცნაურია, მაგრამ კურტუაზული თეორიის შესახებ ყველაზე მეტი წყარო სწორედ მისი მოწინააღმდეგების ნაწერებში მოიძიება. თავად ბემბო თავის პროზაში საუბრობს კალმეტას (Calmeta - Vincenzo Colli, 1460-1508), შეხედულებების შესახებ, რომლის აზრითაც საუკეთესო მხოლოდ ის ხალხური ენაა, რომელსაც დიდებულითა კარზე ხმარობდნენ, განსაკუთრებით კი - რომში. უფრო ზუსტ ინფორმაციას კალმეტას თეორიის შესახებ გვაძლევს XVI საუკუნის მეორე ლიტერატორი ლუდოვიკო კასტელვეტრო (Ludovico Castelvetro, 1505-1571). მისი შეხედულების თანახმად, კალმეტას მხედველობაში ჰქონდა “ენის ძირეული ფლორენციულობა”, რომლის მიღწევა დანტესა და პეტრარკას ტექსტებიდან შეიძლებოდა, შემდეგ კი ის უნდა დახვეწილიყო რომში, მეფის კარზე ხმარების შედეგად. XVI საუკუნეში რომი კოსმოპოლიტური ქალაქი იყო. იქ ხდებოდა იმ მოვლენის რეალიზაცია, რასაც სხვა დიდებულთა კარზე ჰქონდა ადგილი: ნაირ-ნაირი ხალხის ტრიალი მაღალი დონის ზერეგონალური სასაუბრო ენის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, მისი საფუძველი კი ტოსკანური იყო, რომელიც სხვადასხვა მიზნით გამოიყენებოდა.

რომის კარი, როგორც ენის დახვეწის ცენტრი, კალმეტას გარდა სხვებსაც იზიდავდა. მაგალითად, მარიო ეკვიკოლა (Mario Equicola, 1470-1525) ასე ახასიათებდა რომის კარის ენას: ეს იყო ენა, რომელსაც იტალიის ყველა რეგიონის სიტყვის შეთვისება შეეძლო (პლემურის გარდა) და მას “ლათინური ელფერი” ჰქონდა. ისევ ეკვიკოლა 1525 წელს დაწერილ ნაშრომში “სიყვარულის ბუნების შესახებ” (De natura de amore) აცხადებდა, რომ ის იყენებდა “საყოველთაო” (“commune”) ენას. იგივე ზედსართავი გამოიყენა ბალთასარ კასტილიონემ (Baldessar Castiglione, 1478-1529) “კარისკაცში” (Cortegiano), რომელიც 1528 წელს გამოვიდა. განსხვავება მათ ენობრივ იდეალსა და ბემბოს იდეალს შორის ის იყო, რომ კურტუაზული ენის შემქმნელებს არქაული ენით შემოფარგვლა კი არ სურდათ, არამედ ამჯობინებდნენ დაემოწმებინათ ენის ცოცხალი ხმარება ისეთ გან-

საზღვრულ სოციალურ გარემოში, როგორც დიდებულთა კარი იყო. “საყოველთაო” ენის მომხრეებს ბეზო ეკამათებოდა: კურტუაზული ენა რთული მოვლენა იყო, ძნელი იყო მისთვის ზუსტი განმარტების მიცემა; მისი ჰომოგენურ მდგომარეობამდე დაყვანა.

რეალურად სწორედ ამ ნაკლმა განაპირობა, რომ კურტუაზულმა თეორიამ ვერ გაიმარჯვა XVI საუკუნის კამათში, მიუხედავად იმისა, რომ ის ცოცხალ ტრადიციასა და პირველადი მნიშვნელობის მქონე გარემოს (მეფის კარის) რეალურ გამოცდილებას ეყრდნობოდა.

კურტუაზული თეორიის ანალოგიურ შეხედულებებს აყენებს ჯოვან ჯორჯო ტრისინო (Gian Giorgio Trissino, 1478-1550). მისი თეორია მჭიდროდ უკავშირდება დანტეს ტრაქტატის – “ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ” ხელახალ აღმოჩენას. 1529 წელს ტრისინომ გამომცემლობას გადასცა დანტეს ეს ქმნილება, მაგრამ არა ორიგინალურ ფორმაში - ლათინურად, არამედ იტალიურ თარგმანში. იმავე წელს მან დაბეჭდა “Castellano” – დიალოგი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ პეტრარკას პოეტური ენა იტალიური იყო, რადგანაც შედგებოდა იტალიის სხვადასხვა რეგიონიდან წამოსული სიტყვებისაგან და, შესაბამისად, შეუძლებელი იყო მისი, როგორც “ფლორენციულის” განსაზღვრა. ტრისინოს იდეები დიდი ხანია ცნობილი იყო. სწორედ მან შეახსენა საზოგადოებას დანტეს ტრაქტატის შინაარსი – ნაშრომისა, რომელიც XV საუკუნეში აღარავის ახსოვდა. მამასა-დაძე, ტრისინოს თეზისი ლიტერატურული ენის ფლორენციულობას უარყოფდა და ის დანტეს იმ შეხედულებას იმოწმებდა, რომელშიც დიდმა პოეტმა განაჩენი გამოუტანა ფლორენციულ ენას, მას ენობრივი პირველობა არ მიანიჭა.

ტრისინოს მთელი თეორია ვითარდება როგორც ტრაქტატის “ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ” ხელახალი აღმოჩენა და საზოგადოებისათვის მისი იდეების შეთავაზება. ბუნებრივია, ტრისინოს ეჭვი არ ეპარებოდა (სხვების მსგავსად), რომ მიუხედავად იმ პრინციპებისა, რომელიც ტრაქტატშია გადმოცემული, კომედიის ავტორი დანტე იყო.

ტრისინოს წინადადება იყო იტალიური ანბანის რეფორმა, კონკრეტულად კი ორი ბერძნული ასოს – იფსილონისა და ომეგას

შეტანა, რის შესახებაც გრძელი დისკუსია გაიმართა.

ნათელია, რომ მიუხედავად ტრისინოს გარკვეული გავლენისა ფლორენციელ მოაზროვნეებზე, მათ არ მოეწონათ მის მიერ დანტეს ტრაქტატის ხელახალი აღმოჩენა და მისი იდეების წინ წამოწევა. ყველაზე საინტერესო ფლორენციული რეაქცია იყო მაკიაველის “საუბარი ანუ დიალოგი ჩვენი ენის შესახებ” (*Discorso o dialogo intorno alla nostra lingua*). ამ არაჩვეულებრივად დაწერილ ნაწარმოებში მაკიაველი დიალოგს მართავს დანტესთან, ეს უკანასკნელი აღიარებს იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებული აქვს ტრაქტატში. ამ შემთხვევაში კამათი არ არის ნაწარმოების ავტორის შესახებ, არამედ, უბრალოდ, დანტეს უსწორებენ მის მიერ დაშვებულ შეცდომებს, ის აღიარებს, რომ დაწერა ფლორენციულზე და არა საყოველთაო და დიდებულთა კარის ენაზე. ტრისინო ნათლად არსად არის დასახელებული, მაგრამ ლაპარაკია ზოგიერთ ვიჩენცელ ლიტერატორზე (ტრისინო სწორედ ვიჩენცადან იყო), რომელთაც ამბიცია ჰქონდათ გამხდარიყვნენ ენის მასწავლებლები. გაკრიტიკებულია ფლორენციის ენობრივი პირველობაც. თუმც, მაკიაველის ეს ნაშრომი გამოუცემელი დარჩა XVIII საუკუნემდე და ამიტომაც მან პირდაპირი გავლენა XVI საუკუნის ენობრივ კამათზე ვერ მოახდინა.

მაღე გაჩნდა კითხვა, თუ ვინ იყო “*De vulgari eloquentia*”-ის ნამდვილი ავტორი. ეჭვი დანტეს ავტორობის შესახებ იმიტომ გაჩნდა, რომ ტრისინოს არ გამოუცია ტექსტის ლათინური ორიგინალი. ის მხოლოდ 1577 წელს დაიბეჭდა პარიზში, ფლორენციელი წარმომავლობის მქონე ჯაკოპო კორბინელის მიერ; თუმც ამ დროისათვის უკვე საუკუნის შუაში გამართული ენობრივი კამათის წევრები ცოცხლები აღარც იყვნენ. ლათინურ ორიგინალთან შედარებით ტრისინოს თარგმანი უფრო გავრცელებული იყო, სანამ, ბოლოს, 1729 წელს მათი გაერთიანებული გამოცემა არ გამოვიდა. XVI საუკუნის ბევრი მოაზროვნე თვლიდა, რომ აღნიშნული ნაწარმოები არ ეკუთვნოდა დანტეს, რადგანაც იქ გადმოცემული იდეები ეწინააღმდეგებოდა “ნადიმსა” და “კომედიაში” განვითარებულ შეხედულებებს. ტრაქტატი ფლორენციულის პირველობის მოწინააღმდეგეებისათვის ძალიან ხელსაყრელი იყო, მათ დანტეს სახით მნიშვნელოვანი მოკავშირე იპოვეს.

აღნიშნული თეორიები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პოზიციებს ენის საკითხთან მიმართებაში, რომლის შესახებ დისკუსიები XVI საუკუნის შუა პერიოდში გაიმართა და შემდგომ საუკუნეებშიც პოვა გაგრძელება. ფლორენციული კულტურა უარყოფდა ბემბოს იდეებს, მაგრამ ვერ მოახერხა მას დამარწმუნებლად დაპირისპირებოდა. მდგომარეობა მხოლოდ საუკუნის ბოლოს შეიცვალა, როდესაც გამოვიდა ბენედეტო ვარკის “ჰერკოლანო” (Hercolano, 1570 წ.) და რომელიც ერთდროულად დაიბეჭდა ვენეციასა და ფლორენციაში.

ფლორენციელი ბენედეტო ვარკი, თავისი პოლიტიკური საქმიანობის გამო, ფლორენციიდან განდევნილი იყო, რადგანაც იგი მედინებს უპირისპირდებოდა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოუყალიბდა მას თავისი კულტურული შეხედულებები. პადოვაში ის სვდებოდა ბემბოს და იზიარებდა მის აზრებს. კოზიმო დე’ მედიჩის მიერ მისი შეწყალების შემდეგ იგი ფლორენციაში დაბრუნდა, სადაც ბემბოს იდეები შემოიტანა. ვარკიმ დიდი როლი შეასრულა, რადგანაც ის ცოცხალი ფლორენციული ენის შესახებ ლაპარაკობდა, რომელსაც ღირსება და როლი მიანიჭა. მის წინააღმდეგ მნიშვნელოვან, თეორიად ჩამოყალიბებულ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია.

საერთო ენობრივ სურათში ვარკი ფილოსოფიით იყო შთაგონებული და არა ბიბლიით; მაგალითად, მისთვის ენების მრავალფეროვნება არ აიხსნება კაცობრიობის ბიბლიური წყველით, არამედ წარმოადგენს ადამიანის ბუნებრივ თვისებას, იმ ადამიანისა, რომელსაც ნაირსახეობისაკენ მისწრაფება ახასიათებს. ფუჭად მიაჩნდა მას პირველი ენის ძიებაც (დანტეს მიხედვით კი ეს ებრაული იყო). ვარკის ენა - სოციალურ მოვლენად ესმოდა.

ბემბოს ვარკისეული რევიზია არ იზიარებდა ბემბოს “პროზის” მკაცრ ტონსა და მის ყურადღებას, რომელსაც ის დიდი მწერლების მიმართ იჩენდა. “ჰერკოლანოს” პრინციპი სრულიად სხვა იყო: დიდი მწერლების ავტორიტეტის გვერდით “ხალხური” ავტორიტეტიც არსებობდა და გასათვალისწინებელი იყო. ამ პრინციპებმა ფლორენციას საშუალება მისცეს კვლავ განეხორციელებინა კონტროლი ენაზე, რომელიც XVI საუკუნის პირველ ნახევარში დაკარგული ჰქონდა.

3. ქნობრივი ნორმის დადგმნა

დროთა განმავლობაში “ენის საკითხი” უფრო მნიშვნელოვანი გახდა და საჭიროება მოითხოვდა, მისი განვითარება ახლად შემუშავებული თეორიული ნორმებით განმტკიცებულიყო. XVI საუკუნეში პირველი გრამატიკები და პირველი ლექსიკონები გაჩნდა, რომლებშიც ენის თეორიული საკითხები იყო დამუშავებული. უკვე აღვნიშნეთ, რომ პიეტრო ბემბოს ნაშრომის - “პროზაული მსჯელობა ხალხური ენის შესახებ” - III წიგნი გრამატიკას წარმოადგენს, თუმცა ის დიალოგის ფორმით არის შესრულებული. ბემბოს ნაშრომი არ იყო პირველი ნაბეჭდი გრამატიკა, მას ქრონოლოგიურად უსწრებდა 1516 წელს ანკონაში გამოცემული ჯოვანი ფრანჩესკო ფორტუნის “ხალხური ენის გრამატიკული წესები”. ამ ნაშრომს დიდი წარმატება ხვდა წილად და ამიტომაც ძალიან გავრცელებული იყო ბემბოს გრამატიკამდე.

XVI საუკუნის შუა პერიოდში სხვა გრამატიკებიც გამოიცა; ეს იყო თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დამკვიდრების, ენის ნორმებისა და წესების დაზუსტების წარმატებული მცდელობა. 1550 წელს გამოვიდა ლუდოვიკო დოლჩეს (Ludovico Dolce, 1508-1568) “შეხვედლები ხალხური ენაზე” (*Osservazioni nella vulgar lingua*), რომელსაც შემდგომი გამოცემებიც მოჰყვა. ის დიდი წარმატებით სარგებლობდა, ვინაიდან პატარა და ადვილი მოსახმარი წიგნი იყო. 1562 წელს ვენეციაში გამოცემულმა სანსოვინომ გამოსცა “ხალხური ენის განხილვა სხვადასხვა ცნობილ ავტორთა მიერ” (*Osservazioni della lingua volgare de diversi uomini illustri*); ეს წიგნი-კრებული იყო მოკლე განხილვა იმ ავტორების თეორიული ნაშრომებისა, რომლებიც იმ პერიოდში იბეჭდებოდა (ჯოვანი ფრანჩესკო ფორტუნო, პიეტრო ბემბო, ალბერტო აკარიზიო, ჯაკომო გაბრიელე და რინალდო კორსო).

გრამატიკების ძირითადი, მნიშვნელოვანი ნაწილი ვენეციაში დაიბეჭდა; ფლორენციაში კი მსგავს საქმიანობას ადვილი არ ჰქონია, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ტოსკანაში ნაკლებად ჭირდებოდათ გრამატიკებით ხელმძღვანელობა. 1552 წელს ფლორენციაში ჯოვან ბატისტა გელის (Giovanni Battista Geli, 1498-1563) წინასიტყვაობით

გამოვიდა პიერ ფრანჩესკო ჯამბულარის (Pier Francesco Giambullari, 1495-1555) გრამატიკა “ენის შესახებ, რომელზეც ლაპარაკობენ და წერენ ფლორენციაში” (De la lingua che si parla e scrive in Firenze). ამ ნაშრომით ავტორს არაფლორენციელებისათვის ფლორენციული სალაპარაკო ენის ნორმების შეთავაზება უნდოდა. ზუსტად ამ დროს კოზიმო დე’ მედიჩიმ ფლორენციის აკადემიას მიმართა თხოვნით, რომ “ოფიციალურად” დაედგინათ ენის ნორმები (თუმც აკადემიაში თავად ვერ შეთანხმდნენ ამ ნორმების შესახებ). შედეგად, ჯამბულარის გრამატიკას წარმატება არ ჰქონია, რადგანაც ის პერსონალურ ნაშრომს წარმოადგენდა.

გრამატიკების გარდა, ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან გამოდის სხვადასხვა ლექსიკონები, უფრო სწორად, ლექსიკონთა წინაპრები: სიტყვათა შეზღუდული რაოდენობის შემცველი პატარა სიტყვარები. ეს ლექსიკონები, პირველ რიგში, დანტეს, ბოკაჩოსა და პეტრარკას შედევრების საფუძველზე იქმნებოდა. XVI საუკუნის პირველი ნახევრის ყველაზე ცნობილი ლექსიკონი, რომელსაც უკვე ნამდვილი ლექსიკონის ფორმა ჰქონდა, იყო ფერარელი ფრანჩესკო ალუნოს (Francesco Alunno) “მსოფლიოს ფაბრიკა” (La fabrica del mondo, 1548).

ბემბოს გრამატიკამ გავლენა იქონია ლუდოვიკო არიოსტოს შედევრის – “შმაგი ორლანდოს” (Orlando furioso) ენაზე, რომელიც სამჯერ გამოიცა – 1516, 1521 და 1532 წლებში. პირველ გამოცემაში ყველაზე მეტად იგრძნობა “ამალღებული” პადანური, თუმც ის უკვე შესამჩნევად ტოსკანიზებულია (უფრო მეტად, ვიდრე “შეყვარებული ორლანდოს” ენა); მასში ვხვდებით მერყეობას ორმაგი თანხმოვნების ხმარებისას, ასევე c და z თანხმოვნების ხმარებისას ხმოვნის წინ, მაგალითად, გვხვდება roncino (“ronzino”); ასევე გვხვდება ფორმები: giaccio (“ghiaccio”), giotto (“ghiotto”), iusto (“giusto”). მრავლად დასტურდება ლექსიკური ლათინიზმები, რაც, როგორც უკვე ვიცით, პადანური კონინეს მახასიათებელია. მომდევნო, 1521 წლის გამოცემაში დაფიქსირებული ავტორისეული შესწორებები შედარებით ცოტაა; რაც შეეხება 1532 წლის გამოცემას, იქ ნათლად ჩანს, თუ როგორ ითვალისწინებს ავტორი ბემბოს “პროზის” მითითებებს.

4. აკადემიების როლი

XVI საუკუნეში აკადემიებმა უდიდესი როლი შეასრულეს, რადგანაც წარმოადგენდნენ იმ დროის ინტელექტუალების თავშეყრის ადგილს; ადგილს, სადაც კულტურული ხასიათის ძირითადი საკამათო საკითხები წყდებოდა. სწორედ აკადემიებში გადაიჭრა ბევრი ენობრივი საკითხი. ბენედეტო ვარკის შესახებ საუბრისას აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის პადუის აკადემიის გამოცდილებას, სადაც ის ბემბოს ლინგვისტურ შეხედულებებს ეზიარა. ამ აკადემიაში, რომელიც 1540 წელს დაარსდა, მოღვაწეობდა სპერონე სპერონი (Sperone Speroni, 1500-1588), ავტორი მნიშვნელოვანი დიალოგისა “ენების შესახებ” (Delle lingue, 1542); მასში მოცემულია არისტოტელესეული ფილოსოფიის მიმდევრის – პერეტოდ წოდებული (Peretto Mantovano) პიეტრო პომპონაცის (Pietro Pomponazzi, 1462-1524) პოზიცია, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიური წიგნები ძველი კლასიკური ენებიდან ხალხურ ენაზე უნდა ეთარგმნათ; ძველი ბერძნული და ლათინური მას ცოდნის გავრცელებაში ბარიერად მიაჩნდა. მისი აზრით, ფილოსოფიის შესახებ სალაპარაკოდ ნებისმიერი ენა კარგი იყო, იქნებოდა ეს მილანის თუ მანტუას ენა. ბუნებრივია, ეს პოზიცია სრულიად ეწინააღმდეგებოდა თავისი დროის შეხედულებებს და, ამიტომაც, XVI საუკუნის აზროვნებაზე გავლენა ვერ მოახდინა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1541 წელს უმიდის აკადემიის საფუძველზე დაარსებულ ფლორენციის აკადემიას. 1542 წლიდან ეს აკადემია “ოფიციალური” ორგანიზმი გახდა, რომელსაც ტოსკანის ჰერცოგი კოზიმო დე’ მედიჩი მფარველობდა და აფინანსებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იყო 1582 წელს დაარსებული კრუსკას აკადემია, რომელიც დღემდე აქტიურად მოღვაწეობს. 1583 წელს მას შეუერთდა ლეონარდო სალვიათი (Leonardo Salviati, 1540-1589), რომელსაც ძალიან სერიოზული ფილოლოგიური ინტერესები გააჩნდა. თავისი არსებობის პირველ ხანებში კრუსკას აკადემია იმ განზაურებული პოლემიკით გახდა ცნობილი, რომელიც სალვიათიმ ტორკვატო ტასოს (Torquato Tasso, 1544-1595) ნაწარმოების - “გათავისუფლე-

ბული იერუსალიმის” (Gerusalemme liberata) - წინააღმდეგ გამართა. თავად სალვიატო ამ პერიოდში დიდი წარმატებით სარგებლობდა, ის იყო ავტორი ნაშრომისა – “დეკამერონის ენის შესახებ” (Avvertimenti della lingua sopra ‘I Decameron), რომელიც 1584-1586 წლებში “დეკამერონის” ბოკაჩოსეული ტექსტის გადამუშავების შემდეგ დაწერა; საქმე იმაშია, რომ “დეკამერონი” ცენზურას დაექვემდებარა, იქიდან ამოიღეს ნაწყვეტები, რომლებიც “ამორალურად” მიაჩნდათ. ეს მოვლენა ცნობილია სახელწოდებით - დეკამერონის “წესრიგში მოყვანა” (rassetature). სწორედ სალვიატო იყო ის, ვინც ეს სამუშაო განახორციელა და ამოიღო ბოკაჩოს შედევრიდან ყველაფერი, რაც იმ პერიოდისათვის ამორალურად და ანტირელიგიურად განიხილებოდა (კონტრარეფორმისტული კულტურის მოთხოვნით). “დეკამერონის” ტექსტის “წესრიგში მოყვანა” სალვიატოს ტოსკანის დიდმა ჰერცოგმა ფრანჩესკომ შეუკვეთა, რათა ამით რომის პაპისათვის ესიამოვნებინა. ამას წინ უსწრებდა ანალოგიური ცენზურა, რომელიც 1573 წელს ფლორენციის აკადემიის “დეპუტატებმა” განახორციელეს. მორალისტური ხასიათის ცენზურის ჩარევამ, რომელიც დღევანდელი შეხედულებით მიუღებელია, პარადოქსულად გაზარდა ფილოლოგიური ინტერესი “დეკამერონის” ტექსტისადმი. ბოკაჩოს შედევრში, რომელიც საუკუნის დასაწყისიდანვე ტოსკანური პროზის უმნიშვნელოვანეს მოდელად ითვლებოდა, ამჯერად “შინაარსსა” და “ფორმას” მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან. ბოკაჩოს წიგნის “გადასარჩენად”, მისი სტილის შესანარჩუნებლად, რომელიც დიდ მოწონებას იმსახურებდა, მხოლოდ ტექსტის შეცვლა გადაწყვიტეს. დღევანდელი გადასახედიდან ეს ორი “წესრიგში მოყვანა” სულაც არ არის გასაკვირი; ეს იმ დროისათვის მისაგები ხარკი იყო.

სალვიატო უკვე პოპულარობით სარგებლობდა კრუსკას აკადემიის წევრად გახდომამდე, მას დასრულებული ჰქონდა “დეკამერონის” “ხელახალი გასუფთავება” (“ripulire”). სალვიატოს იდეებზე მდგარი აკადემია ფილოლოგიურ საქმიანობას შეუდგა; 1590 წელს აკადემიამ დაწესა “კომედიის” ტექსტის გადახედვა და შესწორება გადაწყვიტა. ამ მიზნით ერთმანეთს შეადარეს სხვადასხვა ხელნაწერები და 1502 წელს გამოსული “კომედიის” ბემბოსეული გამოცემა. 1595 წელს,

ფლორენციაში, კრუსკის აკადემიის მითითებების გათვალისწინებით, გამოიცა დანტე ალიგიერის “ლეთაებრივი კომედია”. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში, აკადემიკოსი ბასტიანო დე’ როსი (Bastiano de’ Rossi) დანტეს ენას “საუკეთესოს” უწოდებს (migliore parte della nostra favella), რითაც ის ემიჯნება ბემბოს “პროზაულ მსჯელობას ხალხური ენის შესახებ” და იქ გამოთქმულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, დანტეს ენა, მისი გადაჭარბებული რეალიზმის გამო, ეჭვს იმსახურებს.

5. პროზის ნაირსახეობა

XVI საუკუნეში ბევრი წიგნი გამოვიდა, რამაც ხელი შეუწყო იტალიური ენის გავრცელებას. ამ მრავალფეროვნებაში აუცილებელია სხვადასხვა ჟანრისა და სფეროს გამოყოფა; მაგალითად, არქიტექტურა ერთ-ერთი ის სფერო იყო, რომელშიც იტალიურმა მჭიდროდ მოიკიდა ფეხი. ეს ეხება არა მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ახლად იქმნებოდა, არამედ იმათაც, რომლებიც ლათინური ენიდან ითარგმნებოდა. სპეციფიკური, არქიტექტურული ლექსიკის დამკვიდრების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არქიტექტურის ლათინი მაესტროს – ვიტრუვიუსის ნაწარმოების თარგმნას, რომელიც XVI საუკუნეში, ჩრდილოეთისათვის დამახიასითებელ კოინეზე, ლომბარდიელმა ინჟინერმა ჩეზარე ჩეზარიანომ (Cesare Cesarino, 1475-1543) განახორციელა. XVI საუკუნის II ნახევარში არქიტექტურული ლექსიკა სრულად ჩამოყალიბებული იყო, ამის დასტურია სამოქალაქო თუ სამხედრო არქიტექტურის სფეროდან იტალიური სიტყვების სხვა ევროპულ ენებში გავრცელება: *facciata* (ფრ. *façade*, ესპ. *fachada*), *balcone* (ფრ. *balcon*, ესპ. *balcón*, ინგლ. *balcony*) და სხვ. .

ენობრივი თვალსაზრისით ცვლილებები იყო ხელოვნების, კერძოდ კი მხატვრობისა და ქანდაკების სფეროშიც. 1550-1568 წლებში გამოვიდა ჯორჯო ვაზარის (Giorgio Vasari, 1511-1574) “ცხოვრებანი” (*Vite*), რომელიც ერთდროულად კრიტიკული ნარკვევებისა

და ბიოგრაფიულ ჟანრს განეკუთვნება. მოქანდაკის, იუველირისა და მწერლის - ბენვენუტო ჩელინის (Benvenuto Cellini, 1500-1571) ავტობიოგრაფია გარკვეულწილად განსაკუთრებულია, რადგან მასში პირადი ამბები და მხატვრის სამუშაოსთან დაკავშირებული შეხედულებებია აღრეული; ამის შედეგი ის საინტერესო სტილია, რომელსაც “სალაპარაკო ენის” ელფერი დაჰკრავს. მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, ამ ნაწარმოების ენობრივი სილამაზე, რომელიც ბუნებრივი გრძნობისა და გამოხატვის თავისუფლების შერწყმის შედეგია, ხელახლა აღმოაჩინეს და ის საზოგადოებას ანტიაკადემიური ენის მოდელად შესთავაზეს.

ეჭვგარეშეა, რომ კლასიკოსთა თარგმანები იტალიური ენის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს როგორც სხვადასხვა დისციპლინების განვითარებისათვის, ისე იტალიური ენის ლექსიკური გამდიდრებისათვისაც. თარგმანების სიუხვე ძალიან აწყობდა საზოგადოებას, რომელმაც ლათინური არ იცოდა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგში აღსანიშნავია პლინიუსის “ბუნებრივი ისტორიის” (Storia Naturale) თარგმანი, რომლის ცნობილი იტალიური ვარიანტიც XV საუკუნეში ფლორენციელმა ქრისტიან ფორე ლანდინომ წარმოადგინა.

იტალიური პროზის სიმწიფე მარტო ისტორიული და პოლიტიკური ნარკვევების თარგმანებში არ დადასტურებულა; 1532 წელს რომში დაიბეჭდა ნიკოლო მაკიაველის “მთავარი” (Il Principe o De principatibus), იმავე წელს გამოვიდა ფლორენციული გამოცემაც, რომელიც პროზის არაჩვეულებრივი მაგალითია. მაკიაველის ენას განსაკუთრებული ძალა და სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებს, ის ძალიან განსხვავდება ბემბოს მიერ შემოთავაზებული მოდელისაგან; მაკიაველი ლათინიზმებით მდიდარი ფლორენციული ენით წერს, მისი ლათინიზმები “მძიმეა”, ამიტომაც, ამ ნაშრომს XV საუკუნის კანცელარიის ენასთან უფრო ანათესავებენ.

აღსანიშნავია, რომ ხალხური ენა პრაქტიკული ტიპის მეცნიერებებისათვის უფრო იყო დამახასიათებელი, ვიდრე აკადემიური ტიპის კვლევებისათვისა და მაღალი დონის მეცნიერებისათვის (მცირე გამონაკლისების გარდა). ამიტომაც, გალილეო გალილელის შემთხვევა-

ში ხალხური ენის არჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა; მართლაც, გალილეოს ხმა უნივერსიტეტის სამეცნიერო სფეროდან მოდიოდა და არა გამოყენებითი-პრაქტიკული სექტორიდან; სწორედ ეს მაღალი “წარმომავლობა” ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მის ენობრივ არჩევანს. გალილეოს ესმოდა, რომ იმ დროს იტალიურის გამოყენება ნაკლებ სახარბიელო იყო, ვინაიდან ხალხურ ენაზე შესრულებული მისი ნაშრომები მხოლოდ იტალიის ტერიტორიაზე იქნებოდა გასაგები, მაგრამ მან მაინც უარი თქვა ლათინურზე.

გეოგრაფიული ხასიათის ტექსტების საგამომცემლო საქმეში მნიშვნელოვანი ფაქტი დადასტურდა – 1550-59 წწ.-ში ვენეციაში გამოიცა რამუზიოს (Giovan Battista Ramusio, 1485-1557) ”ნავიგაციები და მოგზაურობანი” (Navigazioni e viaggi), რაც იმ დრომდე არსებული ამ ტიპის ტექსტების კრებულს წარმოადგენდა. გეოგრაფიული ხასიათის ლიტერატურაში, ენობრივი თვალსაზრისით, პირველ რიგში საინტერესოა ნეოლოგიზმები და უცხო წარმოშობის მქონე სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა ადგილებისა და ხალხის აღწერისას გამოიყენება. ისიც აღსანიშნავია, რომ მისიონერების საშუალებით უცხო ცივილიზაციების აღმოჩენაში დიდი წვლილი ეკლესიასაც მიუძღვის.

XVI საუკუნეში ესპანური ძალიან გავრცელებული იყო როგორც საერთაშორისო ენა. ფრანჩესკო კარლეტი (Francesco Carletti, 1573-1636) – იმ პერიოდის მოგზაური და მწერალი, რომელმაც დედამიწის ირგვლივ იმოგზაურა, აღნიშნავდა, რომ ასეთ მოგზაურობაში ესპანურის ან პორტუგალიურის ცოდნა საკმარისი იყო. სწორედ ამ ორ ენას ჰქონდა მაშინ ის ფუნქცია, რაც დღეს ინგლისურს გააჩნია. კარლოტის, თავის ნაშრომში “მსჯელობანი” (Ragionamenti), ბევრი ნეოლოგიზმი და უცხოური სიტყვა მოჰყავს, მაგალითად, cochos – ქოქოსი, le bananas – ბანანები, le patatas – კარტოფილი, le canoee – კანოე, il cià – ჩაი, რომელიც შემდეგ ფრანგული ვარიანტით thè ან tè გავრცელდა (სვამდნენ ჩინეთსა და იაპონიაში); l’anas – ანანასი.

XVI საუკუნეში იტალიური ენის ხმარება, ლიტერატურის გარდა, ძალიან განვითარდა პრაქტიკულ სექტორში – წერასა და ბეჭდვაში. სოფლებში წერა-კითხვა არ იცოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ იყო ქალაქებში და განსაკუთრებით რომში. რა თქმა უნდა,

ხალხური დამწერლობა სავსე იყო დიალექტიზმებითა და რეგიონ-ალიზმებით; ტოსკანურის ჰომოგენური მოდელი ბემბოს თეორიების, ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ნორმების საფუძველზე, მხოლოდ მოსახლეობის განათლებულ წრეებში გავრცელდა.

ზოგიერთი ნაბეჭდი წიგნი საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ არალიტერატურული, ყოველდღიური სასაუბრო სიტყვებით მდიდარი იტალიური ენა, ასეთია, მაგალითად, “საიდუმლოთა წიგნი” (*libri di segreti*) – რაც წარმოადგენს სამედიცინო-ალქიმიური, კულინარიული, ჰიგიენურ-სანიტარული რეცეპტების კრებულს. აქ ვაწყდებით სპეციფიკურ ტერმინოლოგიას, რომელიც უცხნა პოეტური და ლიტერატურული იტალიურისათვის, მაგრამ დაკავშირებულია ყოველდღიურ ცხოვრებასთან და პრაქტიკულ კომუნიკაციასთან.

6. კომედიის შერჩეული ენა

XVI საუკუნის პირველ ნახევრამდე კომედია წარმოადგენდა ერთ-ერთ საუკეთესო ჟანრს, რომელშიც შერეული ენისა და ხალხურ-სასაუბრო ენის ნიუანსების გამოვლენა ხდებოდა. ამ “სასაუბრო ენისკენ” ხშირად სხვადასხვა ტოსკანელი ავტორები ისწრაფოდნენ.

ფლორენციელი ჯოვანი მარია ჩეკის (Giovanni Maria Cecchi, 1518-1587) ენა წარმოადგენს ტოსკანური თეატრის “სასაუბრო” ენის ძიების საოცარ მაგალითს: იმისათვის, რომ თავისი კომედიების დიალოგები უფრო გამომხატველი გახადოს, ის უხვად იყენებს გამოთქმებსა და ანდაზებს და მაინც, კომედიის ენის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია კონკრეტული პერსონაჟისათვის კონკრეტული “კოდის” არსებობა. ეს ტენდენცია ნელ-ნელა დაიხვეწა და მას უკვე ამგვარი ფორმით ვაწყდებით “კომედია დელ არტეში”: შეყვარებულები საუბრობენ ტოსკანურად, მოხუცები – ვენეციურად ან ბოლონიურად, კაპიტნები და დადებითი გმირები – ესპანურად, მსახურები – ბერგამულად, მილანურად ან ნეაპოლურად.

7. პომპური მნა

XVI საუკუნის პოეტური ენისათვის დამახასიათებელია “პეტრარკიზმი”, რომელიც ბემბოს მოდელს ემთხვევა. თავის ლირიკაში თავად ბემბოც არაჩვეულებრივად კარგად წარმოადგენს ამ ლიტერატურულ სტილს. იტალიურ და ევროპულ კულტურაში “პეტრარკიზმი”, პირველ რიგში, ლირიკული ლექსიკის შერჩევას ნიშნავს.

XVI საუკუნის ბოლოს, მაშინ, როცა არიოსტო აღიარეს და მისი შემოქმედების ენა ენობრივი მოდელი გახდა, ტასოსა და კრუსკას აკადემიას შორის ლიტერატურულ-ენობრივი კამათი გაიმართა. ტასო არც ტოსკანურ ენას გაემიჯნა და არც ღიად დაუპირისპირდა XVI საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ მოდელს. რეალურად მას არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ იტალიური ენის “ტოსკანურობა”, თუმცა არც ფლორენციულის პირველობა უღიარებია: “ტოსკანური” ტრადიცია (ის არასოდეს ხმარობს სიტყვას “ფლორენციული”) მან აღიარა როგორც საერთო კულტურული მემკვიდრეობა და არა როგორც რაღაც გეოგრაფიულად განსაზღვრული რაობა. კრუსკასთან კამათი არ შეხებია ტასოს პოეზიას, რომელსაც ფლორენციაშიც ჰბაძავდნენ, ის მხოლოდ მის პოემას შეეხო. ტასოს ეპიკურ ნაწარმოებებში კი აკრიტიკებდნენ ენასა და სტილს; მის სტილს მიიჩნევდნენ ბუნდოვნად, ხელოვნურად, ხოლო ენას კი “ძალიან მაღალფარდოვნად” (*tropo culta*); მას ლათინურის, უცხოურის, ლომბარდიულის, ნეოლოგიზმებისა და კომპოზიტების ნაკრებად თვლიდნენ. საინტერესოა ის პოლემიკა, რომელიც “იერუსალიმსა” და “შმაგ ორლანდოსთან” დაკავშირებით გაიმართა. კრუსკას აკადემიის წევრები თვლიდნენ, რომ ტასო, არიოსტოსთან შედარებით, რთული გასაგები იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის ოქტავებს ხმამაღლა კითხულობდნენ; ტასო მოითხოვდა არა საჯარო, არამედ ჩუმ კითხვას, ტექსტის მხედველობით აღქმას, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იყო შესაძლებელი “არასწორი ლეგატურას” (*Legatura storta*) გადალახვა (იმდროინდელ გრამატიკაში “ლეგატურას” – გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციას უწოდებდნენ). პურისტები ტასოს ლექსიკასაც უწუნებდნენ, რადგანაც ის ლათინიზმებსა და “ლომბარდიულ” სიტყვებს

ზმარობდა. თუმც, ლომბარდიული წარმოშობის სიტყვები არიოს-ტოსთანაც მოიძებნებოდა და ამიტომ ეს მნიშვნელოვან წინააღმდეგობას არ წარმოადგენდა. მაგრამ სრულიად სხვაგვარი იყო დამოკიდებულება ლათინიზმების მიმართ, ვინაიდან ისინი ტოსკანურისათვის გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენდნენ: ლათინიზმებს შეეძლოთ იდეალური საშუალება ყოფილიყვნენ კურტუზული ენის ტრადიციასთან კავშირის თვალსაზრისით, სადაც ლათინიზმებს “რეზერვად” განიხილავდნენ, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა, რადგანაც ის გასაგები იქნებოდა განათლებული მკითხველისათვის (განსხვავებით ნაკლებად გავრცელებული ფლორენციული ფორმებისაგან). შესაბამისად, ლათინური წარმოადგენდა ფლორენციულის ალტერნატივას და ამიტომაც ფლორენციელები მას არ წყალობდნენ. ტასო კი აქტიურად ხმარობს ლათინიზმებს და თანაც პეტრარკასეული ტრადიციის თანახმად, მათ “კეთილშობილურ” ვარიანტებს. ის ლათინიზმებს ფართოდ მიმართავს ეპიკური პოეზიისათვის ამაღლებული სტილის მისანიჭებლად.

ეჭვგარეშეა, რომ კრუსკას აკადემია კრიტიკულად იყო განწყობილი ახალი ლიტერატურული გემოვნებისადმი, თუმც სალვიატის გაცხოველებულ კრიტიკას ტასოს მიმართ სხვა მიზეზიც ჰქონდა: სალვიატი, ანიჭებდა რა პირველობას ფლორენციულს, თვლიდა, რომ ეს ფაქტი აღიარებული უნდა ყოფილიყო. მან მთელი თავისი ცხოვრება ფლორენციის “იმპერიის” მითის შექმნას მიუძღვნა. ეს “იმპერია”, რომელსაც ის იმდროინდელ პოლემიკაში ანსენებს, მოითხოვდა, რომ ფლორენციული უცხოელი მწერლების მიერ ყოფილიყო აღიარებული, ხოლო ტასო ამ დამოკიდებულებას აკრიტიკებდა. თავის “აპოლოგიაში” (Apologia) იგი მოითხოვდა, რომ ერთმანეთისაგან გაერჩიათ ძველი და თანამედროვე ფლორენციული, აკრიტიკებდა ფლორენციელების სწრაფვას, რომ ყოფილიყვნენ “სხვათა საუკეთესო შემფასებელნი” და მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ ხალხური ენა, ვინაიდან ის უკვე გავრცელდა განათლებულ წრეებში და არა მასაში, განდა რაღაც განცალკევებული “volgo-სგან” (ხალხისგან). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ფლორენციას აღარ ჰქონდა მიზეზი საკუთარი ენის “ბუნებრივი” პირველობა გამოეცხადებინა. ტასო იმასაც აღნიშნავდა, თუმც ძალიან ფრთხილად, რომ დანტეს ენა პეტრარკასთან შედარებით “უფრო

ფლორენციული” იყო, მაგრამ ამასთან ერთად, “ნაკლებად პოეტური” (სადაც ტერმინი “პოეტური” აღნიშნავდა არარეალისტურ, ალუზიების ენას); პეტრარკა კი პირიქით, “უფრო პოეტური” იყო, მაგრამ “ნაკლებად ფლორენციული”.

კამათი ტასოსა და სალვიატის შორის, ე.ი. XVI საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს პოეტსა და კრუსკას აკადემიის წარმომადგენელს შორის, რომლის მიზანიც ენობრივი ნორმების ჩამოყალიბება იყო, იმ განხეთქილებას გვიჩვენებს, რომელიც მაშინ არსებობდა. კრუსკას აკადემია ცდილობდა თავისი გეგმის განხორციელებას, რათა ამით ხელი შეეწყო იტალიური ენის ჩამოყალიბებისათვის, მწერალთა გზა კი სხვა მიმართულებით მიდიოდა: ის ნორმებს ეწინააღმდეგებოდა. ეს განხეთქილება XVII საუკუნეშიც გაგრძელდა.

8. მკლესია და ხალხური ენა

ტრენტოს საეკლესიო კრებიდან (Concilio di Trento) მოყოლებული (გაიხსნა 1546 წ. და დაიხურა 1563 წ.) XVII საუკუნის ბოლომდე ეკლესია ენის ისტორიის ნიშნელოვანი მონაწილე იყო. მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ ამ თვალსაზრისით ეკლესიისათვის სათანადო ყურადღება უნდა მიექციათ.

ლათინური დარჩა ეკლესიის ოფიციალურ ენად, მაგრამ ამავე დროს კატეხიზმის სწავლებისა და ქადაგების დროს ხალხური ენის გამოყენების საკითხიც დადგა. 1546 წლის თებერვალ-ივნისში, ტრენტოს საეკლესიო კრებაზე სწორედ ეკლესიისა და ხალხური ენის ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ კი ბიბლიის ხალხური ენაზე თარგმნის საკითხი განიხილებოდა. ზოგს მიაჩნდა, რომ თარგმნის დროს “ნებისმიერის” ხელში ჩაგდებული ბიბლია გახდებოდა ერესისა და შეცდომების წყარო, სხვები კი ფიქრობდნენ, რომ ის უნდა თარგმნილიყო, რათა “მეცნიერების გასაღები” უცოდინართაც მისცემოდათ. ამ აზრის მომხრეებმა წამოაყენეს ბიბლიის სხვადასხვა ენებზე “ნამდვილი” თარგმანის იდეა (კრებას, რა თქმა უნდა, ეკუმენისტური პოზიცია ჰქონდა). გაიმარჯვა უმრავლესობის იმ შეხედულებამ, რომ-

ლის მიხედვითაც ეს საკითხი რომის პაპს უნდა გადაეწევიტა. პაპების ჩარევას კი შედეგად მისი აკრძალვა მოჰყვა; პაოლო IV-ს ჰქონდა შესაბამისი სიგელი (1559 წ.), რომლის მიხედვითაც, ხალხურ ენაზე ბიბლია შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე პირებს. ეს აკრძალვა გახდა კამათის საკითხი XVI-XVII საუკუნეებში და მხოლოდ XVIII საუკუნეში ჩაცხრა. პაპების ასეთი მკაცრი დამოკიდებულება გასაგები იყო, რადგანაც ბიბლიის თარგმნის საკითხი უკავშირდებოდა მის თავისუფალ ინტერპრეტაციას, ლათინური ვარიანტის გავრცელება კი დაიცავდა წმიდა წერილს მისი ნაკლებად სწავლული ინტერპრეტაციებისაგან და, ამასთანავე, ეკლესიური იერარქიის შენარჩუნების გარანტიც იქნებოდა.

მესის შესახებ დისკუსიაც, ფაქტიურად, იგივე იყო, რაც ბიბლიის თარგმნის შესახებ (აქაც კათოლიკური ეკლესია მასთან დაპირისპირებული პროტესტანტული სამყაროსათვის დამახასიათებელ ტენდენციას უნდა აღდგომოდა). განსაკუთრებული ხაზი გაესვა იმ საკრალურ ფუნქციას, რომლის მატარებელიც იყო ლათინური ენა. ამას გარდა, ლათინური უნივერსალურ ენად აღიარეს: ის იყო გარანტი, რომ ეკლესიის გზავნილი ერთნაირი იქნებოდა ყველასათვის, ამ ფუნქციას კი სხვადასხვა ეროვნული ენები ვერ შეასრულებდნენ, ან, უბრალოდ, ეს პროცესი ვერ გაკონტროლდებოდა.

ხალხური ენა, რომელიც უარყვეს ეკლესიის “მაღალმა იერარქიებმა”, სულ უფრო იმკვიდრებდა თავის ადგილს ქადაგებაში, რადგანაც ის უშუალოდ იყო მიმართული მორწმუნეებისადმი. ტრენტოს საეკლესიო კრების დეკრეტებში მითითებული იყო, რომ მღვდლებს თავი არ უნდა აერიდებინათ ხალხურ ენაზე ქადაგებისათვის და რომ ეს ქადაგება უნდა განხორციელებულიყო სწორედ მესის, ანუ იმ რიტუალის დროს, რომელიც ლათინურად ჩატარდებოდა (ეს ასეც გრძელდებოდა 1962-1965 წლის ვატიკანის II კრებამდე). მაშასადამე, ქადაგება იყო შესაძლებლობა, რომ მორწმუნეებისადმი იმ ენაზე მიემართათ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული. თუმცე ეს არ ნიშნავდა იმას, რომ აღარ ტარდებოდა ქადაგება ლათინურად; ის ელიტარული მსმენელისათვის იყო განკუთვნილი ან მას განსაკუთრებულ, საზეიმო შემთხვევებში მიმართავდნენ. შესაბამისად, ეკლესიას უნდა გადაეჭრა

ნამდვილი “ენობრივი საკითხი”, რომელიც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ლათინურისა და იტალიურის დაპირისპირებით; რადგანაც ეკლესიამ ერთხელ უკვე დაუშვა ხალხური ენის გამოყენება, ახლა გასარკვევი რჩებოდა, თუ რა ფორმას და გავრცელებას მიიღებდა ის.

პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ბემბოს გავლენა აგრეთვე ქადაგებაზეც. თავად ბემბოსა და მისი ნაშრომის (“პროზაული მსჯელობა ხალხური ენის შესახებ”) გავლენა ძალიან კარგად იგრძნობა იმ პერიოდის უდიდეს მქადაგებელზე, ფრანცისკანელ კორნელიო მუსოზე (Cornelio Musso, 1511-1574), რომელიც ბემბოს მოწაფე იყო პადუაში.

ქადაგება, გარკვეულწილად, წარმოადგენდა იმ ხელუხლებელ სფეროს, რომელიც ანტიკური ორატორობის კანონებს უკავშირდებოდა; ქრისტიანული კულტურა უნდა “დაპატრონებოდა” ორატორულ კულტურას და ეს შემკვიდრეობა რელიგიის სწავლებაში გამოეყენებინა. სწორედ ეს იყო XVI საუკუნის მეორე ნახევრის დიდი მქადაგებლის – ფრანცისკანელი ფრანჩესკო პანიგაროლას (Francesco Panigarola, 1548-1594) წიგნის: “მქადაგებელი ან დემეტრეო ფალერეო” (Il predicatore ovvero Demetrio Falereo) განზრახვა. პანიგაროლა “მქადაგებლის” წერას აბსოლუტურად ნათელი განზრახვით შეუდგა, რომ კულტურა “მოერგო” რწმენისათვის. შესაძლოა, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც კათოლიკური იერარქიის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს ენის შესახებ ნორმატიულ კამათში. “მქადაგებელში” არის ნაწილი, რომელიც ეძღვნება “ენას, რომელიც უნდა გამოიყენოს იტალიელმა მქადაგებელმა”. იქ ვხვდებით არა მხოლოდ ბემბოს პრინციპებს ფლორენციულის გამოყენების შესახებ, არამედ იმის აღიარებასაც, რომ სალაპარაკო ფლორენციულს გააჩნია უპირატესობა; ის მიჩნეულია ყველაზე შესაფერისად ქადაგებისათვის იმ შემთხვევაში, თუ იქიდან ამოღებული იქნება ფლორენციულის ძალიან მკვეთრი ფორმები. პოსტ-ბემბოსეული ქადაგებანი, უკიდურეს შემთხვევაში, მათი მაღალი დონის მაგალითები მანც, თითქოს იღებენ ლიტერატურულ გამოწვევას და მაქსიმალურად იყენებენ რიტორიკის საშუალებებს.

ფაქტია, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა ძალიან

ბევრი ნაშრომი მჭევრმეტყველებაში (ძირითადად ლათინურად, მაგრამ ზოგჯერ ხალხური ენაზეც), რომელიც ადასტურებდა, რომ ეკლესია მაღალი დონის ქადაგებისათვის ენის ნორმების დადგენას ცდილობდა, რაც იმასაც ამტკიცებს, რომ არსებობდა რელიგიური საზოგადოების ნაწილი, რომელიც მზად იყო ახლის მისაღებად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ამ ეპოქაში მღვდლებისაგან განსაკუთრებით მოითხოვდნენ მორწმუნეთათვის ბიბლიის ახსნას. რა თქმა უნდა, გვიანი აღორძინების პერიოდის ქადაგებანი დაუყოვნებლივ ვერ უპასუხებდნენ ლიტერატურულობის მოდელს და, შესაბამისად, ამ დროს კვლავ იმართებოდა უფრო “ხალხური” ქადაგებანიც.

თავი მეექვსე

XVII საუკუნე

1. კრუსკას აკადემიის ლექსიკონი

კრუსკას აკადემიის ჩამოყალიბებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კრუსკას აკადემია, ფლორენციის აკადემიისაგან განსხვავებით, კერძო საზოგადოება იყო, რომელიც მხოლოდ თავის საკუთარ ძალებს ეყრდნობოდა. გარდა იმისა, რომ მას არ ჰქონია საზოგადოებრივი მხარდაჭერა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ იტალია ამ დროს დანაწევრებული იყო, მის ყოველ კუთხეს თავისი საკუთარი სახე და საკუთარი ტრადიცია გააჩნდა. შესაბამისად, ეს იტალია ნაკლებად იყო განწყობილი საერთო ნორმების მისაღებად და ამიტომაც, ამ აკადემიის შექმნამ ძალიან დიდი კამათი გამოიწვია. ამის მიუხედავად, კრუსკამ დაასრულა ის გეგმა, რომელმაც ფლორენციულს პირველობა დაუბრუნა და აიძულა ყველა ნასწავლი იტალიელი, რომ ეღიარებინა ტოსკანური ქალაქის “პირველობა”. მიუხედავად იმისა, რომ კრუსკას აკადემიას საუკუნეების განმავლობაში აკრიტიკებდნენ, მის იგნორირებას ვერ ახერხებდნენ.

კრუსკას აკადემიის მნიშვნელობა განსაკუთრებით 1591 წელს გამოჩნდა, როდესაც მან ლექსიკოგრაფიას მიმართა. იმ წელს აკადემიაში გაიმართა დისკუსია ლექსიკონის შედგენის პრინციპების შესახებ და აკადემიის წევრებმა შესასრულებელი სამუშაო გაინაწილეს. სალვიატი დიდი ხნით ადრე გამოთქვამდა აზრს ტოსკანური ენის ლექსიკონის შექმნის შესახებ. მის შეხედულებებს მკაცრად მისდევდნენ მისი მოწაფეები, რაც კარგად ჩანს იმაში, თუ როგორ არის შედგენილი ლექსიკონი, რომელიც 1612 წელს დაიბეჭდა ვენეციის ტიპოგრაფიაში: ის მისდევს სალვიატის მიერ დადგენილ კლასიფიკაციის ნორმებს. ამავე დროს, სწორედ სალვიატის იდეა იყო, რომ იტალიური ლიტერატურის ისტორიაში, მცირე მნიშვნელობის მქონე ან საერთოდ უმნიშვნელო ავტორები, მათი “კარგი ენის” გამო, ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლების გვერდით დაეყენებინათ. სალვია-

ტი და შემდეგ სხვა აკადემიკოსები, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილავდნენ ნაწარმოების ლიტერატურულ ღირებულებას და მის ენობრივ ფორმას; ამიტომაც, “ენობრივი ღირსებები” ხშირად ლიტერატურული თვალსაზრისით უმნიშვნელო ნაწარმოებებს აღმოაჩნდებოდათ ხოლმე. როგორც ჩანს, ზოგიერთი ლათინურიდან ხალხურ ენაზე მთარგმნელი ვერ იგებდა ლათინურ ტექსტს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრუსკას აკადემიკოსების აზრით, ისინი მისაბამ მოდელებს წარმოადგენდნენ, რადგანაც “კარგად წერდნენ”.

ლექსიკონის შექმნის დროისათვის სალვიატი უკვე გარდაცვლილი იყო, აკადემიაში კი აღარ იყო მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც მის საქმიანობას გააგრძელებდა. იმ ორმოცდაათ აკადემიკოსს შორის, რომლებიც 1591-1592 წლებში ფლორენციაში მოღვაწეობდნენ, არც ერთს არ ჰქონდა შესაბამისი ლინგვისტური თუ ლექსიკოგრაფიული ცოდნა. ისინი ძირითადად ახალგაზრდა დილეტანტები იყვნენ, თუმცა ეს ნეგატიურ ფაქტად არ უნდა ჩაითვალოს; პირიქით, ეს კიდევ უფრო ზრდის მათ დამსახურებას, თუ იმ შედეგსაც გავითვალისწინებთ, რომელსაც მათ მიღწიეს. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ საქმიანობას გარკვეული მეთოდოლოგიური თანმიმდევრობა აკლდა.

კრუსკას აკადემიის ლექსიკონი დაიბეჭდა არა ფლორენციაში, არამედ ვენეციაში, 1612 წელს, ჯოვანი ალბერტის ტიპოგრაფიაში, რასაც, შესაძლოა, ეკონომიკური მიზეზები გააჩნდა. ლექსიკონის პირველ გვერდზე საცერი იყო გამოსახული – ის ინსტრუმენტი, რომელიც ფქვილისა და ქათოს ერთმანეთისაგან გამოსაყოფად იხმარებოდა; საცრის ზემოთ – დევიზი: “Il piu’ bel fior ne coglie” - ენაში ლექსიკური თვალსაზრისით განხორციელებულ არჩევანზე მიანიშნებდა (ანალოგიურად იმისა, თუ როგორ გამოიყოფა ფქვილი (il fiore) ქათოსაგან (lo scarto)).

როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონი სალვიატის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა, ის მის იდეებზე იყო დაფუძნებული. უნდა დავაზუსტოთ, რომ აკადემია არ ემყარებოდა ბემბოსეულ ორთოდოქსულ კრიტიერიუმს. მითითებები, რომელსაც იძლეოდა “პროზაული მსჯელობა ხალხური ენის შესახებ” - იგრძნობოდა, მაგრამ

ფლორენციელების - ვარკისა და სალვიატის ზეგავლენაც მნიშვნელოვანი იყო. კრუსკას აკადემიის აკადემიკოსებმა XIV საუკუნის ენობრივი განძის დადგენის დროს გააფართოვეს “სამი გვირგვინის” მიერ შემოფარგლული საზღვრები და მასში მათი თანამედროვე ფორმებიც შეიტანეს, რაც რეალურად დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, მთავარი სხვა რამ იყო – “ავტორიტეტული” ფორმის არჩევა. მართლაც, ლექსიკონის შემდგენელნი ცდილობდნენ ხაზი იმ უწყვეტობაზე გაესვათ, რაც მათ თანამედროვე და XIV საუკუნის ტოსკანურ ენას შორის არსებობდა; ცოცხალი ფლორენციული ენის სიტყვების დასადასტურებლად დოკუმენტური მასალა ძველი ავტორების ნაშრომებიდან მოჰქონდათ, ამიტომაც მათი ლექსიკის გამოსაკვლევად დიდი შრომა დასჭირდათ. გარდა ამისა, ლექსიკონში წარმოდგენილი იყო ფლორენციული და ტოსკანური დიალექტური ფორმები: *asempio* - “*esempio*”, *obrobbio* - “*vergogna*”, *danaio* - “*denaro*”, *manicare* - “*mangiare*”; სხვა შემთხვევაში, ერთი ლემა რამდენიმე ვარიანტით იყო წარმოდგენილი, რადგანაც ლექსიკონში ძველი ენისათვის დამახასიათებელი არაუნიფიცირებული ფორმებიც შეჰქონდათ (*Befania-Epifania*, *brobbio* - *abbrobro*). რაც შეეხება გრაფიკულ არჩევანს, ამ თვალსაზრისით ლექსიკონის შემქმნელებმა სიახლის გზა აირჩიეს, მაგალითად, უარყვეს ლათინურიდან შენარჩუნებული ზოგიერთი გრაფიკული ნიშანი (მაგ. *h* და *ct*).

მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რაც ლექსიკონის დაბეჭდვას მოჰყვა, მისი მნიშვნელობა უეჭველად სცილდებოდა რეგიონის ფარგლებს. ლექსიკონის შექმნის შემდეგ აკადემიამ ახალი ძალა იგრძნო, მან თავისი თავი უკვე საბოლოოდ დაუკავშირა ენას, მისი ამოცანა ენის განახლება და რევიზია გახდა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა. ლექსიკონის წარმატებას ისიც ადასტურებს, რომ 1612 წლის პირველ გამოცემას კიდევ ორი გამოცემა მოჰყვა; მეორე გამოცემა 1623 წელს გამოვიდა და ის პირველის ანალოგიური იყო, მესამე კი 1691 წელს დაიბეჭდა ფლორენციაში (და არა ვენეციაში) და მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველი ორი გამოცემისაგან: ის წარმოადგენს სამ ტომს (პირველი ორი გამოცემა ერთი ტომი იყო), მასალა მკვეთრად არის გაზრდილი როგორც ლემების რაოდენობის,

ისე მაგალითებისა და განმარტებების თვალსაზრისით. შესაბამისად, მესამე გამოცემამ მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ნახტომი გააკეთა და ლექსიკოგრაფიის სფეროში ფლორენციის აკადემიის პირველობა დაამკვიდრა. ამ გამოცემაზე მუშაობა ოცდაათი წელი მიმდინარეობდა და მის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით კრუსკას აკადემიის აკადემიკოსებს, ესენია: კარლო დატი (Carlo Dati), ალესანდრო სენი (Alessandro Segni), ფრანჩესკო რედი (Francesco Redi), ლორენცო მაგალოტი (Lorenzo Magalotti) და ახალგაზრდა ანტონ მარია სალვინი (Anton Maria Salvini).

2. კრუსკას აკადემიის მოწინააღმდეგენი

კრუსკას აკადემიის პრინციპებისა და ლექსიკონის მოწინააღმდეგენი 1612 წლიდან, ანუ ლექსიკონის გამოსვლის დროიდან არსებობდნენ. ფლორენციის აკადემიის პირველი მოწინააღმდეგე იყო პაოლო ბენი (Paolo Beni, 1553-1625), პადუის უნივერსიტეტის პროფესორი, “ანტიკრუსკას” (Anticrusca, 1612) ავტორი, რომელშიც სალვიატის ნორმებს XVI საუკუნის მწერლები უპირისპირდებოდნენ; მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია უდიდესი პოეტი ტორკვატო ტასო, რომელიც არ იყო წარმოდგენილი კრუსკას ლექსიკონში. ბენის შეხედულება იმას ეფუძნებოდა, რომ იტალიური ენა კურტუაზული თეორიის (“teoria cortigiana”) პრინციპებზე დაფუძნებული საერთო მონაპოვარი იყო. თავად ტრაქტატის უდიდესი ნაწილი უფრო მეტად ბოკაჩოს ენის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვიდრე კრუსკას აკადემიის წინააღმდეგ; ის ბოკაჩოს ენაში ნორმების დარღვევებს უსვამდა ხაზს. მამასადამე, ბენის შეხედულება XIV საუკუნის ლიტერატურის შესახებ უარყოფითი იყო.

კრუსკას აკადემიას აკრიტიკებდა აგრეთვე ალესანდრო ტასონი (Alessandro Tassoni, 1565-1635) მოდენადან (ცნობილი ჰეროიკულ-კომიკური პოემის – “მოპარული ვედროს” – “La secchia rapita”-ავტორი). მან ლექსიკონის მეორე - 1623 წლის გამოცემისათვის შენიშვნების მთელი ჩამონათვალი წარმოადგინა. მიუხედავად იმისა,

რომ მის შეხედულებებს მეთოდური ხასიათი არ ჰქონიათ, ამით ავტორი ფლორენციის “ენობრივი დიქტატურის” წინააღმდეგ თავის პროტესტს გამოხატავდა (რასაც სხვა სამხრეთელი ავტორებიც იზიარებდნენ). ტასონის აზრით, ლექსიკონში სპეციალური გრაფიკული ნიშნებით უნდა გამოეყოთ ანტიკური სიტყვები და ის სიტყვები, რომელთა ხმარებაც არ იყო მიზანშეწონილი. მისი შეხედულებით, კრუსკამ გაუგებრობა შექმნა, რადგანაც არ გამოყო ერთმანეთისაგან ნორმის “დამრღვევი” და ნორმის ფარგლებში მოქცეული სიტყვები. გამოხატავს რა თავის დამოკიდებულებას XIV საუკუნის ლიტერატურული ძეგლების მიბაძვისადმი, ის თავის ”ფიქრებში” (Pensieri) ირონიით აღწერს მდივანს, რომელიც წერილის წერას შემდეგი ფორმულით იწყებს: “Quantunque volte meco pensando riguardo. . .”, ასევე ირონიით აღწერს ისტორიკოსს, რომელიც, იძულებულია ასე დაწეროს: “L’Aurora già vermiglia cominciava, appressandosi il sole, a divenir rancia. . .”

ფლორენციის აკადემიის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი აგრეთვე ძალიან ცნობილი მწერალი, დანიელო ბარტოლი (Daniello Bartoli, 1608-1685). ის იყო ფერანტე ლონგობარდის ფსევდონიმით გამოსული გრამატიკული ნაშრომის – “არ შეიძლება სისწორე და მცდარობა” (Il torto e il diritto del *Non si può*) - ავტორი, რომელიც პირველად 1655 წელს დაიბეჭდა, ხოლო მეორედ, შესწორებული სახით, 1668 წელს. ბარტოლის დაპირისპირება კრუსკასთან ძალიან ფრთხილია, ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს არც პირდაპირ პოლემიკას და არც თეორიულ დებულებებს, რომლითაც ის a priori შეეცდებოდა იმ მეთოდის უვარგისობა დაედასტურებინა, რომელსაც კრუსკას აკადემია მისდევდა. ბარტოლი, განიხილავს რა XIV საუკუნის ლიტერატურულ ტექსტებს, რომელსაც ეფუძნება სალვიატის ენობრივი წესები, აჩვენებს, რომ სწორედ იქ არის ისეთი ორგვაროვანი შემთხვევები, რომელიც ეჭვს ბადებს სალვიატის მიერ შემუშავებული კანონების სისწორეში. ბარტოლის ნაშრომში გამოთქმულია კრიტიკული შეხედულებები კრუსკას აკადემიის ლექსიკონის შესახებ. ის ხშირად მიმართავს ირონიას მკაცრი გრამატიკული ფორმების მიმართ, რაშიც კარგად ვლინდება სატირიკოსი მწერლის ნიჭი. თავად

ნაშრომის სათაურიც იმას მეტყველებს, რომ გრამატიკოსებმა სიფრთხილით უნდა გამოიყენონ თავიანთი “უფლება” ენობრივი ნორმების შექმნის დროს.

3. მეცნიერების ქნა

ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის პროზაზე გავლენა იქონია მეცნიერების ენამ, რომელსაც ამ საუკუნეში მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა, რაც, პირველ რიგში, გალილეო გალილეის დამსახურება იყო. გალილეო იტალიურად 22 წლის ასაკიდან წერდა, მისი მოკლე ნაშრომი “სასწორი” (*La bilancetta*) ადასტურებს, რომ ის თავის თანამედროვე ენას ანიჭებდა უპირატესობას, თუმც ამ არჩევანის გაკეთება მისთვის არც ადვილი ყოფილა და არც ბუნებრივი; ის განაპირობა გალილეოს *a priori* რწმენამ ხალხური ენის მიმართ. თავის ნაშრომში “სამხედრო და გეომეტრიული კომპასის მოქმედება” (*Le operazioni del compasso geometrico e militare*) და მის წინასიტყვაობაში გალილეო ადასტურებდა, რომ ხალხური ენის გამოყენებით უნდოდა მათ რიგში მდგარიყო, ვისაც აქტიური მოღვაწეობა აინტერესებდა და არა ლათინური ენა. ეს ბუნებრიობა ახასიათებს გალილეოსა და საერთოდ ტოსკანელი მეცნიერების ენას, რომლებიც არ იყვნენ დაკავებულნი ყოფითი მოვლენების, ცხოველთა და მცენარეთა თავისებურებების, ინსტრუმენტების აღწერით (რაც, შეიძლება, სხვა რეგიონის ავტორებთან აღმოვაჩინოთ). მაშასადამე, გალილეომ შეგნებულად აირჩია ტოსკანური, თუმც დასაწყისში მას ლათინურის ხმარებამ (“ვარსკვლავთ მაცნე”- *Siderius nuncius*) მოუწია. ლათინურმა გალილეოსთან შედარებით “ნეგატიური” ფუნქცია მიიღო; ნაშრომში “სინჯის ოსტატი” (*Saggiatore*, 1623 წ.), გალილეომ მას პოლემიკის მსგავს დაპირისპირებისას მიმართა: დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთის შეხედულებები ლათინურად არის წარმოდგენილი და შემდეგ ისინი იტალიურ ენაზეა გაცამტვერებული. ამგვარად, ერთმანეთთან დიალოგში შედის და ერთმანეთს უპირისპირდება ორი

ენა, რომლებიც მეცნიერების ორგვარ ხედვას განასახიერებენ.

მას შემდეგ, რაც გალილეომ არჩევანი ხალხური ენის სასარგებლოდ გააკეთა, ყველაფერი უნდა ელონა, რათა ამ ენას ახალი გამოწვევებისთვის ეპასუხა. ამაში მან განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია კიდევ, რაშიც დაერწმუნებით, თუ შევადარებთ ნაწყვეტს მისი რომელიმე ნაშრომიდან მის წინამორბედ მეცნიერთა ნაშრომებს. მიუხედავად იმისა, რომ გალილეომ ხალხური ენა აირჩია, ამით მისი ენის სტილი არ დაწეულა, ამას ხელი შეუწყო მისმა ტოსკანურმა წარმოშობამ და იმანაც, რომ ის მოღვაწეობდა სამშობლოდან შორს (პადუის პერიოდში). მან შეძლო მიეღწია ელევანტური და “საშუალო” სტილისათვის, რასაც, ამავე დროს, ტერმინოლოგიისა და სინტაქსის სიზუსტე ერწყმის. მის ენაში გადაჭარბების გარეშე ერთმანეთთან შერწყმული სალაპარაკო ელემენტები სამეცნიერო, “მაღალ” ლექსიკასთან, რაც განაპირობა გალილეოს ტოსკანურმა წარმოშობამ და აღორძინების დახვეწილმა გემოვნებამ. გალილეოს ნაშრომები გამოირჩევა მკაცრი ლოგიკურობითა და საოცარი ენობრივ-ტერმინოლოგიური სიზუსტით, რომლის გარეშეც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მეცნიერული ხასიათის ნაშრომი. იგი იყენებს ისეთ ტერმინებს, რომელთა მნიშვნელობაც მკაცრად განსაზღვრული აქვს წინასწარ, რათა შემდგომი მისი შეხედულებები აბსოლუტურად გასაგები იყოს, ასე, მაგალითად, მთვარის ნათება (candore) “Il candor della luna” (დღეს მას უწოდებენ luce cinerea-ს): “questo tenue lume secondario, che nella parte del disco lunare non tocca dal Sole si scorge (il quale, per brevità, con una sola parola nel progresso chiamerò *candore*)”; მაშასადამე, როდესაც გალილეო ასახელებს ან განმარტავს რაიმე ახალ კონცეპტსა თუ მოვლენას, ის ამჯობინებს, უკვე საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვებს მიმართოს, ცდილობს თავი აარიდოს ახალი, უცნობი ტერმინოლოგიის შემოღებას. მილიორინიმ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ გალილეო არ ქმნის ახალ ტერმინებს, ის ცდილობს უკვე არსებულ ტერმინებს მიანიჭოს სპეციფიკური, მეცნიერული მნიშვნელობა; ის ასევე თავს არიდებს ბერძნული და ლათინური ტერმინოლოგიის შემოღებასაც. გალილეო უპირატესობას ანიჭებს მარტივ და იტალიურ სიტყვებს, მაგალითად,

ნაცვლად იმისა, რომ ახალი ინსტრუმენტისათვის ბერძნული ტერმინი შემოელო, მას “cannone” ან “occhiale” დაარქვა, მოგვიანებით კი ამ ინსტრუმენტს “cannocchiale” უწოდეს. კიდევ უფრო მოგვიანებით ამ იარაღმა მიიღო ბერძნული სახელწოდება – “telescopio”, მაგრამ ის არ არის შემოტანილი გალილეოს მიერ. მილიორინი აღნიშნავს, რომ ყოველთვის, როცა ვხვდებით გალილეოს გამოგონებას და მას განსაკუთრებული სახელწოდება აქვს, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს სახელწოდება სხვათა მიერ არის მოგვიანებით შემოღებული.

გრეციზმები მეცნიერულ ენაში XVII საუკუნიდან დასტურდება. მაგალითად, XVII საუკუნეში შემოვიდა და საყოველთაოდ გავრცელდა შემდეგი გრეციზმები: მიკროსკოპი, თერმომეტრი, ბარომეტრი, რომელსაც თავიდან ერქვა tubo di Torricelli (ტორიჩელის მილი - გალილეოს მოწაფის გვარის მიხედვით, რომელიც ექსპერიმენტებს ატარებდა). ინსტრუმენტს, რომელსაც გალილეო “bilancetta”-ს ეძახდა, მეცნიერებმა “idrostanto” დაარქვეს. მასმასადამე, გალილეოს გემოვნება გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ლათინიზმებისა და გრეციზმების შემოღების ტენდენციას, რომელიც შემდგომში ძალიან გავრცელდა მეცნიერულ ენაში. გალილეოს ენის “სიმარტივე” კარგად ჩანს ისეთ ტერმინში, როგორცაა “მზის ლაქები” (macchie solari), რასაც ის მზეზე ტელესკოპით აღმოჩენილ ლაქებს უწოდებდა. მიუხედავად იმისა, რომ გალილეოს ასეთ დამოკიდებულებას არ მოუხდენია ცვლილებები მთელს მეცნიერულ ლექსიკაში, მის გარკვეულ სექტორებზე მაინც მოახდინა ზეგავლენა. მილიორინიც აღნიშნავს, რომ დღეს ამ თვალსაზრისით ბევრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, ფიზიკა და ასტრონომია და, მეორე მხრივ, ქიმია და მედიცინა.

აღსანიშნავია გალილეოს ლიტერატურული ნიჭიც; ის ძალიან დამაჯერებლად კამათობს და გასაგებად გადმოსცემს, რაც საშუალებას აძლევს ერთნაირად კარგად აღწეროს მწერების სამყარო და ფიზიკისა და ასტრონომიის კანონები.

4. მელოდრამა

თეატრისა და პოეზიის გვერდით აუცილებლად უნდა განვიხილოთ მელოდრამა. ეს ჟანრი XVI და XVII საუკუნეებს შორის შეიქმნა და უდიდეს წარმატებას სწორედ XVII საუკუნეში მიაღწია. მელოდრამაში დადგა საკითხი სიტყვისა და მუსიკის კავშირის შესახებ, რაც ადრე არ ხდებოდა; იგივე საკითხი გვიანი აღორძინების პერიოდის თეორეტიკოსებმა ბერძნულ ანტიკურ ტრაგედიასთან მიმართებაში დააყენეს. XVII საუკუნის პირველ ნახევარში მელოდრამა იყო ანტიკური ტრაგედიის აღდგენის მცდელობა, რომელიც, როგორც წარმოედგინათ, ბერძნების მიერ სიმღერის თანხლებით სრულდებოდა.

მუსიკისა და პოეზიის კავშირი, რა თქმა უნდა, არ იყო ახალი XVI საუკუნეში. საქმე ეხება მოვლენას, რომელიც შუა საუკუნეებიდან დასტურდება: ცნობილია, რომ დანტეს პოეზიის ზოგიერთ ნიმუშს სიმღერით ასრულებდნენ. აღორძინების პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მადრიგალის ფორმამ (ჩვეულებრივ სასიყვარულო-ლირიკული შინაარსის მქონე პატარა მუსიკალურ-პოეტური ნაწარმოები). ტასომ, მაგალითად, დაწერა ბევრი ლექსი, რომელიც მუსიკის თანხლებით ან სიმღერით უნდა შესრულებულიყო. შესაბამისად, პოეზიასა და მუსიკას შორის კავშირი მჭიდროდ ითვლებოდა. ფლორენციელი თეორეტიკოსი, გალილეო გალილეის მამა - ვინჩენცო გალილეი (Vincenzo Galilei, 1520-1591), ავტორი ნაშრომის “ანტიკური მუსიკის დიალოგი” (Dialogo della musica antica), პეტრარკას ქმნილებებს იმ ნაწარმოებებს შორის ასახელებს, რომელსაც მუსიკა მიუსადაგეს.

მუსიკოსების მიერ პოეზიის გამოყენება საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ სიმღერა იყო იტალიური ლიტერატურული პროზის მოდელების გავრცელების კიდევ ერთი საშუალება. კავშირი სიტყვასა და მელოდიას შორის უფრო ღრმად და სისტემურად თეორიული ხასიათის ნაშრომებში განიხილებოდა, როგორც არის, მაგალითად, უკვე ხსენებული ვინჩენცო გალილეის “დიალოგი” (Dialogo, 1581 წ.). იმ დროს სურვილი ჰქონდათ, ბერძნული ტრაგედია ძველი ბერ-

ძნების მსგავსად შეესრულებინათ. სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული იდეა, რომ მუსიკისათვის მეტი სიღრმე მიეცათ, მეტი ადგილი დაეთმოთ და ამავე დროს სიტყვისათვის რეალისტური ინტონაცია შეენარჩუნებინათ.

ფლორენციაში, გრაფი ბარდის (Giovanni Bardi, 1534-1612) კამერატაში, სადაც იმ დროის მეცნიერებისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იკრიბებოდნენ, სუფევდა შეხედულება, რომ ბერძნული ტრაგედია თავიდან ბოლომდე სიმღერით სრულდებოდა. XVI საუკუნის თეატრში კი მუსიკა მხოლოდ ინტერმეცოში (აქტებს შორის წარმოდგენილი მუსიკალური და საცეკვაო ჩანართი) იყო, მასში სიმღერას ადგილი არ ჰქონია. მუსიკისა და სიმღერის მოცულობის გაფართოება, როგორც ეს კამერატას ჰქონდა განსაზღვრული, ტექსტის თხრობასთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. ეს პრობლემა გადაიჭრა პერისა (Jacopo Peri) და კაჩინის (Giulio Caccini) მიერ “ევრიდიკეს” პარტიტურაში: თანამედროვენი ადასტურებდნენ მასში სიმღერის მნიშვნელოვნად წინ წამოწევას, მაგრამ იმგვარად, რომ ტექსტში ცვლილებები არ მომხდარა და ის გასაგები იყო.

ბარდის კამერატას თავისი შესაძლებლობის ჩვენების საშუალება ჯერ კიდევ 1589 წელს მიეცა, იმ ზეიმებზე, რომელიც ფერდინანდო დე მედიჩისა და ქრისტინა დი ლორენას ქორწინებას ეძღვნებოდა, მაგრამ ოპერა მოგვიანებით, 1600 წელს დაიბადა, “ევრიდიკეს” წარმოდგენის დროს, რომელიც მარია დე’ მედიჩის ქორწინებას მიეძღვნა. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ეს წარმოდგენები ღიღებულთა კარზე იდგმებოდა და, შესაბამისად, ეს იყო სპექტაკლი ელიტისათვის, რამეთუ გართობის ეს საშუალება სცენოგრაფიასა და რთულ დეკორაციებს მოითხოვდა. ამიტომ, შესაძლებელია, ზუსტად დავადგინოთ საზოგადოების ის კლასი, რომელზეც ის ენობრივ გავლენას ახდენდა – ეს იყო ღიღებულთა კლასი. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ხელოვნების ამ ახალ ფორმას ძალიან ძალე ზედა წილად წარმატება; მას ძალე მიბაძეს სხვა ქალაქებშიც, განსაკუთრებით ალსანიშნავია ის წარმატებები, რასაც მანტოვასა და ვენეციაში მი-აღწიეს. XVII საუკუნიდან უკვე ძალიან ბევრი ლიბრეტო იქმნებოდა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელიც საშუალებას გვა-

ძლევს მთელი სისრულით წარმოვიდგინოთ ოპერის ლიტერატურული და ენობრივი მნიშვნელობა.

5. ბაროკოს პომეჟური ენა

XVII საუკუნის დასაწყისიდან პოეზიის ენაში სიახლეები კიდევ უფრო შესამჩნევია, ვიდრე ეს ტასოს პოეზიაში იყო; თუმცა ეს არ იყო ნამდვილი და ღია დაპირისპირება წარსულთან, რადგანაც ავტორები ნაწილობრივ პატივს სცემდნენ არსებულ წესებს, მაგალითად, შენარჩუნებული იყო პეტრარკასეული მეტრული სქემები და რითმული კადენცები. ლექსიკის სფეროში ადგილი აქვს ინოვაციებს: ბაროკოს პოეზიაში შემოდის ახალი თემები, ახალი თემების შემოტანას კი თან სდევს ახალი ლექსიკის დამკვიდრება. ეს სიახლეები პირველ რიგში უკავშირდება ამ მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ჯამბატისტა მარინოს (Giambattista Marino, 1569-1625) სახელსა და საერთოდ “მარინიზმს”. სწორედ მარინოს, “ვარდის” გვერდით (ეს ყვავილი განსაკუთრებით სშირად გვხვდება ბაროკოს პოეზიაში), მოჰყავს ბევრი სხვადასხვა მცენარე, რომელთაც სშირად ახლავთ თავიანთი ეპითეტები. ამ სახელწოდებების უძრავლესობა არ იყო უცნობი წინა პერიოდის პოეზიისათვის, მაგრამ ამჯერად მათი ხმარება ბევრად უფრო გამოკვეთილია: *l'amaranto* (ჯიჯლაყა), *il vago acanto* (გრაციოზული აკანთო), *la pallida ed essanguie violetta* (ფერმკრთალი სურნელოვანი ია), *il fresco o bianco o ambizioso giglio* (ახალი, თეთრი, ამბიციური შროშანი), *l'anemone* (ანემონი), *il fiordaliso* (ლილილო), *il narciso* (ნარციზი), *il tenero ligustro* (ფაქიზი კვილო), *il papavero vermiglia* (ალისფერი ყაყაჩო), *i garofani* (მიხაკები). ბაროკოს პოეზიაში ფართოდ ვხვდებით ცხოველთა და ფრინველთა სახელებს; მარინოსთან დასტურდება: *il fiero leone* (ამაყი ლომი), *la leonza invitta*, *l'aspra o libica pantera* (ავაზა), *il serpe* (გველი), *la lepre* (კურდღელი), *la damma* (ფურირემი), *il daino* (ირემლალი), *l'elefante* (საილო), *l'ippopotamo* (ბეჰემოტი), *l'orso* (დათვი), *la giovenca* (დედალი ხბო), *il pavone* (ფარშეკანგი), *il pettirosso* (გულწითელა),

la civetta (ბუ), il grillo (ჭრიჭინა), la cicala (ჭრიჭინა), la formica (ჭიანჭველა), la torpedine (სკაროსი), il gallo (მამალი), la mosca (ბუზი), l'aquila (არწივი), il cignio (გელი), il falcone (შეგარდენი), il parpaglione, la farfalla (პეპელა). ლიბრანოსთან (Giacomo Librano, 1619-1693) ვხვდებით: baco di seta (აბრეშუმოს ჭია), la lucciola (ციცინათელა), la remora, la tarma (ჩრჩილი), il ragno (ბაყაყი) – როგორც ვხედავთ, განსაკუთრებული ინტერესი არსებობს მწერების სამყაროს მიმართ; ისიც მნიშვნელოვანია, რომ XVII საუკუნეში მეცნიერული პროზა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ცხოველთა და, განსაკუთრებით, მწერების სამყაროს აღწერას. ეს იყო ახალი ექსპერიმენტების, “მიკროსკოპით” დაკვირვების, გალილეოს აღმოჩენების პერიოდი; ამ დროს განსაკუთრებული ინტერესით აღიწერებოდა ცხოველთა სამყაროს ზოგიერთი, არცთუ ისე მიმზიდველი სახეობანი, მაგალითად გველები და მატლები. ბაროკოს პერიოდის პოეტები იყენებდნენ იმ მეცნიერულ მიღწევებს, რაც ლექსიკის თვალსაზრისით არსებობდა და მას სშირად მიმართავდნენ.

ის, რაც ითქვა ბაროკოს პოეზიისა და მეცნიერული ლექსიკის კავშირის შესახებ, ძალაშია ამ სკოლის მამამთავრის – მარინოსთან მიმართებაში. მის “აღონეში” (Adone) გამოიყოფა ოქტავები, რომლებშიც მწერალი რთული ალეგორიული ფორმით იყენებს ადამიანის სხეულის ანატომიას და ხმარობს ანატომიურ ტერმინებს სხვადასხვა ორგანოების – თვალის, ყურის, ცხვირის ფუნქციონირების აღწერის დროს (რასაც პოეზიაში ადრე ადგილი არ ჰქონია). იმ პერიოდის ანატომიურ ტრაქტატებში მოძიებული ადამიანის ანატომიის ლექსიკა გამოიყენება იმისათვის, რომ აღიწეროს ადამიანის გრძნობები და საერთოდ ყველაფერი ადამიანური. “აღონეს” სხვა ოქტავებში გამოყენებულია გალილეოსეული მთვარის აღწერა, რაც ადასტურებს, ლიტერატურის “გახსნილობას” მეცნიერული მიღწევებისათვის.

მარინოს მეთაურობით ბაროკოს პოეზიის მნიშვნელოვანი მიმდინარეობა იყენებს მეცნიერულ ლექსიკასა და მეცნიერულ თემატიკას. ამგვარად, მეცნიერება გარკვეულწილად აღიარებული და განმტკიცებულია ლიტერატურაში. ამ ახალმა მიმართულებამ, რა თქმა უნდა, ლექსიკური არჩევანის თვალსაზრისითაც გამოიღო შედეგი. მარინო,

თავისი “ადონეს” VI კანტოში, სადაც ადამიანის თვალის ანატომიის შესახებ ლაპარაკობს, ისეთ სიტყვებს ხმარობს, როგორცაა: *nervi* (ნერვები), *pupilla* (გუგა), *circolo visivo* (მხედველობის ველი), *cristallo* (ბროლი). ადამიანის მხედველობისა და ანატომიის ეს ლექსიკატრაქტატებიდან იყო ამოღებული და ახალი იყო პოეზიაში. მაშასადამე, იქმნება გარკვეული ნაზავი ძველისა და ახლის, რაც ახასიათებს XVIII საუკუნის დიდაქტიკურ პოეზიას. მარინოს პოემა “ანომალურია”, ის მიმართავს სხვადასხვა ჟანრებს, რაც მას დიდაქტიკური ნაწილების ჩართვის საშუალებას აძლევს; გარდა ამისა, ის ქმნის სიმბოლოებს, რომლებიც მკითხველს თავიანთი თავისებურებით აოცებენ.

მარინოს პოეზიაში მეცნიერული ლექსიკის არსებობა ადასტურებს განახლების ტენდენციას. “ადონეში” შესულია ავტორის თანამედროვე რეალობა, მაგალითად, ტელესკოპი, რომელიც გამოიყენება მთვარის დასანახად. არცთუ ისე იშვიათად გამოყენებულია მეცნიერული წარმომავლობის კულტიზმები (რთული სიტყვები), გრეციზმები, ლათინიზმები, ასევე ანატომიის, ქირომანტიის, ფარიკაობის, ჯირითის ლექსიკა.

როგორც ვხედავთ, ლექსიკური თვალსაზრისით მდგომარეობა პოეზიაში იცვლება, ის პეტრარკასეულ ლექსიკასთან შედარებით უკვე ბევრად უფრო ფართოა.

6. იტალიური ენის წინააღმდეგ გამართული კოლემიკა

XVII საუკუნის ბოლოდან გავრცელდა შეხედულება ბაროკოზე, როგორც “ცუდი გემოვნების” შესახებ. ამას იზიარებდნენ და განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ XVIII საუკუნის განმანათლებლები. ისიც მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბაროკოს წინააღმდეგ მოძრაობა ჯერ საფრანგეთში დაიწყო და მხოლოდ მერე გავრცელდა იტალიაში. სწორედ საფრანგეთში მომწიფდა ის შეხედულება, რომელმაც განაჩენი გამოუტანა არა მხოლოდ იტალიურ, არამედ ესპანურ ბაროკოს

ლიტერატურასაც (ესპანეთი ბაროკოს კულტურის მეორე მნიშვნელოვანი ცენტრი იყო); საფრანგეთში გამართული ლიტერატურული პოლემიკა ბაროკოს წინააღმდეგ დამთავრდა იმით, რომ უარყოფითი შეხედულება გამოითქვა თავად იტალიურ ენაზეც.

პაღრე დომინიკ ბუჰურმა (Dominique Bouhours, 1628-1702), ფრანგმა იეზუიტმა, რომელიც თავის ქვეყანაში გრამატიკოსის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა (მას მიიჩნევდნენ დიდი ვუგელასის *buon usage*-ის მიმდევრად), თავის ორ ნაშრომში: “არისტოსა და ევგენის ურთიერთობანი” (*Les entretiens d’Ariste et d’Eugène*, 1671 წ.) და “გონებრივ ნაშრომებზე კარგი აზროვნების წესი” (*La manière de bien penser dans les ouvrages d’esprit*, 1687 წ.) – ჩამოაყალიბა შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ევროპის ხალხებს შორის მხოლოდ ფრანგებს ჰქონდათ “ლაპარაკის” უნარი; ესპანელები “დეკლამირებდნენ” და იტალიელები “ოხრავდნენ”. ასეთ მიდგომას, რომელიც იტალიურის “პოეტურობას” უარყოფითად აფასებდა, ამ ორი ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი “დეფექტების” ჩვენება სურდა: ესპანურს ბრალს სდებდნენ მაღალფარდოვან რიტორიკულობაში, ხოლო იტალიურს – გადამეტებულ პოეტურ სიტკბობაში. ბუჰურის აზრით, ფრანგულს ხელს უწყობდა ამ ენისათვის დამახასიათებელი პროზისა და პოეზიის ენების სიახლოვე, რაც “რაციონალურობის” ნიშანი იყო. მას უნდოდა ფრანგული ენა უნივერსალურ ენად, ახალ ლათინურად ექცია. იტალიურ ენას (რომელიც კულტურის ერთ-ერთი მთავარი ენა იყო XV-XVI საუკუნეებში), მისი აზრით, არ შესწევდა უნარი დაწყობილად გადმოეცა ადამიანის აზრი, ის ხასიათდებოდა მხოლოდ როგორც ლირიკული პოეზიისა და ოპერის ენა (იმ ჟანრისა, რომელიც სწორედ იტალიიდან გავრცელდა). ბუჰურის ეს განაჩენი იტალიური ლიტერატურის განვითარებასაც ეხებოდა. ამ დროს პირველად დადგა საკითხი, რომელიც “ენების გენიას” (*genio delle lingue*) უკავშირდებოდა და რომლის შესახებ გაცხარებული კამათი მოგვიანებით, XVIII საუკუნეში გაიმართა. იტალიური ლიტერატურული გემოვნების დაცემას იტალიური ენის ბუნებას უკავშირებდნენ.

ბუჰურის შეხედულებებს პასუხი მოგვიანებით გასცეს, მხოლოდ

მომდევნო საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ მოაზროვნენი, რომლებმაც საკადრისად დაიცვეს იტალიური ენა, ესენი იყვნენ: ჯან ჯოზეფო ორსი (Gian Gioseffo Orsi), ლუდოვიკო ანტონიო მურატორი (Ludovico Antonio Muratori), ანტონ მარია სალვინი (Anton Maria Salvini). სწორედ ამ პოლემიკით არის გამორჩეული XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნის დასაწყისი, მაშინ დაიწყო ბუჰურის შეხედულებების კრიტიკა და იტალიური ენის ღირსებებისა და მნიშვნელობის წინ წამოწევა.

7. დიალექტური ლიტერატურა

XVI-XVII საუკუნეები დიალექტური ლიტერატურის დაბადების პერიოდია. ეს პროცესი სრულიად გაცნობიერებული იყო და ის ტოსკანურ ენაზე დაწერილ ლიტერატურას უპირისპირდებოდა. ამ პერიოდის იტალიური პოეზიის სურათი სრული არ იქნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ავტორებს, რომელთაც სურდათ პოეტურად აემეტყველებინათ თავიანთი რეგიონების ენა. შესაბამისად, ამ პერიოდის იტალიური ლიტერატურული ტრადიციისათვის დამახასიათებელია დიალექტური ლიტერატურის დიდი გამოცოცხლება, რომელსაც არ ჰქონია მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა.

დიალექტურობის გამოვლინებაა აგრეთვე ცოცხალი და ხალხური ტოსკანური ენის გამოყენება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მიქელანჯელო ბუონაროტი ჯოვანე (Michelangelo Buonarotti il Giovane, 1568-1646), დიდი მიქელანჯელოს შვილთაშვილი, რომელიც კრუსკას აკადემიის აკადემიკოსი იყო და მონაწილეობა მიიღო ლექსიკონის შედგენაში. ცნობილია მისი ლექსად შესრულებული ორი თეატრალური ნაწარმოები: “Tancia” (1611 წ.) და “La fiera” (1619 წ.). პირველი — ოქტავეში შესრულებული ფარსია და განეკუთვნება გლეხური პოეზიის ჟანრს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ტოსკანაში. მეორე კი აღწერს სხვადასხვა სოციალური კლასების ცხოვრებას — ბურჟუაზიიდან დაწყებული გლეხობით დამთავრებული;

მოქმედება ვითარდება წარმოსახვით ქალაქში – პანდორაში, რომელიც ფლორენციას გვაგონებს. ამ შემთხვევაში ლექსიკოგრაფისა და ლიტერატორის გემოვნება ერწყმის და ავსებს ერთმანეთს; შედეგად, ეს ორი ნაწარმოები, მათში გამოყენებული ხალხური ფორმებისა და იშვიათი ტოსკანიზმების გამო, ძალიან საინტერესო ხდება ლინგვისტისათვის.

თავი მეშვიდე

XVIII საუკუნე

1. იტალიური და ფრანგული ენები ევროპულ ფონზე

XVIII საუკუნის დასაწყისში ცოტა იყო ისეთი ენა, რომელსაც საერთაშორისო ენის ფუნქციის შესრულება შეეძლო. ესპანური, დიდი აღმავლობის შემდეგ (XVI საუკუნისა და XVII საუკუნის პირველი ნახევარი), ახლა უკვე დაღმავლობას განიცდიდა. ამასთან ერთად, სულ უფრო იზრდებოდა ფრანგულის მნიშვნელობა და როლი. რაც შეეხება სხვა ენებს, მაგალითად, პორტუგალიურს, XVIII საუკუნეში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია, თუმცა XVI საუკუნეში ამ ენაზე ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებდნენ ეგზოტიკურ ქვეყნებში მოხვედრილი ვაჭრები და მოგზაურები. რაც შეეხება სლავურ ენებს, მათ ჯერ არც იცნობდნენ და არც სათანადოდ აფასებდნენ. გერმანულსა და ინგლისურს კი მეორეხარისხოვანი მდგომარეობა ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს უკვე ზოგიერთი მოაზროვნე ინგლისისაკენ ინტერესით იყურებოდა. და მაინც, XIX საუკუნის დასაწყისამდე, ინგლისურს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუღია და ეს მხოლოდ იმით არ იყო გამოწვეული, რომ ამ ენაზე ევროპაში დიდებულთა კარზე არ ლაპარაკობდნენ და ის უცნობი იყო; ამის მიზეზი “XVII საუკუნის ბოლოს არააგრესიული ბრიტანული პოლიტიკა და კულტურა იყო (უკიდურეს შემთხვევაში, ევროპასთან მიმართებაში მაინც)” (ჯენზინი). თავად ინგლისური კულტურა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა (მაგალითად ფილოსოფია), ფრანგულის მეშვეობით ვრცელდებოდა. რაც შეეხება გერმანულს, მისი დრო ჯერ არ დამდგარიყო: გერმანულენოვან ქვეყნებში გერმანულის ცოდნის გარეშე მოგზაურობა სავსებით შესაძლებელი იყო. 1750 წელს ვოლტერი პოტსდამიდან წერდა, რომ ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს საფრანგეთში იმყოფებოდა და იმასაც აღნიშნავდა, რომ იქ ფრანგულს ყველგან

ლაპარაკობდნენ, გერმანული მხოლოდ ჯარისკაცებთან და ცხენებთან ურთიერთობისათვის იყო საჭირო.

XVIII საუკუნის ბოლოს, როდესაც იტალიელი განმანათლებელი კარლო დენინა (Carlo Denina, 1731-1813) ბერლინში გადავიდა და ამ ქალაქის სამეფო აკადემიის წევრი გახდა, მას სულაც არ დასჭირვებია გერმანულის შესწავლა თავის გერმანულ კოლეგებთან ურთიერთობისა და მეცნიერული მიმოწერისათვის, რადგანაც ამ პრესტიჟული ორგანიზაციის სამუშაო ენა სწორედ ფრანგული იყო. არსებობდა ისეთი გავრცელებული შეხედულება, რომ გერმანულს არასაკმარისი კულტურული სტატუსი გააჩნდა. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში, რომანტიზმის გავრცელებასთან ერთად მოიპოვეს გერმანული საყოველთაო აღიარებას და გერმანული კულტურაც დაიწყო თავისი ეროვნული ენის გამოყენებას. XVIII საუკუნეში კი უპირატესობა ფრანგულს გააჩნდა.

როგორც ვთქვით, გერმანულენოვან ქვეყნებში უცხოელ მოგზაურთა სალაპარაკო ენა ფრანგული იყო, თუმცა იტალიურსაც მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა, განსაკუთრებით ვენაში. 1675 წელს ფლორენციის ელჩი ვენაში წერდა, რომ იქ არ იყო აუცილებელი გერმანულის ცოდნა, რადგან ყოველმა “galantuomo”-მ იცოდა იტალიური. ვენაში იტალიური დიდებულთა კარის ენა იყო, პიეტრო მეტასტაზიოს (Pietro Metastasio, 1698-1782) – ცნობილ დრამატურგსა და ლიბრეტოების ავტორს – იქ თავისი ხანგრძლივი ყოფნის დროს არ დასჭირვებია გერმანულის შესწავლა. იტალიურ ენას პარიზშიც საკმაოდ კარგად ფლობდნენ, ის იყო სალონური ენა; არისტოკრატი ახალგაზრდა ქალბატონები, როგორც წესი, იტალიურს ეუფლებოდნენ.

განათლებული იტალიელი XVIII საუკუნის ბოლოს აუცილებლად ფლობდა ცოტაოდენ ფრანგულს მაინც. ის, ვინც საცხოვრებლად პარიზში გადადიოდა, ბუნებრივია, ხვეწდა მას, მაგალითად გოლდონი (Carlo Goldoni, 1707-1793); მაგრამ ფრანგულის ცოდნა იმისთვისაც აუცილებელი იყო, ვინც იტალიაში ცხოვრობდა.

გავრცელების ასეთ მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, გარკვეულწილად მისაღებიც იყო, რომ ფრანგული ლათინურის მემკვიდრე გამხდარიყო. ფრანგულად წერა არ იყო მხოლოდ მოღაში, ფრანგულად

წერა ნიშნავდა, რომ მას ყველგან უთარგმნელად გაიგებდნენ. ამას გარდა, ფრანგულ ენას ჩრდილოეთში მოღვაწე ზოგიერთი იტალიელი მწერალი თავისი პირადი ჩანაწერების გასაკეთებლადც ხმარობდა; ფრანგულად წერდნენ დღიურებსა და პირად წერილებს. ეს მოვლენა თავისთავად ძალიან საინტერესოა, რადგანაც ის რაიმე აუცილებლობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ თავისუფალ არჩევანს, ჩვევას წარმოადგენდა. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ XVIII საუკუნის უდიდესი ნაშრომი – დიდროსა (Diderot) და დ'ალამბერტის (d'Alembert) ენციკლოპედია, ფრანგულად (და არა იტალიურ თარგმანში) ორჯერ გამოიცა იტალიაში: ლუკასა (1758-1771 წწ.) და ლივორნოში (1770-1779 წწ.) და ორივეს ერთნაირად დიდი წარმატება ჰხვდა წილად. იტალიური თარგმანი იტალიელი გამომცემლების ძალეხს, ალბათ, აღებატებოდა, მაგრამ მისი გავრცელებისათვის ფრანგულიც არ წარმოადგენდა რაიმე წინააღმდეგობას.

ფრანგულის დამკვიდრება იტალიაში, მაღალი კულტურის გარდა, ბევრი სხვა არხით ხდებოდა. მაგალითად, მოდის საშუალებით, რომელიც ზემოქმედებას ახდენდა ჩვევებსა და საერთოდ ცხოვრების სტილზე. ფრანგული ენის, მოდისა და კულტურის ამგვარ გავრცელებას მნიშვნელოვანი შედეგები უნდა მოჰყოლოდა. XVIII საუკუნის განმავლობაში, ფრანგულისათვის აბსოლუტური პირველობის მინიჭების მცდელობა – როგორც ამას ცდილობდა პადრე ბუჰჰარი - კიდევ უფრო გაძლიერდა. ბერლინის აკადემიამ 1784 წელს ჯილდო მიანიჭა რივაროლის (Antoine Rivaroli, 1753-1801) მონოგრაფიას, რომელსაც ნიშანდობლივი სათაური ჰქონდა: “ფრანგული ენის უნივერსალობა” (De l'universalité de la langue française). რივაროლის აზრით, ამ ენამ საერთაშორისო წარმატება მოიპოვა არა მხოლოდ ხელშემწყობი ისტორიული პირობების გამო, არამედ სხვა მიზეზითაც: “ეს არის ბუნებრივად დახვეწილი სტრუქტურის მქონე ენა; გასაგები, ლოგიკური, რაციონალური კომუნიკაციის ენა, რომელიც უპირისპირდება, მაგალითად, იტალიურს, რომელსაც სინტაქსური ინვერსიები ახასიათებს”. ამ საკითხს მოგვიანებით დაუბრუნდებიან: გრამატიკოსები და სხვა სწავლულები იგივეს გაიმეორებენ, როდესაც რევოლუციის შემდეგ და ნაპოლეონის ეპოქაში იმპერიის ჯარის

მიერ დამარცხებულ ქვეყნებში ფრანგულს შეიტანენ. იმ დროს გავრცელებული შეხედულების თანახმად, ფრანგული ენა ძალიან გასაგები იყო, ხოლო იტალიური მხოლოდ გრძნობების, პოეზიისა და მუსიკის ენას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ამ სტერეოტიპულ შეხედულებას შეიძლება ზიანი მიეყენებინა იტალიურისათვის. იმ პერიოდში ძალიან აქტიურად कामათობდნენ ფრაზის “ბუნებრივ წყობასთან” დაკავშირებით. სწავლულთა უმრავლესობას წინადადების ბუნებრივ წყობად “ქვემდებარე-ზმნა-დამატება” მიაჩნდა, რაც, მართლაც, ახასიათებს ფრანგულის სინტაქსს. რაც შეეხება იტალიურს, მისთვის წინადადების წევრების განლაგების თვალსაზრისით დამახასიათებელია თავისუფლება: შესაძლებელია დამატების წინ გადმოტანა, ზმნის წინადადების ბოლოში გადასმა – რაც სწორედ ბოკაჩოსეული სტილისათვის არის დამახასიათებელი. ასეთ თავისუფლებას ზოგიერთები “სტრუქტურულ” ნაკლად მიიჩნევდნენ, თუმცა საქმე მხოლოდ ინვერსიის სიმრავლესთან გვექონდა, რაც ბოკაჩოს სტილისადმი მიბაძვით იყო გამოწვეული. იტალიურისათვის დამახასიათებელი “დეფექტები” არ იყო მისი “ბუნებრივი” მახასიათებლები, ისინი ისტორიულად იყვნენ განპირობებულნი და აიხსნებოდნენ იტალიურის “თავგადასავლით”: მოდის გავლენით, ზომიერ მეტად მიმართავდნენ არქაულ სტილს.

2. ჩეზაროტი – მნის ფილოსოფოსი

1729-1738 წლებში გამოვიდა კრუსკას აკადემიის ლექსიკონის მეოთხე, შესწორებული და გაფართოებული გამოცემა, რომლის საფუძველს ისევ ტოსკანელი ავტორების ნაწარმოებები წარმოადგენდნენ. ამას მოჰყვა კრიტიკული შეხედულებების ახალი ტალღა, რომელიც იტალიურ ლიტერატურულ ტრადიციაში ფესვგადგმული არქაული ავტორიტარიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. თავისი პარადოქსული შინაარსით ცნობილია ალესანდრო ვერის (Alessandro Verri) “კრუსკას ლექსიკონის უარყოფა” (Rinunzia avanti notaio al Vocabolario della Crusca) - რომელიც მილანელი ჟურნალის

“კაფე”-ს რედაქტორების სახელით დაიწერა. ეს ნაშრომი ეწინააღმდეგება ფლორენციულის ავტორიტარიზმს, მაგრამ მისი თეორიულ მანიფესტად განხილვა შეუძლებელია: ის სარკაზმით სავსე კარგი პამფლეტია. თუმცა ვერის პამფლეტის რადიკალიზმი იმის გაგებაში გვეხმარება, თუ რას ნიშნავს იტალიური ენის “rinunzia” (უარყოფა), რომელიც პიემონტში ნაპოლეონის ეპოქაში წამოჭრეს. პიემონტი მაშინ პოლიტიკურად საფრანგეთს ეკუთვნოდა; იტალიური ენის “უარყოფა” ნიშნავდა არა მხოლოდ ფრანგი ოკუპანტების სურვილის დაკმაყოფილებას, არამედ რიტორიკითა და ფორმალიზმით “დაავადებულ” იტალიურ კულტურასთან კავშირის გაწყვეტას.

პოზიცია, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს განმანათლებლობის პერიოდის იდეალებს და რომელიც უკვე გაუსაძლის ტვირთად აღქმული კონსერვატული ტრადიციების წინააღმდეგ არის მიმართული, ეკუთვნის ცნობილ მელქიორე ჩეზაროტის (Melchiorre Cesarotti, 1730-1808) და წარმოდგენილია მის ნაშრომში “ნარკვევი ენის ფილოსოფიის შესახებ” (Saggio sulla Filosofia delle Lingue) - პირველი რედაქცია გამოვიდა 1785 წელს, სათაურით “Saggio sulla lingua italiana”; მეორე რედაქცია - 1788 წელს და საბოლოო ერთტომეული - 1800 წელს, რომელშიც ავტორის ყველა ნაშრომი შევიდა. ნაშრომი, მართალია, იტალიურთან მიმართებაში იყო დაწერილი, მაგრამ შეიცავდა უნივერსალური მნიშვნელობის მქონე სისტემას, ემყარებოდა რა ენის იმ გაგებას, რომელიც XVIII საუკუნის ფრანგული კულტურის შეხედულებების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ჩეზაროტის ძალიან ნათლად აქვს გადმოცემული თავისი შეხედულებები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალურობას.

ზემოაღნიშნული ნაშრომი თეორიული შეხედულებებით იწყება, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ყოველი ენა იბადება და საიდანმე იღებს დასაბამს.; თავიანთი ისტორიის დასაწყისში ეს “ბარბაროსული” ენებია. თუმცა სიტყვა “ბარბაროსული” აზრს კარგავს ენასთან მიმართებაში, რადგანაც ყოველი ენა ძალიან კარგად გამოიყენება იმ ერის მიერ, რომელიც მას მოიხმარს;

არც ერთი ენა არ არის წმინდა, ყოველი მათგანი სხვადასხვა

ელემენტების შერწყმით იქმნება;

ყოველი ენა იბადება შემთხვევითი კომბინაციის შედეგად და არ წარმოადგენს რაციონალურ ჩანაფიქრს;

არც ერთი ენა არ იქმნება წინასწარშემუშავებული წესების საფუძველზე ან ვინმე ავტორიტეტული ფიგურის ჩანაფიქრის თანახმად;

არც ერთი ენა არ არის სრულყოფილი, მაგრამ ყოველ მათგანს შეუძლია განვითარება;

არც ერთი ენა არ არის ისეთი მდიდარი, რომ მას გამდიდრება აღარ სჭირდებოდეს;

არც ერთი ენა არ რჩება უცვლელი;

არც ერთ ენას არ ლაპარაკობს ერი ყველგან ერთნაირად.

ჩეზაროტი ამგვარი პრინციპების ჩამოყალიბებით სასაუბრო და სამწერლო ენის გამიჯვნას ახდენს; მისი აზრით, ამ უკანასკნელს მეტი ღირსებები გააჩნია, რამდენადაც ის არის “ნაფიქრი” და წარმოადგენს სწავლულთა “მოქმედების იარაღს”. ჩეზაროტის ძირითადი პრინციპები სამწერლო ენასთან მიმართებაში შემდეგია: ის არ არის დამოკიდებული არც ხალხზე და “ბრმად” არც იმ მწერლებზე, რომელთა ნაწერებიც მოწონებას იმსახურებს; ის არ შეიძლება გაყინული იყოს რომელიმე მოცემული საუკუნის მაგალითებში და არც “გრამატიკოსების სასამართლოზეა” დამოკიდებული. ჩეზაროტის ეს იდეები სრულიად პასუხობს თანამედროვე ენათმეცნიერულ შეხედულებებს. რაც შეეხება ნაშრომის სხვა თავებს, მაგალითად, ენის ჩამოყალიბებასა და ონომატოპეური სიტყვების სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ, ისინი განსხვავდებიან თანამედროვე შეხედულებებისაგან. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია ანტიიპურისტული შეხედულებები, რასაც ავტორის ზომიერი და გასაგები რაციონალიზმი უდევს საფუძვლად.

ნაშრომის III ნაწილში პრაქტიკული მიზნებია დასახული. ჩეზაროტი მიუთითებს “განმანათლებლურ” გზას და მას კრუსკას აკადემიას უპირისპირებს. ის არ მოითხოვს ყოველგვარი წესებისაგან გათავისუფლებას ჟურნალ “კაფეს” რადიკალურად განწყობილი

განმანათლებლებისაგან განსხვავებით. ის სწორ შეფასებას აძლევს სიტყვის ამა თუ იმ ფორმის საყოველთაოდ გავრცელებას: “საყოველთაო თანხმობა არის ენების შემქმნელი და კანონმდებელი”; თუ ასეთი თანხმობა არ არსებობს, მაშინ უნდა მივყვეთ გზას, რომელიც არც დადასტურებული შემთხვევების უმრავლესობას ემთხვევა და არც ძველ ავტორიტეტებს ემყარება; აქედან გამომდინარეობს შემდეგი – ის, ვინც წერს, არ უნდა უყურებდეს “გარდაცვლილ და დამარხულ წარსულს”. მწერლები თავისუფალნი არიან, მათ შეუძლიათ შემოიტანონ ახალი სიტყვები ან გააფართოვონ ძველი სიტყვების მნიშვნელობები. მეორე მხრივ, ჩეზაროტი ხაზს უსვამს, რომ მისი თეორია არ არის მსაჯულის თეორია, თუმცა ის ზუსტი ნორმების აუცილებლობას აღიარებს, რომლებმაც უნდა შეამცირონ ინოვაციების რაოდენობა. ახალი ტერმინები, შესაძლოა, შემოვიდნენ ენაში დერივაციის ან კომპოზიციის საშუალებით. სიტყვების სხვა წყარო, შესაძლოა, იტალიური ენის დიალექტები გახდნენ, თუმცა ისინი ტოსკანურთან შედარებით ცუდ მდგომარეობაში არიან. ჩეზაროტი იმასაც აღიარებს, რომ ნასესხობების შემოსვლა შესაძლებელია უცხოური ენებიდან, მაგრამ ეს არჩევანი ძალიან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს (თითქოს ავტორი გრძობს, რომ სწორედ ამ საკითხთან მიმართებაში იქნებოდა ძირითადი უთანხმოება). ჩეზაროტი თვლის, რომ ნეოლოგიზმები და უცხოური ნასესხობანი მათი ენაში დამკვიდრების შემდეგ, შესაძლოა, სხვა დერივაციების წყარო გახდნენ. ამ შეხედულებებთან არის დაკავშირებული აგრეთვე აზრი ენის “გენიის” შესახებ. “ენის გენიის” იდეა, რომელიც გაიგება როგორც ენისა და მისი მატარებელი ხალხის თვითმყოფადობა, ენაში ნასესხობების მოწინააღმდეგეებმა გამოიყენეს, რათა ეგზოტიკური ტერმინის სიუცხოვე და მიუღებლობა დაემტკიცებინათ: უცხოური უარყოფს ეროვნულ “გენიას”. თავის შემდგომ გამოცემაში ჩეზაროტის შემოაქვს “გენიის” ორგვარი მნიშვნელობა: “გრამატიკული” და “რიტორიკული”. ეს ორგვარობა იმის საშუალებას იძლევა, რომ ენაში ერთმანეთისაგან კარგად განსხვავდებოდეს ის, რისი დაცვაც აუცილებელია, რადგანაც მისი ჩანაცვლება შეუძლებელია და ის, რისი შეცვლაც აუცილებელია დროისა და პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად. ენის “გრამატიკული სტრუქ-

ტურა” (“გრამატიკული გენია”), მართლაც, შეუცვლელია: მაგალითად, არიან ენები, რომლებშიც წარმოდგენილია არსებითი სახელის ბრუნვები, როგორც, მაგალითად, ლათინური და ენები, სადაც ბრუნვა საერთოდ არ არის წარმოდგენილი. შედარება იტალიურსა და ლათინურს შორის გვიჩვენებს, თუ როგორ განასხვავებს ერთმანეთისაგან “გრამატიკული გენია” ორ ისტორიულად განსხვავებულ ენას, რომელთა შორის ერთი - მეორისაგან მომდინარეობს. ლექსიკა კი დამოკიდებულია “რიტორიკულ” გენიაზე, რომელიც თავად ენის გამომსახველობას ეხება. ამ სექტორში ყველაფერი ცვალებადია; ნასესხობებისა და დერივატების არსებობა აბსოლუტურად მისაღებია. ის მიდის დასკვნამდე, რომ მცდარია ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ნასესხობანი “აფუჭებენ” ენას; ეს შეუძლებელია მოხდეს და არ მოხდება, თუ არ შეეხებიან გრამატიკულ სტრუქტურებს (როგორც მაგალითად, ეს მოხდა ლათინურ ენაში, ბარბაროსების შემოსევების შედეგად), ანუ სანამ არ შეეხებიან ენის “გრამატიკულ გენიას”.

ჩეზაროტის ნაშრომის IV თავი არის ტრაქტატის დასკვნა. ავტორი განიხილავს იტალიური ენის მდგომარეობას და აკეთებს დასკვნებს “ენის საკითხთან დაკავშირებით”. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დასკვნის ბოლო გვერდები, სადაც ავტორი ეხება ლექსიკოგრაფიის განახლების საკითხს.

რადგანაც “ენა ეკუთვნის ერს”, ჩეზაროტის აზრით, კრუსკას აკადემიის ნაცვლად უნდა შექმნილიყო ენის ეროვნული საბჭო. ამ ახალი და ავტორიტეტული საზოგადოების ადგილსამყოფელი, მისი აზრით, ისევ ფლორენციაში უნდა ყოფილიყო. ახალი საბჭო ეტიმოლოგიურ და ფილოლოგიურ კვლევებს განახორციელებდა, განახლებდა ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობდა ხელოვნების, სხვადასხვა ხელოვნების, მეცნიერების ენის სპეციფიკური ტერმინების შემოღებას. აღნიშნული ლექსიკის მოძიებისა და მათი ლექსიკონში შეტანის მიზნით იმუშავებდნენ არა მხოლოდ წიგნებზე – როგორც წყაროებზე, არამედ უშუალოდ მიმართავდნენ იმ ხალხს, ვინც შესაბამის სფეროში მოღვაწეობდა, თანაც არა მხოლოდ ტოსკანაში, არამედ იტალიის სხვადასხვა რეგიონებში. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლეოდა, თავიდან აერიდებინათ ლიტ-

ერატურული სელექცია და დასულიყვნენ რეგიონალურ სიტყვებამდე; არჩევანის გასაკეთებლად სწორედ მაშინ მიმართავდნენ საბჭოს. ამგვარად მიღებული ლექსიკური მემკვიდრეობის შედარება შესაძლებელი იქნებოდა სხვა ერების ლექსიკონებთან. ასეთი შედარება ნათელს გახდიდა იტალიური ლექსიკის სიმწირეს ან, სხვა შემთხვევაში, დააკანონებდა სპეციფიკურ უცხოურ სიტყვას, რომელიც უკვე ხმარებაში იყო შემოსული.

საბჭოს საბოლოო და უმაღლესი მიზანი იქნებოდა ლექსიკონის შედგენა, რომელიც უნდა შემდგარიყო ორი ფორმით; ერთი გამოცემა იქნებოდა გაფართოებული, მეორე კი – უფრო მცირე, საყოველთაო გამოყენებისათვის. გარდა ამისა, კონსილიუმს უნდა ეთარგმნა უცხოელი ავტორებიც. ჩეზაროტი თარგმანის საკითხშიც წინ უსწრებს დროს. მისი ნაშრომი მთავრდება ინტელექტუალური მუშაობისაკენ მოწოდებით, ის გამოთქვამს აზრს, რომ ფლორენცია, სხვა რეგიონების თანხმობით, კვლავ გახდეს იტალიის განახლებული კულტურის წინამძღოლი, თუმც ეს მისი მოწოდება არ შეისმინეს.

3. სასკოლო რეფორმა

ენობრივი თვალსაზრისით განმანათლებლები სულ უფრო დიდი ინტერესს იჩენდნენ ხალხისადმი; მათ დაიწყეს ფიქრი იმის შესახებ, რომ საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად იტალიური ენა ყველას უნდა შეესწავლა. შესაბამისად, იტალიურად წერა-კითხვა უნდა სცოდნოდა ხელოსანს, ვაჭარსა თუ მეურნეობით დაკავებულ გლეხს. XVIII საუკუნე ის ხანაა, როდესაც იტალიური ოფიციალური სახით მართლაც შევიდა სკოლაში. ისიც აღსანიშნავია, რომ რომელიმე რელიგიურ ორდენთან ადრეც შეიძლებოდა არსებულიყო სკოლები, სადაც ხალხურ ენაზე წერდნენ და კითხულობდნენ, მაგრამ XVIII საუკუნეში ამ საქმიანობაში სახელმწიფო სტრუქტურები ჩაერთვნენ, რომელთაც ამისაკენ განსაკუთრებული ხედვითა და ჭკუით დაჯილდოებული ინტელექტუალები უბიძგებდნენ. მათი მიზანი ის იყო, რომ სკოლებში სწავლება მხოლოდ ლათინურ ენაზე არ წარმართულიყო.

გასაკებია, რომ ამგვარი პოლიტიკა საშუალო კლასებში (თუ უშუალოდ ხალხში არა) კულტურის შეტანის მიზნით იყო განპირობებული. მართლაც, ამ საუკუნეში ძალიან გავრცელდა იდეა იმის შესახებ, რომ კულტურის “შუქურას” ყველგან შეეღწია; ცოდნისა და მისი პირველადი ინსტრუმენტის – ენის გავრცელების ამგვარ სტრატეგიას ნამდვილად თანამედროვეობის ნიშანი აქვს. ასევე თანამედროვე ხასიათი აქვს იმ ანტიპედანტურ და ანტიაკადემიურ “აჯანყებებს”, რომლებსაც ამ საუკუნეში ჰქონდა ადგილი. ამ ბრძოლის პირველ რიგებში დგანან არა ლიტერატორები, არამედ ინტელექტუალები ფართო გაგებით – მეცნიერების სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები: ეკონომისტები, იურისტები, პოლიტიკოსები, ისტორიოგრაფები. ამ ხალხმა ხმა ამოიღო და რეფორმების გზა მიუთითა. თუმც, ისიც აღსანიშნავია, რომ სიტუაცია იტალიაში, მთლიანობაში, ძალიან რთული რჩებოდა, რადგანაც არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო, რომელიც საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი რეფორმების გატარებას შეძლებდა. ამ მიზეზით სასკოლო რეფორმაც იტალიაში რეგიონების მიხედვით სხვადასხვაგვარად წარიმართა.

სამაგალითოა ის, რაც მოხდა პიემონტში, სადაც 1729 წელს საკოიას დინასტიის მეფემ – ვიტორიო ამდეო II-მ ბრძანება გასცა საუნივერსიტეტო რეფორმის ჩატარების შესახებ. იმ დროის ცნობილმა ინტელექტუალმა – შიპიონე მაფეიმ (Scipione Maffei, 1675-1755), რომელიც სწორედ ამისათვის იყო გამოძახებული, აზრი გამოთქვა, რომ შემოეტანათ საგანი “ტოსკანური ლიტერატურა” (რაც, რა თქმა უნდა, ლათინურად მოღვაწე უნივერსიტეტში არ არსებობდა). თუმც, მაფეის ეს შეთავაზება არ განახორციელეს. 1733-1734 წლებში ისევ პიემონტში, ელიტის უმაღლეს სკოლებში (scuola superior d'élite), პირველად გამოაცხადეს სავალდებულოდ იტალიური ენის შეტანა, მაგრამ ის ტარდებოდა მხოლოდ კვირაში ერთხელ, შაბათობით. 1734 წელს ტურინის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა კათედრა, რომლის სახელწოდებაც იყო: “იტალიური მჭევრმეტყველება და ბერძნული” (“eloquenza italiana e greco”). ეს კათედრა გახდა იმ ახალი პოლიტიკის დასაწყისი, რომელიც იტალიურის შესწავლას გულისხმობდა. 1772 წელს გამოვიდა ახალი კანონი სკოლებისათვის, რომელიც

იტალიური ენის სწავლების გაძლიერებას ითვალისწინებდა: იქმნებოდა დაწესებულებები კლასები, სადაც იტალიური ენის ცოდნის საფუძვლებს იძლეოდნენ. ამას გარდა, ძლიერდებოდა იტალიური ენის სახელმძღვანელოების შექმნის პოლიტიკაც.

იგივე ხდებოდა იტალიის სხვა რეგიონებშიც, მაგალითად, მოდენაში, სადაც განათლების ახალი, 1772 წელს მიღებული კანონის შესაბამისად, სწავლის პირველ წლებში მხოლოდ იტალიურ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოები უნდა შეეტანათ და არა ლათინურზე. სკოლის რეფორმა იეზუიტების განდევნის შემდეგ ნეაპოლშიც მოხდა. პარმაში, 1768 წელს მიღებული კანონის თანახმად, დაწყებით კლასებში (მათთვის, ვინც შემდგომში სწავლას აღარ გააგრძელებდა) მხოლოდ იტალიურის სწავლება იყო დაგეგმილი. ჩვენამდე მოაღწია ნეაპოლში შემუშავებული პროექტის – 1767 წლის ჯენოვეზის გეგმის (რომელიც, სხვათა შორის, მთავრობამ არ მიიღო მხედველობაში) სამუშაო ვარიანტმაც. ჯენოვეზი იყო ფართო ხედვის მქონე განმანათლებელი, რომელმაც, 1754 წელს, პირველმა იტალიის უნივერსიტეტების ისტორიაში, ლექციების ხალხურ ენაზე წაკითხვა გადაწყვიტა (და არა ლათინურად, როგორც ეს აქამდე ხდებოდა), რითაც უნივერსიტეტის კოლეგების დიდი აღშფოთება გამოიწვია.

XVIII საუკუნეში დაჟინებული ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საშუალო კლასებიდან და ხალხის მასებიდან გამოსულ გოგონებს სჭირდებოდათ განათლება, რომელიც მათ შემდგომ კომერციულ თუ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოადგებოდათ. ლათინურის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკა XVIII საუკუნემდე არ იყო ისე ძლიერი, ეს ახალი დინება განმანათლებლებმა შემოიტანეს, მაშინ უკვე ლათინური პროგრესის მუხრუჭად აღიქმებოდა.

რეფორმა XVIII საუკუნის ბოლოს ლომბარდია-ვენეტოს სკოლებში განხორციელდა; ეს მოჰყვა იმ პოლიტიკას, რომელიც ავსტრიის დედოფალმა მარია ტერეზამ გაატარა. თავად იდეა ბერლინში დაიბადა, იტალიამდე კი ავსტრიის გავლით მოაღწია. ეს რეფორმა, როგორც ახალი დიდაქტიკური მეთოდი, პირველად როვერეტოში განხორციელდა, მას “ნორმალურს” უწოდებდნენ. მაშინ პირველად ჩამოყალიბდა “კლასი” თანამედროვე გაგებით, როგორც ჯგუფი, რომელსაც ერთიანი

სასწავლო გეგმით ასწავლიდნენ. 1786-1788 წლებს შორის ლუგანო-ში დაბადებულმა ბერგამოელმა პადრე სოავემ (Soave), რომელიც თავისი ფილოსოფიური საქმიანობით იყო ცნობილი (ის იყო ლოკის მთარგმნელი იტალიურ ენაზე), იტალიური ენის სახელმძღვანელოები გამოაქვეყნა, რომელთაც ძალიან დიდი წარმატება ჰხვდათ წილად და ისინი ლომბარდიის საზღვრებს გარეთაც მიიღეს. ავსტრიული რეფორმიდან გაჩნდა აგრეთვე იდეა “კომუნალური სკოლის” (la scuola comunale) შესახებ, რომლის კონკრეტული მიზანიც წერა-კითხვის სწავლება იყო. ეს სკოლა XIX საუკუნიდან ჩამოყალიბდა იტალიის ჩრდილოეთ რეგიონებში და განსაკუთრებულ წარმატებებს ლომბარდია-ვენეტოსა და პიემონტში მიაღწია. “კომუნალური სკოლა” ასევე უკავშირდება რომანტიზმის “ხალხურ” პედაგოგიკას, საიდანაც სათავეს იღებს იტალიაში სავალდებულო დაწყებითი სკოლა, რომელიც პირველად პიემონტში და მოგვიანებით უკვე მთელს გაერთიანებულ იტალიაში გავრცელდა.

4. სასაშუალო მნა

მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნის რეფორმატორებმა სკოლებში იტალიური ენის სწავლებისადმი ინტერესი გამოამჟღავნეს, ამ პროცესს დაუყოვნებლივი შედეგი არ მოუტანია დაბალი ფენის მოსახლეობისათვის. XVIII საუკუნეშიც იტალიური ენის ხმარება ელიტისათვის უფრო იყო დამახასიათებელი. რაც შეეხება ტოსკანურს, ის “შემთხვევის” ენად რჩებოდა (una lingua “d’occasione”), რომელსაც ოფიციალური შეხვედრების დროს მიმართავდნენ. ის წიგნის ენა იყო, მაგრამ არ შეეფერებოდა უბრალო სიტუაციას, საუბარს, კონფიდენციალურ ურთიერთობებს. უბრალო ურთიერთობების სფერო ამ თვალსაზრისით დიალექტებს ჰქონდათ დაკავებული. როდესაც დიალექტები არ იყო საკმარისი, მაშინ იმ ენისათვის უნდა მიემართათ, რომელსაც არაჩვეულებრივი სატირიკოსი და კრიტიკოსი ჯუზეპე ბარეტი (Giuseppe Baretti, 1719-1789) ასე აღწერს:

“ჩვენი მიწის ყოველ კუთხეში, ალპებიდან მოყოლებული. . .

რეგიო კალაბრიამდე, ყველგან გნსაკუთრებული დიალექტია, რომელსაც თითოეული მაცხოვრებელი – დიდი თუ პატარა, კეთილშობილური თუ უბრალო წარმომავლობის, სწავლული თუ უსწავლელი, განუწყვეტლივ ხმარობს თავის ყოველდღიურ საუბრებში ოჯახში თუ ოჯახს გარეთ და როდესაც ზოგს სურვილი უჩნდება სხვებისაგან გამოირჩეოდეს, მაშინ ის რა ენას მიმართავს? ვაჰ, რომ ის იწყებს თავისი დიალექტის სრულად გატოსკანურებას! და ისე, რომ სწავლის მიზნით არც კი წაუკითხავს ჩვენი საუკეთესო მწერლები, გამოდის, რომ ქმნის რაღაც თავისებურ ენას, რადგანაც ვერაფერს ჰბაძავს (პროტოტიპი არ აქვს): ეს ენა სიტყვებით, ფრაზებით თუ წარმოთქმით იმდენად უსუფთაო და დეფორმირებულია, რომ იმას, ვინც ისმენს და ვისაც ე.წ. “ენის შეგრძნება” გააჩნია, ჟრუანტელი უვლის ან აკანკალებს.”

შესაძლებელია, ბარეტი აჭარბებდა კიდევ, რადგანაც ის უფრო მგრძობიარე იყო სტილისტური და არა ენობრივი საკითხებისადმი. მაგრამ მისი ეს შეხედულებები ემთხვევა მოგვიანებით მოღვაწე შემოქმედთა შეხედულებებს; მაგალითად, უგო ფოსკოლო (Ugo Foscolo, 1778-1827) წერს “ვაჭართა ენის” (lingua mercantile) შესახებ, რომელსაც ისინი მიმართავდნენ, ვინც ვაჭრების მსგავსად ჩვეულნი იყვნენ იტალიის სხვადასხვა რეგიონებში მოგზაურობას. ის აღნიშნავს, რომ კონკრეტულ ადგილზე არადიალექტური ენის გამოყენებას, შესაძლოა, ადამიანებს შორის გაუგებრობა გამოეწვია, ანდა ეს ფაქტი “ხელოვნურ ლიტერატურულობად” (affettazione letteraria) ჩათვალათ. მანძონი, თავის მხრივ, აღწერს “ელეგანტურად” მიჩნეული, ე.წ. “დასრულებული ენის” (parlar finito), მახასიათებლებს: სწორედ იტალიურად მიჩნეული სიტყვების ხმარება; იმ დიალექტური სიტყვებისთვის, რომლებიც თანხმოდანზე ბოლოვდებოდნენ, იტალიური დაბოლოებების მიმატება. იტალიური ენა, როგორც ამას ბარეტი ამტკიცებდა, ნაკლებად გამოიყენებოდა “ბუნებრივი” საუბრისათვის, რადგანაც მასზე უფრო წერდნენ და ნაკლებად საუბრობდნენ: საუბრისას კი ის აღიქმებოდა რაღაც ხელოვნურად, უცხოდ და უპირისპირდებოდა ცოცხალ, სპონტანურ და უბრალო კომუნიკაციას. უპირატესობას

მხოლოდ ტოსკანელები ფლობდნენ, რადგანაც მათ რეგიონში სალაპარაკო და სამწერლო ენა აბსოლუტურად ემთხვეოდა ერთმანეთს. ჩრდილოეთისა და სამხრეთის სოფლებსა და ქალაქებში, ჩვეულებრივ, დიალექტებზე საუბრობდა როგორც უბრალო ხალხი, ისე ბურჟუაზია და კეთილშობილური წარმომავლობის მქონენი. იტალიური ენა, რომელსაც დიალექტური ელფერი დაჰკრავდა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენებოდა სასაუბროდ; სადღესასწაულო ცერემონიების დროს (მაგალითად, ლოცვების კითხვის, ქადაგების, საჯარო გამოსვლის დროს) უპირატესობა ლიტერატურულ და მაღალი რეგისტრის იტალიურს ჰქონდა. ამ სიტუაციამ გამოიწვია ის, რომ იტალიური არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო სრულყოფილ, ცოცხალ ენად, უფრო მეტიც, ის მკვდარ ენად ითვლებოდა.

არსებობს საინტერესო გამონაკლისი, როდესაც ადგილი აქვს კულტურული თვალსაზრისით დიალექტის მეორეხარისხოვან ხმარებას: მაგალითად, ვენეციის სასამართლოებში, სადაც საბრალდებო სიტყვა შესრულებულია “ამაღლებული” ვენეციურით, ან ზოგჯერ იტალიურით, რომელიც წარმოადგენს ვენეციურისა და იტალიურის ნაზავს, რისი საინტერესო მაგალითიც დაგვიტოვა გოლდონი (რომელიც თავად იყო ადვოკატი) კომედიაში “ვენეციელი ადვოკატი” (L'avvocato veneziano). აი, როგორ იწყებს თავის სიტყვას ვენეციელი ადვოკატი კაზალბონი, როდესაც ის პასუხობს ბოლონიელ ადვოკატს – ბალანცონის:

Gran apparato de dottrine, gran eleganza de termini ha messo in campo el mio reverito avversario; ma, se me permetta de dir, gran disputa confusa, gran fiacchi argomenti, o per dir meglio, sofismi. Responderò col mio veneto stil, secondo la pratica del nostro foro, che val a dir col nostro nativo idioma. . .

საყურადღებოა ერთი ენიდან მეორეზე გადასვლა, ან უფრო სწორად, დიალექტიზმის ენასთან შერევა: ვენეციური არტიკლები და წინდებულები: el, de; ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი სონორიზაცია: “secondo”-ს ნაცვლად “segondo”; ვენეციურია აგრეთვე “meggio”.

5. ოპერისა და თეატრის მნა

XVIII საუკუნეში იტალიურ ოპერას ძალიან დიდი წარმატება ჰხვდა წილად უცხოეთში. ამ წარმატების გამო იყო სწორედ, რომ იტალიური ენა აღიქმებოდა პოეზიის, მუსიკის, გრძნობების (ნიღბების, მასხარების, ასევე უკვე ცნობილი “კომედია დელ არტეს”) ენად და უპირისპირდებოდა ფრანგულს, რომელიც იყო სიცხადისა და რაციონალურობისა ენა. იქ, სადაც რაიმე სპეციფიკური ტერმინის ზმარება იყო საჭირო, იტალიური სირთულეს აწყდებოდა; მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი იძულებულნი იყვნენ თავისი დარგის სპეციფიკური ტერმინოლოგია კრუსკას აკადემიისათვის ბოლიშის მოხდით შეეტანათ თავიანთ ნაშრომებში, რადგანაც არ უნდოდათ მას პირდაპირ დაპირისპირებოდნენ (“კაფეს” განმანათლებლების მსგავსად). რაც შეეხება იტალიურ ოპერას, უცხოეთში მოსწონდათ როგორც ენა, ისე თავად ოპერაც. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ძალიან “იბლლიანი” აღმოჩნდა ნეაპოლელი კომპოზიტორის, მევიოლინისა და ორღანისტის – ჯოვანი ბატისტა პერგოლესის (Giovanni Battista Pergolesi, 1710-1736) “მოსამსახურე-ქალბატონი” (Serva Padrona), რომელიც 1733 წელს წარმოადგინეს ნეაპოლში. ამ ოპერის წარმატება უცხოეთში ძალიან დიდი იყო, მისი თაყვანისმცემლები იყვნენ, მაგალითად, ვოლტერი, რუსო და დიდრო. იტალიური ოპერის ენამ ისეთი გავლენა მოახდინა ზოგიერთ უცხოელზე, რომ ისინი იტალიურს საოპერო არიების საშუალებით ეუფლებოდნენ. ცნობილია, მაგალითად, ვოლტერის შემთხვევა, რომელსაც თავის წერილებში ოპერის ლექსიკა აქვს გამოყენებული.

რაც შეეხება გერმანულენოვან ქვეყნებს, იტალიური უკვე ფართოდ იყო გავრცელებული ვენაში, დრეზდენსა და ზალცბურგში. მეტასტაზიომ მას ახალი ტრიუმფი მოუტანა ვენაში. მოცარტმაც, მამამისის მსგავსად, იცოდა იტალიური და მას ძალიან საინტერესოდ ზმარობდა; მისი იტალიური ხანდახან უფრო ხალხურის, ტრივიალურისა და სახუმაროსაკენ იხრება, ურევს რა ერთმანეთში იტალიურს, გერმანულს, ფრანგულსა და ლათინურსაც კი. ამ უდიდესმა კომპოზიტორმა იტალიელი და პონტეს მიერ დაწერილ ლიბრეტოებს

მიმართა (“ღონ ჟუანი”, “ფიგაროს ქორწინება”). ამავე დროს, ის გოლდონის ტექსტებითაც იყო დაინტერესებული.

გოლდონის ნაწერებში გარკვეული მითითებებია ენასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ. თუ იტალიის სიტუაციას გავითვალისწინებთ, სცენური წარმოდგენა ენობრივი თვალსაზრისით ძალიან დიდ ჯაფას მოითხოვდა, რადგანაც იტალიაში არ არსებობდა ნამდვილი საყოველთაო სალაპარაკო ენა; თეატრალური ავტორი, რომელსაც სურდა სცენაზე საუბრის გადმოცემა და ის ტოსკანურს არ ფლობდა, იძულებული იყო დიალექტისათვის მიემართა, ანდა გამოეყენებინა ნარევი ენა, რომელშიც შევიდოდა დიალექტიზმები, ფრანგული სიტყვები, სხვადასხვა სასაუბრო ფორმები. გოლდონი ხან ერთ, ხან მეორე გამოსავალს მიმართავდა ხოლმე: ის წერდა ვენეციურ დიალექტზე, იტალიურად, ბოლოს და ბოლოს, პარიზში გადასვლის შემდეგ, ფრანგულადაც კი. მისი ფრანგული შეაფასეს როგორც “ფორმალურად არასაუკეთესო, თუმცა ძალიან ცოცხალი და მისაღები სცენისათვის”, რაც არ იყო ცოტა იმ ავტორისათვის, რომელიც ალპებს მიღმა სერიოზულ ასაკში გადასახლდა.

გოლდონის არასოდეს მიაჩნდა საკუთარი თავი თეატრალური ენის პრობლემების სპეციალისტად და ამ საკითხისათვის ისეთი ყურადღება არ დაუთმია თავის ნაშრომებში, თუმცა ის მაინც შეეხო ამ თემას:

„რაც შეეხება ენას, ჩავთვალე რომ სინდისი არ უნდა მაწუხებდეს იმის გამო, რომ ვინმარე ბევრი ლომბარდიული სიტყვა და ფრაზა, რამეთუ ლომბარდიის ქალაქებში, სადაც უნდა ეჩვენებინათ ჩემი კომედიები, უბრალო ხალხიც საკმაოდ განათლებულია. იძულებული გავხდები რაღაც შენიშვნები შევიტანო ვენეციურ დიალექტში... რათა მათ, ვინც მას არ იცნობს, ამ მშვენიერი დიალექტის მაღლი შეიგრძნოს. დოქტორი, რომელიც წარმოდგენაში ბოლონიურად ლაპარაკობს, აქ იტალიურ ხალხურ ენაზე მეტყველებს.“

როგორც ვხედავთ, დიალექტის გამოყენება სცენაზე არ წარმოადგენს პრობლემას, მაგრამ მოითხოვს გარკვეულ ზომიერებას კომედიების ბეჭდვისას, მათი წერილობითი სახით გადმოცემისას. ქრება

“დოქტორ ადვოკატის” (dottor avvocato) ტრადიციული ბოლონიური (კომედია დელ არტეს მეგკვიდრობა). ვენეციური დიალექტი რჩება, მაგრამ მას ახლავს მთელი რიგი განმარტებები, რათა ის გასაგები გახდეს არავენეციელებისათვის. მაგალითად, შენიშვნებში ახსნილია, რომ careghe ნიშნავს “sedie”; barba ნიშნავს “zio”ს, მოცემულია იდიომატური გამოთქმების, ანდაზების მოკლე კომენტარები. გოლდონი ძალიან კარგად ფლობდა დიალექტს და დიალექტის საშუალებით შეეძლო ნებისმიერი სოციალური გარემო გადმოეცა, ხალხურით დაწყებული და ბურჟუაზიულით დამთავრებული. განიცდიდა რა ნამდვილი სასაუბრო იტალიურის ნაკლებობას, გოლდონი ერთმანეთში ურევს ვენეციურსა და ფრანგულ სიტყვებს, ლომბარდიულ “რეგიონალიზმებს”. ისიც აღსანიშნავია, რომ დიალექტი და ენა არ უნდა განიხილებოდნენ აუცილებლად ოპოზიციაში; მთელ რიგ შემთხვევებში ისინი გოლდონისთან ერწყმიან ერთმანეთს. საბოლოო ჯამში, ეს არის სალაპარაკო ენის ტიპური “ცხოვრება”, რომელიც მერყეობს დიალექტსა და ენას შორის, ამის შედეგად კი შთაბეჭდილება არის ძალიან ბუნებრივი, რეალისტური, გარდა იმისა, რომ ის ადვილი გასაგები ხდება არავენეციელი მკითხველისათვის.

გოლდონის პიესების იტალიური, მართალია, ძალიან შორს არის სისუფთავისაგან და მისი ენა არ არის “ელეგანტური”, მაგრამ ის ცოცხალია, რამდენადაც ეს XVIII საუკუნეში იყო შესაძლებელი.

6. კომეტური ენა

1690 წელს რომში დაფუძნდა მოძრაობა “არკადია”, რომელსაც გააჩნდა თავისი წარმომადგენლობები პროვინციის უმცირეს ქალაქებშიც კი. ეს ის პოეტური სარბიელი იყო, რომელმაც გიგანტური ზომები მიიღო; ამ დროს შეიქმნა უამრავი ლექსი, რომლებიც უკვე თავის თანამედროვეებში იწვევდნენ სიცილს. ამ მოზღვავებული პოეზიის ენა ტრადიციული იყო, პეტრარკას მაგალითით შთაგონებული; პოეტები ისწრაფოდნენ დაშორებოდნენ ბაროკოს ენისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ამიტომაც, XVIII საუკუნის პოეზია წარსულს უბრუნდე-

ბა; ეს იმაში ჩანს, თუ რა უხვად ხმარობენ პოეტები კლასიკურ ტოპონომასტიკასა და ონომასტიკას, მიმართავენ მითოლოგიას და შესაბამისად ლათინიზმებსა და არქაიზმებს. ენის “გაკეთილშობილების” მიზნით ხშირია ბრძანებითი ფორმის პროკლიტიკური ფორმების ხმარება: t’arresta, t’accheta, m’ascolta. სხვა შემთხვევაში ამავე მიზნით ფართოდ გამოიყენება ენკლიტიკური ფორმები: sgridonne, negommi, vadasi, parmi, rimanti. ამ პერიოდის პოეზიისათვის დამახასიათებელი ნიშნები კარგად ვლინდება მეტასტაზიოს შემოქმედებაში, მაგალითად კვეცა ზმნის ინფინიტიურ ფორმაში: arrossir, parlar. ამ ყველაფრის მიზანი იყო პოეზიის პროზისაგან განსხვავება (პოეზიის ენის პროზისაკენ გადახრის საშიშროება ყველაზე მეტად სწორედ მეტასტაზიოს ენას ემუქრებოდა, რადგანაც ის ლექსიკის შეზღუდულ რაოდენობასა და უმარტივეს სინტაქსს მიმართავდა). ამიტომაც, ორ სინონიმურ ფორმას შორის პოეტები ირჩევენ უფრო იშვიათსა და ლიტერატურულს: duolo და არა dolore, brando და არა spada, talamo და არა letto. ეს ნიშნები კარგა ხანს გაჰყვა იტალიურ პოეზიას და მათ XIX საუკუნეშიც კი ვაწყდებით. XVIII საუკუნეში კი ისინი მყარად არიან წარმოდგენილნი, მიუხედავად იმისა, რომ ამ პოეზიის თემატიკა არ არის უცილობლად ამაღლებული.

თავი მერვე

XIX საუკუნე

1. პურიზმი და კლასიციზმი

XIX საუკუნის დასაწყისში იტალიაში განვითარდა მოძრაობა სახელწოდებით “პურიზმი”, რომლის მიზანიც იყო წინააღმდეგობა გაეწია ნაპოლეონის იმპერიისდროინდელი ფრანგული ენისა და საერთოდ ფრანგული კულტურის შემოტევისათვის. ამ მოძრაობას ნებისმიერი სიახლისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულება ახასიათებდა. ამავე დროს იტალიური ენობრივი ტრადიცია – კრუსკას აკადემია და არქაული ფლორენციულის კულტი – ძლიერ საყრდენს წარმოადგენდა პურისტებისათვის. იტალიური პურიზმის ახალი აღორძინება უკავშირდება ვერონელი პადრე ანტონიო ჩეზარის (Antonio Cesari, 1760-1828) სახელს, რომელიც იყო რელიგიური ხასიათის წიგნების, ნოველების, დანტეს შესახებ გამოკვლევის ავტორი. მასვე ეკუთვნის ლექსიკოგრაფიული ხასიათის ნაშრომი “ტრაქტატი იტალიური ენის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ” (*Dissertazione sopra lo stato presente della lingua italiana*), რომელიც წარმოადგენს პურისტების ნამდვილ მანიფესტს. პურისტები აცხადებდნენ, რომ ენობრივი თვალსაზრისით მათთვის მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ნამდვილი ლიტერატურა, არამედ ყოველდღიური უმნიშვნელო ხასიათის ჩანაწერებიც, მაგალითად საბუღალტრო ხასიათის შენიშვნები, ფლორენციელი ვაჭრების წიგნები და სხვ.; ისიც აღსანიშნავია, რომ ჩეზარი თავის ნაშრომში ვერ ახერხებდა იმის დადგენას, თუ რას წარმოადგენდა “ენის სილამაზე”, რომლის შესახებაც განუწყვეტლივ საუბრობდა როგორც რალაც მისტიკურ, არარეალურ მოცემულობაზე. ჩეზარის გარდა პურისტულ მიმდინარეობას ბევრი სხვა მომხრეც ჰყავდა, მაგალითად ნეაპოლელი მარკიზი ბაზილიო პუოტი (Basilio Puoti, 1782-1847), რომელსაც ჰქონდა საკუთარი სკოლა და ასწავლიდა იტალიურ ენას, მაგრამ არა ჩეზარისეულ მკაცრ ჩარჩოებში; მისი სიმპათია უფრო XVI საუკუნის ავტორებისაკენ იხრებოდა. პურისტების თეორიებს იზიარებდა ასევე მწერალი კარლო ბოტა (Carlo Botta,

1766-1837), რომელმაც დაწერა “ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის ომის ისტორია” (*Storia della Guerra della Indipendenza degli Stati Uniti d’America*, 1809). ავტორმა არქაიზმებით სავსე ენას მიმართა და სწორედ ასეთი ენით გადმოსცა თანამედროვე შინაარსი, რაც საკმაოდ უხერხულ სიმბიოზს ქმნიდა.

პურიზმის წინააღმდეგ ზმა აღიმალლა მწერალმა ვინჩენცო მონტიმ (*Vincenzo Monti*, 1754-1828); სწორედ მას აღმოაჩნდა ამისათვის შესაბამისი ავტორიტეტი და გამბედაობა. 1813 წლიდან ის აშკარად დაუპირისპირდა ჩეზარის (რომელსაც უწოდა “*grammuffastronzolo di Verona*”); მილანის “პოლიგრაფის” (*Poligrafo*) ფურცლებიდან იგი ბრალს სდებდა ჩეზარის იმაში, რომ მის მიერ გამოცემული კრუსკას ლექსიკონი მხოლოდ ერთი შეხედვით იყო გაფართოებული, სინამდვილეში კი მან ის გააღარიბა, ამოიღო იქიდან სხვა აკადემიკოსების მიერ ადრე შეგროვებული სიტყვები.

შემდგომში ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა; მონტი დაუპირისპირდა თავად კრუსკას აკადემიის ლექსიკონს იმ სახით, რომლითაც ის ტრადიციულად გამოიცემოდა ხოლმე. მან დაწერა “წინადადება კრუსკას ლექსიკონის დამატებებისა და შესწორებების შესახებ” (*Proposta di alcune correzioni ed aggiunte al Vocabolario della Crusca*), რომელიც 1817-1824 წლებში გამოვიდა. ეს ნაშრომი წარმოადგენს ენის შესახებ ძალიან მნიშვნელოვან ქვაკუთხედს იმ პერიოდის დაპირისპირებაში და ამავე დროს მნიშვნელოვან ეტაპს იტალიის ლექსიკოგრაფიაშიც. ამ “წინადადების” დიდი ნაწილი ფლორენციელი ავტორების ლექსიკონის შეცდომების ძიებასა და მათ გასწორებას წარმოადგენდა.

პურისტებთან შეჯახებამ ძალიან გამოაცოცხლა იტალიაში ენობრივი საკითხი. მილანელ რომანტიკოსთა წრეში ტრიალებდა, თუმცა გამოუცემელი დარჩა, სტენდალის “იტალიური ენის საფრთხეები” (*I pericoli della lingua italiana*), რომელშიც ავტორმა მკაცრი განაჩენი გამოუტანა პურიზმს და ამავე დროს ძალიან კარგად წარმოაჩინა იტალიის განსაკუთრებული მდგომარეობა ენობრივი თვალსაზრისით: მისი დიალექტების “სიცოცხლისუნარიანობა” და იტალიური ლიტერატურული ენის ხელოვნურობა.

2. ენობრივი საკითხის მანძონისეული გადაჭრა

როგორც ვნახეთ, მიღწეული რომანტიკოსები კამათობდნენ იმ საკითხზე, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში წამოაყენეს: იტალიური ენა ნაწილობრივ მაინც წააგავდა მკვდარ ენას, ენას, რომელსაც სწავლობდნენ წიგნებიდან, ხმარობდნენ ლიტერატურის შესაქმნელად, მიმართავდნენ ოფიციალურ შემთხვევებში, მაგრამ არ გამოიყენებოდა ყოველდღიურ ურთიერთობებში. ყოფით პირობებში უფრო ადვილი იყო დიალექტის გამოყენება, ზოგ შემთხვევაში უცხოური ენისაც კი, მაგალითად ფრანგულის. “დანიშნულების” (*Promessi sposi*) წერის დროს რთულ სიტუაციაში აღმოჩენილმა მანძონიმ, მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო. მას ჩამოუყალიბდა შეხედულებების მთელი რიგი, რომელმაც შემდგომში დიდი მნიშვნელობის მქონე ლინგვისტური თეორიის ფორმა მიიღო და ძალიან დიდი როლი ითამაშა იტალიაში ენობრივი მდგომარეობის შეცვლაში; მანძონიმ იტალიური უფრო ცოცხალ და ნაკლებ ლიტერატურულ ენად აქცია, უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოებას ტრადიციულისაგან განსხვავებული ლიტერატურული ენის მოდელი შესთავაზა.

მანძონის ენის თეორია წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ეტაპს “ენობრივი საკითხების შესახებ” გამართულ დისკუსიაში, ამას მანძონის თანამედროვენიც მიხვდნენ, რაც დასტურდება მწერლის შემოთავაზებების ირგვლივ გამართული კამათით. მანძონის თეორიის მთელი მნიშვნელობა საკადრისად მხოლოდ XX საუკუნეში შეფასდა. 1974 წელს გამოიცა მანძონის ტრაქტატის – “იტალიური ენის შესახებ” (*Della lingua italiana*) – ხუთი რედაქცია, რომელზეც ავტორი დაახლოებით 30 წელი მუშაობდა. ამის შემდეგ მეცნიერებმა გადახედეს მანძონის თეორიას; მას ბევრად უფრო მეტი ჰქონდა გაკეთებული, ვიდრე ეგონათ. შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ თავის საჯარო გამოსვლებში ის არ ავლენდა წლების განმავლობაში გაწეულ თეორიულ შრომას. თავის სიცოცხლეში მან გამოსცა შედარებით პატარა ნაშრომები, მაგალითად, “წერილი კარენას” (*La lettera al Carena*, 1850), მინისტრი ბროლიოსადმი მიწერილი “ანგარიში ენის ერთიანობის შესახებ” (*Relazione sull'unita' della lingua*, 1868), “წერილი დანტე

ალიგიერის “ხალხური მჭევრმეტყველების” შესახებ” (Lettera intorno al libro “De vulgari eloquio” di Dante Alighieri, 1868) და ”წერილი ლექსიკონის შესახებ” (“Lettera intorno al Vocabolario”, 1868), “ანგარიშის დანართი” (Appendice alla Relazione, 1869). მანძონის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა მისი სხვადასხვა ხელნაწერი, მაგალითად, “წერილი კაზანოვას” (La lettera a Casanova), რომელიც 1871 წელს დაიწერა.

ენის საკითხი მანძონისათვის აქტუალური იყო; მას, როგორც რომანისტს, იტალიური პროზის მდგომარეობა 1821 წლიდან ადარდებდა, როდესაც ის ”ფერმო და ლუჩიაზე” (Fermo e Lucia) – “დანიშნულების” (Promessi Sposi) პირველ რედაქციაზე მუშაობდა. რომანზე მუშაობის ეს პირველი პერიოდი ცნობილია სახელწოდებით “ეკლექტიკური”, როდესაც ავტორი სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა მიეღწია უფრო რბილი და თანამედროვე სტილისათვის, მაგალითად მიმართავდა ლიტერატურულ ენას, მაგრამ არა პურისტული შეხედულებების შესაბამისად, არამედ პირიქით, ის ხმარობდა ფრანგულ და მილანურ სიტყვებს, იყენებდა აგრეთვე ანალოგიის წესს. თავისი ლიტერატურული ენის აღწერა მანძონიმ მოგვცა “ფერმო და ლუჩიას” მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში (1823 წ.), სადაც უკვე ემიჯნებოდა “შერეულ” სტილს და ხაზს უსვამდა თავის ბუნებრივ მიდრეკილებას დიალექტისაკენ, წინასწარ აღიარებდა რა მის წარუმატებლობას. მეორე ფაზას მანძონიმ უწოდა “ტოსკანურ-მილანური” და ის ემთხვევა “დანიშნულების” რედაქტირების პერიოდს (1825-1827 წწ. გამოცემა). ამ დროს ავტორი ცდილობდა ტოსკანური ენის გამოყენებას, მაგრამ წიგნიერი ტოსკანურის, რომელსაც ლექსიკონების საშუალებით აღწევდა, ამას ადასტურებს მანძონის მიერ საკუთარ, ჩეზარისეულ კრუსკას აკადემიის ლექსიკონზე გაკეთებული შენიშვნები თუ ჩანაწერები; მანძონი გამოთქვამს წუხილს, რომ ლექსიკონის გამოყენების შემდეგაც ვერ ახერხებს იმის დაზუსტებას, ცოცხალია და იხმარება თუ არა ესა თუ ის სიტყვა.

1827 წელს მანძონი ფლორენციაში იმყოფებოდა და ტოსკანურთან პირდაპირმა კონტაქტმა მასზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია. ამის შემდეგ, 1840-1842 წლებში, გამოვიდა “დანიშნულების” ახალი

რედაქცია, რომლის ენაც უფრო მწყობრია და თავისუფალი ლათინიზმების, დიალექტიზმებისა და არქაული სიტყვებისაგან. ეს არის მაღალი დონის ფლორენციული.

1868 წელს უკვე ხნიერმა მწერალმა გამოაქვეყნა განათლების მინისტრ ბროლიოსადმი მიწერილი ანგარიში, სადაც წარმოადგინა თავისი შეხედულებები იმის შესახებ, თუ რატომ უნდა გავრცელებულიყო ფლორენციული სკოლებში ენობრივი პოლიტიკის საშუალებით. ის სთავაზობდა აგრეთვე ახალი ლექსიკონის შექმნასაც. ეს პერიოდი გადამწყვეტი იყო იტალიის სოციალურ ცხოვრებაში, “ენის საკითხი” პირველად უკავშირდებოდა სოციალურ საკითხს ასე მჭიდროდ, რომლის მიზანიც იტალიის ახალი სამეფოსათვის ახალი სკოლისა და ახალი კულტურის შექმნა იყო.

ისიც აღსანიშნავია, რომ მანძონის შეხედულებებს ცოცხალი პოლემიკა მოჰყვა. მაგალითად, ტომაზომ და ლამბრუსკინიმ თავი შორს დაიჭირეს მანძონისაგან, მათ სხვადასხვა ხასიათის ეჭვი გაუჩნდათ ფლორენციულის პრიორიტეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, მანძონის თეორიებს მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. ეს, პირველ რიგში, განაპირობა “დანიშნულების” პოპულარობამ, რომლის ენაც ელეგანტურიც იყო და სასაუბროც ერთსა და იმავე დროს. პარადოქსია, მაგრამ მანძონის მოდელი, რომელიც შთაგონებული იყო ცოცხალი სალაპარაკო ენით, მალე თავად გადაიქცა იმ წერილობით მოდელად, რომლის სწავლაც იმიტაციის საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი.

3. ლექსიკოგრაფიის ოქროს ხანა

XVI – XVIII საუკუნეებში მხოლოდ კრუსკას აკადემიის ლექსიკონი გამოირჩეოდა თავისი მნიშვნელობით. XIX საუკუნეში კი სურათი მკვეთრად შეიცვალა – ბევრი ახალი და კარგი ლექსიკონი შეიქმნა. ლექსიკოგრაფიული დებატები ისევ კრუსკას ირგვლივ დაიწყო, ეს ეხებოდა როგორც ძველი აკადემიის ენობრივ შეხედულებებს, ისე ე.წ. “ვერონულ კრუსკას” - რომელიც 1806-1811 წლებში გამოსცა პურისტების მამამთავარმა – პადრე ანტონიო ჩეზარიმ. ჩეზა-

რის გამოცემაში წარმოდგენილი დამატებების მიზანი XIV საუკუნის ენაში უფრო ღრმად შეღწევა იყო, ამავე დროს აღსანიშნავია, რომ იგულისხმებოდა არა მხოლოდ ლიტერატურული ენა, არამედ სრულიად უმნიშვნელო ჩანაწერებიც.

“ვერონული კრუსკის” შემდეგ აღნიშვნის ღირსია 1833-1842 წლებში გამოცემული ჯუზეპე მანუჯის (Giuseppe Manuzzi) იტალიური ენის ლექსიკონი (Vocabolario della lingua italiana), თუმც ისიც კრუსკას რევიზიის შედეგს წარმოადგენდა. მანუჯიც პურისტი იყო ჩეზარის მსგავსად და ამიტომ მისი ლექსიკონიც იტალიური კულტურის ერთი ნაწილის ტენდენციას – წარსულთან კავშირის გაძლიერებას ადასტურებს.

1819 წელს ბოლონიაში დაიწყო იტალიური ენის ექვსტომეული ლექსიკონის გამოცემა (Vocabolario della lingua italiana), რომლის ავტორებიც იყვნენ ფრანჩესკო კარდინალი (Francesco Cardinali), ფრანჩესკო ორიოლი (Francesco Orioli) და პაოლო კოსტა (Paolo Costa). 1827-30 წლებში პადუაში გამოვიდა ლუიჯი კარერისა (Luigi Carrer) და ფორტუნატო ფედერიჩის (Fortunato Federici) იტალიური ლექსიკონის შვიდტომეული (Vocabolario della lingua italiana) (ცნობილია ტიპოგრაფიის სახელწოდებით “della Minerva”). ამ ლექსიკონების საფუძველს კვლავ წარმოადგენდა კრუსკას ლექსიკონი; მათ აკლდათ თვითმყოფადობა, ისინი ცდილობდნენ “დამატებების” საშუალებით გადმოეცათ არსებული მდგომარეობა. ეს დამატებები კი მექანიკურად ხორციელდებოდა, თავად ლექსიკოგრაფიული სტრუქტურა კვლავ უცვლელი რჩებოდა.

1829-1840 წლებში ნეაპოლში დაიბეჭდა “იტალიური ენის უნივერსალური ლექსიკონი” (Vocabolario universale italiano), რომლის საფუძველსაც ისევ კრუსკას ლექსიკონი წარმოადგენდა, მაგრამ ამჯერად მას უფრო ენციკლოპედიური ხასიათი ჰქონდა და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა როგორც სხვადასხვა მეცნიერების, ისე ხელოვნების სპეციალურ ტერმინოლოგიას. მასში ტრადიციული განმარტებების ნაცვლად მოცემულია უფრო სრული და ამომწურავი განმარტებები, მაგალითად ტრადიციულად “ძაღვი” (“cane”) განმარტებული იყო როგორც “ცნობილი ცხოველი” (“animal noto”),

ამჯერად ლექსიკონი მას ასე აღწერდა: “მუქუმწოვართა სახეობა, შინაური, განეკუთვნება მტაცებელთა რიგს. . .” (“specie di mammifero domestico appartenente all’ordine de’ carnivore ...”). “ტრამატერის” ლექსიკონი (სახელწოდება ტიპოგრაფიის მიხედვით, რომელმაც ის დაბეჭდა”) საუკეთესო იყო იტალიის ბაზარზე ტომაზეო-ბელინის (Tommaseo-Bellini) ლექსიკონის გამოსვლამდე. XIX საუკუნეში, ხარისხის თვალსაზრისით, სწორედ ტომაზეო-ბელინის ლექსიკონი იყო საუკეთესო. ლემების სიმრავლის გარდა ამ ახალი ლექსიკონის დადებითი მხარე სიტყვათა სტრუქტურული წყობა იყო. კრიტერიუმი და პრივილეგია ამ შემთხვევაში არ იყო სიტყვების სიძველე, ავტორებმა მიმართეს ლოგიკურ კრიტერიუმს: მნიშვნელობის ახსნისას მათ უპირატესობა მიანიჭეს უფრო გავრცელებულ და საყოველთაო მნიშვნელობას, თანამედროვე ხმარებას, რომელსაც იერარქიულად მოსდევდა სიტყვის სხვადასხვა შესაძლო მნიშვნელობები, თუმცა წარმოდგენილი იყო მისი ძველი მნიშვნელობაც, რომელსაც თან ახლდა სხვადასხვა ეპოქის ავტორების ციტირება. სწორედ ამ უნარის გამო, შეეთანხმებინა ერთმანეთისათვის სინქრონული და დიაქრონული კრიტერიუმები – ითვლება ტომაზეოს ლექსიკონი იტალიური ენის პირველ ნამდვილ ისტორიულ ლექსიკონად.

4. პოლიტიკური გაერთიანების ენობრივი შედეგები

1861 წელს იტალიამ მიაღწია პოლიტიკურ გაერთიანებას, მაგრამ მას შესაბამისი კულტურული და ენობრივი ერთიანობისათვის არ მიუღწევია. ყოფილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ახალ ორგანიზმს ქმნიდნენ, მაგრამ ისინი კვლავ ძალიან ღრმა განსხვავებებით ხასიათდებოდნენ, რაც მათი სხვადასხვა ტრადიციებით, ჩვევებით, ცხოვრების სტილით, სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონით იყო გამოწვეული. ენობრივი განსხვავებები ძალიან თვალშისაცემი იყო, რადგანაც საქმე ეხებოდა ენას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ხალხების ისტორიასა და ტრადიციებს. იტალიის სხვადასხვა

რეგიონებისათვის საერთო იყო მხოლოდ ელიტის მიერ შექმნილი ლიტერატურული იტალიური; არ არსებობდა საერთო სალაპარაკო ენა, რომელიც შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ძალიან მჭიდრო საზოგადოებრივი კავშირის შედეგად, ჰომოგენურ სოციალურ და სამოქალაქო ცხოვრებაში. იტალიაში კი ეს არც არასოდეს არსებულა და არც მისი ხელოვნურად შექმნა იყო შესაძლებელი.

სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, თუ რამდენად რთული სიტუაცია იყო იტალიაში: იტალიურად საუბარი ძალიან ცოტას შეეძლო. ეს მონაცემები სხვადასხვა ტიპის ვარაუდებზე და გამოთვლებზეა დაფუძნებული. დე მაურომ პირველმა სცადა ამის გამოანგარიშება: ის ეყრდნობოდა მონაცემს, რომლის მიხედვითაც, იტალიის სამეფოს ჩამოყალიბების დროისათვის, ოფიციალურად, მოსახლეობის თითქმის 80%-მა წერა-კითხვა არ იცოდა, არც დარჩენილი 20%-დან შეეძლო ყველას იტალიურად მეტყველება. “წერა-კითხვის მცოდნის” სტატუსს მათაც აძლევდნენ, ვინც გამართული ენით ორ საზსაც ვერ დაწერდა, შესაბამისად, არც ამ სტატუსის მფლობელებმა იცოდნენ ენა. დე მაურომ ივარაუდა, რომ ენის მეტ-ნაკლებად ნორმალური ცოდნის მისაღებად საშუალო სკოლის დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი დონის გავლა იყო საჭირო, რისი საშუალებაც 1862-63 წლებში 11-დან 18 წლამდე ასაკის მხოლოდ 160 000 ინდივიდს ჰქონდა. ამ მოქალაქეებს დე მაურომ დაუმატა 400.000 ტოსკანელი და 70.000 რომაელი, ტოსკანელები ბუნებრივად ფლობდნენ ენას, რადგანაც სალაპარაკო ტოსკანური და ლიტერატურული იტალიური ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. რომაულიც ახლოს იყო ტოსკანურთან. თუ ამ მონაცემებს შევკრიბავთ, 25 მილიონიდან 600.000 იტალიელს მივიღებთ, რომელთაც იტალიურად ლაპარაკი შეეძლოთ, ეს კი მოსახლეობის 2,5% შეადგენს (ან 2,6%-ზე ცოტა მეტი, როგორც ეს კასტელანიმ დაადგინა). კასტელანიმ სხვა თეორიული პრინციპის საფუძველზე გამოიანგარიშა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა; მან დააყენა საშუალო გეოგრაფიული სარტყელის არსებობის საკითხი, რომელიც შეესაბამებოდა მარკეს, ლაციოსა და უმბრიას; აქ ადგილობრივი სალაპარაკო ენის გათვალისწინებით მხოლოდ ელემენტარული განათლებაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ იტალიურის ცოდნისათ-

ვის მიეღწიათ. გარდა ამისა, კასტელანის მიაჩნდა, რომ 1861 წლისათვის ტოსკანის მთლიანი ან თითქმის მთლიანი მოსახლეობა უნდა ჩათვლილიყო იტალოფონად იმისდა მიუხედავად, განათლების რა დონე გააჩნდათ მათ (დე მაურომ იტალოფონებში შეიყვანა მხოლოდ ის ტოსკანელები, რომლებსაც ელემენტარული განათლება გააჩნდათ). ამასთან დაკავშირებით ცნობილია, რომ XIX საუკუნეში ბევრი უცხოელი მოგზაური მონუსხული რჩებოდა ტოსკანელი გლეხებისა და მუშების ენის ცოდნით და მათ საუბარს ლიტერატურულ ენას აღარებდნენ. მათ შორის, ვინც ენის ასეთ საოცარ ბუნებრივ ცოდნას ამჟღავნებდა, უეჭველია, იყვნენ წერა-კითხვის უცოდინრებიც, ხალხი, რომელსაც სკოლაში არც უვლია.

კასტელანის ახალი გამოთვლა განსხვავდება დე მაუროს მონაცემებისაგან: მისი შედეგებით იტალიის გაერთიანების პერიოდისათვის 10% იტალოფონი იყო, რაც ოდნავ უკეთესია წინა მონაცემებთან შედარებით. თუმცა, ეს საერთო სურათს მნიშვნელოვნად არ ცვლის: მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობას შეეძლო ესაუბრა იტალიურად, დანარჩენები დიალექტზე მეტყველებდნენ.

იტალიის გაერთიანების შემდეგ საშუალო სკოლა, პირველად ქვეყნის ისტორიაში, უფასო და სავალდებულო გახდა ყველგან, ამას ითვალისწინებდა 1859 წლის კაზატის კანონი (*legge Casatti*) – განათლების მინისტრის გაბრიო კაზატის (*Gabrio Casatti*) სახელის მიხედვით. 1877 წლის კოპინოს კანონის (*legge Coppino* – განათლების მინისტრის – მიკელე კოპინოს – *Michele Coppino* – სახელიდან) მიხედვით კი სკოლაში სიარული პირველი ორი წლის განმავლობაში მაინც სავალდებულო იყო. დე მაურომ აჩვენა, რომ სასკოლო რეფორმას არ მოუტანია სასურველი შედეგი, რადგანაც ის ძალიან ჩამორჩენილ ქვეყანაში უნდა განხორციელებულიყო. 1861 წელს ბავშვების მოსახლეობის ნახევარი მაინც თავს არიდებდა სკოლას. 1906 წელს კი 47%, თუმცა ეს მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თავად სკოლა სულაც არ ასრულებდა ცუდად თავის დანიშნულებას და მიუხედავად არსებული დიდი სიძნეელებისა (ზოგ ადგილას მასწავლებლები გაკვეთილებს დიალექტზე ატარებდნენ), მან დიდი გავლენა მოახდინა იტალიის რეალობაზე. სკოლასა და

განსაკუთრებით უმაღლესში, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ პურისტული იდეოლოგიის მომხრე მასწავლებლები, მანძონის თეორიების მომხრეები და კლასიკური მოდელის მიმდევრები, რომლებიც თავიანთ მოსწავლეებს იტალიურის სხვადასხვა მოდელს აწვდიდნენ. მანძონის მომხრეები, რა თქმა უნდა, ცოცხალი ტოსკანურისაკენ აღებულ გეზს ემხრობოდნენ. მათ შორის იყო ლუიჯი მორანდი (Luigi Morandi), რომელიც იმ დროს ნეაპოლის პრინცის და მომავალი მეფის – ვიტორიო ემანუელე III–ის მასწავლებელი გახდა. თავის ამ პედაგოგიურ გამოცდილებაზე მან წიგნიც კი დაწერა (Come fu educato Vittorio Emanuele III, 1901, II ed.1903), რომელშიც ის წერს, რომ დედა დედოფლის გადაწყვეტილებით, პრინცის კამერგერად განზრახ აირჩიეს ფლორენციელი.

ტულიო დე მაურომ სკოლის გარდა ის სხვა მიზეზებიც განსაზღვრა, რომლებმაც ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ იტალიის ენობრივი გაერთიანება განაპირობეს, ესენია: 1. ბიუროკრატია და ჯარი; 2. პერიოდული და ყოველდღიური ბეჭდვითი ორგანოები; 3. დემოგრაფიული მოვლენები, მაგალითად ემიგრაცია. 4. ურბანული პოლუსების ირგვლივ გაერთიანება. როგორც ვხედავთ, ლაპარაკია იტალიის სოციალური ცხოვრების მხარეების შესახებ, ისეთ მოვლენებზე, რომლებმაც მხოლოდ ირიბად მოახდინეს ზემოქმედება ენაზე.

ახალი ქვეყნის ახალი ბიუროკრატიის გავლენის მნიშვნელობა ერთიანი ენის ჩამოყალიბებაზე სრულიად ნათელია. გასათვალისწინებელია, რომ სამხედრო სამსახური იყო ის სიახლე, რომელიც იტალიის სამეფომ დააწესა. ენობრივი თვალსაზრისით ძალიან დიდი შედეგი გამოიღო 1915-1918 წლების ომის დროს სხვადასხვა რეგიონების ჯარისკაცების ერთად ცხოვრებამ და იმ ფაქტმა, რომ მათ ნასწავლი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. მაგრამ ეს მოვლენა XIX საუკუნის საზღვრებს სცდება. ერთი შეხედვით ნაკლებად ნათელია კავშირი ემიგრაციასა და იტალიური ენის შესწავლას შორის, მაგრამ 1871 -1951 წლებში შვიდი მილიონი იტალიელი გადასახლდა სხვა ქვეყანაში და დაახლოებით 14.000.000 დაბრუნდა სამშობლოში უცხოეთში გარკვეული პერიოდის მუშაობის შემდეგ. იტალიელი ემიგრანტები

ძირითადად დიალექტს ფლობდნენ, ისინი წერა-კითხვის უცოდინრები იყვნენ, დაბრუნებული, ძალიან შეცვლილი ემიგრანტები კი უფრო მეტად აფასებდნენ წერა-კითხვასა და განათლებას.

რაც შეეხება ინდუსტრიალიზაციას, მან გაზარდა ზოგიერთი დიდი ქალაქის მოსახლეობა, მოიკრიბა მუშახელი სხვადასხვა რეგიონებიდან, სოფლებიდან – ამას მოჰყვა მოსახლეობის გადაადგილება და მათი ახალ ადგილებში ინტეგრაცია, გლეხთა მასების დიდი მიგრაცია სამხრეთ იტალიიდან ჩრდილოეთში, რამაც დიალექტის დავიწყებაც გამოიწვია. ეს მოვლენები დაიწყო XIX საუკუნეში, მაგრამ თავისი შედეგი უფრო XX საუკუნეში აჩვენა,

5. ტოსკანის როლი და ასკოლის თემორიჰი

XIX საუკუნეში მოღვაწეობდა იტალიური ლინგვისტიკისა და დიალექტოლოგიის ფუძემდებელი გრაციადიო ისაია ასკოლი. 1873 წელს ის მანძონის თეორიების კრიტიკით გამოვიდა. აღსანიშნავია მისი “შესავალი” (Proemio), რომელიც დაიბეჭდა “იტალიური გლოტოლოგიური არქივის” პირველ ნომერში (ჟურნალი, რომელიც თავად ასკოლიმ დააარსა). პოლემიკა იწყებოდა ჯორჯინი-ბროლიოს ლექსიკონის (Novo vocabolario della lingua italiana secondo l'uso di Firenze) სათაურის გამო, სადაც ვხვდებით ზედსართავ სახელს “nòvo” თანამედროვე ფლორენციულის მანერაზე – მონოდიფთონგიზაციით (uo-ს ნაცვლად ò), რაც განსხვავდებოდა უკვე ფართოდ გავრცელებული და დამკვიდრებული ფორმისაგან “nuovo”. ასკოლი გამორიცხავდა, რომ შეიძლებოდა ბუნებრივად იტალიურის ცოცხალ ფლორენციულთან გაიგივება და ამტკიცებდა, რომ ფუჭი და ზიანის მომტანი იყო ენის სრული ერთიანობისკენ სწრაფვის სურვილი. ამავე დროს, მისი აზრით, არ უნდა ამოეღოთ გარკვეული ენობრივი ფორმები და ის სხვა რეგიონების დიალექტური ფორმებით არ უნდა ჩაენაცვლებინათ (მაგალითისათვის მოჰყავდა სიტყვა ditale – “ბეჭედი”, რომლის შესატყვისი ფლორენციაში იყო - anello). იტალიის ენობრივი გაერთიანება არ შეიძლებოდა ყოფილიყო გარედან ჩარევის

შედეგი, რომელიც ენის ერთიან და მყარ ფორმას შესთავაზებდა იტალიელებს; a priori მიღებული გადაწყვეტილებით შეუძლებელი იყო ყველას ფლორენციელად გადაქცევა. ენის ერთიანობა მაშინ იქნებოდა რეალური, როდესაც კულტურული კავშირები იტალიურ საზოგადოებაში იქნებოდა მყარი, როდესაც ქვეყანა განვითარდებოდა და ცხოვრებისუნარიანი გახდებოდა. ასკოლიმ დაინახა, რომ ენა არ არსებობს საოციალური კონტექსტიდან იზოლირებულად, ის ექსტრალინგვისტური ფაქტორების შედეგია.

გარდა ამისა, ასკოლი ეწინააღმდეგებოდა იტალიაში ფრანგული ცენტრალისტური მოდელის განხორციელებას, რომელიც მანძონის მოწონებას იმსახურებდა. საფრანგეთი ყოველთვის ცენტრისკენული იყო; ყოველი მოძრაობა თუ ინიციატივა დედაქალაქში – მონარქიის ცენტრში იწყებოდა. იტალიის მდგომარეობა, ასკოლის აზრით, უფრო გერმანიის მდგომარეობას ჰგავდა, რომელიც ტრადიციულად სხვადასხვა რეგიონებად იყო დაყოფილი. იტალია მას პოლიცენტრისტულ სახელმწიფოდ მიაჩნდა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონებისათვის დამახასიათებელი განსხვავებები ბუნებრივი გათანაბრების გზით ნელ-ნელა ჰომოგენური უნდა გამხდარიყო;

კამათი ასკოლისეული შეხედულებების გამო დღესაც გრძელდება, განსაკუთრებით ეს შეეხება მის აზრს ცოცხალი ფლორენციულის შესახებ (რომელსაც იგი არაფრით გამოარჩევდა სხვა დიალექტებისაგან). დღესაც ადარებენ ერთმანეთს ასკოლისა და მანძონის წინადადებებს, რათა რომელიმე მათგანს მიანიჭონ უპირატესობა.

მეორე უთანხმოება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ასკოლის შეხედულებების შეფასებას, შეეხება XIX საუკუნის ტოსკანის წვლილს ენის გაერთიანებაში. ასკოლი მკაცრია ტოსკანასთან მიმართებაში, იგი მას დამყაყებელი კულტურის მქონე წერა-კითხვის უცოდინრების სამშობლოდ თვლის; მისი აზრით, ამ რეგიონს არ შეუძლია წაუძღვეს ახალი იტალიის სახელმწიფოს განვითარებას. ასკოლი ამ იმედით უფრო რომს შესცქერის; თვლის, რომ პაპების ხელიდან გათავისუფლებულ ამ ქალაქს დიდი და დიდებული მომავალი ელის.

უნდა აღინიშნოს, რომ ასკოლის შეხედულება ტოსკანაზე საკამათოა. არიგო კასტელანი, მაგალითად, განსაკუთრებით გამოჰყოფს ამ

რეგიონის მნიშვნელობას; ის ხაზს უსვამს მანძონისა და ზოგიერთი ტოსკანელი ავტორის როლს საშუალო იტალიური პროზის გავრცელებაში, რომელიც განსხვავდება ადრე გაბატონებული პურისტული მოდელისაგან. ტოსკანურის გავრცელების ერთ-ერთი საშუალება, უეჭველად, არის ძალიან ცნობილი და ხალხისათვის საყვარელი ავტორების ნაწარმოებები, მათ შორის კარლო კოლოდის (Carlo Collodi, 1826-1890) “პინოქიოს თავგადასავალი” (Le avventure di Pinocchio) და ედმონდო დე ამიჩის (Edmondo De Amicis, 1846-1908) “გული” (Cuore) (სხვათა შორის, ეს ავტორი წარმოშობით ჩრდილოეთიდან იყო, მაგრამ ტოსკანურად წერდა).

6. ჟურნალისტური ენა

XIX საუკუნეში ჟურნალისტურმა ენამ ისეთი დიდი მნიშვნელობა მოიპოვა, როგორც მას არასდროს ჰქონია. დაიწყო ახალი ჟურნალ-გაზეთების გამოსვლა, რომლებიც ახალი მკითხველისათვის იყო განკუთვნილი; შესაბამისად, საჭირო იყო ახალი ენა, უფრო მარტივი, თუ იტალიის ლიტერატურულ ტრადიციებს გავითვალისწინებთ. ამ მიზნის მიღწევა ადვილი არ იყო; XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჟურნალი ისევ ელიტისათვის რჩებოდა განკუთვნილი. თუმცა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა ტირაჟის ზრდა, რასაც პრაქტიკული შედეგები მოჰყვა და ჟურნალის პროზა განახლების გზას დაადგა. საუკუნის მეორე ნახევარში ჟურნალ-გაზეთები მასობრივ მოვლენად იქცა. უკვე ჯიხურებში იყიდებოდა ის პერიოდული გამოცემები, რომლებიც მანამდე მხოლოდ აბონემენტებით ვრცელდებოდა. ამ დროის ენისათვის დამახასიათებელი იყო მწიგნობრული ხასიათის სიტყვებისა და ხალხური ფორმების მონაცვლეობა, თუმცა, ამავე დროს ერიდებოდნენ ძალიან მკაფიო დიალექტიზმებს. სწორედ ასეთი არხების საშუალებით გავრცელდა ზოგიერთი რეგიონალური ფორმა, როგორცაა, მაგალითად, *camorra* (“კამორა”) და *picciotto* – (“პიჩოტო”). ჟურნალისტურ სინტაქსში, ტრადიციული ლიტერატურულისაგან განსხვავებული გზის ძიებაში, უფრო მოკლე წინადადების ტენდენცია გაჩნდა.

XIX საუკუნის გაზეთი, დღევანდელის მსგავსად, ენობრივი თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა, რადგანაც სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგება. ქრონიკის ენა განსხვავდება პოლიტიკური ან ლიტერატურული ხასიათის სტატიების ენისაგან. პერიოდული გამოცემების ფურცლებზე ჩნდება განცხადების ფორმის მქონე რეკლამა ახალი და რეგიონალური სიტყვებით, რომელთა “გაწმენდასაც” ცდილობდნენ პურისტები. მაგალითად მიკელე პონძა (Michele Ponza), პიემონტელი მასწავლებელი და ლექსიკოგრაფი, 1830 წელს აკრიტიკებდა გაზეთს სახელწოდებით “კომერციული განცხადებების გაზეთი” (Giornale d'avvisi pel commercio) მასში წარმოდგენილი რეგიონალიზმების გამო: grotta მნიშვნელობით “cantina”, scagno – “lavatoio”, pristinaio – “panettiere”. გაზეთის რედაქტორი კი შემდეგნაირად იმართლებს თავს: “Non so come siamo lasciata cadere dalla penna questa marcia voce di pristinaio, voce lombarda” (არ ვიცი, როგორ მოგვივიდა და დავწერეთ გაფუჭებული, ლომბარდიული სიტყვა pristinaio). რა თქმა უნდა, ამ ფორმებს pristinaio, il prestino (“forno”) - ლომბარდიულ გაზეთებშიც ვხვდებით. ისიც აღსანიშნავია, ეს რეგიონალური სიტყვებიც მკვიდრდებოდნენ, თუ ისინი აღნიშნავდნენ განსაკუთრებულ საგნებს, რომლებიც წარმატებით იკიდებდნენ ფეხს რეალობაში, მაგალითად, ასეთია სიტყვა panettone, რომელიც 1865 წელს გამოჩნდა ტრიესტეს გაზეთში და XIX საუკუნეში დააფიქსირეს ლექსიკონებმა.

7. ლიტერატურული პროზა

XIX საუკუნეში პროზის განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც სწორედ ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა თანამედროვე ლიტერატურული თხრობა. ეს მოვლენა უკავშირდება ორი ძალიან დიდი მწერლის - მანძონისა და ვერგას (Giovanni Verga, 1840-1922) სახელებს. მანძონის დამსახურება იმაშია, რომ მან განაახლა არა მარტო რომანის “ენა”, არამედ ესეისტიკაც, მიუახლოვა რა სამწერლო ენა სასაუბროს. მანძონის მოდელის დამკვიდრებამდე, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული პროზა წარსუ-

ლიდან მომავალი ორი სხვადასხვა მოდელის გავლენას განიცდიდა: პურიზმისა და კლასიციზმის; პადრე ჩეზარის იდეების გამტარებელი პურისტები ანტიკურ ლიტერატურას კბაძავდნენ და ბოკაჩოს სტილში წერდნენ. სრულიად განსხვავებული იყო კლასიციზტების პროზის სტილი, ისინი ეტრფოდნენ აღორძინების ტრადიციებს, არ წყალობდნენ შუა საუკუნეების არქაიზმებს. (კლასიციზმის წარმომადგენლები არიან მონტი და ლეოპარდი). გასაგები მიზეზების გამო ამ ავტორებს პურისტების სიმპათია არ დაუმსახურებიათ, ისინი წერდნენ კიდევაც პურისტების თეორიების საწინააღმდეგო შეხედულებებს.

ლიტერატურულ პროზაში გარდატეხა სწორედ მანძონის “დანიშნულებს” ეკუთვნის. ნაწარმოების პირველი ვარიანტი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით “ფერმო და ლუჩია” – დამთავრების შემდეგ არ გამოცემულა (ავტორის აზრით, ის არის ლომბარდიული, ფრანგული, ტოსკანური და ლათინური სიტყვების ცუდი ნარევი). პირველი გამოცემა 1825-1827 წლებში (ე.წ. ოცდაშვიდის გამოცემა) გამოვიდა და უკვე მისი ენა საყოველთაო და საშუალო დონის იტალიურისკენ არის მიმართული. ამას მოჰყვა გრძელი რევიზია: 1827 წლიდან მანძონიმ იმოგზაურა ტოსკანაში და თავისი რომანის ენა შეცვალა. ახალი გამოცემა გამოვიდა 1840-1842 წლებში და მას სხვადასხვა გამოსხმურება მოჰყვა. ამ გამოცემისათვის მანძონიმ სხვადასხვა ხასიათის ცვლილება განახორციელა:

1. ამოიღო დიდი რაოდენობით ლომბარდიულ-მილანური ფორმები, რომელთაც გააჩნდათ შესაბამისი ფორმები ტოსკანურში – გასული საუკუნეების კომიკური ჟანრის ლიტერატურაში. მაგალითად სიტყვა *marrone*, რომელსაც ჩაენაცვლა სიტყვა *sproposito*: *ho fatto un marrone > ho sbagliato, abbia fatto ben grosso il marrone > l'abbia fatta bella, manifestare un marrone > palesare uno sproposito*.

2. უფრო დახვეწილი, პრეტენზიული, ნარჩევი, მაღალი სტილის, არქაული ან იშვიათი ლიტერატურული ფორმები მან ჩაანაცვლა საყოველთაოდ ხმარებული და გავრცელებული ფორმებით: მაგალითად: *lungnesso la parete > strisciando il muro, l'affisso > lo guardò, agguatando > spiando, guatare > guardare*;

3. ავტორმა გამოიყენა ტიპური ფლორენციული ფორმები. მისი

თანამედროვეების ყურადღება მაშინვე მიიპყრო დიფთონგის –uo- გაუქმებამ: spagnuolo>spagnolo, stradicciuole>stradicciole და სხვ.; ტოსკანურის შესაბამისად სუბიექტის ფუნქციაში ის მიმართავს ნაცვალსახელებს lui და lei ლიტერატურული egli და ella ფორმების ნაცვლად; არსებობს სხვა მაგალითებიც: pranzo>desinare, non ne ho fatte mica>non n’ho fatte punto, non mi stupirei>non mi stupirei punto;

4. დასტურდება დუბლეტური ფორმებისა და სიტყვების გაუქმება: eguaglianza>uguaglianza, quistione>questione, pel e col>per il და con il.

ეჭვგარეშეა, რომ მანძონისეულმა ხმარებამ ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტი გავლენა იქონია იტალიური ენის ბედზე. მაგალითად: lui და lei ნაცვალსახელების გავრცელება სუბიექტის ფუნქციაში, pel და col ფორმების ამოღება, d-ს ამოღება ერთმარცვლიანებში: ad/ed, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემდეგი სიტყვა ხმოვნით იწყება. ბუნებრივია, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ავტორის მიერ არჩეული ენობრივი ფორმები მნიშვნელოვანია არა მარტო იმ გავლენის გამო, რომელსაც რომანი ახდენდა მკითხველზე, არამედ ძალიან დიდი სტილისტური მნიშვნელობის გამო ამ რომანში, რომელიც ნამდვილ შედეგს წარმოადგენს. “არნოს წყლებში გაბანვამ” (La risciacquatura in Arno) როგორც თვითონ ამბობდა მანძონი, უფრო ბუნებრივი, მოქნილი სტილი განაპირობა, რომელიც შორს არის ტრადიციული მაღალი სტილისაგან. მაგალითისათვის შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს ძალიან მოკლე ნაწყვეტი XXXIII თავიდან რომანის ორი სხვადასხვა გამოცემიდან:

Renzo rimase li gramo e scontento, a pensar d' altro albergo. Nella lista funebre recitatagli da don Abbondio, v'era una famiglia di contadini portata via tutta dal contagio, salvo un giovanotto, dell'età di Renzo a un dipresso, e suo camerata dall'infanzia; la casa era fuori del villaggio, a pochissima distanza. Quivi egli deliberò di rivolgersi a chiedere ospizio.

Renzo rimase li tristo e scontento, a pensar dove andrebbe a fermarsi. In quella enumerazion di morti fattagli da don Abbondio, c'era una famiglia di contadini portata via tutta dal contagio, salvo un giovinotto, dell'età di Renzo a un di presso, e suo compagno fin da piccino; la casa era pochi passi fuori del paese. Pensò d'andar lì.

განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო წინადადება, სადაც მეორე გამოცემაში სამი ზმნის შემცველი მძიმე კონსტრუქცია ავტორმა ჩანაცვლა მარტივი წინადადებით: *Pensò d'andar lì*. ზემოთ კი დასტურდება ჩანაცვლება სიტყვისა *gramo* სიტყვით “*triste*”, *camerata* – “*compagno*”. სიტყვა *lista* მიჩნეულია ძალიან სპეციფიკურ ტერმინად, და ჩანაცვლებულია ბოლოზმოვანმოკვეცილი სიტყვით “*enumerazion*”. ფონომორფოლოგიურ დონეზე არის ცვლილებები: *giovanotto*>*giovinotto*, *giovane*>*giovine* (თუმაცაღა ტოვებს მრავლობითის ფორმას “*giovani*”), *dall'infanzia*>*fin da piccino*.

მანძონის შემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში როგორც თავისი ლიტერატურული ღირებულებით, ასევე იმ გავლენითაც, რაც მან ბევრ მწერალზე მოახდინა. მანძონისაგან მოშორებით ტოსკანურ პროზაში დგანან ფუჩინი და კოლოდი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია კოლოდი, სწორედ მას ეკუთვნის “პინოქოს თავგადასავალი” (1883), რომელსაც ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდა მკითხველზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის სტილი განსხვავდება მანძონის რომანის სტილისაგან, მანაც დიდი წვლილი შეიტანა ტოსკანური ენის გავრცელებაში მთელს იტალიაში.

ტოსკანიზმების სხვა ტიპის გამოყენებას ვაწყდებით მწერლებთან, რომელსაც კრიტიკოსმა ჯანფრანკო კონტინიმ ე.წ. “შერეული ენის” (mistilinguismo) საზი მიაწერა. ამ მწერლებს შორის აღსანიშნავია ლომბარდიელი კარლო დოსი (Carlo Dossi, 1849-1910), პიემონტელი ჯოვანი ფალდელა (Giovanni Faldella, 1846-1928), სამხრეთიდან – ვიტორიო იმბრიანი (Vittorio Imbriani, 1840-1886). მათი სტილი ხასიათდება ენობრივი ფორმების მრავალფეროვნებით, ისინი იყენებენ არქაულ და თანამედროვე ტოსკანურს, საყოველთაო ენასა და დიალექტს. ჩვენ შემოგვრჩა ფალდელას ჩანაწერების რვეული (Zibaldone), რომლის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ წინაშეა მწერალი ენის ძიებაში, ვინაიდან მისი ჩანაწერების რვეული ძალიან წააგავს პირად ლექსიკონს, სადაც ავტორი ათავსებდა კითხვის დროს აღმოჩენილ საინტერესო სიტყვებს; მისი ინტერესი კი ორიენტირებული იყო XVI საუკუნის კომიკოს მწერლებზე და XIX საუკუნის ტოსკანელ მწერალზე – ჯუზეპე ჯუსტიზე (Giuseppe Giusti, 1809-1850).

იტალიური ლიტერატურის ისტორიაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვერგას შემოქმედებას, განსაკუთრებით კი მის Malavoglia-ს. ვერგა არ იყენებს ბოროტად დიალექტს – მისი გმირები არ მეტყველებენ დიალექტზე. მწერალს უფრო ამბიციური გეგმა აქვს: ხალხის ფენიდან გამოსული სიცილიელი პერსონაჟების კომუნიკაციის ინსტრუმენტად ის ენის გამოყენებას ცდილობს და არა დიალექტის. ამისათვის მწერალი იღებს ზოგიერთ სიცილიურ სიტყვას, რომელიც ცნობილია მთელს იტალიაში და რთავს მათ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში, მაგალითად, შემდეგ შემთხვევებში: pagare “col violino” (“pagare a rate”), pigliarsela in criminale (“prendersela a male”), hanno la rabbia (“sono bramose”): ამ იდიომატურ გამოთქმებს გააჩნიათ შესაბამისი ფორმები დიალექტზე, სწორედ მათ მიანიშნებს ვერგა. ხალხური ენის ნიშნები გამოსჭვივის აგრეთვე პერსონაჟების ზედმეტსახელებიდან, სიცილიური ca-დან კალკირებული პოლივალენტური che-ს ხმარება, ci – აქტუალიზატორი (მაგ., averci), gli – მნიშვნელობით loro. ეს მახასიათებლები საჭიროა იმისათვის, რომ გადმოსცენ ცოცხალი მეტყველება; სწორედ ამავე მიზნით იხმარება

გაორმაგება და გამეორება (ci levano la camicia di dosso, ci levano).

სრულიად ახალია ვერგას სტილისათვის დამახასიათებელი სინტაქსი, განსაკუთრებით კი ე.წ. თავისუფალი ირიბი თქმა (ან “discorso rivissuto”). ერთი შეხედვით, ავტორს თავისი პერსონაჟების მეტყველების გადმოსაცემად მხოლოდ ორ ხერხს შეუძლია მიმართოს: დიალოგს ან შინაგან მონოლოგს. პირველის შემთხვევაში ავტორი ხსნის ბრჭყალებს და პირდაპირი სახით მოაქვს პერსონაჟის მეტყველება. ირიბი თქმით გადმოცემის დროს – თავად ავტორი გადმოსცემს პერსონაჟების სიტყვებს (“diceva che.. ., rispondeva che.. ., pensava che.. .”). როგორც აღვნიშნეთ, არსებობს მესამე შესაძლებლობაც, თავისუფალი ირიბი თქმა, გარდამავალი ამ ორ შორის: არ იხსნება ბრჭყალები, ე.ი. თითქოს ისევ ავტორი გადმოსცემს პერსონაჟების სიტყვებს, მაგრამ მწერლის ხმაში ჟღერს მისი გმირებისათვის დამახასიათებელი ფორმები, მათი მანერა, მკითხველი ამჩნევს, რომ ავტორ-მთხრობელის ხმას კი აღარ უსმენს, არამედ თავად პერსონაჟს. მაგალითად ამ ნაწევებში მასტრო დონ ჯეზუალდოდან:

Si sentiva allargare il cuore. Gli venivano tanti ricordi piacevoli. [აქ იწყება თავისუფალი ირიბი თქმა] Ne aveva portate delle pietre sulle spalle, prima di fabbricare quel magazzino! E ne aveva passati dei giorni senza pane, prima di possedere tutta quella roba! Ragazzetto. . . gli sembrava di tornarci ancora, quando portava l gesso dalla fornace di suo padre, a Donferrante!

როგორც ვხედავთ, თავისუფალი ირიბი თქმის გამოყენება ახალ სტილისტურ ეფექტს ქმნის.

8. პოეზია

პოეზიის ენა XIX საუკუნის დასაწყისში ინარჩუნებს მაღალი სტილისადმი ერთგულებას, ასეა წარმოდგენილი ის ნეოკლასიციზმის ნიმუშებში: ვინჩენცო მონტისთან (Vincenzo Monti, 1754-1828), ფოსკოლოსთან (როგორც ამას ადასტურებს მისი “Sepolcri”): ლექსიკა შერჩეულია, იხმარება ყოველდღიური ენისაგან განსხვავებული “კეთილშობილური” სიტყვები. XX საუკუნის დასაწყისამდე იტალი-

ური პოეზიის ენისათვის დამახასიათებელია კულტიზმებისა (bronchi - “rami”, avelli - “tombe”) და ლათინიზმების (cure – “affanni”) ე.წ. ორმაგი სერია (“doppia serie”) ანუ ლუბლეტური ფორმები, რაც განასხვავებს პოეზიის ენას პროზის ენისაგან. იმ შემთხვევაში, როდესაც პოეზიის და პროზის სიტყვები არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, პოეზიის სიტყვებს ფორმით “აკეთილშობილებდნენ” – მიმართავდნენ სინკოპეს (spirito ნაცვლად სიტყვისა “spirito”, pria ნაცვლად ფორმისა “prima”), კვეცას: mar (mare-ს ნაცვლად), cor (core-ს ნაცვლად), dolor, amor (თუმცა ფიქსირდება amore ფორმაც), შეკვეცილია აგრეთვე ზმნის ფორმებიც სამივე ტიპის უდღეობაში.

თეორიულად ამ მოსაზრებებს პოეტური ენის შესახებ თითქოს ლეოპარდიც (Giacomo Leopardi, 1798-1837) ეთანხმება; მისი აზრით, არქაიზმები უხდება პოეზიას. მისი პოეტური ენაც მიჰყვება პეტრარკასა და ტასოს ტრადიციას, მაგრამ სწორედ ტასოს გავლენით პოეტურ ენასთან მიმართებაში ლეოპარდი იძენს “ბუნდოვანობის” პრინციპს: პოეტურ ენაში “ტერმინები” კი არ უნდა იყოს – კონკრეტული და ზუსტი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, არამედ “სიტყვები”, რომლებიც გვკარნახობენ და მიგვანიშნებენ რაღაც გაურკვეველსა და, მაშასადამე, “პოეტურზე”.

XIX საუკუნის პოეზიის ენა რთულად იძენს ფორმალური ხასიათის სიახლეებს; ახალი, კონკრეტული მნიშვნელობისა და ყოველდღიური ხმარების სიტყვები მხოლოდ სახუმარო ხასიათის პოეზიაში დასტურდება, მაგალითად ისეთ პოეტთან, როგორცაა ჯუზეპე ჯუსტი, რომლის პოეზიაშიც ვხვდებით სიტყვას guigliottina (იტალიური “la ghigliottina” – ფრანგული დამწერლობით), პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს: carbonaro, framassone. თავად მანძონი, რომელმაც ძირეულად განაახლა იტალიური პროზის ენა, როგორც პოეტი – ტრადიციულის დამცველია. მაშასადამე, ყოველდღიური ენის სიტყვები ვერ აღწევდნენ პოეზიის ენაში, თუმცა ეს ყოველდღიურობა სულ ახალ-ახალი თემებით უკვე უტყვედა პოეზიას. როდესაც რომანტიკოსებს სურვილი გაუჩნდათ რეალისტური შინაარსი შეეტანათ პოეზიაში, ისინი სწორედ ამ ტიპის წინააღმდეგობას წააწყდნენ: პოეზიის ენა, როგორც ეს ხანგრძლივი ტრადიციით მოსდგამდა, არ დაუშვებდა

ყოველდღიური ლექსიკის გამოყენებას. კლასიკოსი პოეტები საერთო მოხმარების საგნების დასახელების დროს პერიფრაზს მიმართავდნენ; ამასთან დაკავშირებით ჯან ლუიჯი ბეკარია იხსენებს მონტის *le rauche di stagno abitatrici* (le “rane”) და ლეოპარდის *le ferree canne* (i “fucili”). რომანტიკოსებიც ამ გზას აგრძელებენ. თუმც საუკუნის მეორე ნახევარში, ისეთ პოეტებთან, როგორებიც არიან პრაგა (Emilio Praga, 1839-1875) და ბეტელონი (Vittorio Betteloni, 1840-1910), გარკვეულ სიახლეებს მაინც ჰქონდა ადგილი, სწორედ მათ შემოიტანეს “რეალისტური” ტერმინები ტრადიციულ პოეზიაში, რითაც გარკვეული უხერხულობაც გამოიწვიეს.

XIX საუკუნე ხასიათდება აგრეთვე დიალექტური პოეზიის საოცარი ხარისხობრივი განვითარებით. ამ ტიპის ლიტერატურის ყველაზე დიდი წარმომადგენლები არიან მილანელი პორტა (Carlo Porta, 1775-1821) და რომაელი ბელი (Giuseppe Gioachino Belli, 1791-1863). სწორედ ბელის სონეტებს ახლავს განმარტება-შენიშვნები, მათ შორის ზოგი ისეთი სიტყვაა, რომელიც საყოველთაო ხმარებაში გადავიდა: “fregarsene (fregammene), cazzata “sciocchezza”, fesso – “sciocco”. რაც შეეხება პორტას პოეზიას, ის უკავშირდება საინტერესო პოლემიკას დიალექტისა და დიალექტური ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ. საერთოდ დიალექტთან დაკავშირებით კლასიციზტებსა და რომანტიკოსებს სხვადასხვა შეხედულება გააჩნდათ: რომანტიკოსები დიალექტების დამცველებად წარმოდგებოდნენ, კლასიციზტები კი ეწინააღმდეგებოდნენ “კომუნიკაციის დაბალი დონისკენ დაღმასვლას” და ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციას მის მაღალ ფორმებში განიხილავდნენ. კლასიკოსმა პიეტრო ჯორდანიმ (Pietro Giordani), 1816 წელს “იტალიურ ბიბლიოთეკაში” (Biblioteca italiana) დაბეჭდილ სტატიაში გააკრიტიკა ფრანჩესკო კერუბინის ინიციატივა ლიტერატურული ნაწარმოებების მილანურ დიალექტზე დაბეჭდვის შესახებ; დავეგმილი იყო 12 ტომის გამოცემა – დაწყებული XVI საუკუნიდან და თანამედროვეებით დამათავრებული, უკანასკნელი ტომში სწორედ პორტა იქნებოდა წარმოდგენილი. ჯორდანის აზრით, დიალექტის ხმარება ზიანს მოუტანდა იტალიელებს, ვინაიდან დიალექტი იყო “სპილენძის მონეტა”, რომელიც გაუნათლებელ ხალხში,

მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების ბანალურ სიტუაციებში “უნდა დახარჯულიყო”; დიალექტი არ შეეფერებოდა ცივილურ ყოფასა და განვითარებას. დიალექტური პოეზია, მისი აზრით, დაბალ დონეზე უნდა მოეთავსებინათ, პლებეურსა და კომიკურს შორის; მამასა-დამე, ჯორდანი არ წყალობდა დიალექტებს და გრძნობდა საერთო ეროვნული ენის ნაკლებობას, რომლის არსებობაზეც დამოკიდებული იქნებოდა ეროვნული ცნობიერების განვითარება. ის აკრიტიკებდა იმ ფაქტს, რომ იტალიის სხვადასხვა ნაწილის მოსახლეობა ერთმანეთს “უცხოელებად” აღიქვამდა. ჯორდანისაგან განსხვავებით, მილანელ რომანტიკოსებს ძალიან მოსწონდათ დიალექტური მწერლობა, ისინი ამაში ხედავდნენ ხალხის ენასთან მიახლოებისა და დაბალ ფენებში კულტურის გავრცელების საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ჯორდანის ანტიდიალექტური დამოკიდებულება გადაჭარბებულიც იყო, მაინც მას რეაქციულად და კონსერვატულად ვერ მოვიაზრებთ, ამის საშუალებას არ მოგვცემს მისი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, რომელიც ერთიანი ენისა და ერთიანი ეროვნული შეგნებისაკენ მიისწრაფოდა.

თავი მეცხრე

XX საუკუნე

1. ლიტერატურული მნა XX საუკუნის პირველ ნახევარში

ორი საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე პოეტთა - გაბრიელე დ'ანუნციოსა (Gabriele D'Anunzio, 1863-1938) და ჯოვანი პასკოლის (Giovanni Pascoli, 1855-1912) შემოქმედება იმ ენობრივ ცვლილებებს გვიჩვენებს, რასაც რეალურად ჰქონდა ადგილი. მეოცე საუკუნის იტალიური ენა, მათ შორის სალიტერატურო ენაც, ინოვაციებით შეივსო და წინააღმდეგობაში აღმოჩნდა “მაღალი” დონის ტრადიციებთან. ჯოზუე კარდუჩი (Giosuè Carducci, 1835-1907) არის უკანასკნელი იმ პოეტთაგან, ვინც არაჩვეულებრივად განახორციელა პოეზიის ტრადიციული როლი, მისი ენა სრულიად ეთანხმება პოეზიის წესებს. გაბრიელე დ'ანუნციოც თავის პოეზიაში პოეტური ენის გაკეთილშობილების მიზნით ფართოდ მიმართავს ლექსიკურ შერჩევას. ტურინის უნივერსიტეტის პროფესორს - ჯან ლუიჯი ბეკარიას მოჰყავს ამ მიზნით განხორციელებული ლექსიკური შერჩევის მაგალითები: *ippopotamo*- “ჰიპოპოტამი” იქცევა “*pachidermo fumale*”-დ (“მდინარის ცხოველი”), *le cameriere*- “მოახლე ქალები”-“*fanti, cameriste*”-ებად (“მომსახურეები, კამერისტები”), *operai*- “მუშები”- “*uomini operari*” (“მუშაკი”)და სხვ.;

გაბრიელე დ'ანუნციოს პოეზია წარმოგვიდგება როგორც ინოვაციური, ის აღსავსეა სხვადასხვა ფორმის ექსპერიმენტით (მეტრიკის თვალსაზრისითაც); მისი ენა ძალიან მრავალფეროვანია, იგი იყენებს არქაიზმებს, უცხო წარმოშობის სიტყვებს, სპეციფიკურ ტერმინებს (რომელთა მოსაძიებლად ის მიმართავს, მაგალითად, ნიკოლო ტომაზეოს ლექსიკონს, გულიელმოტის საზღვაო ლექსიკონს). აღსანიშნავია, რომ დ'ანუნციო იყო ძალიან საინტერესო და ცნობილი პიროვნება, ის პოლიტიკაშიც მოღვაწეობდა და იქაც გამოირჩეოდა თავისი გამოსვლებით; მისი გავლენა მეოცე საუკუნის ენაზე საკმაოდ

შთამბეჭდავია. ზოგი მისეული ნეოლოგიზმი მყარად დამკვიდრდა თანამედროვე ენაში, მაგალითად *velivolo - aeroplano*-ს (“აეროპლანი”) მნიშვნელობით (კალკირებული ლათინური ტერმინიდან *velivolus*, რაც ნიშნავს ზღვაში მოცურავე გემებს, რომელთა ქარისაგან გაბერილი იალქნები ჩიტების ფრთებს წააგავს); *Rinascente* (“თავიდან დაბადებული”) – 1918 წელს ხანძრით განადგურებული დიდი მილანური სავაჭრო ცენტრი, რომელიც “ახლად აღდგა” ფერფლიდან. დანუნციო მზად იყო ეპასუხა თავისი დროის მოთხოვნებისათვის, მაგალითად, ის თანამშრომლობდა როგორც კომერციული რეკლამის სფეროში (1929 წელს მონაწილეობდა “საივას” ნამცხვრების რეკლამირებაში), ისე ჩანასახში მყოფ მუნჯ კინემატოგრაფთან: 1914 წლის ძალიან ცნობილ ფილმს – “კაბირიას” სწორედ ის ამარაგებდა (დიდი გასამრჯელოს საფასურად) ტიტრებით, ლათინური და ჰუნიკური საკუთარი სახელებით, ვინაიდან ფილმი რომსა და კართაგენს შორის ომებს ეხებოდა. ამ სახელთაგან ზოგიერთი საკმაოდ პოპულარული გახდა, გავისხენოთ ფედერიკო ფელინის “*Cabiria*” (“კაბირია”, 1957წ.), ასევე “*Maciste*” (“მაჩისტე”), რომელიც 60-იანი წლების ბოლო პერიოდის პოპულარული ფილმების მთელი სერიის გამირია; თავად ეს სიტყვა (*maciste*) იტალიურ ენაში ღონიერი ადამიანის აღსანიშნავად იხმარება.

პირველი განხეთქილება ტრადიციულ პოეტურ ენასთან ჯგოვანი პასკოლის შემოქმედებაში იწყება, “მწუხრის” პოეზიაში (*poesia crepuscolare*) და ავანგარდისტებთან; მიუხედავად იმისა, რომ პასკოლი დახვეწილ სიტყვებსა და ლათინიზმებს მიმართავდა, “სწორედ მასთან წაიშალა საუკუნეების განმავლობაში პარალელური თანაცხოვრების შემდეგ განსხვავება პოეტურ და არაპოეტურ სიტყვებს შორის. მან არსებობის უფლება მისცა ყველა სიტყვას - მაღალფარდოვანს, არქაულს, აქტუალურს, ყოველდღიურს” დიალექტიზმს, რეგიონალიზმს, იტალო-ამერიკულ სიტყვებსაც კი (ჯან ლუიჯი ბეკარია). მაგალითად, იტალიელების ემიგრაციისადმი მიძღვნილ ნაწარმოებში “პირველი პატარა ლექსები” (“*Primi poemetti*”; 1897წ.), დიდი კონტრასტია ავტორის მაღალფარდოვან მიძღვნასა “*Sacro all’Italia ramminga*” და თავად ტექსტს შორის: “*Oh yes, è fiero...vi saluta / mol-*

ti bisini, oh yes...No, tiene un frutti / stendo...Oh yes, vende checche, candi, scrima..”; აშკარად ჩანს იტალიანიზაცია ისეთი ინგლისური ტერმინებისა, როგორცაა business (“affari” “საქმეები”), fruit - stand (“bancarella di fruttivendolo”- “ხილის გამყიდველის ღია დახლი”), cakes (“dolci” - “ტკბილეული”), candies (“caramelle” - “კარამელი”), ice – cream (“gelati”- “ნაყინი”) და ეს ყველაფერი ტოსკანიზმის გვერდით: essere fiero, “კარგად ყოფნის” მნიშვნელობით.

მწუხრის პოეზიისათვის დამახასიათებელია პროზაულობისაკენ მიდრეკილება, მაღალფარდოვანი ტონის რღვევა, რაც შემდგომში, XX საუკუნის ლირიკის საკმაოდ დიდი ნაწილის მთავარი მახასიათებელი გახდა.

რაც შეეხება ავანგარდულ პოეზიას, იტალიაში ის, არსებითად, ფუტურიზმთან იგივედება; თავის თეორიულ მანიფესტებშიც და პრაქტიკულადაც ის ფორმის პროვოკაციულ განახლებას მიმართავდა, ყველაზე თვალშისაცემი მათ შორის იყო, მაგალითად, გამოსახულებისა და სიტყვების აღრევა ერთმანეთში; სხვადასხვა ზომის ტიპოგრაფიული ასოების გამოყენება, სიტყვებისათვის ინტენსიურობისა და “ბგერითი სიმძიმის” მინიჭება; ეფექტები, რომლებიც კოლაჟ-ეფექტებს (collage) ჰგავს (ეს იყო ჭეშმარიტი ტიპოგრაფიული რევოლუცია, როგორც აღნიშნა მარინეტიმ 1913 წლის მანიფესტში); პუნქტუაციის გაუქმება, ხმაბაძვითი სიტყვების ფართო გამოყენება. ეს ყველაფერი შემდგომში კრიტიკის საგანი გახდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ფუტურიზმის გავლენა XX საუკუნის პოეტურ ენაზე მაინც მნიშვნელოვანია.

“მეოცე საუკუნის პოეზია ძალიან დავალებულია დ’ანუნციოს ლირიკისაგან. . . “- შენიშნავს ლუკა სერიანი. რაც შეეხება პროზას, დ’ანუნციოს პროზის ყველაზე ინოვაციური მახასიათებლები შეგვიძლია ვიხილოთ მის “ნოქტიურნსა” (“Notturmo”) და “საიდუმლო წიგნში” (“Libro segreto”).

“Notturmo” (დაწერილი ვენეციაში, 1916 წელს, დ’ანუნციოს დროებითი სიბრძავეს პერიოდში, რაც გამოწვეული იყო საავიაციო შემთხვევის დროს მიღებული ჭრილობით და რის გამოც დ’ანუნციო ორი თვის განმავლობაში თვალეზავი იყო) ხასიათდება მოკლე და ძალიან მოკლე ფრაზებით; პოეტი სმირად მიმართავს აბზაცს;

აი, მაგალითად, ნაწყვეტი, რომელშიც უსინათლო დ'ანუნციო თავს აიგივებს მერცხალთან, რომელიც ძალიან სწრაფად გადაუფრენს ლაგუნაზე მდებარე ქალაქს:

Resto silenzioso. Ma un istinto balzante della mia carne stanca imita la rondine veloce.

I suoi minuti occhi selvaggi s'aprono sotto la mia benda.

Entra nella Corte Contarina. Un grido, due gridi.

Viene dalla riva degli Schiavoni.

Passò sopra Chioggia.

Volò a San Francesco del Deserto.

Girò intorno al campanile orientale nell'isola degli Armeni.

[...]

Entra nella Corte Contarina. Un grido aguzzo, un guizzo bianco.

როგორც ვხედავთ, ეს ყველაფერი ძალიან შორსაა ტრადიციული იტალიური სტილისაგან, თუმცა ეს მოდელი ერთ-ერთი ყველაზე მისაბადი გახდა მეოცე საუკუნეში. ამრიგად, დ'ანუნციო, ექსპერიმენტალიზმისადმი თავისი ლტოლვით, ერთი მხრივ ასრულებს ისტორიულ ციკლს და იმავდროულად ახალ ტენდენციებს აყალიბებს.

“სასაუბრო” ენის საინტერესო გავლენას ვაწყდებით ლუიჯი პირანდელოს (Luigi Pirandello, 1867-1936) პროზაში, უფრო მეტად მის თეატრალურ ნაწარმოებებში, ვიდრე რომანებში: შორისდებულთა ხშირი გამოყენება - ah si!, ah si si!, eh via! ah no no!, ისეთი მართებლების არსებობა, როგორცაა - è vero, si sa, figurarsi, o bella!, ასევე ისეთი ოპოზიციები, როგორცაა: non più, ma....si forse. შეიძლება ითქვას, რომ პირანდელოს სტილი სრულიად განსხვავდება დ'ანუნციოს სტილისაგან და კიდევაც უპირისპირდება მას. უნდა გვახსოვდეს, რომ “პირანდელი არასოდეს ენდობოდა დიალექტს, როგორც ლიტერატურულ საშუალებას” (ვიტორიო კოლეტი), მაგრამ უარს არ ამბობდა მიენიჭებინა თავისი ნაწარმოებებისათვის ცოტაოდენ ადგილობრივი ელფერი (მაგალითად, საკუთარი სახელების არჩევით), ყოველ შემთხვევაში სიცილიური გარემოს მქონე ნაწარმოებებში, იქ,

სადაც ამას მასალა მოითხოვდა; თუმც პირანდელოს არჩევანი უფრო “ნეიტრალური” იტალიურისკენ იხრება.

მეოცე საუკუნის დასაწყისის კიდევ ერთი დიდი მწერალი – იტალი ზევეო (Italo Svevo, 1861-1928) ცნობილია თავისი არცთუ მარტივი დამოკიდებულებით იტალიური ენისადმი, რაც განაპირობა მისმა ისეთი პერიფერიული ზონიდან წარმოშობამ, როგორც ტრიესტა. მას ადანაშაულებდნენ “ცუდად წერაში”, რასაც ის ძალიან განიცდიდა. თუმც, ამავე დროს არსებობს სხვა შეხედულებაც (პიერ ვინჩენცო მენგალდო, ჯანფრანკო კონტინი), რომლის თანახმადაც ზევეოს ენა იყო “პირადული” (“privata”); ის უნდა განხილულიყო შესაბამის ისტორიულ კონტექსტში და არა ტრადიციული ლიტერატურული ნიმუშების ბაზაზე. ეს მწერალი სრულიად გახსნილია ახალი საუკუნისათვის, მაგრამ მაინც განცალკევებულია ოფიციალური ლიტერატურისაგან, რომელმაც მას ვერ გაუგო (გამონაკლისს წარმოადგენს მონტალე). უნდა აღინიშნოს, რომ იტალი ზევეოს უდიდესი წარმატება ჰქონდა მკითხველებში მიუხედავად ყველა იმ სირთულისა, რასაც ის გამომცემლებთან და კრიტიკოსებთან ურთიერთობისას აწყდებოდა.

სხვა ათვლის წერტილი მწერლებისათვის, განსაკუთრებით ვერგას შემდეგ (რომელმაც მწერლებს აჩვენა ის გზა, საითაც მწერლობა უნდა წასულიყო, რათა მიახლოებოდა ხალხურ სამყაროს და ის შიგნიდან აღეწერა), იყო დიალექტი. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს დიალექტის პირდაპირი გამოყენება და სხვადასხვა “ნარევის” შექმნა, რაც შესაძლებელია მისი კომბინირებით სალიტერატურო ენასთან. დიალექტური ფორმებს და განსაკუთრებით სიენიზმებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ფედერიკო ტოცის (Federigo Tozzi, 1883-1920) რომანებში, მაგალითად, მასთან ვხვდებით: *astiare* (“*odiare*” - “სიბუღვილი”), *bicciarsi* (“*cozzare con le corna*” - “რქებით დაჯახება”), *piaggiata* (“*terreno in pendio*” - “დაქანებული დაბლობი”), *untare* (“*ungere*” - “წასმა”) და მრავალი სხვ. დიალექტთა ნაზავს ვხვდებით ისეთ “შერეულენოვან” მწერალთან, როგორცაა კარლო ემილიო გადა (Carlo Emilio Gadda, 1893-1973). მის ნაწარმოებებში ბევრი დიალექტიზმია წარმოდგენილი: ლომბარდიული (“*Adalgisa*”

- “ადალჯიზა” და “Cognizione del dolore” - “ტკივილის შეცნობა”), ფლორენციული (“Favole”- “ზღაპრები” და “Eros e Priapo” - “ეროსი და პრიაპო”), რომაული, მოლიზური და ვენეტური (Quer pasticciaccio brutto de via Merulana). კრიტიკოსები ამას “ემილიო გადასეულ მულტილინგვიზმს” ანუ “პასტიშს” (pastiche) უწოდებენ.

2. ორატორული ხელოვნება და ფაშიზმის ენობრივი პოლიტიკა

დღეს, რასაკვირველია, რთულია წარმოვიდგინოთ და სათანადოდ შევაფასოთ ტრადიციული ტიპის ორატორული ხელოვნების მნიშვნელობა – მოედნის ორატორობისა, რომელიც ბრბოს წინაშე, ცოცხალ ადამიანთა წინაშე იმართებოდა; ამის მიზეზი ისაა, რომ ცოცხალი რიტორიკა, მისი უშუალო ზემოქმედების ფუნქციები ტელევიზიამ და მასებთან კომუნიკაციის საშუალებებმა შეითავსეს. მეოცე საუკუნის დასაწყისი კი ცნობილია ბენიტო მუსოლინის (Benito Mussolini, 1883- 1945) მასებისადმი მიმართული გამოსვლებით. ეს გამოსვლები მთელს იტალიაში რადიოთი ვრცელდებოდა და დოკუმენტურ ფილმებადაც კი იყო გადაღებული, მაგრამ მათი ზემოქმედების ძალა უკეთ სწორედ ბრბოსთან გამართულ პირდაპირ გამოსვლებში კლინდებოდა.

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია დასრულებული ორატორი, ორატორობის მისეული მოდელი ყველაზე უკეთ (მუსოლინის მოდელთან შედარებითაც) წარმოაჩენს ლიტერატურული ორატორობის რაობას, რომელიც არის უაღრესად დახვეწილი, მაღალი დონის და გააჩნია მასებზე ზემოქმედების ძლიერი უნარი. დასრულებული ენა დიდი გავლენა იქონია ფაშიზმის რიტორიკაზე; თუმცა ამ საქმეში ის არ ყოფილა ერთადერთი, თავისი გავლენა იქონია აგრეთვე პოეტმა ჯოზეფე კარდუჩიმაც. მუსოლინისა და საერთოდ ფაშიზმის ენა გამოირჩევა ინდივიდუალური მახასიათებლებით, მეტაფორათა სიუხვით (მაგალითად, რელიგიური (martire, asceta და ა.შ.), სამხედრო (falangi, veliti)), გარდა ამისა გვხვდება “რომაული” ელფერის მქონე

ნაციონალურ-ფაშისტური პარტიის ჩვეული ტერმინებიც: - Duce, littore, centurione, manipolo; ფაშიზმის ორატორებთან აღსანიშნავია ასევე გარკვეული რიცხვების დაჟინებით გამოვრება: “milioni di italiani”, “migliaia e decine di migliaia di caduti, di feriti. . . - “მილიონობით იტალიელი”, “ათასობით და ათი ათასობით წაქცეულები და დაჭრილები” და ა.შ.

რიტორიკის “მაღალი” ნიმუშებისაგან განსხვავდებოდა მუსოლინის გამოსვლები ხალხის წინაშე. მისთვის დამახასიათებელი იყო დიალოგის განსაკუთრებული ტიპი ბრბოსთან: ფრაზებს შორის ხანგრძლივი დუმილი, პაუზები, რომლებიც მომხრეთა მოწონების შეძახილებით ივსებოდა. მუსოლინისეულ გამოსვლებში დიდი ადგილი ეკავა დევიზებს, გაზვიადებებსა და სხვადასხვა გამოთქმებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეეძლოთ მასებზე: massa compatta - “შეკრული მასა”, compiti poderosi - “დიადი ამოცანები”, fraterno cameratismo - “ძმური მეგობრობა”, pagine di sangue e di Gloria - “სისხლის და დიდების ფურცლები”, dura energia - “მტკიცე ენერჯია”, ora solenne - “საზეიმო წამი”, ruota del destino “ბედის ბორბალი”, calma determinazione - “მშვიდი სიმტკიცე”, ritmo... inarrestabile “შუეჩრებელი რითმი”, la più nera delle ingiustizie “უსამართლობებს შორის ყველაზე მძიმე” და ა.შ.

ფაშიზმს ძალიან ნათელი ენობრივი პოლიტიკა ჰქონდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები ამ პოლიტიკისა იყო ნასესხობების წინააღმდეგ ბრძოლა, ეთნიკური უმცირესობების დათრგუნვა ენობრივი თვალსაზრისით და ანტიდიალექტური გამოსვლები. სწორედ ფაშიზმის ქსენოფობიურმა პოლიტიკამ მოიტანა ტოპონომასტიკის იძულებითი იტალიანიზაცია – უცხოური გვარების (მაგ. სლავური ან გერმანული) მქონე პირებს აიძულებდნენ ისინი იტალიურად გადაეკეთებინათ.

1930 წელს გამოცემული ბრძანების თანახმად აიკრძალა ფილმებში ის სცენები, სადაც უცხო ენაზე საუბრობდნენ. 1940 წელს კი რეჟიმის ყველაზე პრესტიჟულ და წარმომადგენლობით კულტურულ ორგანიზაციას – “იტალიის აკადემიას” (Accademia d'Italia) დაეკალა თვალყური ედევნებინა უცხო სიტყვების შემოსვლაზე ენაში

და მოეძებნა მათი ალტერნატიული ფორმები. იგივე 1940 წლის კანონით აკრძალული იყო უცხო სიტყვების გამოყენება ფირმების სახელწოდებებში, პროფესიულ და სხვადასხვა რეკლამურ საქმიანობებში. შემთხვევითი არ არის, რომ ფაშიზმის დროს ჩამოყალიბდა ჟურნალი “ჩვენი ენა” (Lingua Nostra), რომელშიც მეცნიერული ხასითის ნაშრომების გვერდით ენობრივი ნორმის დამდგენი კვლევებიც იყო წარმოდგენილი.

მოგვიანებით ბრუნო მილიორინიმ ჩამოაყალიბა შედარებით ზომიერი დამოკიდებულება ნასესხობების მიმართ და მას “ნეოპურიზმი” უწოდა; ის მკვეთრად განსხვავდება ფაშისტური ქსენოფობიური დამოკიდებულებისაგან და, რაც მთავარია, მასში არ ხდება ენისა და რასის აღრევა. სწორედ მილიორინის ეკუთვნის ფრანგული სიტყვის *regisseur* ჩანაცვლება იტალიური სიტყვით *regista*; ფრანგული სიტყვის *chauffeur* - იტალიური სიტყვით *autista*. ასეთი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ნორმატული ჩარევა სულაც არ არის ყოველთვის ფუჭი.

თუ ისევ ფაშიზმის პოლიტიკას დაუბრუნდებით, აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებული იყო იმ სიტყვების ჩამონათვალი, რომელთა ჩანაცვლებაც უნდა მომხდარიყო იტალიური ვარიანტებით, თუმც მათ შინ უკვე მიღებული იყო უცხო წარმოშობის მქონე, თანხმობაზე დამთავრებული სიტყვები, მაგ.: *sport*, *film*, *tennis*, *tram*, *camion* და სხვ. ფაშიზმის დროს გაჩაღდა კამპანია თავაზიანი “*Lei*” ფორმის წინააღმდეგ. უნდოდათ მისი ჩანაცვლება “*tu*” ფორმით, რომელიც უფრო “რომანულად” მიაჩნდათ და “*voi*” ფორმით (თავაზიანი, უფროსებთან მიმართებაში). მაგრამ ეს კამპანია არ აღმოჩნდა წარმატებული, რადგანაც “*Lei*” ფორმა უკვე დამკვიდრებული იყო იტალიურში: ის მომდინარეობდა XVI საუკუნიდან, როდესაც კანცელარიებში იხმარებოდა მიმართვის ფორმა “*Vostra Signoria*” – რომელიც სწორედ მდებრობითი სქესის იყო. გარდა ამისა, “*voi*” ემოხვეოდა სამხრეთში გავრცელებულ ფორმას, შესაბამისად, ბევრი მას დიალექტიზმად აღიქვამდა და მის ხმარებას გაუბოლდა.

XX საუკუნის დასაწყისში კრუსკა ცდილობდა თავისი ლექსიკონის ახალი, მეხუთე გამოცემის დასრულებას, მაგრამ მის ირგვ-

ლივ კვლავ პოლემიკა ატყდა: 1923 წელს განათლების მინისტრი გახდა ჯოვანი ჯენტილე – ფაშიზმის რეჟიმის გულშემატკივარი ფილოსოფოსი და კრუსკას აკადემიას აეკრძალა ლექსიკონის შექმნა. ფაშიზმის ოცწლიანი პერიოდი ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით იმით ხასიათდება, რომ აიკრძალა ფლორენციის აკადემიის ძველი ლექსიკონი, თუმც არც “იტალიის აკადემიის” ლექსიკონი აღმოჩნდა უფრო ილბლიანი; 1941 წელს მათ მხოლოდ პირველი ტომი გამოსცეს, რომელიც მოიცავდა ლემებს A და C ასოებზე. შემდგენლებმა, რომელთაც ჯულიო ბერტონი (Giulio Bertoni) ხელმძღვანელობდა, უამრავი ძველი სიტყვა არ შეიტანეს ლექსიკონში. ავტორებს ნეოლოგიზმებთან მიმართებაში უფრო ზომიერი პოლიტიკა ეკავათ, რაც არ ეთანხმებოდა ფაშიზმის ენობრივ პოლიტიკას. ლექსიკონის შემქმნელები სრულად აცნობიერებდნენ, რომ სიტყვები არ მკვიდრდებოდა ენაში დეკრეტებისა და ნორმების თავსმოხვევით, ამიტომაც ახალი ლექსიკონი უცხო წარმოშობის სიტყვებს აფიქსირებდა. “იტალიის აკადემიის” ლექსიკონში ამა თუ იმ სიტყვის საყოველთაო ხმარების საილუსტრაციოდ ციტირებულია ავტორები და არ არის დაზუსტებული ნაწარმოები, საიდანაც ამოღებულია ეს ციტატები (ამით განსხვავდება ეს ლექსიკონი მისი წინამორბედი ლექსიკონებისაგან); ფართოდ არის გამოყენებული მაგალითები XX საუკუნის ავტორების ნაწარმოებებიდან, მათ შორის არიან: დ’ანუნციო, გოცანო, ტოცი, პირანდello, დელედა, ბონტემპელი, როვეტა, პაოლიერი, ორიანი და თავად მუსოლინიც. ეჭვგარეშეა, რომ ეს ლექსიკონი თანამედროვე იყო, მაგრამ მაინც არ ჰქონია წარმატება, რადგანაც ფაშიზმის დაცემასთან ერთად არ მოხერხდა ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა.

გარკვეული წარმატება ხვდა წილად სხვა წამოწყებას, რომელიც ასევე ჯულიო ბერტონის სახელს უკავშირდებოდა; ეს იყო პატარა ლექსიკონი, რომელიც შეიცავდა იტალიური სიტყვების ზუსტ წარმოთქმას და პირველ რიგში განკუთვნილი იყო რადიოს დიქტორებისათვის. 1939 წელს ბერტონიმ და უგოლინიმ გამოსცეს “წარმოთქმისა და ორთოგრაფიის ცნობარი” (Prontuario di pronunzia e di ortografia), სადაც ისინი ხაზს უსვამდნენ ფლორენციულისაგან განსხვავებულ რომაულ ფორმებს და მათ დამკვიდრებას სთავაზობდ-

ნენ. ეს ეხებოდა, მაგალითად, ღია ან დახურული ხმოვნების ხმარებას შემდეგ სიტყვებში: *colonna, edera, folla, lettera, sterco, torba* და ა.შ. “ცნობარის” შესავალში, ბერტონიმ და უგოლინიმ, იმ დროის პოლიტიკურ ტერმინოლოგიის ანალოგიით (“ღერძი რომი-ბერლინი”), ენასთან მიმართებაში შემოიტანეს ფორმულა – “ღერძი რომი-ფლორენცია” (თუმც ეს ინიციატივა უკვე გამოქვეყნებული იყო ჟურნალ “ჩვენი ენის” პირველ ნომერში, 1939 წლის თებერვალში), რომლითაც იკვეთებოდა დედაქალაქის - რომის როლი ენის საკითხში; რომი ხომ “თანამედროვე ენის უდიდესი სამჭედლო იყო”. შესავალში ასევე ხაზგასმული იყო, რომ ფლორენციული ფორმისაგან დაშორების შემთხვევაში მისაღები იქნებოდა რომაული ვარიანტის გამოყენება (ამრიგად, *colonna, lettera* და ა.შ., ნაცვლად ფორმებისა *colónna, lètterà*).

3. პაზოლინის “ნეოიტალიური” და იტალიური “სტანდა”

ომის შემდეგ, დიდი ეკონომიკური ბუმის პერიოდში, იტალიურ ენაში რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა და ეს ძალიან კარგად იგრძნო პიერ პაოლო პაზოლინიმ (Pier Paolo Pasolini, 1922-1975). 1964 წლის 16 დეკემბერს, ჟურნალში “აღორძინება” (Rinascita), სათაურით “ახალი ენობრივი საკითხები” (Nuove questioni linguistiche) დაიბეჭდა მისი საჯარო ლექცია. ეს იყო მისი თანამედროვე სიტუაციის სოციოლინგვისტური ანალიზი. ავტორი მარქსისტული და გრამშისეული შესავლით იწყებდა და ამტკიცებდა, რომ დაიბადა ახალი იტალიური, რომლის ცენტრიც იყო ჩრდილოეთში, სადაც აშენდა დიდი ფაბრიკები, სადაც შეიქმნა და განვითარდა ინდუსტრიული კულტურა. ის აცხადებდა, რომ “დაიბადა იტალიური როგორც ეროვნული ენა”; პაზოლინი გულისხმობდა, რომ ერთგვაროვანმა ბურჟუაზიამ, რომელმაც გადალახა ტრადიციული გაუცხოება დაბალ და მაღალ ფენებს შორის, შეძლო შეეთავაზებინა თავისი ენობრივი მოდელი დაბალი კლასებისათვის. ის ახალი იტალიურისათვის დამახასიათებელ ნიშნებსაც გამოჰყოფდა:

სინტაქსური გამარტივება, ისეთი იდიომატური და მეტაფორული ფორმების გაუქმება, რომლებსაც არ ხმარობდნენ ტურინელები და მილანელები – ახალი ენის შემქმნელები.

ლათინიზმების მკვეთრად შემცირება.

ენაზე ტექნიკური პროგრესის გავლენა და, შესაბამისად, მისი ნაკლებად ლიტერატურული ხასიათი.

პაზოლინის ამგვარ გამოსვლას კრიტიკით შეხვდნენ და კამათმა ძალიან ბევრი ინტელექტუალი და უნივერსიტეტის პროფესორი ჩაითრია. ამ მოვლენიდან რამდენიმე წლის შემდეგ პაზოლინი კვლავ გამოვიდა ენობრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა მისი გამოსვლა სრულიად სხვა კონტექსტში განხორციელდა: ის იცავდა დიალექტებს და ხაზს უსვამდა მათ რეეოლუციურ ფუნქციას.

პაზოლინი საუბრობდა აგრეთვე თავის თავზე და XX საუკუნის სხვა მწერლებზე; ათვლის სისტემად ხმარობდა დამოკიდებულებას “საშუალო ენასთან”, რომელშიც ის ნეგატიურ მნიშვნელობას დებდა, გულისხმობდა რა მასში გამომხატველობითი ფორმების სიღარიბეს. ჩანდა, რომ პაზოლინი უპირატესობას ანიჭებდა პლურილინგვიზმის ექსპერიმენტებს კარლო ემილიო გადას მანერაზე. ისიც აღსანიშნავია, რომ დღეს იმ კრიტიკული დამოკიდებულების გადააზრება ხდება, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა ენობრივ გამომხატველობას და ინოვაციას “ნორმალური” სტილის ხარჯზე.

დღეს სტილისტური თვალსაზრისით მწერალს ძალიან დიდი არჩევანი აქვს, იგი სარგებლობს უდიდესი თავისუფლებით: შეუძლია აირჩიოს მასობრივი ენა, რომელსაც ჯუზეპე ანტონელი (Giuseppe Antonelli) standard-ის (სტანდარტული) ნაცვლად განსაზღვრავს როგორც standa (მინიშნებაა სუპერმარკეტების ცნობილ ქსელზე) ენას. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მეოცე საუკუნის ბევრი მწერლისათვის ვერიზმის (და არა მარტო მისი) მიბაძვით დიალექტი ენობრივი გამდიდრების წყარო იყო. ზოგჯერ ენობრივი ექსპერიმენტალიზმი ართულებს ურთიერთობას მკითხველთან. ამის მაგალითია ბეპე ფენოლიოს (Giuseppe Fenoglio, 1922-1963) “პარტიზანი ჯონი” (Partigiano Johnny). ამ არაჩვეულებრივმა, დაუმთავრებელმა წიგნმა, რომელშიც ავტორმა მიმართა თავისებურ სტილს: აურია ერთმანეთში

იტალიური და ინგლისური ენები, იდეოლოგიური ხასიათის შეფასებებისა და თავდაპირველი გაუგებრობის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს დამსახურებული წარმატება მოიპოვა.

კიდევ უფრო რთულია ბოლო ორმაცდაათი წლის პოეტური ენის ტენდენციები. აღსანიშნავია, რომ პოეტური განახლების გზაზე დადგნენ ისეთი გამორჩეული პოეტები, როგორებიც არიან ჯუზეპე უნგარეტი, უმბერტო საბა და ეუჯენიო მონტალე. ამ პოეტების შემოქმედებაში მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი ექსპერიმენტები სტილისტურად სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი.

4. უნიფიცირებისაკენ: "მას-მეღია", დიალექტები, იმიგრაცია

როგორც ვნახეთ, პაზოლინიმ ისეთი მნიშვნელობის მოვლენები ასახა, რომლებმაც იტალიური კულტურის ცვლილება გამოიწვია. თუმცა, ალბათ, ზედმეტი იყო "ახალი ტექნოლოგიური იტალიურის" დაბადების გამოცხადება; ასევე ენის ექსპრესიულობისათვის შედარებით მეტი მნიშვნელობის მინიჭება, როგორც ამას პაზოლინი ცდილობდა, რადგან ენები არ იცვლებიან ერთ დღეში და, გარდა ამისა, მოსაუბრის ექსპრესიულობა ყოველთვის ახერხებს თავისი თავის გამოხატვას, ისეთ ენაშიც კი, რომელმაც დაკარგა დიალექტური და ჟარგონული რესურსები. მეოცე საუკუნის განმავლობაში კი უდავოდ მოხდა დანაკარგი დიალექტებისა და ჟარგონული გამომხატველობის თვალსაზრისით, რომელიც ასეთი ძვირფასი იყო პაზოლინისათვის; გაჩნდა იტალია, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა საუკუნის პირველი ნახევრის ღარიბი, გლეხური და პატრიარქალური იტალიისაგან. ცვლილებები, პირველ რიგში, განათლების სისტემის დონეზე მოხდა. თუ ციფრებს გადავხედავთ, ადვილად დავინახავთ დიდ წინსვლას ამ სფეროში: 1861 წელს, იტალიაში წერა-კითხვის უცოდინრები შეადგენდნენ მოსახლეობის 75%-ს; 1911 წ. მათი რაოდენობა 40%-მდე შემცირდა. 1951 წ. კი ისინი შეადგენდნენ მხოლოდ 14%-ს (მაშინ ყველაზე მძიმე შედეგები ჰქონდათ კალაბრიასა და ბაზი-

ლიკატაში); 1961 წ. წერა-კითხვის უცოდინრობის რიცხვი შემცირდა 8,3%-მდე, 1971 წ. - 5,2%-მდე. ამრიგად, პროგრესი უწყვეტი იყო. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ შესაბამისად შემცირდა დიალექტთა გავრცელების არეალიც.

იტალიური ენა ვითარდება, მაგრამ დიალექტები მაინც მთლიანად არ განადგურებულა; მათი ხმარება, უმეტესად, გავრცელებულია ხანდაზმულებში და არა ახალგაზრდებში, უფრო სამხრეთში, ვიდრე - ჩრდილოეთში, ასევე უფრო მეტად სოფლებში, ვიდრე რეგიონალურ ცენტრებში, უფრო დაბალ ფენებში, ვიდრე მაღალი წრის წარმომადგენლებში. დიალექტებმა საერთო სალიტერატურო ენასთან დაახლოების პროცესი განიცადეს: დღევანდელი დიალექტები უფრო “იტალიანიზირებულნი” არიან.

ცხადია, რომ ენისა და დიალექტის ურთიერთობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ფსიქოლოგიური მიზეზები; მოსაუბრე კომუნიკაციის სხვა საშუალებას მიმართავს მაშინ, როდესაც მას ამოდრავებს ღრმა მიზეზი, რაც ჩვეულებრივ განისაზღვრება როგორც “სოციალური წინსვლის” სურვილი.

XX საუკუნის სამოციან და სამოცდაათიან წლებში შეინიშნებოდა გლენური წარმოშობის ფენის ინტეგრირება ქალაქურ და სამრეწველო რეალობაში. იტალიის რადიოსა და ტელევიზიის (Rai) სამოციანი წლების გამოკვლევებით ჩანდა, რომ იტალიელ ხალხს არ შეეძლო გაეგო პოლიტიკასა და სამოქალაქო ცხოვრებაში გამოყენებული მრავალი ტერმინი.

იტალიური რადიომაუწყებლობა არსებობს 1924 წლიდან, ტელევიზიამ კი - რეგულარული მაუწყებლობა 1954 წლის იანვარში დაიწყო. აშკარა გახდა ის დადებითი ეფექტები, რაც ტელევიზიამ მოიტანა ქვეყნის ენობრივი ერთიანობისათვის; XX საუკუნის ბოლო პერიოდიდან, კერძო ტელევიზიების გაჩენასთან ერთად, მაუწყებელთა რაოდენობა გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ერთგვაროვანი აზრი ტელევიზიის თანამედროვე ენობრივი გავლენის შესახებ; ზოგი მიიჩნევს, რომ ეს გავლენა შემცირებულია ტელევიზიის გაჩენიდან პირველ ათწლეულებთან შედარებით. დღეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ მედიები (პირველ რიგში ტელევიზია) ავრცელებენ სპეციფიურ

ტერმინებს, უცხოურ ნასესხობებს, ნეოლოგიზმებს, მეტ-ნაკლები “სიცოცხლისუნარიის მქონე” სიტყვიერ სტერეოტიპებს სხვადასხვა სფეროდან. დგას აგრეთვე სხვა საკითხიც: რა როლი ითამაშა ტელევიზიამ რომანული რეგიონის ფორმების გავრცელებაში, რადგან Rai-ს პროგრამების მომზადების მთავარი ცენტრები განთავსებულია რომში; რაც შეეხება მედიასეტის (Mediaset) კერძო არხებს, ისინი, ხშირ შემთხვევაში, ავრცელებენ ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოდელს, ძირითადად მილანურს, რომლის პრესტიჟიც თანდათან იზრდება.

გაზეთების ენა, როგორც ადრე, XXI საუკუნეშიც ახალ საეთერო საშუალებებთან ერთად, მნიშვნელოვანი ენობრივი ფუნქციის შესრულებას განაგრძობს და გვთავაზობს ხარისხობრივად ბევრად უფრო მაღალი დონის მოდელს.

5. “საშუალო ხმარების” იტალიური

“საშუალო ხმარების” იტალიური (l'italiano dell' uso medio) - ასე განსაზღვრა (1985-1990 წლებში) ფრანჩესკო საბატინიმ ის ენობრივი კატეგორია, რომელიც თანამედროვე იტალიურის გრამატიკულ მოვლენებს ეფუძნება და დღესაც იხმარება არაფორმალურ დონეზე. მისი განსხვავება იმ იტალიურისაგან, რომელსაც “სტანდარტულს” უწოდებენ (ინგლისური ტერმინი, რომლის შეცვლის იდეაც “ნორმალური იტალიურით” არიგო კასტელანის ეკუთვნის), მდგომარეობს იმაში, რომ “საშუალო ხმარების” იტალიური საყოველთაო ხმარებისაა და სასაუბროა, განსხვავებით “სტანდარტულისაგან”; მასში თავმოყრილია წერილობით დოკუმენტებში დიდი ხნის მანძილზე არსებული ის სალაპარაკო მახასიათებლები, რომლებსაც გრამატიკული ნორმები ასე თუ ისე აკონტროლებს, თუმც ეს ნორმები ყოველთვის ცდილობდნენ მათ განდევნას ენიდან. ამრიგად, “სტანდარტული” წარმოადგენს, ასე ვთქვათ, “ოფიციალურ” და აბსტრაქტულ იტალიურ ენას, ”საშუალო ხმარების” იტალიური კი - გავრცელებულ რეალობას, რომელსაც ყველა იტალიელი იყენებს.

“საშუალო ხმარების” იტალიურის ზოგიერთი მახასიათებელია:

- 1) lui, lei, loro ნაცვალსახელების ქვემდებარის ფუნქციაში გამოყენება;
- 2) gli ნაცვალსახელის გავრცელება le - სა და loro - ს მნიშვნელობითაც;
- 3) 'sto და 'sta ფორმების გავრცელება;
- 4) a me mi - ს ტიპის ჭარბი ხმარება;
- 5) წინდებუიანი კონსტრუქციები ნაწილობითთან ერთად, ფრანგულის მსგავსად (“...con degli amici”);
- 6) აქტუალიზებული ci ზმნა avere - სთან და სხვა ზმნებთან ერთად (“che c'hai?”);
- 7) უმახვილო პირის ნაცვალსახელის გამეორება (“Paolo non l'ho più visto”, “lo so che i libri costano”);
- 8) ანაკოლუფები (სასაუბროში): ”Giorgio, non gli ho detto nulla”;
- 9) სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე che: დროის, მიზნის, შედეგის;
- 10) კითხვითი “cosa” - che cosa - ს ნაცვლად;
- 11) ზოგ შემთხვევაში წარსული განგრძობითი (imperfetto) – კავშირებითი კილოსა (congiuntivo) და პირობითი კილოს (condizionale) ნაცვლად (“se sapevo, venivo”).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშნები, ნაწილობრივ, სასაუბრო (ხალხურ) იტალიურსაც გააჩნია, ის განათლებულ მოსაუბრესაც ახასიათებს და, ამდენად, მთელი ქვეყნის კუთვნილებაა. რადგან ეს ახალი იტალიური არსებითად ერთიანია მორფოსინტაქსურ და ლექსიკურ დონეზე (მკვეთრად განსხვავებულია მხოლოდ რეგიონების მიხედვით და მხოლოდ წარმოთქმის დონეზე), საბატინიმ მისი არსებობა გამოაცხადა და მას “საშუალო ერთიანი იტალიური” (“italiano unitario medio”) უწოდა. არსებითად, ეს სასაუბრო ენაა; ის არის ზეპირსიტყვიერების ფენომენი, თუმცა ფიქსირდება წერილობით ფორმაშიც, მაგრამ გვხვდება ისეთ ტექსტებში, რომლებიც არ სცდებიან ფორმალურობის საშუალო-დაბალ დონეს. “საშუალო ერთიანი იტალიურის” განსასაზღვრად სხვა მეცნიერები განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებენ, მაგალითად გაეტანო ბერუტო “ნეო-სტანდარტზე” საუბრობს.

თავი მათე

1. იტალიური ენის მოკლე ისტორია

რომანულ ენათა ჯგუფის ერთ-ერთი უდიდესი და უმშვენიერესი წარმომადგენელი – იტალიური ენა, სხვა რომანულ ენათა მსგავსად, ლათინური ენის საფუძველზე წარმოიშვა.

როგორც ვიცით, აპენინის ნ/კ-ზე, ჩვენს ერამდე პირველ ათასწლეულში, მრავალი ტომი ცხოვრობდა, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანნი ეტრუსკები და იტალიკები იყვნენ. ლათინურ ენაში, იტალიკური წარმოშობის 120 სიტყვა დაფიქსირებულია როგორც ნასესხები, რომლებიც შემდგომ გადავიდნენ რომანულ ენებში. ამ სიტყვათაგან უმეტესობა საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ხასიათისაა: *bos* - “ხარი”, *asinus* - “ვირი”, *hircus* - “თხა”, *lupus* - “მგელი”, *ursus* - “დათვი”, *fenum* - “თივა”, *casa* - “სახლი”, *furca* - “ფიწალი”, *furnus* - “კერა”, *bitumen* - “ფისი” და სხვ.

რასაკვირველია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ეტრუსკებმაც: *Modena* - ეტრუსკული *mutana* - “ბორცვი”-დან მოდის. თვით სახელწოდება *Roma* ეტრუსკული წარმოშობისაა და უკავშირდება ეტრუსკული ტომის – *ruma*-ს სახელწოდებას.

იტალიურ ენაზე შექმნილი პირველი ტექსტები X საუკუნით თარიღდება, თუმც ენის წარმოქმნის პროცესის დასაწყისი VI საუკუნის დასასრულიდან შეინიშნება მთელ რიგ ლათინურ დოკუმენტებში (ხან შემთხვევით, ნოტარიუსთა ან მდივანთა უმეცრების გამო, ხან კი – შეგნებულად, მეტი სიცხადისათვის).

იტალიური ენის პირველ ძეგლად ითვლება VIII ან IX საუკუნეში ვერონის სამლოცველოში აღმოჩენილი “ვერონული გამოცანა” – “*Indovinello veronese*”:

“*Se pareba boves, alba pratalia araba,
albo versorio teneba, negro semen seminaba.*”

“ემზადებოდნენ ხარები, ხნავდნენ თეთრ ველს,
ქაჩავდნენ თეთრ გუთანს, თესდნენ შავ თესლს”.

ენობრივი თავისებურებანი მიგვითითებს, რომ ეს ტექსტი ვენეტოს ოლქიდანაა: *versorio* შეესაბამება *versor* - “გუთან”-ს ვენეტოს დიალექტში; $a > e$ გადასვლა (*paraba > pareba*) იშვიათია თანამედროვე ვენეტურში, მაგრამ გვხვდება ძველ ტექსტებში. მრავლობითი რიცხვის დაბოლოება $-s$ (*boves*), როგორც ჩანს, ლათინიზმია. შემდგომში ხმარებიდან გამოვიდა სიტყვები *albus* - “თეთრი” (შეიცვალა გერმ. *blank*-ით), *pratalia* - “მდელო”, “ველი” (ეს სიტყვა შენარჩუნებულია მხოლოდ ტოპონიმიკაში: *Praglia* (Padova), *Pradaia* (Trento)); ჯერ კიდევ ხალხურ ლათინურში შეიმჩნეოდა და ტექსტებში დაფიქსირებულია - i ხმოვნის გადასვლა e ხმოვანში (*nigrum > negro*).

X საუკუნის ძეგლები კი მცირე მოცულობის, მაგრამ უკვე გადამხულ ტექსტებს გვაწვდიან. ესენია მოწმეთა ჩვენებები, სასამართლო პროცესზე მიწის საკითხებთან დაკავშირებული დავის გამო შექმნილი ფიცების ფორმულები, რომლებიც შემონახული იყო მონტეკასინოს წმ. ბენედიქტის მონასტერსა და მის ფილიალებში, კერძოდ, წმინდა მარიას ქალთა მონასტერში, რომელიც მდებარეობდა ჩენგლაში (*Cengla*). სულ 4 “ფორმულაა”: პირველი - “კაპუანური განჩინება” (“*Placito Capuano*”), თარიღდება 960 წლით:

“*Sao ko kelle terre, per kelle fini que ki contene, trenta anni le possette parte Sancti Benedicti*” –

“ვიცი, რომ ეს მიწები ამ საზღვრებში 30 წლის მანძილზე ეკუთვნის წმ. ბენედიქტის მონასტერს“.

მეორე და მესამე “ფორმულები“ (ტეანოდან) – 963 წლით თარიღდება; ასევე 963 წლით თარიღდება მეოთხე “ფორმულა“ (სეს-სა აურუნკადან).

მოწმეთა ფიცების ყველა ფორმულაში შეინიშნება სამხრეთ იტალიის დიალექტური თავისებურებანი: *sao* (მდრ. იტ. *so*), *ko < quod* (მდრ. იტ. *che < quid*), *kelle < eccu illae* (მდრ. იტ. *quelle* და ნეაპოლ. *kidde*, სადაც $e > i$, $ll > dd$).

XI საუკუნის ძეგლია წარწერა ფრესკაზე, რომელიც ამოღებულია რომში, წმ. კლემენტის ეკლესიიდან.

XII საუკუნიდან მნიშვნელოვნად იზრდება იტალიურ ენაზე შესრულებულ საქმიან დოკუმენტთა რაოდენობა. 1186 წელს განეკუთვნება სიველი (დოკუმენტი) ფაბრიანოდან (Carta Fabrianeze), 1193 წელს – ე.წ. პიჩენოს სიველი (Carta Picena).

ლიტერატურული შინაარსის ძეგლები მოგვიანებით ჩნდება და, როგორც დანარჩენ რომანულ ქვეყნებში, აქაც პროზაულზე ადრე პოეტური ნაწარმოებები იქმნება. პროზაული ნაწარმოებები უმეტესად რელიგიური ხასიათისაა: XI საუკუნით თარიღდება უმბრული აღსარების ფორმულა, რომელიც რომის ვალიჩელის ბიბლიოთეკაშია დაცული; XII საუკუნეშია შექმნილი: ტურინის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ხელნაწერის სახით შემონახული ”გალურ-იტალიკური ქადაგება” (*”Sermone gallo-italico”*); ფლორენციის ბიბლიოთეკაში დაცული ტოსკანელი მასხარის ”კანტინელა” (*”Cantinella”*) და *”Ritmo Cassinese”*.

პროზაული ნაწარმოებები გვხვდება XIII საუკუნიდან, თუმცა, არსებითად, ის არ არის მკითხველთა ფართო წრისათვის განკუთვნილი; ეს კვლავ საქმიანი პროზაა, როგორც, მაგალითად, მატასალა დი სპინელოს ”მოგონებები” (*”Ricordi”*).

XIII საუკუნიდან ყალიბდება ლირიკული პოეზიის სამი სკოლა – სიცილიური, ბოლონიური და ტოსკანური. თითოეულმა მათგანმა თავისი დიალექტური მახასიათებლები შეიტანა იტალიურ სალიტერატურო ენაში, რომელიც იმ პერიოდში ფორმირდებოდა. იტალიური სალიტერატურო ენის საფუძვლად კი ტოსკანური დიალექტის ფლორენციული კილოკავი ითვლება. ტოსკანურ სკოლას მიეკუთვნებიან იმ დროის საუკეთესო პოეტები და, უპირველეს ყოვლისა, დანტე (1265-1321).

დანტეს შემოქმედებისა და მისი ფილოლოგიური მოღვაწეობის წყალობით, იტალიაში 1300 წლისათვის ჩამოყალიბდა პოეტური სალიტერატურო ენა, რომელსაც თვით პოეტმა *volgare illustre* უწოდა და რომლის შემდგომ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ფრანჩესკო პეტრარკამ (1304-1374), ჯოვანი ბოკაჩომ (1313-1375) და ალორძინების ეპოქის სხვა პოეტებმა და მწერლებმა.

XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV საუკუნეში ტოსკანაში

იქმნება volgare-ზე დაწერილი ასევე მდიდარი და მრავალფეროვანი პროზა: ნოველები, ქრონიკები, სამეცნიერო ტრაქტატები, თარგმანები კლასიკური და შუა საუკუნეების ლათინურიდან და ფრანგულიდან. XV საუკუნეში პროზაული ნაწარმოებები იქმნება სხვა იტალიურ დიალექტებზეც. პიეტრო ბემბომ (1470-1547) არამარტო შექმნა პროზის შესანიშნავი ნიმუშები ტოსკანურ დიალექტზე, არამედ თეორიულად დაასაბუთა კიდევ სალიტერატურო ენის საფუძვლად ტოსკანურის არჩევა თავის თხზულებაში "პროზაული მსჯელობა ხალხურ ენაზე" ("Prose della volgar lingua").

1516 წელს ანკონაში ჩნდება ფრანჩესკო ფორტუნის მიერ შექმნილი იტალიური გრამატიკა "ხალხური ენის გრამატიკული წესები" ("Regole grammaticali della volgar lingua"). გრამატიკულ ნაშრომებს მიეკუთვნება ასევე ნიკოლო ლიბურნიოს "სამი წყარო" ("Le tre fontane", 1526წ.). 1552 წ. ფლორენციაში გამოდის პიერ ფრანჩესკო ჯამბულარის გრამატიკა "ენის შესახებ, რომელზეც ლაპარაკობენ და წერენ ფლორენციაში" ("Della lingua che si parla e scrive in Firenze"), 1529 წელს კი – ჯოვან ჯორჯო ტრისინოს "პატარა გრამატიკა" ("Grammaticchetta"). საუკუნის ბოლოს კი – ამ ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომი - "დეკამერონის ენის შესახებ" ("Degli avvertimenti della lingua sopra Decamerone"; 1584-1586წწ.) - რომელიც ეკუთვნის ლეონარდო სალვიატის კალამს.

გრამატიკების გამოცემას ლექსიკონების გამოცემა მოჰყვა. 1535წ. ლუჩილიო მინერბიმ გამოსცა "დეკამერონის" "ლექსიკონი" ("Vocabolario"). 1536 წ. გამოქვეყნდა ფაბრიჩო ლუნას მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც 5000 ტოსკანურ სიტყვას შეიცავდა (დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს, არიოსტოსა და სხვათა ნაშრომებიდან). 1548 წ. გამოჩნდა ფრანჩესკო ალუნოს ნაშრომი "სამყაროს ფაბრიკა" ("La fabrica del mondo"), რომელიც შედგენილი იყო ასევე "სამი გვირგვინის" – დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს – პ. ბემბოსა და სხვათა ლექსიკის საფუძველზე. კრუსკის აკადემიის ლექსიკონის პირველი გამოცემა განეკუთვნება უკვე მომდევნო საუკუნის დასაწყისს (1612წ.), მისი შედგენის გეგმა კი შემუშავებული იყო სალვიატის მიერ. სალვიატის აზრით, ეს ლექსიკონი უნდა დაფუძნებოდა საუკეთესო ტოს-

კანელი მწერლების ნაწარმოებებს და ამასთანავე მას უნდა გაეთვალ-
ისწინებინა განათლებულ ტოსკანელთა ზეპირმეტყველება; მაგრამ
ენა იცვლება და უზუსი წვევტს საკითხს რა დატოვოს ენაში და
რა – არა. ენის ცვლილების შესახებ ჯერ კიდევ დანტე აღნიშნავდა
თავის “ღვთაებრივ კომედიაში“ (სამოთხე, XXVI, 137-138) :

... l'uso de'mortali è come fronda
in ramo, che se'nva, ed altra viene.

მაშასადამე, ანგარიში უნდა გაეწიოს ცოცხალ ენას, რომელიც
აუცილებლად განიცდის ევოლუციას. ეს საკითხი წამოაყენა ფლორ-
ენციელმა ბენედეტო ბუნმატიმ თავის გრამატიკულ ტრაქტატში
“ტოსკანური ენის შესახებ” (“Della lingua toscana” - I წიგნი გამ-
ოვიდა – 1623წ., II კი – 1643 წ.). ბუნმატი ხალხს თვლიდა
უზუსის (uso) წყაროდ და ბატონ-პატრონად; ამასთანავე მიიჩნევდა,
რომ ანგარიშგასაწევი იყვნენ ასევე მწერლებიც, თანაც ისეთი მწერ-
ლები, რომელთაც უნარი აქვთ ამოარჩიონ ლექსიკა იქიდან, რასაც
ხალხი ქმნის; მწერლები, რომელთაც ესმით ენის სულისკვეთება –
“intendono la proprietà della lingua”. გრამატიკა არის მეცნიერება -
“una scienza di parlar per uso”; თუ uso მომდინარეობს ხალხისაგან,
მაშინ მის შესახებ მეცნიერებამ უნდა მიმართოს “მასწავლებლებსა და
განმმართველებს” (maestri e interpreti), ასეთები კი – მწერლებია.

XVI-XVII საუკუნეებში იტალიაში მრავალი სამეფო კარი (სას-
ინიორო) არსებობდა. სამეფო კართა წრეებში ყალიბდებოდა საკუ-
თარი uso და იქმნებოდა რეალური ბაზა არატოსკანელთა დავისა
და პროტესტისათვის ტოსკანურის უპირატესობის გამო. ეს პრო-
ტესტი უფრო მეტად დეკლარაციული ხასიათისა იყო, ვიდრე პრაქ-
ტიკულის. არატოსკანელთა ჯგუფის წარმომადგენელი იყო, კერ-
ძოდ, ლომბარდიელი ბალდესარ კასტილიონე (1478-1529). თავისი
ტრაქტატის - “კარისკაცი” (“Il Cortegiano”, 1528 წ.) - შესავალში
კასტილიონე აღნიშნავდა, რომ იტალიის სხვადასხვა კულტურულ
ცენტრებში წარმოიშვა ტოსკანურისაგან განსხვავებული, საკუთარი
უზუსი; ე.ი. კასტილიონე ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ეს-ეს არის

შექმნილი საერთო იტალიური ენა კვლავ იწყებდა დაშლას; მაგრამ თვით “Il Cortegiano”-ს ავტორიც კი, ანუ თვით კასტილიონეც, სინამდვილეში ტოსკანურ ნორმასთან მიახლოებას ცდილობდა. კასტილიონე ამტკიცებდა, რომ ბოკაჩოს ენა მოძველდა; ეს, ბუნებრივია, ასეც იქნებოდა: “Il Cortegiano”-ს ენა უფრო ახლო იქნებოდა მისი საუკუნის ენასთან, ვიდრე “დეკამერონი”; მაგრამ, არსებითად, ეს ხომ იგივე ენა იყო; გაჩნდა მხოლოდ ზოგიერთი ლომბარდიზმი და ესპანიზმი ლექსიკისა თუ გრაფიკის სფეროში და ეს ქმნიდა რაღაც განსაკუთრებული ენის ილუზიას. მაგრამ ასეთივე მდგომარეობა იყო მილანშიც, ტურინშიც, ვენეციაშიც, ნეაპოლშიც და პალერმოშიც. ყველა ამ სამეფო კართა (სასენიოროთა) ენობრივი გამოცდილება სურდა გამოეყენებინა პადუელ ჯიროლამო მუციოს (1496-1576), მრავალი ნაშრომის ავტორს ენის შესახებ; მის ერთ-ერთ ტრაქტატს წარმოადგენს “ბრძოლა იტალიური ენის დასაცავად” (“Battaglie per la difesa dell’italica lingua”), რომელიც გამოიცა ვენეციაში 1582 წ., ავტორის გარდაცვალების შემდეგ. მუციოს ამოცანა იყო ამოეკრიფა საუკეთესო სიტყვები საუკეთესოთა შორის, იქიდან, რაც გაფანტული იყო მთელს ქვეყანაში და თავი აერიდებინა შეცდომებისათვის.

სამეფო კართა შორის, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რომის სამეფო კარმა, მიუხედავად პაპის ტახტზე მუდმივი ცვლილებებისა, სადაც უცხოელებიც კი ჩნდებოდნენ. აქ (რომის სამეფო ტახტზე) შეიქმნა იტალიური ენის რეფორმის მთელი პროგრამა, რომელიც თვლიდა, რომ იტალიური ენის საფუძველი ტოსკანური კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სამეფო კარის ენა (“lingua cortigiana”). XVI საუკუნის დასაწყისში ამ იდეის პროპაგანდისტი იყო სამეფო კარის პოეტი ვინჩენცო კოლო (კალმეტა). პ. ბემბო თავის “Prose”-ში განმარტავს, რომ კალმეტას სურდა იტალიური ენის საფუძვლად დაემკვიდრებინა სამეფო კარის ენა, ანუ ენა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები და სასულიერო პირები რომის სამეფო კარზე.

ამგვარად, ლიტერატურულ წრეებში სერიოზული მღელვარება დაიწყო. დავათა ცენტრში დგას საკითხი ურთიერთობისა: აღიარებულ ავტორიტეტთა ენასა და ცოცხალ მეტყველებას შორის, არქაულსა და

თანამედროვე კლასიციზმს შორის, პურიზმსა და თანამედროვე დათმობებს შორის, ტრადიციასა და ევოლუციას შორის. არქაული პრინციპის მომხრეები, ანუ მომავალი პურიზტები, იწოდებიან როგორც *cruscanti* (ფლორენციის აკადემიის წევრები), მათი მოწინააღმდეგენი, ანუ ენის სფეროში მომავალი პროგრესისტები, იწოდებიან როგორც *anticruscanti*. როგორც ერთ, ასევე მეორე ბანაკში იყვნენ იტალიის სხვადასხვა რეგიონთა და საზოგადოების სხვადასხვა კლასთა წარმომადგენლები.

XVII საუკუნის იტალია ესპანეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ დროისათვის ესპანეთი ფლობდა მილანის მხარეს, ტოსკანის ნაწილს, სარდინიას, სიცილიასა და ნეაპოლს. ნახევარკუნძულის ცენტრი ეკლესიის ხელში იყო. პაპის სამფლობელოსა და გენუის, მილანისა და ვენეციის საზღვრებს შორის მთელი რიგი წვრილი სახელმწიფოები არსებობდა. ჩრდილოეთში, ალპების ორივე მხარეს, მდებარეობდა სავოიას საჰერცოგო (პიემონტი). ამგვარ ტერიტორიულ დაქუცმაცებას შეესაბამებოდა ფეოდალური წყობა და ფეოდალური ეკონომიკა, რომლისთვისაც სიმდიდრის მთავარი წყარო მიწა იყო. გალატაკებული გლეხობა ემიგრაციაში აფარებდა თავს. სამღვდელოება ორ ნაწილად იყოფოდა: მაღალი სამღვდელოება, რომელიც მცირედ განსხვავდებოდა მემამულეთაგან (შეიძლება ითქვას, მეტად კულტურულები იყვნენ მათზე - მემამულეებზე) და დაბალი სამღვდელოება, რომელიც ეკონომიურად და კულტურულად გლეხობის გვერდით იდგა. ბურჟუაზია, რომელიც წარმოდგენილი იყო ვაჭრებით, ბანკირებით, ხელოსნებით და თავისუფალ პროფესიათა პირებით, მცირერიცხოვანი და სუსტი იყო, რადგან ვაჭრობა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაეცა და ისეთი ცენტრები, როგორც იყო გენუა, ვენეცია და ნეაპოლი, წარსულის მოგონებებით ცხოვრობდნენ. მიწები თანდათანობით გადადიოდა ბურჟუაზიის ხელში, რომელიც ამ მიწებისათვის რენტას უხდიდა ფეოდალებს, სინიორებს. ფეოდალები კი ამ ფულს გართობასა და დროსტარებაში ხარჯავდნენ, მართავდნენ ზემებსა და მასკარადებს. ამ საუკუნის ენას ახასიათებს მაღალფარდოვანება და მანერულობა. ეს, პირველ რიგში, ეხება პოეზიას, პროზა გაცილებით მაღლა დგას, რადგან აქ უპირატესობა აქვთ მწერალ-მეცნიერებს,

რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გალილეო გალილეის (1564-1642).

XVII საუკუნეში დიდი მუშაობა გააჩადა კრუსკას აკადემიამ (Accademia della Crusca). ენაში კონსერვატული ტენდენციების დამცველი აკადემია ხალხის ერთი ნაწილის თვალში ავტორიტეტად იქცა, მეორე ნაწილისა კი – ტირანად. 1591 წელს აკადემიაში დაიწყო დისკუსია ლექსიკონის გამოცემასა და იმ პრინციპების შესახებ, რომელთა საფუძველზეც იგი უნდა შექმნილიყო. 1612 წელს ვენეციაში გამოვიდა მისი I გამოცემა სახელწოდებით “კრუსკას აკადემიკოსების ლექსიკონი” (“Vocabolario degli Accademici della Crusca”). “ლექსიკონი” ითვალისწინებდა არა მარტო “სამი გვირგვინის” ენას, არამედ ცოცხალ მეტყველებასაც – uso-ს; მაგრამ uso-ს ქვეშ მხოლოდ ფლორენციული მეტყველება იგულისხმებოდა; არაფლორენციული სიტყვები გამორიცხული იყო.

ლექსიკონის პირველმა გამოცემამ მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია; მათი ავტორები იყვნენ: ჩელსო ჩიტადინი, ჯულიო ოტონელსი, ბენედეტო ფიორეტი და სხვები; განსაკუთრებით გამოირჩეოდა პაოლო ბენი, რომელმაც პადუაში გამოსცა ნაშრომი “ანტიკრუსკა” (“Anticrusca”, 1612წ.) და აქედან მოყოლებული პადუა კრუსკის ოპოზიციის ცენტრი გახდა. გაითვალისწინეს რა კრიტიკოსთა აზრი, კრუსკის აკადემიკოსებმა დაიწყეს თავიანთი ლექსიკონის II გამოცემის მომზადება, რომელიც კვლავ ვენეციაში გამოქვეყნდა 1623 წელს. ეს გამოცემა მსგავს ევროპულ ნაშრომთა ნიმუშად იქცა. III გამოცემა (1691წ.) მნიშვნელოვნად იყო სრულყოფილი; XVIII საუკუნეში (1729-1738წწ.) ფლორენციაში გამოქვეყნდა მეოთხე გამოცემა, რომელიც 6 ტომს მოიცავდა.

XVIII საუკუნეში ესპანელები ავსტრიელებმა შეცვალეს და იტალიის ტერიტორია კვლავ დაქუცმაცებული დარჩა. იწყება ახალი, ანტიფეოდალური იდეების გავრცელება ეკონომიკის, ფილოსოფიისა და სამართლის სფეროებში. ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდის შემდგომ, ბოლოსდაბოლოს, გამოჩნდა ბურჟუაზია; შეიკვეცა თავადაზნაურთა პრივილეგიები, შეიზღუდა ეკლესიის ძალაუფლებაც.

იტალიაში შეიჭრა ინგლისური ფილოსოფიური იდეები, კერძოდ,

ფართოდ გავრცელდა ჯონ ლოკის იდეები და სწორედ ამის შედეგია, რომ 1785წ. ქვეყნდება პადუელი მეღკიორე ჩეზაროტის (1730-1808) ტრაქტატი “ნარკვევი ენის ფილოსოფიის შესახებ” (“Saggio sulla filosofia delle lingue”). ჩეზაროტი ეყრდნობა ჯონ ლოკის იდეებსა და ფილოსოფიურ გრამატიკას. მისი ამოსავალი აზრებია – სხვადასხვა ენათა ფუნდამენტურ თვისებათა ერთგვაროვნება, მათ შინაარსთა აზრობრივი ერთიანობა. ყოველი ენა მშვენიერი და სრულყოფილია და რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება ნამდვილი პედანტიზმია – ამბობდა ჩეზაროტი; სრულყოფილი ენა არ არსებობს, მაგრამ ყოველი ენა მიისწრაფვის სრულყოფილებისაკენ; ამიტომაც ენა მუდმივად იცვლება და გადამწყვეტი როლი მის განვითარებაში ენიჭება გონებას – ragione –ს. ენას აქვს სახესხვაობანი, რომელთაგან ერთ-ერთი ყოველთვის ხდება გაბატონებული, ხან იმ პროვინციის ავტორიტეტის წყალობით, რომელშიც მასზე ლაპარაკობენ, ხან კი – იმ მწერალთა დამსახურების გამო, რომლებიც მასზე წერენ; ერთ-ერთი დიალექტის გაბატონება ვნებს სხვებს და აღარიბებს ენობრივ საგანძურს, აცილებს რა მას მრავალ სიტყვასა და გამოთქმას.

ადარებს რა ზეპირ და წერით ენებს, ჩეზაროტი ამტკიცებს: ზეპირი ენა უფრო მდიდარია, მაგრამ სამაგიეროდ, სამწერლო – უფრო სწორია, გამართულია. ამიტომაც გვთავაზობს ერთიან სამწერლო ენას; ამის შესაბამისად მიიჩნევს, რომ ენის საკითხებთან დაკავშირებით უნდა შეიქმნას განსაკუთრებული ეროვნული საბჭო (Consiglio nazionale), რომელშიც შევლენ ენის საკითხებში გათვითცნობიერებული პირები იტალიის უმნიშვნელოვანესი ქალაქებიდან; ე. ი., პრაქტიკულად, ჩეზაროტი გზას უხსნის ნეოლოგიზმებს, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

საწინააღმდეგო იდეები ვითარდება აბატ ანტონიო ჩეზარის (1760-1828) ნაშრომში “ტრაქტატი იტალიური ენის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ” (“Dissertazione sopra lo stato presente della lingua italiana”), სადაც ფორმულირებულია არქაული ტენდენციების მომხრეთა შეხედულებანი; ეს ნაშრომი დიდხანს ითვლებოდა პურიზმის კოდექსად. ჩეზარის შესახებ ამბობდნენ, რომ ის ხმარობდა ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა andar del corpo - (სხეულიდან გას-

ვლად) ნაცვლად morire-სი, carogna – cadavere-ს ნაცვლად და ა. შ.

XVIII ს.-ის 90-იანი წლებიდან მთელს იტალიაში, ტურინიდან სიცილიამდე, იქმნება პოლიტიკური კლუბები სახელწოდებებით: Lomo (“Liberta o morte”), Romo (“Reppublica o morte”) და სხვ. აქა-იქ იწყება რევოლუციური გამოსვლები, რომელთა ინიციატორები არიან ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები. 1870 წლის 20 სექტემბერი, როდესაც გარიბალდის რაზმები და სამეფო ჯარები პორტა ჰია-ს მხრიდან შევიდნენ რომში, იყო ნაციონალური სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის ფინალური ეტაპი, რომელშიც ხელმძღვანელი როლი იტალიის ბურჟუაზიას ეკუთვნოდა. ამ პერიოდის ენის თეორეტიკოსთა უდიდესი წარმომადგენელია ა. მანძონი (1785-1873). მანძონის ენის თეორიის თეზისს წარმოადგენს ენის ერთიანობა და მისი დაახლოება ცოცხალ მეტყველებასთან. იტალიის ნაციონალური გაერთიანების შემდეგ ერთიანი ენა შედარებით სწრაფად გავრცელდა, მისი ხმარების არეალიც გაფართოვდა. ისტორიული პირობებითვე აიხსნება ის ფაქტიც, რომ იტალიაში დიალექტები უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში და ზოგიერთ მათგანზე (პიემონტურზე, ვენეციურზე, ნეაპოლურზე, სიცილიურზე და სხვ.) დღემდე არსებობს ლიტერატურაც და ისინი კვლავ რჩებიან ხმარებაში.

იტალიის სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს აპენინის ნ/კ-ზე, მოიცავს სიცილიისა და სარდინიის კუნძულებს; 2009 წლის მონაცემებით ითვლის 60 მილიონ მაცხოვრებელს. ქვეყანაში სახელმწიფო ენა არის იტალიური. ამავე დროს, ბოლცანოსა და სამხრეთ ტიროლში იტალიურთან ერთად თანაბარი უფლებით სარგებლობს გერმანული ენა; გორიციასა და ტრიესტეში – რეგიონალური სტატუსი აქვს სლოვენურს, ხოლო აოსტას ხეობაში – ფრანგულს.

იტალიური ენა ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა შვეიცარიაში, ის მშობლიური ენაა მოსახლეობის 10%-თვის, რომლის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ქვეყნის სამხრეთში. ისიც აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის კუნძულ კორსიკაზე ყოფით ცხოვრებაში გამოიყენება ორი იტალიური კილო-კავი: ჩიზმონტანური და ოლტრემონტანური.

დიალექტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სარდინი-

ის დიალექტებს (900 ათასი ადამიანი). კუნძულის ცენტრში ლოგუ-დორული დიალექტია, რომელიც ერთ-ერთი უძველესია, სამხრეთში – კამპიდანური, რომელიც თუმცა სარდინიულ სისტემაში შედის, მაგრამ ახლოს დგას სიცილიურ დიალექტებთან. ჩრდილოეთში – გალურული დიალექტია, რომელიც უშუალო კავშირშია კორსიკის სამხრეთულ კილოკავებთან; კორსიკული დიალექტები კი - ტოსკანურის მონათესავე არიან.

აპენინის ნ/კ-ზე კი დიალექტები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: ჩრდილოეთის ჯგუფს ეწოდება გალო-იტალიური დიალექტები; მასში ერთიანდებიან: ლიგურიული ანუ გენუიური, პიემონტური, ლომბარდული (ცენტრებია მილანი და ბერგამო), ემილიო-რომანიოლური (ცენტრია მანტუია). ჩრდილოაღმოსავლეთით – ვენეციური დიალექტია (ცენტრები ვერონა და პადუა), რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩრდილოეთის ჯგუფისაგან და ახლოს დგას ცენტრალურ ჯგუფთან (ა-ს შენარჩუნება, ct-ს გადასვლა tt-ში და ა.შ.). ცენტრალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან: ტოსკანური (რომლის მთავარმა კილოკავმა – ფლორენციულმა საფუძველი ჩაუყარა სალიტერატურო ენას), მარკის, უმბრიისა და ლაციუმის კილოკავები. დაბოლოს, სამხრეთის ჯგუფს წარმოადგენენ დიალექტები: კამპანიის (ნაეპოლური და სხვ.), აბრუცის, აპულიის, ბაზილიკატის და კალაბრიის; მასშივე შედის სიცილიის დიალექტიც.

2. ფონეტიკური ცვლილებები

ხმოვნები

ტოსკანურმა დიალექტმა, ანუ იტალიურმა სალიტერატურო ენამ, დღემდე შემონახა ლათინური ენის ყველა მახვილიანი ხმოვანი, ღია e და ღია o ბგერების გარდა; ღია e ბგერამ დიფთონგიზაცია განიცადა ie-დ, ღია o-ბგერამ – uo-დ და ეს თავდაპირველი დიფთონგები დღემდე შემონახულია: pietra - “ქვა”, ieri - “გუშინ”, nuovo - “ახალი”, fuoco - “ცეცხლი”; როგორც წესი, ეს არ შეეხო იმ სიტყვებს, რომელთაც მახვილი აქვთ ბოლოდან მესამე მარცვალზე: edera - “სურო”, popolo - “ხალხი”; მრ.რიცხვის ფორმა uomini (“ადამიანები, კაცები”) - თავის ახსნას პოულობს მხ. რიცხვის ფორმაში – uomo (“ადამიანი, კაცი”), ხოლო ფორმა piedica-ზე (“ბორკილი, ხუნდი”) - გავლენა მოახდინა ფორმამ piede (“ფეხი”). ამასთანავე, დიფთონგმა ie-მ დაკარგა თავისი პირველი ელემენტი წინასასისმიერის ან r-ს შემდეგ: gelo - “ყინვა”, cielo (ფონეტ. tselo) - “ცა”, prega - “ითხოვს”. იგივე ეხება დიფთონგ uo-საც (figliolo - “შვილი, ბაილი”, prova - “დამამტკიცებელი საბუთი”), სადაც u ძლივს იგრძნობა თანამედროვე ტოსკანურ წარმოთქმაში (nuovo, ფონეტ. nuovo, თითქმის novo). კორსიკის მთელ ჩრდილოეთ ნაწილში, რედუქციის შედეგად მიღებულია დახურული ბგერები; იქ გარკვევით წარმოთქვამენ pede, novu. ლათ. au (რომელიც სამხრეთში შენარჩუნებულია), ცენტრალურ და ჩრდილო იტალიაში რედუცირებულ იქნა ღია o-დ: oro - “ოქრო”, còsa - “საქმე, ნივთი”, povero - “ღარიბი” (ვენეციურ დიალექტში ეს მეორადი ღია o დიფთონგიზაციას განიცდის ლაბიალურის შემდეგ: puoco - “მცირე”, puovero - “ღარიბი”, მაგრამ oro - “ოქრო”).

საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი შესაბამის დახურულ მახვილიან ხმოვნებში (e და o): ისინი უფრო დახურულნი გახდნენ და იქცნენ, შესაბამისად, i და u ხმოვნებად, პალატალიზებული თანხმოვნების l-სა და n-ს წინ და n+ხორხისმიერი ან წინასასისმიერის წინ. ამგვარად, იტალიურ სალიტერატურო ენაში გვაქვს, ერთი

მხრივ, consiglio - “რჩევა, ბჭობა”, tigna - “ქეცი, მუნი”, mischia - “შეტაკება”, vinco - “ტირიფი”, lingua - “ენა” და სხვ. (მაგრამ degno - “ღირსი”, legno - “ხე”), ხოლო მეორე მხრივ - pugno “მუშტი”, unghia - “ფრჩხილი”, lunghi - “შორს”, dunque - “ამგვარად” და სხვ. (მაგრამ tronco “ტანი (ხის)”, vergogna “სირცხვილი”). სამაგიეროდ, რთული შეერთების str-ს წინ, e და o უფრო ღიები გახდნენ: maestro - “მასწავლებელი”, rostro - “ნისკარტი”; ასევე ხმოვანი o ლათ. cl-ს წინ (finocchio = fenuc’lum - “კამა”). კორსიკულ დიალექტში a-მ და ღია e-მ, r+ თანხმოვნის წინ, ადგილები გაცვალეს; ამგვარად, სამხრეთში გვაქვს sarpi (=იტ. serpe) - “გველი”, ჩრდილოეთში - kerni (=იტ. carne) - “ხორცი” და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ იტალიაში, სალიტერატურო ენაზე მოლაპარაკე ქალაქელთა წარმოთქმაშიც კი, იგრძნობა ცხვირისმიერის გავლენა წინამავალ ხმოვანზე, რომელიც მდებარეობს დახურულ მარცვალში ან ბოლოკიდურ პოზიციაში. ასევე ყველა დასავლეთ პროვინციაში (ლიგურიაში, პიემონტში, ლომბარდიაში) დასტურდება ნაზალიზაცია ამა თუ იმ ხარისხით. ადგილმდებარეობისდა მიხედვით, სიტყვა pane (“პური”) წარმოითქმის როგორც pān ან pã, ბერგამოში კი pa-ც კი, ე.ი. თანხმოვნის სრული გაქრობით დენაზალიზაციის შედეგად (ასევე met = mente - “ჭკუა”, mut = monte - “მთა”). ნაზალიზაციის ხარისხი თანდათანობით მცირდება აღმოსავლეთისაკენ: ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ვერონასა და პადუაში (pēnso “ვფიქრობ”), მაგრამ ვენეციაში უკვე ოდნავ შესამჩნევია. ეს მოვლენა შეინიშნება ემილიის ქალაქებშიც, რომლებიც განლაგებულია მდ. პოზე ან მის მახლობლად (pēnso გაისმის პიაჩენცასა და მოდენაში), მაგრამ სავსებით ქრება ბოლონიაში. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ტენდენცია, როგორც ჩანს, უკავშირდება და მომდინარეობს შორეული კელტური წყაროებიდან (კელტურ არტიკულაციას ჰქონდა მიდრეკილება რბილი სასის ადრე დაშვებისა, რაც იწვევდა n-ს ან m-ს წინ მდებარე ხმოვნების ხარისხის შეცვლას); იგი, ბუნებრივია, თითქმის არ შეხებია ცენტრალურ იტალიას. რაც შეეხება ანალოგიის შემთხვევებს, (მაგ. წარმოთქმა lūna = luna “თვარე”), რომლებიც შეინიშნება სიცილიის აღმოსავლეთ ნაწილში, კატანიის რაიონში,

ისინი სპეციფიკურია გალო-ლომბარდიული კოლონიებისათვის, რომლებიც იქ შუა საუკუნეებში შეიქმნა.

თავკიდური მარცვლის უმახვილო ხმოვნებმა ტოსკანური დიალექტისათვის დამახასიათებელი ცვლილებები განიცადეს:

შენარჩუნებულია a, i, u ხმოვნები, ასევე დახურული o-ც (corona - “გვირგვინი”, portare - “ტარება”).

თავკიდური დახურული e ხმოვნის i-დ გადაქცევა მომდინარეობს შორეული წარსულიდან: sicuro - “სარწმუნო, ნამდვილი”, misura - “ზომა”, nipote - “ძმისწული, დისწული”, ritondo - “მრგვალი” და სხვ. ამითვე აიხსნება არსებითი სახელის წინ უმახვილო წინდებულის de-ს შეცვლა di-თი (di padre = de patre - “მამის”) და ამითვე აიხსნება, თუ რატომ არ გარდაიქმნა იტ. წინდებული in (= in) en-ად. ამავე დროს, ზმნებმა vedere - “დანახვა”, cercare - “ძებნა” და სხვ. შეინარჩუნეს თავდაპირველი ხმოვანი მახვილიანძირიან ფორმათა გავლენით. დახურულ e-ს ლაბიალურის წინ აქვს ტენდენცია o-ში გადასვლისაკენ: dovere (debere) - “ვალდებულებოვნა”, domani (de mane) - “ხვალ”, somigliare (similiare) - “მსგავსება”, rovesciare (reversare) - “გადაბრუნება” - ნაკლებად ხმარებად rivesciare-სთან ერთად. უნდა აღვნიშნოთ, რომ გამონაკლისს წარმოადგენს danaio (denarium) - “გროში”, სადაც პირველი მარცვლის a წარმოადგენს ზმნა dare-ს (“მიცემა”) გავლენის შედეგს ან მახვილიან ხმოვანთან ასიმილაციის შედეგს. რაც შეეხება ზმნა uscire-ს (“გასვლა”) თავკიდურ ხმოვანს (ნაცვლად escire = exire-სი), იგი აიხსნება არსებითი სახელის uscio (ustium) - (“გასასვლელი”) გავლენით. დიფთონგი au-ს რელექტია u-დ თავკიდურ მარცვალში ასევე უძველესია: udire - “მოსმენა”, uccello - “ჩიტო” და სხვ.

ჩრდილო იტალიის დიალექტებში თავკიდური მარცვლის ხმოვანი, თანხმოვნებს შორის პოზიციაში, მისწრაფის გაქრობისაკენ: პიემონტური dné - “გროში”, fnotté - “კამა” (იტ. danaio, finocchio). ემილიაში, სადაც ასევე შეინიშნება ხმოვნის ამოვარდნა, ეს ხმოვანი არაიშვიათად კომპენსირდება a-ს დამატებით სიტყვის თავში: armor - “ხმაური”, avsin - “მეზობელი” (იტ. rumore, vicino).

ტოსკანაში u ბოლოკიდურ პოზიციაში ძალიან ადრე გადავიდა

o-ში, რომელიც ძლიერ ღიად წარმოითქმის ფლორენციული წარმოთქმით და დახურულ o-დ ვენეციაში; ლათინური სმოვნები a, e, i შენარჩუნებულია ბოლოკიდურ პოზიციაში (porta - “კარი”, valle - “ხეობა”, feci - “გააკეთა”). შუა საუკუნეებში, სალიტერატურო ენაში, სიტყვები bontade (“სიკეთე”), virtude (“კეთილისმყოფელი”), mercede - (“მოწყალეობა”) და სხვ. რედუცირდებოდნენ bontà, virtù, mercè-დ ჰაპლოლოგიის გავლენით (ორი ერთიმეორის მოძღვენო მეტნაკლებად მსგავსი მარცვლის გამარტივება), რასაც ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებში, როგორცაა città (de) di Roma (“ქალაქი რომი”), la virtù (de) del re (“მეფის ზნეობრიობა”).

იტალიური ენის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მრავალი ისეთი სიტყვის შენარჩუნება, რომელთაც ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვთ მახვილი, ამასთანავე სამხრეთის მიმართულებით ამ სიტყვათა რაოდენობა იზრდება. ასეთ სიტყვებში ბოლოსწინა მარცვლის უმახვილო i, უმეტეს შემთხვევაში, შენარჩუნებულია: pollice - “ცერი”, frassino - “იფანი, კოპიტი”, pettine - “სავარცხელი”; მაგრამ l-ს წინ ეს i იქცა o-დ (fievole = flebilem “სუსტი”).

ბგერა a r-ს წინ რედუცირდებოდა e-დ, როგორც ბოლოსწინა (gambero = cammarum - “კიბო”), ასევე მახვილისწინა (პრეტონიკურ) მარცვალში (canterò = cantar-ho - “ვიმღერებ”). ამ მოვლენის გვერდით, ტოსკანაში არსებობდა საპირისპირო ტენდენცია (უმახვილო e-ს გადასვლა a-ში r-ს წინ), რის შედეგადაც -ere-ზე დამთავრებული ინფინიტივებისათვის შეიქმნა დაილექტური ფორმები: vendare (“გაყიდვა”) სიენაში და kredar (“დაჯერება”) ვენეციაში.

თანხმოვნები

იტალიურმა სალიტერატურო ენამ დღემდე შეინარჩუნა ლათინური ენის ყველა თავკიდური თანხმოვანი, გარდა k-სი, რომელიც გადავიდა ts-ში (cervo - “ირემი”, città - “ქალაქი”) და g-სი [i, e-ს წინ], რომელიც იტალიურში dz-დ იქცა (giace - “ღევს”, genero - “სიძე”). ჩრდილო იტალიაში dz გადავიდა წინასასისმიერ z-ში (ვენეციაში la

zente - “ხალხი”); ხოლო თავკიდური tš და სიტყვის შუაში მყოფი Ⴛ - s-ში: siel = cielo (“ცა”), pese = pesce (“თევზი”). პიემონტურ კილოკავში, შეინიშნება იმ ფორმათა არევა, რომლებმაც შეცვალეს ლათინური c+a ან c+e, i, მაგ.: kaval (“ცხენი”) და tšabra (“თხა”), siula = cepulla (“ხახვი”) და tšereza = ceresia (“ალუბალი”). სიტყვები kaval და siula, როგორც ჩანს, ადგილობრივია, ხოლო დანარჩენები, ალბათ, შუასაუკუნეების ეპოქის ნასესხობებს განეკუთვნებიან, ფრანგულიდან ან პროვანსალურიდან.

ტოსკანის სამხრეთით, ნეაპოლამდეც კი, თავკიდური s გადავიდა ts-ში, ხოლო შემდეგ dz-ში ნარნარა თანხმოვნის შემდეგ (in tsale - “მარილში“, მაგრამ di sale - “მარილის”), საიდანაც მომდინარეობს ზოგიერთი სიტყვის დამწერლობა სალიტერატურო ენაში: zolfo (“გოგირდი”), zuppa (“სუპი, წვენი”). რიგ შემთხვევებში s-ს Ⴛ-ში გადასვლა i-ს წინ (scimmia=simia “მაიმუნი“), როგორც ჩანს, დიალექტური წარმოშობისაა. აუცილებელია აღვნიშნოთ თავკიდური c (+a,o,u)-ს ორ ხმოვანს შორის გადასვლა მარტივ ასპირაციაში სალაპარაკო ტოსკანურ წარმოთქმაში: la hasa (“ხახლი“), nostro horpo (“ჩვენი სხეული“), მაგრამ in casa (“სახლში), il corpo (“სხეული“) და სხვ. სიცილიიდან და ნეაპოლიდან მოყოლებული მთელ სამხრეთ იტალიაში, შეინიშნება თავკიდური b-ს v-დ წარმოთქმის ტენდენცია; სიცილი.: varva (“წვერი“), viviri = bibere “დალევა“ და სხვ. სარდინიასა და კორსიკაზე კი - საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება (თავკიდური v-ს გადასვლა b-ში).

თავკიდურ შეერთებებში k|, g|, p|, b|, f| - | ადრევე რედუცირდა j-დ (chiave - “გასაღები“, ghianda - “რკო“, pieno - “სავსე“, “biada“ - შვრია, “fiamma“ - ალი.)

შეერთებები kw და gw (სიტყვის თავკიდურსა და შუაში) ინარჩუნებენ თავიანთ ლაბიალურ ელემენტს არა მარტო a-ს წინ, არამედ სხვა ხმოვნების წინაც (quale - “რომელი“, cinque - “ხუთი“, guerra - “ომი“, guisa - “საშუალება, ხერხი“, lingua - “ენა“ და სხვ.); თუმცა ლათინურმა შეერთებამ kw დაკარგა ლაბიალური ელემენტი სიტყვის თავკიდურ პოზიციაში i და e ხმოვნების წინ: chi - “ვინ“, cheto - “მშვიდი“, chiedere - “შეკითხვა“.

იტალიურ სალიტერატურო ენაში ყრუ ხშულები შენარჩუნდნენ იმ სიტყვებში, რომელთაც მახვილი აქვთ ბოლოსწინა მარცვალზე (fuoco – “ცეცხლი“, sete – “შვიდი“, capo – “თავი“), მაგრამ რედუცირდნენ იმ სიტყვებში, რომელთაც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვთ (segale – “ჭვავი“, povero – “ღარიბი“). მახვილისწინა (პრეტონიკურ) პოზიციაში თანხმოვანი c, როგორც წესი, გადადის g-ში (pagare – “გადახდა“, dragone – “დრაკონი“, aguglia – “ნემსი“) t და p თანხმოვნები კი შენარჩუნებულია (maturo – “მწიფე“, fratello – “ძმა“, nipote – “ძმისწული“, sapere – “ცოდნა“).

ჩრდილო იტალიის დიალექტებში, სადაც არავითარი განსხვავება არ იყო d და t თანხმოვნებს შორის (რადგანაც t ძალიან ადრე დასუსტდა ინტერვოკალურ პოზიციაში), ეს კბილისმიერი ბგერა სრულ გაქრობას განიცდიდა: ვენეციაში sea (seta) – “აბრეშუმი“, cruo (crudo) – “უმი, ნელლი“; გენუაში – dio (dito) – “თითი“, rie (ridere) – “სიცილი“. სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს სამხრეთ იტალია. კამპანიასა და სიცილიაში ინტერვოკალური d თანხმოვანი, ძ ეტაპის გავლით, გადავიდა r-ში: la donna-ს (“ქალბატონი“) ნაცვლად – ronna.

მსგავსი მოვლენები შეინიშნება ასევე იმ შეერთებებში, სადაც ხშული წინ უსწრებს r თანხმოვანს. იტალიურ ენაში დასტურდება თანხმოვანთა კომპლექს cr-ს რედუქცია gr-დ (lagrima – “ცრემლი“, segreto – “საიდუმლო“), თანხმოვანთა კომპლექსი tr კი გადადის dr-ში მხოლოდ a-ს შემდეგ (padre = patrem – მამა); იმავე დროს შენარჩუნებულია dr-ც (quadro=quadrum – “კვადრატი; სურათი“), ასევე pr-ც და br-ც (capra – “თხა“, fabbro – “მჭედელი“).

ინტერვოკალური s მჟღერად წარმოითქმის ჩრდილო იტალიაში და ყრუდ – ცენტრსა და სამხრეთში.

რომანულმა შეერთებებმა k|, g|, p|, b|, სიტყვის შუაში, იგივე ცვლილებები განიცადეს, რაც სიტყვის თავკიდურში, ანუ ხშული შენარჩუნებულ იქნა, l კი - რედუცირდა j-დ : occhio = oc'lum – “თვალი“, tegghia = teg'la “ტაფა“, doppio = duplum - “ორმაგი“, trebbia = trib'lat - “ლეწვა, კალობა“.

ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში, ასევე ტირენის ზღვის მსხ-

ვილ კუნძულებზე, ზეპირმეტყველებაში შეინიშნება თანხმოვანთა ზოგიერთი კომპლექსის ასიმილაცია; mb და nd კომპლექსების რედუქცია: რომში წარმოთქვამენ: piommo “ტყვია“, fronda-ს ნაცვლად (“ფოთლები“) – fronna-ს; სიცილიაზე gamma = gamba – “ფეხი“ და სხვ. მაგრამ ამჟამად ეს ტენდენცია, როგორც ჩანს, გაქრა, რადგანაც სამხრეთში შენარჩუნებულია კომპლექსი nd, რომელიც უფრო მოგვიანებით არის წარმოქმნილი nt კომპლექსისაგან (ნეაპოლ. viende = ventum “ქარი“). ასევე აღსანიშნავია ld-ს გადასვლა ll-ში, რომელიც ჯერ კიდევ XIV ს.-ის რომაულ ტექსტებში გვხვდება: sollati - soldati-ის (“ჯარისკაცები“) ნაცვლად. ამავე ტიპის ასიმილაციაა rn-ს და rl-ს გადასვლა rr-ში: კორსიკაში – furru = furnum (“ღუმელი“), karri = carnem (“ხორცი“); სიცილიასა და კალაბრიაში – parlare-ს (“ლაპარაკი“) ნაცვლად parrare. ფლორენციულ ხალხურ მეტყველებაში l + თანხმოვანი ხშირად გადადის r-ში : coltello-ს ნაცვლად kortello – (“დანა“).

იტალიური თანხმოვანთა სისტემის თავისებურებას განსაკუთრებით უწყობს ხელს ლათინურ ორმაგ თანხმოვანთა შენარჩუნება: gotta – “წვეთი“, vacca – “ძროხა“, fiamma – “ალი“, terra – “მიწა“, stella – “ვარსკვლავი“ და სხვ. ტოსკანური დიალექტი წარმოთქმაში ხშირად აორმაგებს მარტივ ლათინურ თანხმოვნებსაც კი: cattedra – “კათედრა“, femmina – “ქალი“, accademia – “აკადემია“ და სხვ.

ჩრდილოეთ იტალიაში კი - ორმაგი თანხმოვნები გამარტივებისაკენ მიისწრაფიან.

როგორც ცნობილია, იტალიურ სალიტერატურო ენაში არ ხდება სიტყვების დაბოლოება თანხმოვანზე (გარდა ელიზიის ცნობილი შემთხვევებისა, რომელთაც ადგილი აქვთ ორ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის მქონე სიტყვებს შორის და რომლის ძალითაც e და o ამოვარდება მჟღერების l-ს, r-ს და n-ს შემდეგ ისეთ შეერთებებში, როგორებიცაა far-lo “ამის გაკეთება“, mi par vero – “შესაძლებლად მიმაჩნია“, di buon cuore – “კეთილი გულით“ და სხვ.), რაც იტალიური ფონეტიკის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს.

ლექსიკური ცვლილებები

იტალიაში, მისი გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გათვალისწინებით, სხვა რომანულ ქვეყნებთან შედარებით, კლასიკური ლათინური ენის ლექსიკური შემადგენლობის უფრო დიდი რაოდენობა უნდა შემორჩენილიყო. სინამდვილეში, კლასიკური ლათინურის სიტყვები არც თუ ისე ბევრია იტალიურ ენაში: pecora – “ცხვარი“, (pecora), asilus - “კრაზანა“ (assillo), nimbus - “შარავანდედი“ (nembo), litus – “ნაპირი“ (lido), rivulus - “ნაკადული“ (rivolo), rubetum – “მაყვალი“ (rovetto) და სხვ. მხოლოდ იტალიაშია შემორჩენილი ზმნები: juvare – გახარება (giovarre), admonere – “დაჯერება, დარწმუნება“ (ammonire), frendere – “კრაჭუნი, ღრჭიალი“ (frendere); განყენებული სახელები: improperium – “საყვედური“ (rimproverio), captura – “დაჭერა, შეპყრობა“ (cattura), munditia – “სისუფთავე“ (mondezza), sorditia – “ტალახი, ჭუჭყი“ (sordezza, რომელიც ამჟამად არქაიზმია); ნაწილაკები: praesto – “მზად“ (presto), forsit – “შესაძლებელია“ (forse) და სხვ.

საკმაოდ ბევრი ლათინური სიტყვაა შემორჩენილი სარდინიაზე, მაგ., domo (domus-დან), მაგრამ არა იტალიური duomo – “ტაძარი“-ს მნიშვნელობით, არამედ casa-ს (“სახლი, საცხოვრისი“) მნიშვნელობით.

თუმცა იტალიური სალიტერატურო ენის ლექსიკა შედგება ძირითადად ტოსკანური ფორმის სიტყვებისაგან, მასში, რასაკვირველია, მრავლადაა აპენინის ნ/კ-ის სხვა რეგიონთა სიტყვებიც; მაგ.: lido (= litus) - “ნაპირი“ – ვენეციური წარმოშობისაა, prua (= prora) – “ცხვირი (გემის)“ – გენუურია; ვენეციურია სიტყვები: gazza (= gajja) – “კაჭკაჭი“ და gazzetta – “გაზეთა – ძველებური ვენეციური მონეტა“. დანტეს შემოქმედებაში გვხვდება სიენური კილოკავის ზმნები: spegnere (= expingere) – “ჩაქრობა“ და burlare – “ხუმრობა“. ბოკაჩო, ნაცვლად ძვ. იტალიური fancello = (infanticellum)-ისა (“ბიჭი, ბავშვი“) ხმარობდა fanciullo (infanteolum)-ს, რომელიც ნეაპოლური წარმოშობისაა; ნეაპოლური წარმოშობისაა ასევე სიტყვა cavolo-ც (= caulum) – “კომბოსტო“.

სალაპარაკო ენამ სიტყვების გარკვეული რაოდენობა ისესხა სპეციალური არგოდან, რომელსაც იტალიაში უწოდებენ *furbesco*-ს - “ქურდული, ქურდებისა“, ხან კი - *zergo*-ს და რომლის კვალიც შეინიშნება ჯერ კიდევ XV საუკუნეში (ლუიჯი პულჩის მიერ 1472 წელს დაწერილ წერილში). ასეთი სიტყვებია: *grimo* - “ნაოჭებიანი“, *birbante* - “გაიძვერა“, *cavagno* - “კალათა“; ზმნები: *camuffare* - “შენიღბა“, *smorfire* - “პრანჭვით ჭამა“, *lenzare* - “დასვენება“ და მრავალი სხვა. ძერგოს (*zergo*) ენა, რომელზედაც XVII საუკუნეში ვენეციასა და ლომბარდიაში ლაპარაკობდნენ, ყველაზე მეტად იყენებდა მეტაფორებსა და აზრობრივ დამახინჯებებს; მაგ.: *bolla* (სიტყვასიტყვით: “მუწუკი; ბუმტი“) აღნიშნავდა “ქალაქს“, *fungo* (სიტყვასიტყვით: “სოკო“) - აღნიშნავდა “ქუდს, შლიაპას“, *albume* (სიტყვასიტყვით: “კვერცხის ცილა“) - “ფულს“, *pevere* (სიტყვასიტყვით: “წიწკა“) - “მეძებარს“, *brocca* (სიტყვასიტყვით: “სურო, ღოქი“) - “მეძავს, როსკიპს“, *ruffo* (სიტყვასიტყვით: “მელოტი“) - “ცეცხლს“, *fiorire* (სიტყვასიტყვით: “აყვავება“) - “ქურდობას“, *comprare* (სიტყვასიტყვით: “ყიდვა“) - “გაქცევას“ და სხვ. დღეს ამ მნიშვნელობათა უმეტესობა დავიწყებულია, მაგრამ ზოგი მათგანი რჩება ხმარებაში, მაგ., *il gobbo* (სიტყვასიტყვით: “კუზიანი“) - შეიძლება იხმარებოდეს მნიშვნელობით “მე“, სიტყვა *durengo* - მნიშვნელობით “ყველი“ (იხმარება ჩრდილოეთ იტალიაში) და სხვ.

შუა საუკუნეების იტალიაში ხმარებაში შემოვიდა მრავალი არაბული სიტყვა: *algebra* - “ალგებრა“, *cifra* - “ციფრი“, *zenit* - “ზენიტი“, *quintale* - “ცენტნერი“, *cotone* - “ბამბა“, *giubba* - “კოფთა, ზედატანი“, *materasso* - “ლეიბი“, გვხვდება სპარსული წარმოშობის სიტყვებიც. მრავალი ნასესხობაა ესპანური ენიდან: *mantiglia* - “მანტია, მოსასხამი“, *alcova* - “ალკოვი, საწოლი (შეწეული)“, *repolone* - “ჭენება, ნავარდი“ და სხვ., მაგრამ, ყველა რომანულ ენათაგან, ყველაზე დიდი გავლენა იტალიურ ენაზე მოახდინა ფრანგულმა ენამ. შუა საუკუნეებში ტრუბადურებმა შეიტანეს პროვანსული სიტყვები: *miraglio* - “სარკე“, *losenga* - “ცილისწამება“, *malastrù* - “უბედურება“, ასევე - *anza*-ზე დაბოლოებული განყენებული სახელები, რომელთაგან ნაწილი მოძველდა: *allegranza* - “მხიარულება“, *disde-*

gnanza – “სიძულვილი, ათვალწუნება”, disperanza – “სასოწარკვეთა, უიმედობა“, ნაწილი კი – შემორჩენილია: accordanza – “შეთანხმება“, baldanza – “გამბედაობა“. ჯერ კიდევ დანტეს ეპოქამდეა ნასესხები მრავალი ფრანგული სიტყვა: giardino – “ბაღი“, gioia – “სიხარული“, follia – “სისულელე“, profitto – “სარგებლობა“, ciambra – “ოთახი“, mercide – “გულმოწყალება“, malvestà – “სიბოროტე, ღვარძლი“ და სხვ. თავის მხრივ, დანტემაც შემოიტანა გალიციზმები: vallèa – “ხეობა“, estello – “სახლი, საცხოვრისი“, argento – “ფული“ და სხვ. თანამედროვე იტალიური ენა, XVII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული აგრძელებს დიდი რაოდენობით სიტყვების სესხებას ფრანგულიდან: biglietto – “ბარათი, ბილეთი“, arresto – “დაპატიმრება“, rimorso – “სინდისის ქენჯნა“, decadenza – “ვარდნა, დაცემა“, assemblea – “კრება“, toletta – “ტუალეტი“; ზმნები: accordare – “შეთანხმება“, malmenare – “ცუდად მოპყრობა“, marciare – “მარშირება“ და სხვ.

იტალიური ენის ლექსიკურ ფონდზე გავლენა მოახდინეს გერმანულმა დიალექტებმაც: bicchiere – “ჭიქა“, scatola – “ზარდახშა“ (ჯერ კიდევ ბოკაჩოსთან გვხვდება), slitta – “მარზილი“ და სხვ.

ნაზმნარი სახელები იტალიურ ენაში ქმნიან –o-ზე და –a-ზე დაბოლოებულ სახელთა საკმაოდ დიდ კლასს: affronto – “შეურაცხყოფა“, carico – “ტვირთი“, grido – “ყვირილი“, guida – “გამცილებელი“, mischia – “ჩხუბი“, disfida – “გამომახება“, domanda – “თხოვნა; შეკითხვა“ და სხვ.

მოქმედ პირთა სახელწოდებები იწარმოებიან სუფიქსებით –tore და –aio (facitore – “შემქმნელი“, calzolaio – “მეწაღე“ და სხვ.), სუფიქსი – iere კი (barbiere – “დალაქი“) ძველი ნასესხობაა ფრანგული ენიდან. ფართოდ გამოიყენება სუფიქსები: – imento (finimento – ძვ.იტ. “დაბოლოება“), –anza, –oso (gustoso – “გემრიელი“), –evole (piacevole – “სასიამოვნო“), –esco (pittoreesco – “თვალწარმტაც“), კნინობითი სუფიქსი – ino (bicchierino – “პატარა ჭიქა“ – ello (asinello – “ვირი“), –cello (fiumicello – “პატარა მდინარე“), –etto (libretto – “პატარა წიგნი“), დიდობითი სუფიქსი –one (vecchione – “ღრმა მოხუცი“) და სხვ.

3. გრამატიკული ცვლილებები

მორფოლოგია

ზმნა

იტალიურ ენაში ინფინიტივთა დაბოლოებებია – are, -ire, -ére და -'ere (ე.ი. მასვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე, სუფიქსის წინ); უპირატესია ბოლო დაბოლოება: *árdere* - “წვა“, *méscere* - “ხელის შეშლა“, *fúlgere* - “ბრწყინვა“, *muóvere* - “მოძრაობა“; ხალხურ-ტოსკანური *gódere* (იტ. *godére*) “დატკობა“, *riédere* (= *redire*) - “დაბრუნება“ და მრავალი სხვ. ხშირია დაბოლოება – *ire*-ც, რომელიც ძველ ლირიკოს პოეტებთან გვხვდებოდა – *piacire* - “მოწონება“, *dolire* - “ტკივილი“, *avire* - “ქონა, ყოლა“ და სხვ. თანამედროვე სამხრეთულ დიალექტებში, განსაკუთრებით სიცილიასა და კალაბრიაში, გავრცელებულია დაბოლოება -'iri, -'ere (სიცილ.) *vénniri* - “მოსვლა“, *séntiri* - “გრძნობა; გაგონება“).

იტალიურ სალიტერატურო ენაში თხრობითი კილოს აწმყო დროის 3 ტიპია :

cant-o -i, -a, -iámo, -áte, -ano - “ვმღერი“ და ა.შ.

dorm-o, -i, -e, -iámo, -íte, -ono - “მძინავს“ და ა.შ.

vend-o, -i, -e, -iámo, -éte, -ono - “ყვიდი“ და ა.შ.

როგორც ჩანს, II და III უღლება განსხვავდება მხოლოდ მრ. რიცხვის II პირით. ხალხურლათინურ პარადიგმებთან მიმართებით, მხ.რიცხვის I და III პირის და მრ.რიცხვის II და III პირის დაბოლოებები სწორია. ჩრდილოიტალიური დიალექტების ფონეტიკურ კანონთა ძალით, მაგ., მილანში, I პირის დაბოლოება გვაქვს -i (*canti*), სადაც -i წარმოადგენს პოსტპოზიციურ ნაცვალსახელს *io* - “მე“.

კავშირებით კილოს აწმყოს დროს აქვს შემდეგი პარადიგმები:

cant-i, -i, -i, iámo, -iáte, -ino - “ვიმღერებდი“ და ა.შ.

II–III. *vend-a, -a, -a, -iámo, -iáte, -ano* - “გაყვიდი“ და ა.შ.

ძველ ლირიკოს პოეტებთან ვხვდებით მხ.რიცხვის II პირში -e-ს

(porte “ატარებდი“, crede – “დაიჯერებდი“, abbie – “გექნებოდა, გეყოლებოდა“); მას ახლაც ვხვდებით ჩრდილო იტალიის ზოგ რეგიონში (მაგ., ბერგამოში). სამხრეთ იტალიაში კავშირებითი კილო თითქმის გამქრალია.

ბრძანებითი კილოს ფორმები : I. canta, cantáte - “იმღერე, იმღერეთ“, II – dormi, dormíte - “დაიძინე, დაიძინეთ“, III – vendi, vendéte - “გაყიდე, გაყიდეთ“ – წარმოადგენენ ლათინური ფორმების გაგრძელებას, გარდა მხ.რიცხვის II პირისა – vendi, რომელიც შეიცვალა dormi-ს ანალოგიით (თუმცა ფლორენციის საზღვრებს გარეთ III უღლების ფორმა vende და აქედან II უღლების ფორმაც dorme - გავრცელებულია მთელ ტოსკანასა და ასევე ჩრდილო იტალიაშიც). ლათინური ენიდან იტალიურში შემორჩენილია ბრძანებითი კილოს ფორმები: di’ – “ილაპარაკე“ და fa’ – “გააკეთე“.

გერუნდვის ფორმებია : I. cantando - “სიმღერით, მღეროდა რა“, II. – dormendo – “ეძინა რა“, III – vendendo – “ყიდდა რა“; აქ II უღლება ემთხვევა III უღლებას. ჩრდილო დიალექტებში ყველა ეს ფორმა უნიფიცირებულია უძველესი დროიდანვე I უღლებასთან და შუასაუკუნეების ტექსტებში – ტურინიდან მოყოლებული ვენეციამდე – გვხვდება მხოლოდ ფორმები digando – “ლაპარაკობს რა“, murando – “კვდება რა“.

თხრობითი კილოს უსრული ასპექტის წარსული დრო წარმოდგენილია 3 ტიპით :

cantavo, -ávi, -áva, avámo, aváte, -ávano - “ვმღეროდი“ და ა.შ.

dormívo - “მეძინა“ და ა.შ.

vendévo – “ვეყიდი“ და ა.შ.

XIII საუკუნიდან I პირის მხ.რ.-ის ფორმის “cantava” ნაცვლად წარმოიშვა ფორმა: cantavo, dormivo, vendevo (აწმყო დროის მხ.რ. I პირის ფორმის გავლენით), რომელიც ამჟამად უფრო გავრცელებულია, რადგან განსხვავდება მხ.რ.-ის III პირის ფორმისაგან; თუმცა რომში და მთელს სამხრეთში ძველებურად შენარჩუნებულია ფორმები: io cantava და ა.შ. ყველა ეს დაბოლოება წარმოადგენს კლასიკური ლათინურის ფორმებს.

ასევე არაწესიერი ზმნებიც ინარჩუნებენ კლასიკურ ფორმებს:

დამხმარე ზმნის *essere* – “ყოფნა“ პარადიგმები: *sono, sei, è, siamo, siete, sono* – “ვარ“ და ა.შ., სადაც *sei* წარმოადგენს ძველი-ტალიური ფორმის *siei*-ს რელუქციას, რომელიც დღესაც იხმარება ტოსკანურ ხალხურ კილოკავში. მხ.რ. I პირის და მრ.რ. III პირის ძველიტალიური ფორმა იყო *so*, რომელიც კვლავ იხმარება ცენტრალური იტალიის დიალექტებში.

ზმნა *avere*-ს თხრობითი კილოს აწმყო დროის პარადიგმები: *ho, hai, ha, abbiamo, avete, hanno* – “მაქვს, მყავს“ და ა.შ., თუმც სამხრეთში (ნეაპოლის გარდა) მხ.რ.-ის I პირში გვაქვს *aggiu* (= *habeo*) და მრ.რ.-ის III პირში *aunu* (= *habunt*). ძველიტალიურში არსებობდა მხ.რ. I პირის ფორმები *aggio, aio* ან *abbo* (*abbio*-ს რელუქციურებული ფორმა), რომლებიც მომდინარეობენ სამხრეთის ლირიკოსი პოეტებიდან.

თხრობითი კილოს სრული ასპექტის წარსული დროის 2 ტიპი არსებობს, რომლებიც შეესაბამებიან ზმნებს –*are*-ზე და –*ire*-ზე :

cant-ái, cant-ásti, cant-ò, cant-ámmo, cant-áste, cant-árono – “ვიმღერე“ და ა.შ.

part-íi, part-ísti, part-i, part-ímmo, part-íste, part-írono – “გავემზავრე“ და ა.შ.

ორივე პარადიგმა მომდინარეობს ხალხური ლათინურის ფორმებიდან. საიდან მოდიან *presi, prendesti, prese...*

წარსული დროის მიმღეობის ფორმები სამი დაბოლოებით არის წარმოდგენილი: –*ato, -ito, -uto*. ძველიტალიური ფართოდ იყენებდა დაბოლოება –*uto*-ს. მაგ., ლირიკოს პოეტებთან –*ire*-ზე დაბოლოებული ზმნებისათვის გვხვდება წარსული დროის მიმღეობის ისეთი ფორმები, როგორცაა *sentuto* – “მოსმენილი“, *vestuto* – “ჩაცმული“ და ა.შ. ხალხური ენის თავისებურებას განეკუთვნება I უღლების წარსული დროის მიმღეობის შეკვეცა: *porto* – “წადებული“, *trovo* – “ნაპოვნი“, ნაცვლად ფორმებისა *portato, trovato* და ა.შ.

შენარჩუნებულია წარსული დროის მიმღეობათა ძლიერი ფორმები *t*-ზე : *detto* – “ნათქვამი“, *scritto* – “დაწერილი“, *morto* – “მკვდარი“, *fatto* – “გაკეთებული“, *visto* (*veduto*-ს გვერდით) – “დანახული“ და სხვ. ასევე მიმღეობები *s*-ზე: *chiuso* – “დახურული“,

sparso – “დაბნეული“, corso – “გაქცეული“ და სხვ. არსებობს მიმ-
ღობის დიალექტური ფორმებიც –esto –ზე, რომლებიც ფართოდ
გავრცელებული ჩრდილოაღმოსავლეთით, განსაკუთრებით ვენეციაში:
tasesto – “გაჩუმებული“, vedesto – “ნანახი“ – ნაცვლად იტალიური
ფორმებისა: taciuto, veduto და ა.შ.

არსებითი სახელი

იტალიური არსებითი სახელები, მათი ლათინური წარმოშობის
შესაბამისად, შეიძლება დაიყოს სამ ძირითად კლასად :

მდებრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც მხ.რიცხვში
ბოლოვდებიან –a-ზე, მრ. რიცხვში –e-ზე: casa, case – “სახლი, სახ-
ლები“.

სალიტერატურო ენაში ამავე კლასს განეკუთვნება წიგნური
(მეცნიერული) წარმოშობის, მამრობითი სქესის რამდენიმე არსებითი
სახელი: poeta – “პოეტი“, profeta – “წინასწარმეტყველი“, pirata –
“მეკობრე” (რომლებიც ლათინურ ენაში მამრობითი სქესის იყვნენ)
და რამოდენიმე სახელი, რომლებიც ადრე საშუალო სქესს განეკუთ-
ვნებოდნენ: tema – “თემა“, dramma – “დრამა“. ეს სახელები მრავ-
ლობით რიცხვს აწარმოებენ II კლასის მსგავსად: poeti, profeti, pirati,
temi, drammi; თუმც, ძველიიტალიურში გვხვდება ასევე ფორმები: li
profete, li pirate (დანტესთან) და li papa -ც კი – “პაპები“.

II კლასი მოიცავს 0-ზე დაბოლოებულ მამრობითი სქესის არსე-
ბით სახელებს, რომელთაც მრ. რიცხვში აქვთ დაბოლოება –i: lupo,
lupi, - “მგელი, მგლები“. ამ დაბოლოების მქონე სიტყვებიდან მდებ-
რობითი სქესი შეინარჩუნა მხოლოდ სიტყვამ mano, mani – “ხელი,
ხელები“, რომელსაც ტოსკანურ ხალხურ კილოკავში და სამხრეთ
იტალიაში აქვს ფორმა mana. ამ კლასში ერთიანდებიან :

1) III კანკლედობის სახელობითი ბრუნვის ლათინური ფორმები,
რომლებიც წარმოადგენენ პიროვნებათა სახელწოდებებს: uomo –
“ადამიანი“, sarto – “შეკრავი“, ladro – “ქურდი“, furo – “თაღლითი“,
nievo – “მზისწული“.

2) ძველი საშუალო სქესის სახელები: tempo – “დრო“, petto –
208

“მკერდი“, marmo – “მარმარილო“, zolfo – “გოგირდი“ და სხვ.

3). ზოგიერთი სხვა სიტყვა, რომლებიც მიეკუთვნებიან III კანკლე-ლობას: albero – “ხე“ (arbōrem), passero - “ბელურა“ (passērem).

III კლასს მიეკუთვნებიან –e-ზე დაბოლოებული მამრობითი სქესის სახელები (pane, pani – “პური, პურები“) და ასევე –e-ზე დაბოლოებული მდედრობითი სქესის სახელები (madre, madri – “დედა, დედები“), რომელთაც მრავლობით რიცხვში –i დაბოლოება აქვთ. სქესის მიმართ მერყევია carcere – “ციხე“, folgore – “ელვა“, fine – “დასასრული“, fonte – “წყარო“, lepre – “კურდღელი“, serpe – “გველი“ და ზოგიერთი სხვა.

ძველიტალიურში მრ. რიცხვის მდ.სქესის ფორმები: genti – “ხალხი“, valli “ხეობები“, chiavi – “გასაღებები“, torri – “კოშკები“ და სხვ. – არაიშვიათად იცვლებოდა ფორმებით le gente, le valle, le chiave, le torre (გვხვდება დანტესთან და შენარჩუნებულია ტოსკანურ ხალხურ კილოკაეში).

ზედსართავი სახელები

ზედსართავი სახელები 2 კლასად იყოფიან:

I. მამრ. სქესის –buono – მდ. სქ. buona, მრ.რ. buoni, buone – “კარგი, კარგები“ (მაგრამ ძველიტალიურში ზოგჯერ გვხვდება buoni femmine - “კარგი ქალები“);

II. (ორივე სქესისათვის) - grande, მრ.რ. grandi – “დიდი, დიდები“ (ძველიტალიურში ზოგჯერ გვხვდება grande piaghe – “დიდი უბელურებანი“)

ნაცვალსახელები

თანამედროვე იტალიურმა ენამ შემოინახა კუთვნილებით ნაცვალ-სახელთა მხოლოდ მახვილიანი ფორმები:

1. მამრ.სქესი, მხ.რ.: mio, მრ. რ.: miei – “ჩემი, ჩემები“; მდედრ. სქესი, მხ.რ.: mia, მრ. რ.: mie.

2. მამრ.სქესი მხ.რ: tuo, tuoi – “შენი, შენები“; მდედრ.სქ. მხ.რ: tua, tue.

3. მამრ.სქ. მხ.რ: suo, მრ. რ: suoi – “მისი, მისები“; მდედრ. სქ. მხ.რ: sua, მრ. რ: sue და ა.შ.

ძველ დიალექტებში არსებობდა ამ ნაცვალსახელთა უმახვილო ფორმებიც: XIII ს-ში დასტურდება so maestro – “მისი მასწავლებელი“, signormo – “ჩემი ბატონი“. ამჟამად ეს ფორმები ზოგჯერ სალიტერატურო ენაში გვხვდება – madonna – “ქალბატონი“. რომიდან მოყოლებული – ყველა ცენტრალურ და სამხრეთ პროვინციაში ფართოდაა გავრცელებული ენკლიტიკური ფორმები: patreto – “მამა-შენი“, matrema – “დედაჩემი“, fratelso – “მისი ძმა“ და ა.შ. XIV-დან XVI ს.-მდე სალიტერატურო ტექსტებში ორივე სქესის მრ. რ.-ის სახით ხშირად იხმარებოდა mia, tua, sua (რომლებიც, უდავოდ, წარმოადგენდნენ საშუალო სქესის მრ. რიცხვის ფორმებს): li panni mia - “ჩემი ტანსაცმელები“, le mia sorelle – “ჩემი დები“, i tua disegni – “შენი განზრახვები“. ყველა ეს ფორმა დღემდე იხმარება ხალხურ მეტყველებაში. გარდა ამისა, ცენტრალური იტალიის ძველ ტექსტებში II და III პირის ასეთი ფორმები გვხვდება: tío, sío, tea, sea, რომლებიც წარმოქმნილი იყვნენ I პირის გავლენით ხალხური ლათინურის ეპოქაშივე.

არტიკლი

არტიკლი შეიქმნა ჩვენებითი ნაცვალსახელი – ille-საგან, რომლის ყველა ფორმამ, გარდა მამრ. სქესის მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვისა, ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქაში, დაკარგა თავისი პირველი მარცვალი. ტოსკანაში თავდაპირველად el-თან ერთად, რომელიც გადავიდა –il-ში, სუბიექტური ფორმის სახით იხმარებოდა ბრალდებითი ბრუნვის ძველი ფორმა lo (= illum) (Lo giorno se n’andava – “დღე გადიოდა“, დანტე) ; შემდგომში სალიტერატურო ენამ lo შემოინახა მხოლოდ არაწმინდა s-ს წინ (lo scudo – “ფარი“) და l-ს ფორმით (ელიზიის შედეგად) – ხმოვნის წინ (l’uomo – “ადამიანი“).

მრ.რიცხვში თავდაპირველი ფორმა იყო (il) li, საიდანაც მივიღეთ gli ხმოვნის წინ და შემცირების შედეგად – i ფორმა, რომელიც შემდგომში საერთო ხმარებაში შევიდა (თუმცა გვაქვს კვლავ: gli uomini – “ადამიანები“, gli scudi – “ფარები“). ჩრდილოეთის ძველ ტექსტებში არტიკლად იხმარებოდა მხოლოდ lo, შემდგომ – el ფორმა (ol, al ვარიანტებით) გავრცელდა ვენეციაში, ემილიასა და ლომბარდიაში. პიემონტში მდ.სქ. მრ.რიცხვის ფორმა le გადავიდა i-ში თავკიდური ხმოვნის წინ. სამხრეთ იტალიაში არტიკლია lo ან lu, მაგრამ ნეაპოლიდან სამხრეთით, სიცილიის ჩათვლით, ეს ფორმები ხშირად რედუცირდება u-დ ან a-დ, l-ს ამოვარდნის შედეგად. ცენტრალურ ზონაში, რომის მიდამოებში, გვხვდება lu, li ფორმები, შექმნილნი მრავლობითი რიცხვის გავლენით, თვით რომში კი - XIX ს.-ის ბოლოდან არსებობს ტენდენცია lo-ს o-დ რედუქციისა (არტიკლისაც და ნაცვალსახელისაც) წინადადების შუაში.

იტალიურ ენაში არტიკლი თანდათანობით შევიდა ხმარებაში. შუა საუკუნეებში განყენებული სახელები ragione – “გონება“, giustizia – “სამართლიანობა“, natura – “ბუნება“ და სხვ. არტიკლის გარეშე იხმარებოდნენ: Pietà mi vinse – “სიბრალულმა (თანაგრძნობამ) დაამძლია“ (დანტე). ისეთი თანამედროვე გამოთქმები, როგორცაა dire sciocchezze – “სისულელის ლაპარაკი“, correr pericolo – “საფრთხეში ჩაგდება“, andare a caccia – “სანადიროდ წასვლა“ და სხვ. გვაფიქრებინებენ, რომ არტიკლმა მოგვიანებით დაიწყო არსებითი სახელის თანხლება.

სინტაქსი

იტალიურ ენაში, თანწყობილ წინადადებაში მთავარი მაკავშირებლებია e “და“ (ხმოვნის წინ ed) და უარყოფისას – nè : Prese la torta, nè volle dargliene – “აიღო ნამცხვარი და არ მოისურვა მისთვის მისი მიცემა“; გარდა ამისა, მრავალთავან ერთ-ერთის არჩევანისათვის იხმარება კავშირი o, od – “ან“; წინააღმდეგობის კავშირად უპირატესად ma – “მაგრამ“ იხმარება. თანამედროვე ენაში, ამ მიზნით,

però – “თუმც“ გამოიყენება, რომელიც მიუთითებს, რომ პირველი მტკიცებულება ძალაში რჩება (Mi fece molte promesse, vorrei però una prova sicura delle sue intenzioni – “მან ბევრი დაპირება მომცა, თუმც მინდა დარწმუნებული ვიყო მის განზრახვაში.“) და ზმნიზება pure – რომელსაც აქვს სხვადასხვა აზრობრივი ელფერები. ანალოგიური გამოთქმებიდან ადრე ხმარობდნენ anzi –ს “-ც, კი, კიდევ“, tuttavia –ს “თუმც, მითუმეტეს“, რომლებიც ამჟამად მოძველდნენ და ადგილი დაუთმეს გამოთქმებს: per altro – “თუმც, სხვათა შორის“, con tutto ciò – “ყოველივე ამასთან“, niente di meno – “მითუმეტეს“. შედეგის მითითებისათვის იხმარება: anche – “ასევე, -ც“, dunque – “ამიტომაც, მაშასადამე“ და სხვ.

ქვეწოხილი წინადადების სხვადასხვა ტიპს სხვადასხვა კავშირი ემსახურება: დამატებითი დამოკიდებული წინადადება შემოდის che-ს საშუალებით. ადრეულ პერიოდში ეს che ხშირად გამოითვლებოდა, მაგ.: Dubitava non fosse alcuna dea – “ეჭვობდა, რომელიმე ქალღმერთი ხომ არ არისო“ (ბოკაჩო). მისი გამოთვლება ამჟამადაც ხდება: Spero lo vedremo – “ვიმედოვნებ, რომ მას ვნახავთ“; დამატებით დამოკიდებულ წინადადებათა ხმარება შეზღუდა წინდებულისანი ინფინიტივების გამოყენებამ: parmi d’udirli – “შეჩვენება, რომ ის მესმის“ (პეტრარკა), ti prego di venire – “გთხოვ, მოხვიდე“ და სხვ. იტალიურში სხვა რომანულ ენებზე უფრო ადრე აღდგა ლათინური ინფინიტივური წინადადება.

კავშირი che იხმარებოდა მთავარ წინადადებასთან სხვადასხვა გარემოებითი წინადადების მისაერთებლად; დროზე მითითებისათვის che თავსდებოდა მიძლეობასა და მის დამხმარე ზმნას შორის ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა: giunto che fu – “როცა დამეწიენ“; ასევე იხმარებოდა quando – “როცა“, mentre – “იმ დროს, როდესაც“, ან უფრო გვიან ეპოქაში შექმნილი კავშირები allorchè – “როცა“, primachè – “ვიდრე“, finchè – “სანამ, ვიდრე“ (დანტესთან გვხვდება in fin che).

ძველ პოეზიაში დამოკიდებული (დაქვემდებარებული) წინადადებები, უპირატესად, პირობითი სიტყვის გარეშე აიგებოდნენ (La gioia è tanta, non ha dove s’asconda – “სიხარული ისეთია, (რომ) ვერსად

დაიძალაბა“), ზოგჯერ კი – *ca* –თი, განსაკუთრებით სამხრეთ იტალიაში (*Tant’è la pena mia, ca cedo. . .* – “ტანჯვა ჩემი ისეთი დიდია, რომ ვფიქრობ...”); შეერთება *si che* (თანამ. იტალ. *sicchè* – “ასე რომ“), რომელსაც ხშირად იყენებდა დანტე, ფრანგულიდან უნდა იყოს ნასესხები. ზომის გამოსახატად იტალიური იყენებს ლათინურიდან მომდინარე ფორმებს: *tanto. . . quanto* – “იმდენად. . . რამდენადაც“, *tale. . . quale* – “ისეთი . . . როგორც“ და სხვ. ; მაგრამ ამათთან ერთად, ფართოდ იხმარება *così (accu-sic)* – “ასე, ისე, ამგვარად“ – მიმართებით სიტყვასთან ერთად *come (=com’è)* – “როგორც”: *Non è così ricco come si dice* – “არც ისეთი მდიდარია, როგორც ამბობენ“; ზოგჯერ კი მაჩვენებელი სიტყვა გამოტოვებულია: *Quanto più presto sarà, meglio* – “რაც უფრო ჩქარა, მით უკეთესი“ (Manzoni). მაჩვენებელი სიტყვის სახით ფართო გავრცელება ჰპოვა ფორმა *di quel(lo) che*, რომელმაც შეცვალა მარტივი *che* (*è più ricco di quel che si crede* – “უფრო მდიდარია, ვიდრე ფიქრობენ“).

არაიშვიათად დამოკიდებული წინადადება გადმოიცემა უარყოფითი ფორმის საშუალებით, რაც მომდინარეობს ძალიან ადრეული პერიოდიდან: *Spendo più ch’io non ho d’entrate* – “შეტს ვხარჯავ ვიდრე შემოსავალი მაქვს“.

შედარებით-დილობითი ელფერის გადმოსაცემად, რომელიც ლათინურ ენაში გამოიხატებოდა გამოთქმით *non solum . . . sed* – “არა მარტო. . . , არამედ“, იტალიურმა ენამ შექმნა გამოთქმა – *non che . . . ma* პირობითი კილოთი *non che*-ს შემდეგ: *Non che veduti avesser pappagalli, ma di gran lunga mai uditi non gli avean ricordare* – “თუთიყუშები არა თუ უნახავთ, არამედ არც კი გაუგიათ, რომ ისინი ვინმეს მოეხსენებოდა“ (Boccaccio), სადაც “*non che*“ აღნიშნავს – “არა თუ“, მეორე ზმნა კი – ნახმარია უარყოფით. ამჟამად გამოთქმა *non che . . . ma* თითქმის არ იხმარება.

ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, დათმობითი დამოკიდებული წინადადებები მთავარ წინადადებას უერთდებოდნენ სიტყვებით *benchè* და *sebbene* (“თუმცა“), იშვიათად სიტყვით *avvegnachè* (“თუმცა“). ძველ პოეზიაში ფართო გავრცელება ჰქონდა ასევე კონსტრუქციას *per*-ით: *per pena ch’io patisca* – “რა ტანჯვაც არ უნდა გადავიტანო“, რომელიც

დღემდე იზმარება, ძირითადად, ზედსართავებთან ერთად (per dotto che sia - “როგორი მეცნიერიც არ უნდა იყოს“). გარდა ამისა, მიმართებით სიტყვებად ხშირად გვხვდება: quandochè - “როცა“, comechè - “თუმც, რადგან“, chi che, chiunque - “ვინც არ“ (დანტესთანაც გვხვდება: chiunque tu sei - “ვინც არ უნდა იყო“), ასევე qualunque - “ყოველგვარი“, quantunque - “რამდენიც არ“, qualsisia - ყოველი, qualsivoglia - “ვინც არ“ და სხვ.

ბიბლიოგრაფია

1. Bruni Francesco, *L'italiano letterario nella storia*, 2002, il Mulino
2. De Blasi Nicola, *Piccola storia della lingua italiana*, 2008, Liguori
3. De Mauro Tullio, *Storia linguistica dell'Italia unita*, 1970, Laterza
4. Lotti Gianfranco, *L'avventurosa storia della lingua italiana. Dal latino al telefonino*, 2000, Bompiani
5. Marazzini Claudio, *Breve storia della lingua italiana*, 2004, il Mulino
6. Marazzini Claudio, *Da Dante alla lingua selvaggia. Sette secoli di dibattiti sull'italiano*, 1999, Carocci
7. Migliorini Bruno, *Storia della lingua italiana*, 2001, Bompiani
8. Panozzo Umberto, *Storia della lingua italiana*, 1999, Panozzo Editore
9. Serianni Luca, *Introduzione alla lingua poetica italiana*, 2001, Carocci
10. Stussi Alfredo, *Lingua, dialetto e letteratura*, 1993, Einaudi
11. Vitale Maurizio, *La questione della lingua*, 1978, Palumbo
12. ახვლედიანი ციური, *დიაქრონიული ფონოტაქტიკა და რომანული კონსონანტიზმის პრობლემები*, თბ., 2008
13. ახვლედიანი ციური, *სტაბილურობა და ვარიაცია რომანულ თანხმოვანთგუფებში (დიაქრონიული კვლევა)*, თბ., 2009.
14. ახვლედიანი ც., გაბუნია ქ., *რომანული ფილოლოგია*, თბ., 2010.
15. ახვლედიანი ც., გაბუნია ქ., *რომანულ ენათა შედარებითი ტიპოლოგია*, თბ., 2011.

სარჩევნი

შესავალი

1. ცენტრი და პერიფერია	3
2. ენობრივი კონტაქტები და ნასესხობები.....	4
3. მწერლების როლი.....	7
4. შუა საუკუნეების ნოტარიუსები და ვაჭრები	8
5. მეცნიერების ენა	10
6. გრამატიკოსები.....	11
7. ლექსიკონები და აკადემიები	12
8. ენობრივი პოლიტიკა	13
9. გამომცემლები და ტიპოგრაფია.....	16
10. თანამედროვე მასმედია.....	18
11. სამწერლო და სალაპარაკო ენა	19
12. იტალიური ენა	21

თავი პირველი

იტალიური ენის წარმოშობა და

პირველი დოკუმენტები იტალიურ ენაზე

1. ლათინურიდან იტალიურამდე.....	24
2. როდის იბადება ენა.....	31
3. გრაფიტი და ფრესკა.....	34
4. იტალიურის დაბადება: 960 წლით დათარიღებული “Placito Capuano”.....	37
5. იურიდიული და ნოტარიალური დოკუმენტები.....	39
6. რელიგიური თემა პირველ იტალიურ დოკუმენტებში.....	42
7. პიზის დოკუმენტები.....	43
8. პირველი ლიტერატურული დოკუმენტები.....	44

თავი მორმ. XIII საუკუნე

1. პოეტური ენა	47
2. ცენტრალური და ჩრდილოეთ იტალიის პოეტური დოკუმენტები	51
3. დანტე – ხალხური ენის პირველი თეორეტიკოსი	55
4. ხალხურ ენაზე შექმნილი პროზაული ნიმუშები	58

თავი მსსამ. XIV საუკუნე

1. დანტე და ტოსკანურის უპირატესობა	62
2. “კომედიის” ენობრივი მრავალფეროვნება	63
3. პეტრარკას ლირიკის ენა	66
4. ბოკაჩოს პროზა	68
5. “ვოლგარიზება“	70

თავი მმოთხმ. XV საუკუნე

1. ლათინური და ხალხური ენა	71
2. ენობრივი ვარიაციები ლათინურისა და ხალხური ენის ბაზაზე	72
3. ლეონ ბატისტა ალბერტი და პირველი გრამატიკა	75
4. ხალხური ენის დამკვიდრება	78
5. რელიგიური ლიტერატურის გავლენა	81
6. კონე და კანცელარიის ენა	83
7. ტოსკანური ლიტერატურის წარმატება	85

თავი მმსუთმ. XVI საუკუნე

1. იტალიური და ლათინური	89
2. პიეტრო ბემბო, ჯოვან ჯორჯო ტრისინო და ბენედეტო ვარკი	91
3. ენობრივი ნორმის დადგენა	99
4. აკადემიების როლი	101

5. პროზის ნაირსახეობა	103
6. კომედიის შერეული ენა.....	106
7. პოეტური ენა	107
8. ეკლესია და ხალხური ენა	109

თავი მმქმსმ. XVII საუკუნე

1. კრუსკას აკადემიის ლექსიკონი.....	113
2. კრუსკას აკადემიის მოწინააღმდეგენი.....	116
3. მეცნიერების ენა	118
4. მელოდრამა	121
5. ბაროკოს პოეტური ენა.....	123
6. იტალიური ენის წინააღმდეგ გამართული პოლემიკა.....	125
7. დიალექტური ლიტერატურა	127

თავი მმშვიდმ. XVIII საუკუნე

1. იტალიური და ფრანგული ენები ევროპულ ფონზე.....	129
2. ჩეხაროტი – ენის ფილოსოფოსი.....	132
3. სასკოლო რეფორმა.....	137
4. სასაუბრო ენა	140
5. ოპერისა და თეატრის ენა.....	143
6. პოეტური ენა	146

თავი მმრჰმ. XIX საუკუნე

1. პურიზმი და კლასიციზმი.....	147
2. ენობრივი საკითხის მანძონისეული გადაჭრა	149
3. ლექსიკოგრაფიის ოქროს ხანა	151
4. პოლიტიკური გაერთიანების ენობრივი შედეგები.....	153
5. ტოსკანის როლი და ასკოლის თეორიები.....	157
6. ჟურნალისტური ენა	159
7. ლიტერატურული პროზა.....	160
8. პოეზია	165

თავი მმცხრმ. XX საუკუნე

1. ლიტერატურული ენა XX საუკუნის პირველ ნახევარში.....169
2. ორატორული ხელოვნება და
ფაშიზმის ენობრივი პოლიტიკა174
3. პაზოლინის “ნეოიტალიური” და იტალიური “სტანდა”.....178
4. უნიფიცირებისაკენ: მას-მედია, დიალექტები, იმიგრაცია.....180
5. საშუალო ხმარების იტალიური.....182

თავი მმამთმ.

1. იტალიური ენის მოკლე ისტორია.....184
2. ფონეტიკური ცვლილებები195
3. გრამატიკული ცვლილებები205
4. ბიბლიოგრაფია.....215

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №45
E – mail: info@meridianpub.com ტ. 239-15-22